

# ს ი ს ს ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს პ რ ო ბ ე ს ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2017, №4-6

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2017, №4-6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №4-6

Решения Верховного Суда Грузии  
**по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2017, №4-6

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. საგამოქიჯო მოქმედებები

## სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოქიჯო მოქმედების სამართლებრივი შედეგი

### ბანაჩინი

№759აპ-16

11 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მარტის განაჩენით ნ. თ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2015 წლის 7 დეკემბრიდან.

2. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერი მტკიცებულებები: ნ. თ-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალა და ფეთქებადი ნივთიერება უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამმართველოს; ნ. თ-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული სანადირო გლუვლულიანი თოფები, მისი ვაზნები და ...-ის მარკის №... შაშხანა შესანახად უნდა გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამმართველოს ნ. თ-ს საკუთრების უფლების შენარჩუნებით; ნ. თ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალება უნდა განადგურდეს; ნ. თ-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული 2 ცივი იარაღი – დანა, 1 ჯავშან ჟილეტი, LG-ის ფირმის მობილური ტელეფონი და 3 რაცია უნდა დაუბრუნდეს ნ. თ-ს ნდობით აღჭურვილ პირს.

3. განაჩენით მსჯავრდებულ ნ. თ-ს მსჯავრი დაედო იმაში,

რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

4. 2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს თბილისში, ... ქუჩა №...-ში მდებარე ნ. თ-ს საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოიღეს ქარხნული წესით დამზადებული, 9მმ კალიბრიანი, „სტეჩკინისა“ და „...“ კონსტრუქციის 1970 წლის ნიმუშის უხმო ავტომატური პისტოლეტი (მოდელი „...“), ქარხნული წესით დამზადებული, 5,45მმ კალიბრიანი „...“, „...“ და „...“ კონსტრუქციის 1983 წლის ნიმუშის პისტოლეტი (მოდელი „...“), ქარხნული წესით დამზადებული, 5,6მმ კალიბრიანი რევოლვერი (მოდელი „...“), რომლებიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ასევე – ქარხნული წესით დამზადებული, 5,45მმ კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის 1983 წლის ნიმუშის ავტომატი (მოდელი „AKC74Y“), რაც მიეკუთვნება ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ასევე – ქარხნული წესით დამზადებული, 5,45მმ (5,4ხ18) კალიბრიანი 6 ვაზნა, ქარხნული წესით დამზადებული, 5,6მმ კალიბრიანი რგოლური აალების 8 ვაზნა, ქარხნული წესით დამზადებული, 1974 წლის ნიმუშის 5,45მმ კალიბრიანი 58 ვაზნა, ქარხნული წესით დამზადებული, 1943 წლის ნიმუშის 7,62მმ კალიბრიანი 1 ვაზნა, რომლებიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ასევე ქარხნული წესით დამზადებული, „PFA-5“ ტიპის ხელის მსხვრევადი ყუმბარის კორპუსი, სასკდომი მუხტით, რომელიც წარმოადგენდა ასაფეთქებელ მოწყობილობას და მიეკუთვნებოდა საბრძოლო მასალათა კატეგორიას, ასევე ქარხნული წესით დამზადებული, ელექტროდეტონატორი, რომელიც წარმოადგენს ასაფეთქებელ მოწყობილობას და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ქარხნული წესით დამზადებული, ჰექსოგენის შემცველი 1 პლასტიკური ნივთიერება, მასით 75,39 გრამი, რომელიც წარმოადგენს ფეთქებად ნივთიერებას და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

6. მსჯავრდებულ ნ. თ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკა-

ტი ი. შ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და ნ. თ-ს გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, მოუსმინა მხარეებს და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ნ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მსჯავრდებულ ნ. თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა იმაში, რომ საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს თბილისში, ... ქუჩა №...-ში მდებარე ნ. თ-ს საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოიღეს ქარხნული წესით დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება და ასაფეთქებელი მოწყობილობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

3. მსჯავრდებულ ნ. თ-ს სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომაზე არ გახადა სადავო.

4. საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან“. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულ ნ. თ-ს სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები საქმის არსებითი განხილვის დროს მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე.

5. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“; ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად: „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. მტკიცებულებითი სტან-

დარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Barberia, Messegue, Jabardo v. Spain*, პუნქტი 68). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Bulychev v. Russia*, პუნქტი 32).

7. საქმის მასალების მიხედვით, როგორც გამოძიებაში, ასევე წინასასამართლო სხდომასა და საქმის 1-ლი ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ნ. თ-მ თავი ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. გარდა მისი აღიარებითი ჩვენებისა, ნ. თ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა დადასტურებულია ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუზღიდათ და, შესაბამისად, პრეიუდიციად იქნა მიჩნეული, კერძოდ: მოწმეების – ა. კ-ს, მ. თ-ს, რ. თ-ს, ბ. გ-ს, გ. ა-ს, გ. თ-ს ჩვენებებით, 2015 წლის 7 დეკემბრის საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკის ოქმით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 8 დეკემბრის ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 8 დეკემბრის პიროტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 8 დეკემბრის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 10 დეკემბრის ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით, საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის 2015 წლის 14 დეკემბრის №..., 2015 წლის 28 დეკემბრის №..., 2015 წლის 29 დეკემბრის №... წერილებით.

8. პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქმეზე პროცესის წარმოებისას არსებითად დაირღვა ის იმპერატიული მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, კასატორი სადავოდ ხდის ნ. თ-ს პირადი ჩხრეკის ოქმის, ასევე საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკის ოქმის კანონიერებას და აღნიშნავს, რომ ვინაიდან აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერება სამართლოს არ შეუმონღებია კანონით დადგენილი წესით, აღნიშნული მტკიცებულებები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სანდო და საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაზე (საქმე №609აპ-15).

9. საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით... თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.

10. საკასაციო პალატა მიუთითებს: აღნიშნული გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები – ჩხრეკა და ამოღება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების შემდეგ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან დაკანონებას, თუნდაც ბინისა თუ სხვა კერძო მფლობელობაში მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობის შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ამ საპროცესო მოთხოვნებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 120-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილები.

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებულ საქმეში განსხვავებული იყო ფაქტობრივი გარემოებები, საქმეში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ დადგენილება და დაცვის მხარემ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკის კანონიერება სადავოდ გახადა როგორც გამოძიების, ისე წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე, მაშინ, როდესაც, როგორც აღნიშნეთ, ნ. თ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცვის

მხარემ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკის კანონიერება სადავოდ არ გახადა არც გამოძიების, არც წინასასამართლო და არც სასამართლო განხილვის ეტაპებზე. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მათ შორის ჩხრეკის ოქმსა და ოქმის მიხედვით ამოღებულ ნივთმტკიცებებს, მიენიჭათ პრეიუდიციული მნიშვნელობა და სხვა მტკიცებულებებთან ერთად გამოკვლევის გარეშე მიღებულ იქნენ მტკიცებულებებად. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ უტყუარ და პირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ მსჯავრდებულმა ნ. თ-მ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

12. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშნისას სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე და ისე განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ნ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**პირველი და სააკველაციო ინსტანციების  
სასამართლოების განაჩენების კანონიერების  
განხილვა პრეიუდიციის საფუძველზე**

**განჩინება**

№4<sup>1</sup>-17

20 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის სააკველაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენების კანონიერება პრეიუდიციის საფუძველზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 1999 წლის 14 აპრილს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის №... საქმე კ. გ-სა და სხვათა მიმართ სხვისი ქონების ფარული გატაცების ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია).

– 1999 წლის 15 აპრილს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის №... საქმე კ. გ-ს მიმართ, 1994 წლის ნოემბერში ... რაიონის სოფ. ... მცხოვრები ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1960 წლის რედაქცია).

– 1999 წლის 15 აპრილს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის №... საქმე კ. გ-ს მიმართ 1994 წლის 8 თებერვალს ... რაიონის სოფელ ... მცხოვრები ქ. რ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1960 წლის რედაქცია).

2. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს გამომძიებლის 1999 წლის 16 აპრილის დადგენილებით სისხლის სამართლის №... და №... საქმეები გაერთიანდა

ერთ საგამოძიებო წარმოებად და მიენიჭა – №..., ხოლო იმავე წლის 18 აპრილის დადგენილებით სისხლის სამართლის №... და №... საქმეები გაერთიანდა ერთ საგამოძიებო წარმოებად და მიენიჭა – №...

3. 1999 წლის 12 ივლისს კ. გ-ა ბრალდებულის სახით მიეცა პასუხისგებაში დანაშაულებისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 91-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითა და მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია).

4. 1999 წლის 12 ივლისს კ. გ-სა და სხვათა მიმართ №... სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე თ. გ-ს მიმართ, 1994 წლის ნოემბერში ... რაიონის სოფ. ... მცხოვრები ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ხოლო სისხლის სამართლის №... საქმე კ. გ-ს, ჯ. ფ-ს, მ. დ-სა და ა. ლ-ს მიმართ იმავე წლის 16 აგვისტოს საბრალდებო დასკვნით განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

5. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენით კ. ა-ს ძე გ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით; სსკ-ის 150-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციის გარეშე, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით; სსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით; სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით; საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლის (1960 წლის რედაქცია) შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და კ. გ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით, რომლის მოხდა დაეწყო 1999 წლის 15 აპ-

რილიდან.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე კ. გ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა ძალაში დარჩა.

იმავე განაჩენით მსჯავრი დაედოთ: ჯ. ფ-ს, მ. დ-სა და ა. ლ-ს.

6. 1999 წლის 10 ოქტომბერს სისხლის სამართლის №... საქმიდან გამოყოფილ საქმეზე თ. გ-ი ბრალდებულის სახით მიეცა პასუხისგებაში დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია), ... რაიონის სოფ. ... მცხოვრები ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე.

7. 1999 წლის 12 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინებით თ. გ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა 3 თვით პატიმრობა და იმავე დღეს გამოძიებლის დადგენილებით მის მიმართ გამოცხადდა ქებნა.

8. 1999 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით ბრალდებულ თ. გ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე შეჩერდა წინასწარი გამოძიება მის მოძებნამდე.

9. 2015 წლის 27 აპრილს თ. გ-ი ბრალდებულის სახით მიეცა პასუხისგებაში დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია), ... რაიონის სოფ. ... მცხოვრები ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე და იმავე წლის 28 აპრილს საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

10. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განაჩენით თ. გ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – დაუსრებლად ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში.

თ. გ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე დადებული ყადაღა გაუქმდა.

11. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ქ. ყ-მა, რომელმაც ითხოვა თ. გ-ს მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია).

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განაჩენით ზუგ-

დიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თ. ჯ-მ, რომელმაც ითხოვა თ. გ-ს მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია).

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით პროკურორ თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განაჩენის მიხედვით (რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით), სასამართლომ არ გაიზიარა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დადგენილი ფაქტი, რომ კ. გ-მ წინასწარი შეთანხმებით, თ. გ-თან ერთად გაქურდა დაზარალებულ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინა, რის გამოც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია), ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ა-მ სისხლის სამართლის საქმე თ. გ-ს მიმართ, განაჩენის კანონიერების შემოწმების მიზნით, გადმოაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმეთა მასალები და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განაჩენი თ. გ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენში კ. გ-ს მიმართ, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) მსჯავრდების ეპიზოდში (დაზარალებულ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე) უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზუგდიდის რაიონუ-

ლი სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენით კ. გ-ს მსჯავრი დაედო ქურდობაში, ე.ი. მოქალაქეთა პირადი ქონების ფარულ გატაცებაში, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ბინაში შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულ ო. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ეპიზოდი). მოცემულ ეპიზოდში სასამართლომ დადგენილად ჩათვალა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3. 1994 წლის ნოემბერში კ. გ-ა დანაშაულებრივად დაუკავშირდა თანასოფლელ თ. გ-ს, რომლის ინიციატივით შეთანხმდნენ, რომ გაექურდათ ... რაიონის სოფელ... მცხოვრები ი. კ-ს საცხოვრებელი სახლი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, ღამის საათებში, კ. გ-მ თავისი საცხოვრებელი სახლიდან წამოიღო ბრტყელტუჩა და თ. გ-თან ერთად მივიდა ი. კ-ს საცხოვრებელ ბინასთან. მათ ისარგებლეს იმით, რომ ი. კ-ა არ იმყოფებოდა სახლში, ბრტყელტუჩას გამოყენებით მოხსნეს ფანჯრიდან მინა და შეაღწიეს შიგნით, საიდანაც ფარულად დაეუფლნენ შემდეგი დასახელების მატერიალურ ფასეულობას: თურქული წარმოების 2 ელექტროლეიბს, თითოეულს ღირებულს – 35 ლარად; ფოტოაპარატ „პოლაროიდს“, ღირებულს – 30 ლარად; ჯინსის ქურთუკს, ღირებულს – 50 ლარად; ყელსახვევს, ღირებულს – 12 ლარად; 12 და 15 ლარად ღირებულ – 2 სათამაშო თოჯინას; 1 წყვილ ბროლის ყანწს, ღირებულს – 30 ლარად, სულ – 219 ლარად ღირებულ ნივთებს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 7 მარტის განაჩენით არ გაიზიარა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენით დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და თ. გ-ი უდანაშაულოდ ცნო საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში (დაზარალებულ ო. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ფაქტზე), შემდეგ გარემოებათა გამო: მხოლოდ მონმე კ. გ-ს მიერ მიცემული ჩვენება, რომ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის ქურდობა ჩაიდინეს მან და თ. გ-მ, საკმარისი არ იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარეს ამ ფაქტის დამადასტურებელი სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება არ წარუდგენია; დაზარალებულ ი. კ-ს და სხვა მონმეების ჩვენებები თავიანთი სამართლებ-

რივი ბუნებით წარმოადგენდნენ ირიბ ჩვენებებს, რომლებიც, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებებია და მათი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს; შესაბამისად, ბრალდების მხარის დასკვნა, რომ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის ქურდობა ჩაიდინა თ. გ-მ კ. გ-თან ერთად, წარმოადგენს ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად წარმოქმნილ ვარაუდს, რაც საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. გ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ უტყუარ და ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები კი არ იყო საკმარისი მისი დამნაშავედ ცნობისათვის, რის გამოც თ. გ-ი უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში.

5. საკასაციო პალატამ შეაფასა ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო განაჩენებში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ერთ შემთხვევაში საფუძვლად დაედო კ. გ-ს მსჯავრდებას, ხოლო მეორე შემთხვევაში თ. გ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 7 მარტის განაჩენში სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა თ. გ-ს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დასაბუთებულად უარყო კ. გ-ს მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ თ. გ-მ კ. გ-თან ერთად გაქურდა დაზარალებულ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინა, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. კ. გ-ს მსჯავრდების საქმეშიც წარმოდგენილია ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, კერძოდ, თავად მსჯავრდებულ კ. გ-ს აღიარებითი ჩვენება, რომ მან ი. კ-ს საცხოვრებელი ბინა გაქურდა თ. გ-თან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ხოლო სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ კ. გ-მ და თ. გ-მ ჩაიდინეს მითითებული დანაშაული, საქმის მასალებში არ მოიპოვება. სასამართლო სხდომაზე გამოკვლევებულ დაზარალებულ ი. კ-სა და მოწმე რ. გ-ს ჩვენებებით დადგენილია შემდეგი: ი. კ-მ მისი ბინიდან მოპარული ელექტროლეიბი 1995 წლის თებერვალში შემთხვევით აღმოაჩინა რ. გ-ს საცხოვრებელ სახლში სტუმრად ყოფნის დროს, რის შესახებაც რ. გ-მ განუმარტა, რომ ეს ლეიბი მას აჩუქა თ. გ-მ და შესთავაზა მისი დაბრუნება, თუმცა ი-მ უარი თქვა. მოგვიანებით დაზარა-

ლებული პირადად შეხვდა ჯერ თ. გ-ს, ხოლო შემდეგ – კ. გ-ს, რადროსაც მათ აღიარეს ჩადენილი დანაშაული. რამდენიმე ხანში თ. გ-მ ი. კ-ს დაუბრუნა მოპარული ნივთების ნაწილი, ხოლო კ. გ-ს მეუღლემ მისცა 30 ლარი. ზემოაღნიშნული ჩვენებებით დადგენილია, რომ არც ერთი მათგანი არ არის დანაშაულის თვითმხილველი და მათი ჩვენებები შინაარსით წარმოადგენს ირიბ ჩვენებებს, რის გამოც ისინი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებებად და საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) თანახმად, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ ბრალის აღიარება დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. იმავე კოდექსის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, ხოლო 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

9. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განაჩენი (რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით) გამართლებულ თ. გ-ს მიმართ უნდა დარჩეს ძალაში, ხოლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ კ. გ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნა-

წილებით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის (დაზარალებულ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ეპიზოდი), ხოლო მისთვის საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია), სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (1960 წლის რედაქცია) და სსკ-ის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელები და ასევე საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლის (1960 წლის რედაქცია) საფუძველზე განსაზღვრული საბოლოო სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 561-ე მუხლით (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის გამამართლებელი განაჩენი თ. გ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენი კ. გ-ს მიმართ შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

3. კ. გ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) შერაცხული მსჯავრდებისათვის (დაზარალებულ ი. კ-ს საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ეპიზოდი).

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. კ. გ-ს განემარტოს, რომ საქართველოს სსსკ-ის 219-ე-228-ე მუხლების თანახმად, უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**პირველი და სააპელაციო ინსტანციების  
სასამართლოების განაჩენების კანონიერების  
განხილვა პრეიუდიციის საფუძველზე**

**განჩინება**

№5<sup>1</sup>-17

2 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისისა და ჩხორონწყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენების კანონიერება პრეიუდიციის საფუძველზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 1995 წლის 2 თებერვალს, ჩხორონწყუს რაიონულ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის №... საქმე შ. პ-ს განზრახ მკვლელობის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის კოდექსი).

2. 1995 წლის 20 მარტს დააკავეს შ. პ-ს მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი – ტ. კ-ა, რომელსაც იმავე წლის 23 მარტს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

3. 1995 წლის 3 აპრილს და იმავე წლის 11 მაისს, სისხლის სამართლის №... საქმესთან ერთ ნარმოებად გაერთიანდა ტ. კ-ს მიმართ აღძრული სისხლის სამართლის: №..., №..., №..., №... საქმეები.

4. 1996 წლის 15 მარტს, სისხლის სამართლის საქმე ტ. კ-ს მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი, მე-4 და მე-5 პუნქტებით, 104-ე მუხლის 1-ლი, მე-6 და მე-7 პუნქტებით, 17 და 104-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6, მე-7 პუნქტებითა და 240-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 20 აპრილის განჩინებით შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და

მისი მკვლევლობის ფაქტზე ტ. კ-თვის წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში სისხლის სამართლის საქმე დაბრუნდა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, ხოლო იმავე სასამართლოს 1996 წლის 20 აპრილის განაჩენით ტ. კ-ა ბრალდების დანარჩენ ეპიზოდებში ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. 1996 წლის 15 ოქტომბერს, ვინაიდან დამატებითი გამოძიებით ვერ დადგინდა ტ. კ-ს ბრალულობა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმასა და მისი მკვლევლობის ფაქტთან დაკავშირებით, ჩხორონწყუს რაიონული პროკურორის თანაშემწის დადგენილებით შეჩერდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

7. 1999 წლის 29 ნოემბერს, მსჯავრდებულ ტ. კ-ს განცხადების საფუძველზე მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება, ხოლო 2000 წლის 4 აპრილს, ტ. კ-ა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე მიეცა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) და იმავე დღეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

8. 2000 წლის 2 მაისს, ტ. კ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის №... საქმე – კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს მიმართ, ხოლო სისხლის სამართლის №... საქმე – ბ. კ-ს მიმართ.

9. 2000 წლის 2 მაისს კ. ს-ა, გ. კ-ა და ლ. რ-ა მიეცნენ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, იმავე დღეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა და გამოცხადდა მათი ძებნა.

10. 2000 წლის 17 მაისს სისხლის სამართლის საქმე ტ. კ-ს მიმართ საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა ჩხორონწყუს რაიონულ სასამართლოში.

11. ჩხორონწყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენით ტ. კ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, გადასახლების გარეშე.

მოცემული განაჩენით მას სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან – 1995 წლის 20 მარტიდან.

საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლის (1960 წლის კოდექსი) შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 20 აპრილის განაჩენით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 15 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქა ამ განაჩენით

დანიშნული სასჯელი – 11 წელი და მას საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ტ. კ-ს ორივე განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოხდა დაენყო დაკავების დღიდან – 1995 წლის 20 მარტიდან. საბოლოოდ მას მოსახდელად დარჩა 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

12. ტ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

1995 წლის 31 იანვარს ტ. კ-ა სტუმრად იმყოფებოდა ....., თავისი დის – ს. კ-ს სახლში, სადაც შეხვდა დისშვილს – გ. კ-ს, რომელმაც განუცხადა, რომ განზრახული ჰქონდა სოფ. .... მცხოვრებ შ. პ-ს ოჯახზე თავდასხმა, რადგანაც იცოდა, რომ ამ ოჯახში ოქროს სამკაულები ინახებოდა. მან ასევე შესთავაზა თავდასხმაში მონაწილეობა, რაზეც ტ. კ-მ უარი უთხრა და ურჩია, რომ ხელი აედო განზრახვაზე. კ. კ-მ არ დაუჯერა და დაუკავშირდა მეგობრებს – კ. ს-სა და ლ. რ-ს. კ. ს-ა და ლ. რ-ა შეიარაღდნენ „აკ-74“ მოდიფიკაციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით და „ნაგანის“ ტიპის პისტოლეტით. 1995 წლის 1 თებერვალს ტ. კ-ა ავტობუსით მიემგზავრებოდა სახლში, რა დროსაც ამავე ავტობუსში ამოვიდნენ გ. კ-ა, კ. ს-ა და ტ. რ-ა. გ. კ-მ განუცხადა ტ. კ-ს, რომ ამ პირებთან ერთად აპირებდა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმას და კვლავ შესთავაზა თანამონაწილეობა, მაგრამ ტ-მ ამჯერადაც უარი უთხრა. სოფ. .... ცენტრში ტ. კ-ა ავტობუსიდან ჩავიდა. ჩამოვიდნენ ასევე გ. კ-ა, კ. ს-ა და ლ. რ-ც. დაახლოებით 19 საათზე მდ. .... ტ. კ-ა შემთხვევით შეხვდა გ. კ-ს, რომელმაც მოსთხოვა ერჩენებინა..... მხრიდან შ. პ-ს სახლამდე მიმავალი ბილიკი და დახმარებოდა მათ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანაში. ტ. კ-მ ხათრი ველარ გაუტეხა თავის დისშვილს და აღუთქვა დახმარება. ტ. კ-მ იცოდა გ. კ-ს დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ, შეგნებული ჰქონდა და ითვალისწინებდა თავისი ქცევის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, სურდა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა და სასურველი შედეგის დადგომა. მან გ. კ-ა, კ. ს-ა და ლ. რ-ა დაახლოებით 19:40 საათზე ბილიკით მიიყვანა შ. პ-ს საცხოვრებელი სახლის ეზომდე მდ. .... მხრიდან და აჩვენა, თუ როგორ უნდა შესულიყვნენ შ. პ-ს ეზოსა და შემდეგ – სახლში. ვინაიდან ტ. კ-სა და გ. კ-ს მ. პ-ს ოჯახის წევრები კარგად იცნობდნენ, ამიტომ ისინი გარეთ დარჩნენ, ხოლო ავტომატური იარაღმომარჯვებული კ. ს-ა და რევოლვერმომარჯვებული ლ. რ-ა შევიდნენ დაზარალებულ შ. პ-ს სახლში. მათ

აიფარეს ნიღბები. იარაღის გამოყენებით კ. ს-მ და ლ. რ-მ დაიმორჩილეს ოჯახის წევრები, რის შემდეგაც მოითხოვეს ფული და ძვირფასეულობა, რაზეც დაზარალებულებმა უარი განუცხადეს და უთხრეს, რომ არ ჰქონდათ ფული და ოქროულობა. თავდამსხმელები დაზარალებულებს ემუქრებოდნენ მოკვლით, ფიზიკური ძალადობით, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. შ. პ-მ სცადა წინააღმდეგობა გაენია ბოროტმოქმედებისათვის და ავტომატური იარაღის ლულას ხელით სწვდა, რადროსაც კ. ს-მ გაისროლა, რის შემდეგაც შ. პ-ა სასიკვდილოდ დაიჭრა და შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ვ. პ-მ კი მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. კ. ს-მ სულ გაისროლა ოთხი ტყვია, ორი მოხვდა შ. პ-ს, ერთი – ვ. პ-ს, ხოლო მეოთხემ ჰაერში გაიარა, თუმცა იყო იმის რეალური შესაძლებლობა, რომ იგი მოხვედროდა ლ. ჯ-ს და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალური საშიშროება შეექმნოდა. როგორც კი ბოროტმოქმედებმა დაინახეს, რომ მათ მიერ ნასროლი ტყვია დაზარალებულთა ოჯახის წევრებს მოხვდა, სასწრაფოდ გამოვიდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაზარალებულ შ. პ-ს სახლიდან წასვლის შემდეგ ისინი ფეხით მივიდნენ ..... რაიონის სოფელ ..... მდებარე ტ. კ-ს სახლში. მეორე დღით გ. კ-ა, ჯ. ს-ა და ლ. რ-ა წავიდნენ ....., ხოლო ცეცხლსასროლი იარაღები ტ. კ-მ თავის სახლში შეინახა, რამდენიმე დღის შემდეგ კი მიუტანა გ. კ-ს და მას ჩააბარა. დაზარალებულ შ. პ-ს სახლიდან ბოროტმოქმედებმა ფულის ან სხვა სახის ძვირფასეულობის გატაცება ვერ მოახერხეს.

13. 2015 წლის 28 აპრილს სისხლის სამართლის საქმე კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს მიმართ საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

14. საბრალდებო დასკვნის მიხედვით კ. ს-ს ბრალი დაედო:

– ყაჩაღობისათვის, ესე იგი თავდასხმისათვის სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა პირთა ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით, ბინაში შეღწევით;

– განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, ან ისეთი საშუალებით რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის და სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით;

– განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, ანგარებით, ორი ან რამდენიმე პირის, ჩადენი-

ლი განსაკუთრებული სისასტიკით, ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის და სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით.

ლ. რ-სა და გ. კ-ს – ყაჩაღობისათვის, ესე იგი თავდასხმისათვის სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, პირთა ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით, ბინაში შეღწევით.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

- 1993 წლის ოქტომბრიდან გ. კ-ა ოჯახის წევრებთან ერთად დროებით საცხოვრებლად გადავიდა ..., ... ქუჩის №...-ში. ვინაიდან მას ეკონომიურად უჭირდა, განიზრახა, პირადი ქონების დაუფლების მიზნით, თავს დასხმოდა ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ შ. პ-ს ოჯახს. მისთვის ცნობილი იყო, რომ შ. პ-ს რძალს – მ. წ-ს გააჩნდა სხვადასხვა სახის ოქროს სამკაულები და სწორედ მათი გატაცების მიზნით განიზრახა მათ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, იგი დაუკავშირდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ და ... დროებით მცხოვრებ პირებს – კ. ს-ს და ლ. რ-ს, რომლებთანაც მას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

- 1995 წლის 31 იანვარს გ. კ-თან სტუმრად მივიდა მისი ბიძა ტ. კ-ა, რომელსაც მან ასევე შესთავაზა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა, რაზეც ტ. კ-მ კატეგორიული უარი განაცხადა, ამასთან, გააფრთხილა, რომ ხელი აელო დანაშაულებრივ განზრახვაზე, ვინაიდან შ. პ-ს იგი იცნობდა, როგორც ღარიბი ოჯახის პატრონს. მიუხედავად გაფრთხილებისა, გ. კ-ს დანაშაულებრივ განზრახვაზე ხელი არ აუღია, პირიქით, იგი იმავე ღამეს დაუკავშირდა კ. ს-სა და ლ. რ-ს და შესთავაზა ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ შ. პ-ს ოჯახს. გ. კ-ს თქმით, ამ უკანასკნელის ოჯახში ინახებოდა რძლის – მ. წ-ს კუთვნილი ოქროს სამკაულები. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კ. ს-ა შეიარაღდა „აკ-74“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო ვაზნებით, ხოლო ლ. რ-ა – „ნაგანის“ ტიპის პისტოლეტითა და საბრძოლო ვაზნებით, რომლებიც მათ გამოძიებით დაუდგინელ დროს სათანადო ნებართვის გარეშე უკანონოდ ჰქონდათ შეძენილი, ატარებდნენ და ინახავდნენ სახლში. ისინი შეთანხმდნენ, რომ შ. პ-ს ოჯახს თავს დასხმოდნენ 1995 წლის 1 თებერვალს, ღამის საათებში. გ. კ-მ დახმარება სთხოვა ბიძას – ტ. კ-ს, რომელიც

მასთან სტუმრად იყო მისული, მაგრამ მან უარი უთხრა.

• 1995 წლის 1 თებერვალს კ. ს-ა, გ. კ-ა და ლ. რ-ა ჩასხდნენ ... ავტობუსში და ჩავიდნენ ... რაიონის სოფელ ... კ. ს-ს და ლ. რ-ს ხელჩანთით თან ჰქონდათ ზემოაღნიშნული იარაღები და საბრძოლო მასალა. ავტობუსში მათ დაემგზავრათ ტ. კ-ც, მაგრამ ამჟამადაც უარი უთხრა ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობაზე და დასცილდა მათ სოფელ ... ადმინისტრაციულ ცენტრთან, ხოლო კ. ს-ა, გ. კ-ა და ლ. რ-ა ფეხით გაემართნენ შ. პ-ს საცხოვრებელი სახლისაკენ. გ. კ-ს, რომელიც ბავშვობაში ნამყოფი იყო შ. პ-ს ოჯახში, აებნა გზა. გზის გაკვლევის მიზნით, გ. კ-ა გამობრუნდა ტ. კ-ს საძებნელად, რათა ეთხოვა მისთვის მეგზურობის განევა. იგი შეხვდა ტ. კ-ს რკინის ხიდთან, რომელიც აკავშირებს სოფელ ... ადმინისტრაციულ ცენტრს ... უბანთან და სთხოვა მხოლოდ ეჩვენებინა გზა შ. პ-ს სახლამდე. ტ. კ-მ იცოდა მათი განზრახვა, მაგრამ დახმარებაზე უარი არ უთქვამს, იმ პირობით, რომ თვითონ თავდასხმაში მონაწილეობას არ მიიღებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი მიუახლოვდნენ შ. პ-ს სახლს, იგი უკან არ გამობრუნებულა და გ. კ-თან ერთად ადგილზე დარჩა მეთვალყურედ, ხოლო კ. ს-ა და ლ. რ-ა ცეცხლსასროლი იარაღებით შევიდნენ შ. პ-ს საცხოვრებელი სახლის პირველი სართლის მისაღებ ოთახში. კ. ს-ს ეჭირა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით, ხოლო ლ. რ-ს – „ნაგანის“ ტიპის პისტოლეტი საბრძოლო ვაზნებით. ისინი უცენზურო სიტყვებითა და მოკვლის მუქარით შეიჭრნენ შ. პ-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც იმყოფებოდნენ თვითონ შ. პ-ა, მისი ვაჟიშვილი – ვ. პ-ა, რძალი – მ. ნ-ა, ოთხი წლის შვილიშვილი – ა. ა-ა და მეზობელი – ლ. ჯ-ა. მ. ნ-ს ორი ჩვილი ბავშვი აკვანში იწვა. რადგანაც ელექტროდენი არ იყო, ოთახი განათებული იყო ნავთქურით. კ. ს-მ და ლ. რ-მ მოკვლის მუქარით ოჯახის წევრები იატაკზე დაანგინეს და მოსთხოვეს ფული და ოქროს სამკაულები. შ. პ-ა და მ. ნ-ა არ დაემორჩილნენ მათ მოთხოვნას და იატაკზე არ დაწვნენ, პირიქით, შ. პ-ა წინააღმდეგობას უწევდა და არწმუნებდა თავდამსხმელებს, რომ მათთვის სასურველი ფულადი თანხა და ოქროს სამკაულები არ გააჩნდა. კ. ს-ს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჩახმახშემართული ეკავა და მიშვერილი ჰქონდა ოჯახის წევრებისაკენ, ლ. რ-ს კი „ნაგანის“ პისტოლეტი სახეზე მიდებული ჰქონდა მ. ნ-თვის. როდესაც შ. პ-ა არ დაემორჩილა მათ მოთხოვნას, ლ. რ-მ წაავლო ხელი მას და მძლავრად დასცა იატაკზე. ამ დროს ლ. რ-ს სახეზე ნიღბად აფარებული კაშნი მოსძვრა. ნაქცევის მომენტში შ. პ-ა თავის შესაკავებლად წაეპოტინა კ. ს-ს ავტომატური იარაღის ლულას. იმის

შიშით, რომ არ წაერთმია იარაღი, ასევე გაბრაზებულმა იმაზე, რომ ოჯახის წევრებიდან მხოლოდ შ. პ-ა უწევდა წინააღმდეგობას, მისი წინააღმდეგობის დაძლევის მოტივითა და სასურველი ქონების გატაცების მიზნით, კ. ს-მ პირდაპირი განზრახვით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ადგილებში დამიზნებით, განსაკუთრებული სისასტიკით, ოჯახის წევრების თვალწინ, მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებებით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან 4 ტყვია ესროლა ჯერით – ერთმანეთის გვერდიგვერდ მყოფ შ. პ-ს, ვ. პ-სა და ლ. ჯ-ს მათი განზრახ მოკვლის მიზნით. გასროლილი ტყვიებიდან ორი მოხვდა შ. პ-ს გულმკერდში და მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. ერთი ტყვია ვ. პ-ს მოხვდა მარჯვენა ბარძაყში და მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. მეოთხე ტყვია შემთხვევით ჰაერში გაისროლა, თუმცა იყო რეალური შესაძლებლობა, რომ იგი მოხვედროდა ვ. პ-ს გვერდით დანოლილ ლ. ჯ-ს და ამით მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასაც რეალური საფრთხე შეჰქმნოდა. რაც შეეხება იმას, რომ ვ. პ-ს და ლ. ჯ-ს მკვლელობის განზრახვა მან სისრულეში ვერ მოიყვანა, ეს განაპირობა მისგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა, კერძოდ: ავტომატური იარაღიდან გასროლისთანავე ჩაქრა ნავთქურა და სიბნელეში მისთვის შეუძლებელი გახდა, გაეკონტროლებინა ტყვიის მოძრაობის მიმართულება. ამავე დროს შესაძლებელი იყო, ტყვია მოხვედროდა მის გვერდით, წინა მხარეს მყოფ ლ. რ-საც, რისი სურვილიც მას არ გააჩნდა, თანაც გასროლის შემდეგ შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ოჯახის სამივე წევრი მოკლული იყო, რადგანაც გასროლის შემდეგ მათ ხმა არ ამოუღიათ, არ შეპასუხებიან და არ გადაადგილებულან. მკვლელობის შემდეგ კ. ს. ლ. რ-თან, გ. კ-სა და ტ. კ-თან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იმ ღამეს ისინი ტ. კ-ს სახლში დარჩნენ, ... რაიონის სოფელ ..., იქვე შეინახეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და „ნაგანის“ პისტოლეტი საბრძოლო ვაზნებით, რათა ... გამგზავრების დროს კ. ს-ს, ლ. რ-სა და კ-ს საფრთხე არ შექმნოდათ. აღნიშნული იარაღები ტ. კ-მ მკვლელობიდან დაახლოებით 10 დღის შემდეგ ... მიუტანა გ. კ-ს, რომელმაც ისინი გამოართვა და შეინახა თავის სახლში.

15. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენით კ. ს-ა, – დაბადებული 19.. ნელს; ლ. რ-ა, – დაბადებული 19.. ნელს და გ. კ-ა, – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ (დაუსწრებლად) და გამართლდნენ, შესაბამისად: კ. ს-ა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნ-

ქტებით, 104-ე მუხლის 1-ლი, მე-6 და მე-7 პუნქტებით, 17-104-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) წარდგენილ ბრალდებებში; ლ. რ-ა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) წარდგენილ ბრალდებაში; გ. კ-ა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) წარდგენილ ბრალდებაში.

16. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ლიკა ბულიამ.

17. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განჩინებით სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ ლიკა ბულიას საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

19. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენის მიხედვით (რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განჩინებით), სასამართლომ არ გაიზიარა ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენით დადგენილი ფაქტი, რომ ტ. კ-მ, გ. კ-მ, ლ. რ-მ და კ. ს-მ წინასწარი შეთანხმებით ჩაიდინეს შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა, რის გამოც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი), ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ნატრული აკობიამ სისხლის სამართლის საქმე გამართლებულების – კ. ს-ს, ლ. რ-სა და გ. კ-ს მიმართ, განაჩენის კანონიერების შემოწმების მიზნით, გადმოაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმეთა მასალები და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასა-



მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენი გამართლებულების – კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ტ. კ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 1 ივნისის განაჩენით არ გაიზიარა ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენით დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს უდანაშაულოდ ცნო შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და მისი მკვლელობის ფაქტზე: კ. ს-ს – საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეექვსე პუნქტებით, 104-ე მუხლის პირველი, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით, 17,104 მუხლის პირველი, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში; ლ. რ-ს – საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეექვსე პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; გ. კ-ს – საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეექვსე პუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, შემდეგი საფუძვლებით:

3. დაზარალებულები – ვ. პ-ს, პ. პ-ს, ლ. ჯ-ს თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ 1995 წლის 1 თებერვალს შ. პ-ს ოჯახზე მოხდა ყაჩაღური თავდასხმა, რომ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც გარდაიცვალა შ. პ-ს. მათ არ იციან თავდამსხმელთა ვინაობა და მხოლოდ ტ. კ-ს დაკავების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ იგი დააკავეს ყაჩაღობის რამდენიმე ფაქტისა და მათ შორის – შ. პ-ს ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღობისათვის.

4. შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა 1995 წლის 1 თებერვალს. ტ. კ-ს ეჭვმიტანილის სახით დაიკითხა 1995 წლის 20 მარტს. თავდაპირველ ჩვენებაში მან აღიარა, რომ მონაწილეობდა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში და თანამონაწილედ დაასახელა ვინმე ბ. კ-ს. მითითებულ ჩვენებაში აღწერილი გარემოებები მან ასევე დაადასტურა ბრალდებულის სახით დაკითხვისას – 1995 წლის 28 მარტსა და იმავე წლის 10 მაისს, ხოლო 1995 წლის 19 აგვისტოს ბრალდებულის სახით დამატებითი დაკითხვისას შეცვალა ჩვენება და თანამონაწილეებად დაასახელა – დ. ჯ-სა და „ვინმე ლ.“.

5. საქართველოს უზენაეს სასამართლოში ტ. კ-ს ბრალდე-

ბის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მან შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში თავი არ ცნო დამნაშავედ და აჩვენა, რომ იმ დღეებში საერთოდ არ უნახავს ბ. კ-ა. უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 20 აპრილის განჩინებით ტ. კ-ს მიმართ შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ნაწილში (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეხუთე პუნქტებით, 104-ე მუხლის პირველი, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით, 17,104-ე მუხლის პირველი, მეოთხე და მეხუთე პუნქტებით) საქმე დაუბრუნდა საქართველოს პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის.

6. ბრალდებულმა ტ. კ-მ 1996 წლის 13 სექტემბერს, დამატებით გამოძიებაში დაკითხვისას, კვლავ უარყო შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა, როგორც ბ. კ-თან, ასევე – დ. ჯ-სა და „ვინმე ლ-თან“ ერთად.

7. 1996 წლის 15 ოქტომბერს ბრალდების ამ ნაწილში სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეჩერდა. 1999 წლის 10 ივლისს ტ. კ-მ საქართველოს შსს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს მიმართა განცხადებით, რომელშიც მიუთითა, რომ შ. პ-ს ოჯახს ყაჩაღურად თავს დაესხა თავისი დისშვილი – გ. კ-ა, რომელთან ერთად იმყოფებოდნენ – კ. ს-ა და ლ. რ-ა. სწორედ ამ დროს კ. ს-მ მოკლა შ. პ-ა.

8. 1999 წლის 29 ნოემბერს განახლდა საქმის წარმოება და მონმის სახით დაიკითხა ტ. კ-ა. მან დაადასტურა შ. პ-ზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა გ. კ-თან, კ. ს-სა და ლ. რ-თან ერთად და განმარტა, რომ თვითონ და გ. დარჩნენ გარეთ, კ. ს-ა და ლ. რ-ა კი შევიდნენ ბინაში.

9. კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს ბრალდების საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში ტ. კ-ა მონმის სახით ვერ დაიკითხა, რადგან საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ იგი გარდაცვლილია. ტ. კ-მ მისი მსჯავრდების საქმეში ექვმიტანილის სახით დაკითხვის მომენტიდან არაერთხელ შეცვალა ჩვენებები, რომლებშიც თავდაპირველად თანამონაწილედ ასახელებდა ბ. კ-ს, შემდეგ – დ. ჯ-სა და „ვინმე ლ-ს“, ხოლო ბოლოს დაასახელა – კ. ს-ა, გ. კ-ა და ლ. რ-ა.

10. ამდენად, როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა, ვინაიდან არსებობდა ტ. კ-ს ურთიერთგამომრიცხავი არაერთი ჩვენება, უარყვეს ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის (1998

ნლის 20 თებერვლის კოდექსი) შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა, სხვა შემაჯამებელმა გადანყვეტილებამ ან დადგენილებამ, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლის შინაგან რწმენას.

11. სასამართლოთა მოსაზრებით, საქმეში არ მოიპოვება არანაირი პირდაპირი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა ჩაიდინეს კ. ს-მ, ლ. რ-მ და გ. კ-მ. მხოლოდ ირიბი მონმის – ნ. კ-ს ჩვენება, რომლითაც დადგენილია, რომ მისმა ძმამ – ტ. კ-მ უამბო მომხდარი ყაჩაღობის დეტალები, საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.

12. საკასაციო პალატამ შეაფასა ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო განაჩენებში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ერთ შემთხვევაში საფუძვლად დაედო ტ. კ-ს მსჯავრდებას, ხოლო მეორე შემთხვევაში – კ. ს-ა, გ. კ-ა და ლ. რ-ა ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ წარდგენილ ბრალდებებში და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 1 ივნისის განაჩენში სამართლებრივად წნორად შეაფასა კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და დასაბუთებულად უარყო ტ. კ-ს მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ მათ კ. კ-თან ერთად ჩაიდინეს შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. ტ. კ-ს მსჯავრდების საქმეში წარმოდგენილია ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, კერძოდ, თავად მსჯავრდებულ ტ. კ-ს აღიარებითი ჩვენება, რომ იგი კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-თან ერთად მონაწილეობდა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში და კ. ს-მ წინააღმდეგობის განევის დროს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა შ. პ-ს. ამასთან, საკასაციო პალატა მოცემულ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტ. კ-ს მიერ მიცემული ჩვენებების სანდოობასა და უტყუარობაზე. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტ. კ-მ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკითხვისას, ასევე საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და ჩხორონწყუს რაიონულ სასამართლოებში საქმის არსებითი განხილვისას არაერთხელ და არსებითად შეცვალა ჩვენებები, კერძოდ:

14. თავდაპირველად ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკითხვისას ტ. კ-მ აღიარა ჩადენილი დანაშაული და გა-

ნაცხადა, რომ შ. პ-ა წინააღმდეგობის განწევისას მოკლა თვითონ, ხოლო თანამონაწილედ დაასახელა ბ. კ-ა.

15. მოგვიანებით, ასევე ბრალდებულის სახით დამატებითი დაკითხვისას, შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ დ. ჯ-სა და „ვინმე ლ-თან“ ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა შ. პ-ს ოჯახს, თუმცა თვითონ შ. პ-ს სახლში არ შესულა და გარეთ, ეზოში ელოდებოდა მათ. შემდეგ გაიგო სროლის ხმა და როგორც მოგვიანებით დ-მ განუმარტა, ოჯახის უფროსმა წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც მას გაუვარდა ტყვია და დაჭრა შ. პ-ა.

16. მოგვიანებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას, შ. პ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ და საერთოდ უარყო ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობის ფაქტი, როგორც ბ. კ-თან, ასევე დ. ჯ-სა და „ვინმე ლ-თან“ ერთად, რის გამოც უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 20 აპრილის განჩინებით ტ. კ-ს მიმართ შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ნაწილში, საქმე დაბრუნდა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად და იმავე წლის 15 ოქტომბერს პროკურორმა საქმეზე შეაჩერა წარმოება იმ საფუძვლით, რომ შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში არ დადგინდა ტ. კ-ს ბრალეულობა.

17. ტ. კ-მ მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტიდან 4 წელზე მეტი ხნის შემდეგ, კერძოდ, 1999 წლის 10 ივლისს, სასჯელაღსრულების დანესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში, განცხადებით მიმართა შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამსახურის უფროსს (განცხადებაში მოყვანილი ფაქტები მან მოგვიანებით დაადასტურა გამოძიებაში მოწმისა და ბრალდებულის სახით, ასევე ჩხორონწყუს რაიონულ სასამართლოში დაკითხვის დროს) და კვლავ აღიარა შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღობაში მონაწილეობის ფაქტი, ამჯერად უკვე – კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-თან ერთად. აქვე მიუთითა, რომ შ. პ-ა მოკლა კ. ს-მ. აღნიშნული განცხადება საფუძვლად დაედო გამოძიების განახლებას, ხოლო მოგვიანებით მის მიერ განცხადებაში მითითებული ფაქტების ირგვლივ მიცემული აღიარებითი ჩვენება – ჩხორონწყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის გამამტყუნებელ განაჩენს.

18. ამდენად, ტ. კ-ს მიერ მიცემული არაერთი ურთიერთსა-წინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას და არ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, რის გამოც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, ხოლო სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ტ. კ-მ, კ. ს-მ, გ. კ-მ და ლ. რ-მ ჩაიდინეს მითითებული დანაშაული, საქ-

მის მასალებში არ მოიპოვება.

19. რაც შეეხება ყაჩაღობის თვითმხილველი მოწმეების, კერძოდ, დაზარალებულების – ვ. პ-სა და ლ. ჯ-ს, ასევე მოწმე მ. ნ-ს ჩვენებებს, დადგენილია, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ იცნო თავდამსხმელები, ვინაიდან მათ ეხურათ ქუდები და სახეზე აფარებული ჰქონდათ „კაშნეები“. მოწმე ნ. კ-ს ჩვენებით კი დადგენილია, რომ მან ტ. კ-გან გადმოცემით იცის შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დეტალები, რის გამოც ის წარმოადგენს ირიბ ჩვენებას, ისევე როგორც დაზარალებულ პ. პ-ს ჩვენება, რომელიც არ შესწრება ყაჩაღობას.

20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების (1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი) თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. იმავე კოდექსის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი) მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის პირველი ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი) შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, ხოლო 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის (1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი) თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

21. ამდენად, საკასაციო პალატის აზრით, ტ. კ-ს მსჯავრდების საქმეზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი უტყუარი, პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც პალატას საშუალებას მისცემდა, დაედგინა ტ. კ-ს, კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს მიერ წინასწარი შეთანხმებით, შ. პ-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და მისი მკვლელობის ჩადენის ფაქტი.

22. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენი (რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განჩინებით) გამართლებულების – კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს მიმართ უნდა დარჩეს ძალაში, ხოლო ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ტ. კ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქარ-

თველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 561-ე მუხლით (1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი) და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის გამამართლებელი განაჩენი კ. ს-ს, გ. კ-სა და ლ. რ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

2. ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენი ტ. კ-ს მიმართ გაუქმდეს.

3. ტ. კ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-6 პუნქტებით (1960 წლის კოდექსი) შერაცხული მსჯავრდებისათვის.

4. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ტ. კ-ა გარდაცვლილია.

5. ტ. კ-ს მემკვიდრეებს განემარტოთ, რომ საქართველოს სსსკ-ის 219-ე-228-ე მუხლების თანახმად, უფლება აქვთ, მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. საკასაციო განაჩენი

### გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

#### განაჩენი

№438აპ-16

31 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა პროკურორ ი. მ-სა და მსჯავრდებულ ი. დ-ის ინ-  
ტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ბ-ის საკასაციო საჩივრე-  
ბი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებების თანახმად, გ. მ-ს, –  
დაბადებულს ...-ს, ნასამართლობის არმქონეს, – და ი. დ-ს, –  
დაბადებულს ...-ს, ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი დაე-  
დოთ იმაში, რომ ჩაიდინეს სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებ-  
ლობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2013 წლის 4 სექტემბერს, 13:00 საათზე, ქ. -ის სამშობია-  
რო სახლში – შპს „...“ მეან-გინეკოლოგებმა – გ. მ-მა და ი. დ-მა  
დაიწყეს პაციენტი ც. თ-ის საკეისრო კვეთა. საკეისრო კვეთისას  
მათ ც. თ-ეს დაუზიანეს თედოს მარცხენა გარეთა ვენა, რა დრო-  
საც, 13:40 საათზე, დაიწყო ინტენსიური სისხლდენა. გ. მ. და ი.  
დ. ვალდებულნი იყვნენ, დროულად ამოეცნოთ დაზიანებული  
სისხლძარღვი და დროულად მოეხდინათ მისი კომპრესია, რის  
შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა გამოეძახებინათ სისხლძარ-  
ღვთა ქირურგი, რომელიც აღადგენდა დაზიანებულ სის-  
ხლძარღვს. მათ არ შეასრულეს აღნიშნული მოთხოვნა და დრო-  
ულად არ გამოიძახეს სისხლძარღვთა ქირურგი. მხოლოდ შემ-  
თხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, დაახლოებით 18:00 სა-  
ათზე, გამოიძახეს იგი, რაც აღმოჩნდა დაგვიანებული და მიუ-  
ხედავად კატასტროფის ბრიგადის მიერ აღმოჩენილი და აღდგე-  
ნილი სისხლძარღვისა, პაციენტი ც. თ-ეს განუვითარდა მწვავე  
სისხლნაკლებობა, რამაც 2013 წლის 5 სექტემბერს, 01:10 საათ-

ზე, გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა.

3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აგვისტოს განაჩენით ი. დ. და გ. მ. ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენით სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აგვისტოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ი. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სხვა ნაწილში სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – პროკურორი ი. მ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენის გაუქმებას გ. მ-ის გამართლების ნაწილში და მის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლო, მართალია, მსჯელობს გ. მ-ის უდანაშაულობაზე, მაგრამ აღნიშნული მსჯელობა არ არის მყარი და არ ეყრდნობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლო ყურადღებას არ ამახვილებს ბრალის ფორმულირებასა და იმაზე, რომ გ. მ-ის დანაშაული გამოვლინდა თვითიმედოვნებით განხორციელებულ რამდენიმე ქმედებაში. გ. მ-ს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სამშობიარო სახლში იყო რემონტი, არ ჰქონდათ სათანადო საოპერაციო იარაღები, პაციენტისთვის არ ჰქონდათ ჩატარებული შესაბამისი სამედიცინო კვლევები მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რასაც მოჰყვა კიდევ პაციენტის გარდაცვალება; შესაბამისად, მას შეცნობილი ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ვინაიდან ეს იყო მესამე საკეისრო კვეთა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას სათანადო პირობების, კვლევებისა და საოპერაციო იარაღების არარსებობის გამო, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა; მტკიცებულებების შესაბამისად, ვენა რომ ი. დ-სა და გ. მ-ის მიერ ოპერაციის კეთების დროს დაზიანდა, დგინდება იმითაც, თუ რა სურათი დახვდათ კატასტროფის ბრიგადის ექიმებს, როდესაც საოპერაციო ბლოკში შევიდნენ ც. თ-ის საკეისრო კვეთის ოპერაციაზე. კატასტროფის ბრიგადის ექიმების ჩვენებებით ნათელი ხდება, ვინ და რა დროს აღმოაჩინა დაზიანებული სისხლძარღვი; ექსპერტიზის დას-



კვნითა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ნათელი და ცხადია, რომ გ. მ-მა და ი. დ-მა ვერ აღმოაჩინეს დაზიანებული სისხლძარღვი, ვერ მიხვდნენ, თუ საიდან მოდიოდა სისხლი. მათ მხოლოდ ვარაუდის დონეზე მიაკვლიეს სისხლმდენ უზანს, ხოლო კონკრეტულად სისხლმდენი სისხლძარღვი ვერ აღმოაჩინეს; ი. დ. და გ. მ. ვალდებულნი იყვნენ, დროულად მოეხდინათ დაზიანებული სისხლძარღვის კომპრესია და ტამპონადა. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ იყო მასიური სისხლდენა და ითვალისწინებდნენ, რომ სისხლდენის შედეგად შესაძლებელი იყო პაციენტის სიკვდილი; შესაბამისად, ისინი ვალდებულნი იყვნენ, დროულად გამოეძახათ სისხლძარღვთა ქირურგი და პაციენტი არ დაიღუპებოდა.

6. კასატორი – მსჯავრდებულ ი. დ-ის ადვოკატი დ. ბ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. დ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი ი. დ-ის მსჯავრდების ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი. სააპელაციო პალატა გასცდა ბრალდების ფარგლებს და ი. დ-ს მტკიცებულებათა გარეშე, საკუთარი სუბიექტური მოსაზრებების საფუძველზე დასდო მსჯავრი მის მიერვე ფორმულირებულ ბრალდებაში, რითიც არსებითად დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით სათანადო დადასტურება ვერ ჰპოვა ი. დ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენამ; შპს „...“ სამშობიარო სახლი, მასში განთავსებული სამედიცინო აპარატურა და ინვენტარი მთლიანად აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს; სასამართლო პროცესების დროს დადგინდა, რომ რემონტი მიმდინარეობდა საოპერაციო ბლოკიდან და პალატებიდან მეტალოპლასტმასის კარით იზოლირებულ ექიმების კაბინეტში, რომელსაც სულ სხვა შესასვლელი კარი ჰქონდა და არაფერი ჰქონდა საერთო საოპერაციო ბლოკთან. ასევე დადგინდა, რომ სამშობიარო სახლს ჰქონდა ორი სასუნთქი აპარატი, ხოლო ც. თ-ეს მშობიარობის წინ ჩაუტარდა ყველა საჭირო გამოკვლევა; ექსპერტიზის დასკვნებითა და მონემთა ჩვენებებით დადგენილია, რომ ნაკლებ სავარაუდოა მეანგინეკოლოგებს – გ. მ-სა და ი. დ-ს საკეისრო კვეთისა და საშვილოსნოს ექსტრიპიციისას დაეზიანებინათ მარცხენა თეძოს გარეთა ვენა, რადგან აღნიშნული ოპერაციის კეთებისას ექიმებს ამ სისხლძარღვთან შეხება არ ჰქონდათ; კატასტროფის

მედიცინის ცენტრის ექიმების, მათ შორის ანგიოქირურგ ვ. ა-ის, ოპერაციაში ჩართვიდან ორი საათის შემდეგ სისხლის ნაკადმა იმატა. აღნიშნული ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ც. თ-ის მარცხენა თედოს გარეთა ვენა დაზიანდა ანგიოქირურგ ვ. ა-ის ოპერაციაში ჩართვის შემდგომ პერიოდში; ი. დ-სა და გ. მ-ს საკეისრო კვეთის დროს – 13.40 საათზე რომ დაეზიანებინათ ც. თ-ის მარცხენა თედოს გარეთა ვენა, კატასტროფის ბრიგადის ექიმების ჩამოსვლამდე – 21:15 საათამდე, ე.ი. რვა საათის განმავლობაში პაციენტი 1500 მმ სისხლის გადასხმის პირობებში ვერ იცოცხლებდა; სასამართლომ არ შეაფასა კატასტროფის ცენტრის ექიმების ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები. ისინი შეგნებულად იტყუებოდნენ და განმარტავდნენ, რომ როდესაც 21.15 საათზე ჩაერთვნენ ც. თ-ის ოპერაციაში, მათ მისვლამდე ინტენსიური სისხლდენის შედეგად თითქოს პაციენტს განვითარებული ჰქონდა „დვს“ სინდრომი (სისხლის შეუდედებლობა), რაც მორიგი ტყუილია, რადგან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გულის ღრუებსა და მსხვილ სისხლძარღვებში აღინიშნება სისხლი მცირე რაოდენობით, როგორც თხიერი, ასევე კოლტების სახით, ხოლო საშვილოსნოს ღრუში აღინიშნება სისხლი მცირე რაოდენობით, კოლტების სახით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში „დვს“ სინდრომი არ განვითარებულა; ც. თ-ის მშობიარობის ისტორია განმეორებით შეადგინა მძიმე მდგომარეობაში მყოფმა გ. მ-მა მეანგინეკოლოგ პ. ჟ-თან განხორციელებული სატელეფონო საუბრების საშუალებით. აღნიშნული ფაქტი მთლიანად დასტურდება შპს „...“ მიერ გაცემული, ი. დ-ის მობილური ტელეფონის შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ამონაწერი; ამასთან, საფუძველს მოკლებულია პროკურორის განმარტება, რომ ი. დ-მა და გ. მ-მა ვერ იპოვეს მათ მიერ დაზიანებული სისხლძარღვი, რაც გამონვეული იყო თვითიმედოვნებით, ვინაიდან მათ საერთოდ არ დაუზიანებიათ სისხლძარღვი და, შესაბამისად, ვერც იპოვნდნენ; საშვილოსნოს ამოკვეთის ოპერაცია დაიწყო დაახლოებით 15:30 საათზე, დასრულდა დაახლოებით 16:50 საათზე, ხოლო საქმის არსებითი განხილვის დროს, 2014 წლის 22 ოქტომბერს, მონმის სახით დაკითხულმა მ. კ-მა დაადასტურა, რომ 2014 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, ლ. ლ-ას მობილურ ტელეფონზე ი. დ-მა დაურეკა გ. მ-ის ტელეფონით და სთხოვა კატასტროფის ცენტრის ექიმების დახმარება. მ. კ-ის ჩვენებით, მას, მართალია, დარეკილი ჰქონდა შპს „...“ სამორიგეო ნაწილში, მაგრამ აუცილებელი იყო სამორიგეო ნაწილშიც ოფიციალურად დაფიქსირებულიყო გამოძახება, რის-

თვისაც ექიმებს მისცა მედიცინის ცენტრის სამორიგეო ნაწილის ტელეფონი, სადაც ი. დ-ის ექიმებმა დარეკეს 17:51 საათზე, ხოლო ამასობაში ი. დ. ეძებდა ბრიგადის შემადგენლობას, შესაბამისად, კატასტროფის ბრიგადის დაგვიანებით გამოძახებაზე საუბარიც უსაფუძვლოა.

7. გამართლებული გ. მ. არ დაეთანხმა პროკურორის საკასაციო საჩივარს და წარმოდგენილი შესაგებლით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის უცვლელად დატოვება მისი გამართლების ნაწილში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ პროკურორ ი. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ი. დ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ი. დ-სა და გ. მ-თვის წარდგენილი ბრალდების შინაარსზე და მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა – გაუფრთხილებლობითი დანაშაულია. მისი ჯგუფურად ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის. ბრალდებაში არ არის გამოყოფილი, კონკრეტულად რას ედავება სახელმწიფო თითოეულ ბრალდებულს, რაში გამოიხატა თითოეული მათგანის ქმედება და რა კავშირშია თითოეული მათგანის მოქმედება/უმოქმედობა დამდგარ შედეგთან. ბრალდების ფორმულირებიდან გამომდინარე, სასამართლოს რჩება შთაბეჭდილება, რომ პროკურორი მათ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას ედავება, რაც სცილდება სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

3. ბრალდების მხარემ პროცესზე ზეპირსიტყვიერად განმარტა, რომ წინდახედულების ნორმების დარღვევა გამოიხატა შემდეგში: სამშობიაროში არ იყო შესაბამისი პირობები, არ ჰქონდათ საჭირო ინსტრუმენტები, არ იყო საკმარისი რაოდენობის სისხლი, არსებობდა სასუნთქი აპარატის ტექნიკური წუნი, არ იყო კოორდინაცია სხვა პროფილის ექიმებთან, არ იყო ჩატარებული შესაბამისი წინასწარი კვლევები, რაც სააპელაციო პალა-

ტამაც გაიზიარა და მიიჩნია, რომ ყველა ამ ნიუანსის გათვალისწინების შემთხვევაში სავალალო შედეგი არ დადგებოდა, რაც ი. დ.-ს, თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეეძლო გაეთვალისწინებინა და ევალუებოდა კიდეც, მაშინ, როცა ბრალდების შესახებ დადგენილებაში ამ გარემოებებზე საერთოდ არ არის მითითებული.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულია ბრალდებულის უფლება, ინფორმირებული იყოს წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლების შესახებ, რაც მის მიერ დაცვის ჯეროვანი განხორციელების მიზანს ემსახურება. „{...} ბრალდებული ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკმარისი ინფორმაციით, რაც საჭიროა მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების სრულად აღსაქმელად შესაბამისი დაცვის მოსამზადებლად {...} რაც შეეხება ბრალდებაში ცვლილებების შეტანას, მათ შორის ბრალდების „საფუძვლის“ შეცვლას, ბრალდებული სათანადოდ და სრულად უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის თაობაზე და მას საკმარისი დრო და შესაძლებლობა უნდა მიეცეს იმისათვის, რომ აღნიშნულ ცვლილებებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს და დაცვა ახალი ინფორმაციის ან ბრალდების საფუძვლზე ააგოს“.<sup>1</sup> სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმეებში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისთვის დაცვის მხარისთვის დეტალურად იყოს ცნობილი მისთვის წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი.<sup>2</sup>

5. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თუ ბრალდებით განსაზღვრულ გარემოებებსა და სასამართლოში დადგენილ ფაქტებს შორის არ არის თანხვერდა, ეს აპრიორი არ გამოორიცხავს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, მაგრამ არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალებიდან გადახრით ბრალდების საგანს ემატება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც შესაძლოა, ხელყოს ბრალდებულის ფუნდამენტური უფლება – ჯეროვნად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისგან.

6. ი. დ.-სა და გ. მ.-ს, წარდგენილი ბრალდებიდან გამომდინარე, უნდა ემტკიცებინათ ის ფაქტი, რომ საკეისრო კვეთისას არ

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Mattoccia v. Italy*, №23969/94.

<sup>2</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Pelissier and Sassi v. France*, №25444/94.

დაუზიანებიათ პაციენტის თეძოს ვენა, შესაბამისად, არც ვალდებულება წარმოშობიათ მისი დროულად აღმოჩენისა და, ასევე, არ დაუგვიანიათ დამხმარე ბრიგადის გამოძახება. სასამართლო პროცესზე კი, ბრალმდებლის ზეპირსიტყვიერი განცხადებებიდან გამომდინარე, ისინი იძულებულნი გახდნენ, ემტკიცებინათ დამატებით სხვა მრავალი გარემოება, რაც უშუალო გავლენას ახდენდა მათ ბრალეულობაზე და გახდა კიდევ ი. დ-ის მსჯავრდების საფუძველი. კერძოდ: ის, რომ სამშობიაროში იყო სათანადო პირობები, ინსტრუმენტები, ჩატარებული იყო წინასწარი კვლევები და ა.შ., რაც საკასაციო პალატას შეუთავსებლად მიაჩნია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის ა) და ბ) ქვეპუნქტებით დაცულ გარანტიებთან.

7. თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა შეფასების გარეშე არ დატოვებს ბრალმდებლის მიერ პროცესზე განმარტებული/დაზუსტებული ბრალის არცერთ მონაკვეთს, რაც, თავის მხრივ, აისახა გასაჩივრებულ განაჩენშიც და საფუძვლად დაედო ი. დ-ის მსჯავრდებას და მიაჩნია, რომ გამოკვლევული მტკიცებულებებით დადასტურება ვერ ჰპოვა გ. მ-სა და ი. დ-თვის წარდგენილმა ბრალდებამ ვერც ერთ ნაწილში, კერძოდ:

8. მოწმე მ. ჯ-ის ჩვენებით დგინდება, რომ იყო ექთანის შპს „...“ სამშობიარო სახლში და 2013 წლის 4 სექტემბერს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. 13:00 საათზე დაიწყო პაციენტი ც. თ-ის საკეისრო კვეთა. საკეისრო კვეთის შედეგად ამოიყვანეს ახალშობილი, რის შემდეგაც დაიწყო საშვილოსნოს გაკერვა. საშვილოსნოს პირველი შრის კერვისას, საკეისრო კვეთის დაწყებიდან დაახლოებით 15 წუთში, სასუნთქი აპარატის ფუნქციონირებისას, გამოვლინდა ხარვეზი და ვინაიდან ი. დ-მა იცოდა მისი შეკეთება, ანესთეზიოლოგმა სთხოვა დახმარება, რის გამოც ი. დ. გამოეთიშა ოპერაციას, გადართო სასუნთქი აპარატი და დაახლოებით 10-15 წუთში დაბრუნდა საოპერაციო მაგიდასთან. ამ მომენტისათვის გ. მ. პაციენტს მუცელზე ნაკერებს ადებდა. ი. დ-ის დაბრუნების შემდეგ, მუცელზე ნაკერების დადებისას, მუცლის წინა კედლის მარცხენა მხრიდან გამოვლინდა სისხლის გაჟონვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. მ-მა უთხრა ი. დ-ს, რომ დაეთვალიერებინათ მუცლის ღრუ, რის გამოც კვლავ გაიხსნა მუცლის ღრუ და დაიწყეს მისი დათვალიერება. ამ დროს მას მოსთხოვეს მომჭერის მიწოდება სისხლდენის დასაფიქსირებლად. მომჭერის დადების შემდეგ სისხლდენა შეჩერდა, მაგრამ ნაკერის დადებისა და მომჭერის მოხსნის

შემდეგ სისხლდენა სხვა ადგილიდან დაიწყო. ამ დროისათვის, იგი არ იყო ძლიერი და ატარებდა ზედაპირულ ხასიათს, ანუ ჩანდა სისხლდენის წყარო. ვინაიდან ვერ ხერხდებოდა სისხლდენის შეჩერება, გ. მ-მა მიიღო გადაწყვეტილება, გამოეძახებინათ ქირურგი – ნ. ლ-ი, რათა ამ უკანასკნელს აღმოეჩინა დახმარება. ნ. ლ. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ მოვიდა საოპერაციო ბლოკში და ჩაერთო ოპერაციაში. ნ. ლ-ის მოსვლის შემდეგ ი. დ. გამოეთიშა ოპერაციას. სწორედ ნ. ლ-ის მოსვლიდან დაახლოებით 30 წუთიდან – 1 საათის ინტერვალში მიღებულ იქნა საშვილოსნოს ამოკვეთის გადაწყვეტილება. ამოკვეთილი საშვილოსნო მოთავსდა საოპერაციო ბლოკში არსებულ სპეციალურ ურნაში. ვინაიდან, სისხლდენა ვერ შეჩერდა, გამოიძახეს კატასტროფის ბრიგადა. გამოძახება განხორციელდა დაახლოებით 16:00 საათის შემდეგ, თუმცა ზუსტად რა დროს, არ იცის. კატასტროფის ბრიგადა მოვიდა 21:00 საათის შემდეგ. კატასტროფის ბრიგადის წევრებს არანაირი ხელსაწყოები არ მოუტანიათ, მათ ნ. ლ-ს სთხოვეს გარკვეული იარაღები, თუმცა სამედიცინო ძაფის მოტანა არავის უთხოვია. კატასტროფის ბრიგადის მოსვლის შემდეგ მან დაურეკა მ. ჯ-ს და სთხოვა მოსვლა, რომელიც ასევე ჩაერთო ოპერაციაში და ასრულებდა მედლის მოვალეობას. ოპერაციის დროს არ მოუსმენია და არ გაუგია კატასტროფის ბრიგადის ექიმებისაგან, რომ დაზიანებული იყო თეძოს გარეთა ვენა, ასეთი რამ რომ ეთქვამთ ხმამაღლა, აუცილებლად გაიგებდა. კატასტროფის ბრიგადის წევრები კონკრეტულად რა მანიპულაციებს ახორციელებდნენ, არ იცის, თუმცა მოისმინა, რომ ახსენებდნენ ვარიკოზულ ვენებს.

9. მოწმე ნ. გ-ის ჩვენებით დგინდება, რომ არის ექიმ-ანესთეზიოლოგი, ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება შპს „...“ სამშობიარო სახლთან და საჭიროების შემთხვევაში ასრულებდა ანესთეზიოლოგის მოვალეობას. 2013 წლის 4 სექტემბერს მას დაუკავშირდა ი. დ. და უთხრა, რომ უნდა ჩაეტარებინათ გეგმიური საკეისრო კვეთა და საჭირო იყო მისი მონაწილეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოცხადდა შპს „...“ სამშობიარო სახლში, ოპერაციის დაწყებამდე გაესაუბრა პაციენტ ც. თეს და მისგან აიღო ანამნეზი. ოპერაციის დაწყებიდან 5-6 წუთში ამოყვანილ იქნა ახალშობილი, რის შემდეგაც ი. დ-მა დაამუშავა საშვილოსნოს ღრუ. საშვილოსნოს შრეების დახურვისას, ოპერაციის დაწყებიდან დაახლოებით 25-30 წუთის შემდეგ, „...“ ტიპის ანესთეზიის აპარატს, რომლითაც მიმდინარეობდა მუშაობა, შეექმნა პრობლემები, კერძოდ, ცვლიდა სუნთქვის მოცულობას. ვინაიდან იმავე საოპერაციო ბლოკში ასევე იყო მეო-

რე – „...“ ტიპის ანესთეზიის აპარატი, მან სთხოვა ი. დ-ს, აპარატი შეეცვალა. მართალია, აღნიშნული მის ფუნქციაში შედიოდა, მაგრამ ვინაიდან აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ მან პაციენტი გადაიყვანა ხელოვნურ, მექანიკურ მართვით სუნთქვაზე, იგი პაციენტს ვერ მიატოვებდა. ი. დ-მა დატოვა საოპერაციო ბლოკი, რის შემდეგაც გ. მ-მა განაგრძო ოპერაცია, რომელსაც ასისტენტობას უწევდა მედდა – მ. ჯ.. გ. მ-მა შეასრულა საშვილოსნოს შრეობრივად დახურვა, მუცლის ღრუს რევიზია და დაიწყო მუცლის კედლის აღდგენა, კერძოდ, მიმდინარეობდა პერიტორიუმის გაკერვა, რა დროსაც შემჩნეულ იქნა სისხლიანი გამონაჟონი. ამ დროისათვის ი. დ. უკვე დაბრუნებული იყო საოპერაციო ბლოკში. სისხლიანი გამონაჟონის გამო, გადანყდა გახსნილიყო პერიტორიუმი, რის შემდეგაც გ. მ-მა და ი. დ-მა დაათვალიერეს მენჯის ღრუ, რა დროსაც დადგინდა, რომ მენჯის ღრუს მარცხენა მხარეს, უკანა ზედაპირიდან იყო სისხლიანი გამონაჟონი. ექიმების საუბრიდან გამომდინარე, სახეზე იყო სისხლიანი გამონაჟონი, სისხლი მოდიოდა ქსოვილებიდან, იგი არ იყო ინტენსიური ხასიათის და მომჭერის დადებისას ჩერდებოდა, მაგრამ ნაკერის დადებისას სისხლდენა იწყებოდა სხვა ადგილიდან. აღნიშნული მანიპულაციები ხორციელდებოდა საოპერაციო ბლოკში არსებული იარაღების გამოყენებით. მართალია, სისხლდენა იყო უმნიშვნელო, მაგრამ ვერ ხერხდებოდა რა მისი შეჩერება, საჭიროდ ჩათვალეს, დახმარების მიზნით გამოეძახებინათ ნ. ლ., ვინაიდან იგი არის საკმაოდ გამოცდილი ქირურგ-ოპერატორი. ნ. ლ. საოპერაციო ბლოკში გამოცხადდა დაახლოებით 14:30-დან 15:00 საათამდე დროის შუალედში. ნ. ლ-ის მოსვლის შემდეგ კვლავ ცდილობდნენ, მომჭერების გამოყენებით შეეჩერებინათ სისხლდენა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ამასთან, როგორც მათი საუბრიდან გამომდინარე გახდა ცნობილი, სისხლმდენ უზანთან უკეთ მუშაობის მიზნით, ერთობლივად გადანყვიტეს საშვილოსნოს ამპუტაცია. კონკრეტულად ვინ განახორციელა ამპუტაცია, არ იცის. საშვილოსნოს ამპუტაციისას მომჭერი იყო დადებული და საშვილოსნოდან სისხლდენა შეჩერებული იყო, მაგრამ მისი ამპუტაციის შემდეგ მოიმატა სისხლდენამ და იგი გახდა ინტენსიური. თუმცა, მიუხედავად ამისა, აპარატზე სისხლნაკლებობა არ აღინიშნებოდა. საშვილოსნოს ამპუტაციის მიმდინარეობისას დაუკავშირდნენ კატასტროფის ბრიგადის წევრებს. სატელეფონო საუბარი განხორციელდა რეანიმატოლოგ მ. კ-თან, ასევე – გინეკოლოგ პ. ჟ-თან. უშუალოდ გ. მ. ესაუბრებოდა აღნიშნულ პირებს, უთითებდა, რომ მენჯის ღრუს მარცხენა უკანა მხრი-

დან, უკანა კედლიდან მოდიოდა სისხლი. აღნიშნულ პირთა რეკომენდაციით მოახდინეს აორტაზე ზენოლა და კომპრესია, ასევე – დატამპონება, მაგრამ სისხლდენის შეჩერება ვერ ხერხდებოდა. ამ დროს ტრანსფუზიოლოგი იყო ადგილზე და ხორციელდებოდა სისხლის გადასხმა, ეტაპობრივად გადაისხა 1500-1600 მმ სისხლი. კატასტროფის ბრიგადის გამოძახების მომენტისათვის, აპარატებზე ასახული მონაცემების მიხედვით, იყო ნორმალური მდგომარეობა. მათი ჩამოსვლის მომენტისთვისაც სტაბილური მონაცემები იყო შენარჩუნებული – სისხლის ჟანგბადით გაჯერება იყო ნორმის ფარგლებში, ნორმის ფარგლებში იყო ასევე წნევისა და პულსის მონაცემები. კატასტროფის ბრიგადის მოსვლის შემდეგ, სანყის ეტაპზე, აპარატებზე ცვლილებები არ ფიქსირდებოდა. კონკრეტულად, რა რაოდენობის სისხლი იქნა დაკარგული კატასტროფის ბრიგადის მოსვლამდე, ვერ იტყვის, რადგან დოღბანდები იყო გაჟღენთილი სისხლით, თუმცა, დიდი მოცულობით რომ დაკარგულიყო სისხლი, მიუხედავად იმისა, რა რაოდენობის სისხლი იქნებოდა გადასხმული, ეს აუცილებლად აისახებოდა აპარატის მონაცემებზე, მაგრამ აპარატზე რაიმე სახის ცვლილება არ ასახულა. კატასტროფის ბრიგადის ჩამოსვლის შემდეგ დამონტაჟდა სისხლის ამქაჩი და ოპერაციის მიმდინარეობისას ამოღებული იყო დაახლოებით 7 ლიტრი სისხლი. როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსული ექიმების საუბრიდან გამომდინარე, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვინაიდან იყო მესამე საკეისრო კვეთა, ვენური წნულები იყო საკმაოდ გაფართოებული და ეს იყო თავდაპირველი სისხლდენის მიზეზი. კატასტროფის ბრიგადის ჩამოსვლის შემდეგ იგი კვლავ მონანილებოდა ოპერაციაში, შესაბამისად, იყო საოპერაციო მაგიდასთან ახლოს და ესმოდა ექიმების საუბარი. ამ დროს მას არ მოუსმენია, რომ კატასტროფის ექიმებს ი. დ-სა და გ. მ-თვის ეთქვათ, რომ მათ გადაჭრეს ვენა. სამშობიაროს ის ნაწილი, სადაც მიმდინარეობდა ოპერაცია, მზად იყო პაციენტის მისაღებად. მას არ გაუგია, რომ კატასტროფის ბრიგადის წევრებს მოეთხოვათ ამოკვეთილი საშვილოსნოს დათვალიერება. ასევე, არ შეუშინვია, რომ კატასტროფის ბრიგადის ექიმებს გამოეყენებინათ რაიმე განსხვავებული სახის სამედიცინო ინსტრუმენტები.

10. მოწმე თ. ბ-ის ჩვენებით დგინდება, რომ არის ნეონატოლოგი და მუშაობდა შპს „...“ სამშობიარო კლინიკაში. 2013 წლის 4 სექტემბერსაც იმყოფებოდა აღნიშნულ სამშობიარო სახლში და ასრულებდა ნეონატოლოგის ფუნქციას. პაციენტი ც. თ-ის საკეისრო კვეთის ოპერაცია დაიწყო 13:00 საათზე. ოპერაცია, სა-



ვარაუდოდ, დაიწყო ი. დ-მა, რადგან სწორედ მისგან მიიღო ახალშობილი, რომლის ამოყვანა მოხდა ოპერაციის დაწყებიდან 5-7 წუთში. ამის შემდეგ მან ახალშობილი გადაიყვანა საოპერაციო ბლოკში არსებულ მაგიდაზე და განახორციელა პირველადი მანიპულაციები და დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ გაიყვანა საოპერაციო ბლოკიდან ახალშობილთათვის განკუთვნილ ოთახში. ოპერაციის დაწყებიდან დაახლოებით 1 საათსა და 15 წუთში გ. მ-მა დაუძახა მას და განუმარტა, რომ სჭირდებოდა ქირურგ ნ. ლ-ის დახმარება და სთხოვა მისი მანქანით მოყვანა. იგი დაუყოვნებლივ გაემართა კლინიკა „...“, სადაც მუშაობდა ნ. ლ. და დაახლოებით 10 წუთში უკვე იმყოფებოდა მასთან, თუმცა, ვინაიდან ნ. ლ. დაკავებული იყო თავისი პაციენტით, დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში ელოდებოდა მას, რის შემდეგაც უშუალოდ მან მიიყვანა ნ. ლ. შპს „...“ სამშობიარო სახლში. მათი მისვლის მომენტისათვის იქნებოდა დაახლოებით 14:30-დან 14:45 საათამდე პერიოდი. მას შემდეგ, რაც ნ. ლ. ჩაერთო ოპერაციაში, საჭირო გახდა სპეციალური – „...“ ტიპის საოპერაციო ძაფი, რაც საჭიროა წვრილ სისხლძარღვებზე მუშაობისას და მის მოსატანად კვლავ გააგზავნეს კლინიკა „...“. სწორედ იქ ყოფნის დროს მას კვლავ დაუკავშირდა გ. მ. და სთხოვა დაკავშირებოდა მის ნაცნობს – პ. ჟ-ს და გაეგო, შეძლებდა თუ არა ჩამოსვლასა და დახმარებას, რადგან ჰქონდა რთული შემთხვევა. იგი მართლაც დაუკავშირდა პ. ჟ-ს და უთხრა, რომ გ. მ-ს აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ქალაქ ნ. ჩამოსვლას ანგიოქირურგთან ერთად და დახმარებას. გ. მ-გან მიწოდებული ინფორმაციით, ანგიოქირურგი ესაჭიროებოდათ სისხლდენიდან გამომდინარე, რომელიც მოდიოდა მუცლის ღრუდან და ვერ ხერხდებოდა სისხლდენის წყაროს დადგენა. სატელეფონო საუბრისას პ. ჟ-მა მას უთხრა, რომ მოძებნიდა ანგიოქირურგს და კატასტროფის ბრიგადის ოფიციალური გამომძახების შემდეგ წამოვიდოდნენ. აღნიშნული სატელეფონო კომუნიკაცია პ. ჟ-თან შედგა დაახლოებით, 17:00 საათზე, 15 წუთით ადრე, ან გვიან. ეს ფაქტი მოხდა საშვილოსნოს ამპუტაციის შემდეგ, რადგან „...“ სწორედ ამის შემდეგ დასჭირდათ. როდესაც იგი დაბრუნდა კლინიკა „...“ და შევიდა საოპერაციო ბლოკში, მან გ. მ-ს უთხრა, რომ პ. ჟ. შეძლებდა ანგიოქირურგთან ერთად ჩამოსვლას, თუ ისინი დააფიქსირებდნენ გამომძახებას კატასტროფის ცენტრში. მას არ გაუგია, რომ ოპერაციის მსვლელობის დროს კატასტროფის ბრიგადის წევრებს დამატებით რაიმე ინსტრუმენტები მოეთხოვათ. მას კატასტროფის ბრიგადის წევრებისაგან ასევე არ მოუხმენია, ეთქვათ, რომ თქმოს გარეთა ვენა იყო დაზიანებული-

ლი. რასაც ამბობდნენ და რაც ახსოვს, იყო შემდეგი – „ასეთი ვარიკოზული ვენები არ გვინახავს“. ექიმის მიერ მიყენებულ დაზიანებაზე საუბარი არ ყოფილა. მისი შეხედულებით, სამშობიარო მომზადებული იყო პაციენტის მისაღებად. ოპერაციის ყურება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ვინმე ავიდოდა საოპერაციო ოთახის გვერდით, ეზოში მდგარ ხეზე, თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად იყო შესაძლებელი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო მხოლოდ დაენახათ, თუ რა ხდებოდა საოპერაციოში, ხოლო მოსმენით ვერაფერს მოისმენდნენ, რადგან ფანჯარა წესით დახურული უნდა ყოფილიყო. იგი ასევე არ შესწრებია ფაქტს, რომ ოპერაციის დროს საშვილოსნო სადმე გადაეგდოთ.

11. მოწმე ფ. ა-ის ჩვენებით დგინდება, რომ მუშაობს შპს „...“ და არის ტრანსფუზიოლოგი. 2013 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 16:00 საათის შემდეგ, მივიდა შპს „...“ სამშობიარო სახლში, ვინაიდან ანესთეზიოლოგმა ნ. გ-მა გამოიძახა, რომელმაც განუმარტა, რომ მიმდინარეობდა ოპერაცია და შესაძლებელია, საჭირო გამხდარიყო სისხლის გადასხმა. სამშობიარო სახლში მისვლისას უთხრეს, რომ მოეძებნა დონორები და თუ საჭირო გახდებოდა, პაციენტისათვის უნდა გადაესხა სისხლი. რამდენიმე დონორის გასინჯვის შემდეგ იმავე სამშობიარო სახლის პირველ სართულზე არსებულ ლაბორატორიაში იღებდნენ სისხლს. ლაბორატორიის მდგომარეობა, სადაც იგი მუშაობდა, იყო დამაკმაყოფილებელი, იგი აღჭურვილი იყო ყველა შესაბამისი აპარატურითა და ინვენტარით. სისხლის აღება ხდებოდა შესაბამისი მინის ბოთლებში, რომლებიც მას მისცა ი. დ-მა. შესაბამისი ჯგუფის სისხლის შერჩევას და დონორებისაგან მიღებას დასჭირდა დაახლოებით 1 საათი და სადღაც 17:10 წუთისთვის მიანოდა სისხლი ექიმებს. დონორებისგან აიღო დაახლოებით 1500 მმ სისხლი. ამდენად, მან ოპერაციის მწარმოებელი ექიმებისათვის სისხლის მიწოდება დაიწყო დაახლოებით 17:00 საათიდან და გრძელდებოდა კატასტროფის ბრიგადის მოსვლამდე, დაახლოებით 21:00 საათამდე. ამასთან, მან მოითხოვა კატასტროფის ბრიგადის წამოელო პლაზმა და სისხლის ბანკიდან – შესაბამისი სისხლი, რადგან, დონორისგან აღებულ სისხლთან შედარებით, უკეთესი იქნებოდა სისხლის ბანკში არსებული, დამუშავებული სისხლის გადასხმა. მისივე განმარტებით, კატასტროფის ბრიგადის ჩამოსვლის შემდეგ უფრო დიდი ოდენობით გადაუსხეს პაციენტს სისხლი.

12. მოწმე გ. ნ-ის ჩვენებით დგინდება, რომ იგი არის ექიმ – ქირურგი 32 წლის სტაჟით და მუშაობს შპს „...“. 2013 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 17:00 საათის შემდეგ, პირადი საქმის გა-

მო, გ. მ-ის სანახავად მივიდა შპს „...“ სამშობიარო სახლში. ვინაიდან განუმარტეს, რომ ბატონი გ. აკეთებდა ოპერაციას, ჩაიცვა შესაბამისი ხალათი და შევიდა საოპერაციო ბლოკში, სადაც მას დახვდნენ ი. დ. და გ. მ.. მის კითხვაზე, თუ რა ხდებოდა, გ. მ-მა და ი. დ-მა უპასუხეს, რომ ჩაატარეს საკეისრო კვეთა, მაგრამ, რადგან იყო მცირე სისხლდენა, არ ხურავდნენ ქრილობას და გამოდახებული ჰყავდათ კატასტროფის ბრიგადა. თავადაც ნახა, რომ ქრილობა იყო დატამპონებული, თუმცა, როგორც ექიმებმა განუმარტეს, ტამპონის ალების შემდეგ სისხლი იწყებდა ჟონვას. მან ურჩია კიდევაც დატამპონებული მუცლის ღრუ დაეხურათ, რაზედაც უპასუხეს, რომ რადგან გამოდახებული ჰყავდათ კატასტროფის ბრიგადა, ელოდებოდნენ მათ. ამ საუბრის შემდეგ მან მეუღლე წამოიყვანა სახლში და მოგვიანებით, საკუთარი ინიციტივით, დაბრუნდა სამშობიარო სახლში. დაახლოებით 21:00 საათზე მოვიდა კატასტროფის ბრიგადა. ისინი მოსვლისთანავე ჩაერთვნენ ოპერაციაში, მათ ასევე ეხმარებოდათ ადგილობრივი ქირურგი – ნ. ლ.. კატასტროფის ბრიგადას რაიმე დამატებითი სამედიცინო ინსტრუმენტები არ ჰქონიათ და იყენებდნენ საოპერაციო ბლოკში არსებულ სამედიცინო იარაღებს. მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა მუშაობა, დამონტაჟებული იყო სისხლის ამქაჩი, რომელსაც დაახლოებით 2 საათის შემდეგ შეეტყოს, რომ სისხლის ნაკადმა იმატა. ამ დროს კატასტროფის ბრიგადის ექიმებმა იკითხეს, ხომ არ არის ვინმე, ვინც დაგვეხმარება, რაზედაც მან, როგორც ქირურგმა, განაცხადა თანხმობა, მოწესრიგდა და ჩაერთო ოპერაციაში. სისხლი ქრილობაში საკმაო მოცულობით იყო, შესაბამისად, ჭირდა სისხლდენის კერის დადგენა, რადგან სისხლდენის არე დაფარული იყო სისხლით, რის გამოც ხდებოდა სისხლის ამოშრობა. მიმდინარეობდა კვანძების დადება, თუმცა სისხლდენა არ ჩერდებოდა. ოპერაციაში ჩართვის შემდეგ თვალში საცემ ანატომიურ ცვლილებას წარმოადგენდა სისხლძარღვთა ვარიკოზული გაგანიერება გარკვეულ უბანზე. ვარიკოზისათვის ასევე დამახასიათებელია შემდეგი ცვლილება, კერძოდ, სისხლძარღვის ერთი დაზიანება იწვევს სხვა დაზიანებებსაც. სწორედ ამ უბნიდან ხდებოდა დუნე, მაგრამ საკმაო მოცულობით სისხლდენა. მისი ოპერაციაში ჩართვიდან გარკვეული დროის – ალბათ, 1 საათისა და 30 წუთის შემდეგ დასვა კითხვა, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა სისხლდენის შეჩერება, ხომ არ სჯობდა ცენტრალური მაგისტრალური ვენა ან არტერია „აელოთ“ და ასე შეეჩერებინათ სისხლდენა, რაზედაც მათ უპასუხეს, რომ, ალბათ, უკვე სისხლის შეუდევლობა იყო დაწყებული და აზრი არ ჰქონდა ამის გაკეთებას. მან კი უპასუხა, თუ სისხლის შეუდე-

დებლობა იყო დაწყებული, საერთოდ აზრს კარგავდა ნებისმიერი სახის მანიპულაცია, რის შემდეგაც იგი მალევე გამოეთიშა ოპერაციას. სწორედ ამ საუბრის შემდეგ გადაწყდა, ჩატარებულიყო ანალიზი სისხლის შედედებასთან დაკავშირებით. მანამდე, მისი იქ ყოფნის პერიოდში, ასეთი სახის ანალიზი არ ჩატარებულა. გამოსვლისას მან პაციენტის ახლობლებსაც უთხრა, რომ იყო სისხლის შეუდედებლობა. ოპერაციის დროს და მისი იქ ყოფნისას საუბარი არ ყოფილა მარცხენა თეძოს ვენის დაზიანებაზე.

13. მონმე ბ. თ-ის ჩვენებით დგინდება, რომ ც. თ. იყო მისი მეუღლე. ორსულობის ბოლო ეტაპზე დანიშნეს საკეისრო კვეთა. დათქმულ დღეს მივიდნენ საავადმყოფოში, სადაც მიმდინარეობდა რემონტი. იკითხეს, რა ხდებოდა და მშობიარობის ოპერაცია დაინიშნებოდა თუ არა, რაზედაც უპასუხეს, რომ სამშობიარო ბლოკი ნორმალურ მდგომარეობაში იყო და არავითარი პრობლემა არ იქნებოდა. ოპერაციის წინ მის მეუღლეს აუღეს ანალიზები და უთხრეს, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ოპერაცია დაიწყო დაახლოებით 13:00 საათზე, ზუსტი დრო არ ახსოვს. ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდა ექიმი ან მედდა და უთხრა, რომ გოგო გაგიჩნდათო. ასევე უთხრეს, რომ მეუღლეს კარგად იყო. გავიდა ნახევარი საათი, მაგრამ არავინ არაფერს ეუბნებოდა, უთხრეს მხოლოდ, რომ პაციენტი იყო ნარკოზის ქვეშ და ელოდებოდნენ გამოსვლას. ამის შემდეგ, დაახლოებით 20-30 წუთის შემდეგ, გამოვიდა ექთანნი, რომელმაც აუხსნა, რომ ყველაფერი კარგად იყო, თუმცა ნაკერიდან აქვს მცირე სისხლდენაო. გარკვეული დროის შემდეგ ი. დ. გამოვიდა და უთხრა, დაიძაბა სიტუაციაო. სისხლის დენა დაეწყო, უნდა გავჭრათ მეორედო, თუმცა არწმუნებდა, რომ არაფერი სახიფათო არ იყო. ამ დროს შენიშნა, მოიყვანეს სხვა ექიმიც. დაახლოებით 2-3 საათის შემდეგ გამოვიდა ი. დ. და უთხრა, ძალიან სერიოზული პრობლემაა, გართულდა ყველაფერი და საშვილოსნო უნდა ამოვაჭრათო. თავიდან უარი უთხრა, მაგრამ შემდეგ ი. დ-მა განუმარტა, რომ თუ საშვილოსნოს არ ამოჭრიდნენ, პაციენტი გარდაიცვლებოდა, რის გამოც მან განაცხადა თანხმობა. მოგვიანებით დაინახა, თუ როგორ გადააგდეს ნაგავში ამოჭრილი საშვილოსნო. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უთხრეს, რომ რენომობილი იყო გამოძახებული და მოდიოდა. რენომობილი საკმაოდ გვიან ჩამოვიდა, ჩამოსული ექიმები შევიდნენ სასწრაფოდ საოპერაციოში. კატასტროფის ბრიგადის ექიმებმა უთხრეს, ამ მხარეზე რატომ გაჭერით, რა გინდოდათო, „ჩვენ მაგ ადგილას არ გაგვიჭრიაო“ – იყო ექიმების პასუხი. ამ საუბრის შემდეგ საოპერაციო ბლოკში შეიტანეს გადაადებული საშვი-

ლოსნო. ოპერაციას უკვე ჩამოსული ექიმები აგრძელებდნენ. რამდენ ხანს აკეთებდა კატასტროფის ბრიგადა ოპერაციას, არ ახსოვს.

14. მოწმე ც. ბ-ის ჩვენებით დგინდება, რომ ც. თ. იყო მისი და. დისგან იცოდა, რომ მესამე ორსულობის დროს კონსულტაციაზე დადიოდა ი. დ-სა და გ. მ-თან. ორსულობის პერიოდში ყველა პროცედურა ჰქონდა ჩატარებული, ანალიზებიც ჰქონდა აღებული, სრულიად ჯანმრთელი იყო, არანაირი პრობლემა არ ჰქონია. საკეისრო კვეთის შესახებ გადაწყვეტილება ც. თ-ემ მიიღო. ოპერაციის დღეს მივიდნენ საავადმყოფოში, რა დროსაც ნახეს, რომ სამშობიაროში მიმდინარეობდა რემონტი. ი. დ-მა ც. თ-ეს უთხრა, რომ გასინჯავდა, აიღებდა ანალიზებს და თუ რაიმე პრობლემა არ იქნებოდა, მეორე დღეს გაუკეთებდა ოპერაციას. ანალიზებმა დადებითი პასუხი აჩვენა, რის გამოც იმავე დღეს დანიშნეს ოპერაცია. ოპერაცია დაიწყო 12 საათიდან. ნახევარი საათის შემდეგ ი. დ-მა აცნობა ბავშვის დაბადება. რამდენიმე ხანში კვლავ შეხვდათ ი. დ., რომელმაც უპასუხა, რომ პაციენტი იყო კარგად, გადაკეტილი ჰქონდათ ვენა და ელოდებოდნენ სისხლის შედედებას. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ი-მა უთხრა, საშვილოსნო დაზიანებულია და არის პრობლემები, რის გამოც უნდა მოხდეს მისი ამოჭრაო, რაზედაც ბ-მა უარი განაცხადა, ხოლო ი. დ-მა კი უპასუხა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პაციენტი დაიღუპებოდა. ამის შემდეგ ბ-მა განაცხადა თანხმობა. ექთანი გამოვიდა და თქვა, სისხლი გვჭირდებაო. დარეკეს სასწრაფოდ სოფელ ე-ში. ყველა იქ ამოვიდა, ვისაც შეეძლო, გაიკეთეს სინჯი, მინის ბოთლიც არ ჰქონდათ, რომ სისხლი აეღოთ. არანაირი ბინტი არ ჰქონდათ. როგორც ახსოვს, თხუთმეტი ადამიანისაგან აიღეს სისხლი. საშვილოსნოს ამოჭრის შემდეგ დაინახა, თუ როგორ გამოიტანა ექთანმა საშვილოსნო, რომელიც პოლიეთილენის პარკში იყო გახვეული და გადააგდო ნაგავში. მოგვიანებით უთხრეს, რომ რენომობილი გამოძახებული იყო და სთხოვეს „მარშრუტკა“ მიეყვანათ ფანჯარასთან, რადგან ქარიშხალია გამოცხადებული და აკუმულატორის შუქი გვჭირდებაო. როცა რენომობილი შემოვიდა საავადმყოფოს ეზოში, ფანჯრის ძირში იჯდა. როცა საავადმყოფოში შევიდნენ ექიმები, საშვილოსნო მოსთხოვეს. აიღეს ნაგავში ჩადებული საშვილოსნო. თვითონ აძვრა „მარშრუტკაზე“, რომ გვეგო ყველაფერი, ექიმები „დახვეულები“ იყვნენ პაციენტს, საშვილოსნო გაშალეს მაგიდაზე, ამონმებდნენ, ერთ-ერთმა ჩამოსულმა ექიმმა ი. დ-ს უთხრა, „ბიჭო, საკეისრო კვეთას აკეთებდი, აქ რა გინდოდაო“.

15. მონმე მ. კ-ის ჩვენებით დგინდება, რომ მუშაობს შპს „...“ და არის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი. 2013 წლის 4 სექტემბერს იყო მორიგე კატასტროფის ცენტრში და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. მისივე განმარტებით, კატასტროფის მედიცინის ცენტრში მუდმივად არ მორიგეობენ კონსულტანტები (ანუ ვინრო სპეციალობის ექიმები, მათ შორის – ანგიოქირურგიც), საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება მათი მოძიება და გამოძახების ადგილზე გაყვანა. 2013 წლის 4 სექტემბერს, 17:51 წუთამდე, ანუ კატასტროფის ბრიგადის ოფიციალურ გამოძახებამდე, იგი იმყოფებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში. სასჯელალსრულების დაწესებულების რეჟიმის გათვალისწინებით, მას მობილური ტელეფონი ჩაბარებული ჰქონდა მისაღებაში. დაწესებულების დატოვებისას მას უთხრეს, რომ ზარი იყო შესული მის ტელეფონზე. ნახა, რომ ი. დ. ურეკავდა, რის გამოც მან მისი უმცროსი ექიმის – ლ. ლ-ას კუთვნილი მობილური ტელეფონით დაახლოებით 17:00 საათზე დაურეკა ი. დ-ს. საუბრისას ი. დ-მა უთხრა, რომ ესაჭიროებოდათ სისხლი და პლაზმა, რაზედაც უპასუხა, რომ თუ სისხლი და პლაზმა სჭირდებოდათ, გ. მ-ს ჰქონდა კოორდინატები უახლოესი პუნქტისა, რომელიც მდებარეობდა ქ. გ-ში, საიდანაც უფრო ადრე შეძლებდნენ მიეღოთ სისხლი და პლაზმა. ამასთან, ი. დ-ს უთხრა, რომ თუ დამატებით რამე ესაჭიროებოდათ, მისი სახელით დაერეკათ კატასტროფის ცენტრში და გაუწევდნენ დახმარებას. მისივე განმარტებით, 17:51 საათამდე, ანუ კატასტროფის ბრიგადის ოფიციალურ გამოძახებამდე, ანგიოქირურგის გამოძახებასთან დაკავშირებითაც იყო საუბარი, კერძოდ, როგორც კატასტროფის ცენტრის ოპერატორისგან გახდა მისთვის ცნობილი, ი. დ-ს განუმარტეს, რომ თავად უნდა დაკავშირებოდნენ ანგიოქირურგს და მათ შეეძლოთ მხოლოდ ამის შემდეგ წამოეყვანათ ანგიოქირურგი, ამავდროულად, მისცეს მისი კოორდინატები, რათა გამოეძახათ იგი. ამდენად, უშუალოდ ი. დ-მა და გ. მ-მა მიიღეს გადაწყვეტილება, მოეწვიათ პ. ჟ. და ვ. ა.. ამასთან, კატასტროფის ბრიგადის ოფიციალური გამოძახების რეგისტრაციამდე მოთხოვნილი სისხლისა და პლაზმის მიღების შესახებ შეთანხმებული იყო ი-ს სახელობის კლინიკასთან. ამის შემდეგ ოფიციალური შეტყობინება კატასტროფის მედიცინის ცენტრში შემოვიდა 17:51 საათზე, ხოლო დაახლოებით 18:00 – დან 18:05 დროის პერიოდში ბრიგადა გავიდა შეტყობინების მისამართზე. ბრიგადა თავდაპირველად გავიდა გინეკოლოგ პ. ჟ-ის ასაყვანად, შემდეგ – სისხლის ბანკში „...“ სისხლის ასაღებად, აიყვანეს ვ. ა-ც, რის შემდეგაც წავიდნენ ქ. ნ-ში. ვ. ა-თან შეხვედრისას, ამ უკანასკნელს ხელში ეკავა მხო-

ლოდ პოლიეთილენის პარკი, თუმცა, რა იყო მასში მოთავსებული, ზუსტად არ იცის. ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე შედგა საუბარი მასა და „...“ სამშობიარო სახლის ექიმებს შორის. პირველი საუბარი შედგა იმ მომენტში, როდესაც სისხლს იღებდნენ, რა დროსაც ჰკითხეს, თუ სად იყვნენ, ხოლო მეორე საუბარი შედგა გზაში, რადგან, როგორც წესი, ისინი ინტერედებიან პაციენტის მდგომარეობით. პირველად ბატონი ი. ესაუბრა, მეორედ საუბარი შედგა გ. მ-თან, რა დროსაც გ. მ-მა უთხრა მათ, რომ პაციენტი იყო მძიმე მდგომარეობაში და პულსაცია აღენიშნებოდა მხოლოდ საძილე არტერიაზე, რაც ნიშნავს, რომ პაციენტი იყო შოკურ მდგომარეობაში. რაც შეეხება სავარაუდო მიზეზს, გადაჭრით არ შეუძლია თქვას, მაგრამ სავარაუდო მიზეზი უნდა ყოფილიყო სისხლდენა, რადგან მიჰქონდათ სისხლი, ბიოლოგიური მასა, პლაზმა და ასევე, მიჰყავდათ ანგიოქირურგი. ადგილზე მისვლისას საოპერაციო ბლოკში მათ დახვდნენ – გ. მ., ი. დ., ნ. ლ. და გ. ნ., ასევე ანესთეზიოლოგი და სხვა მედპერსონალი. პაციენტს აღენიშნებოდა დაბალი არტერიული წნევა. პულსაცია აღინიშნებოდა მხოლოდ საძილე არტერიაზე, იყო შოკური მდგომარეობა. მათი მისვლის მომენტისათვის რა ოდენობის სისხლი იყო დაკარგული, არ შეუძლია თქვას, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არტერიული წნევა იყო დაბალი, ძლიერი სისხლდენა არ იქნებოდა. მათი მისვლისას, მისულ და ადგილზე დამხვედრ ექიმებს შორის რა საუბარი შედგა, ზუსტად არ იცის, თუმცა ინფორმაცია ერთმანეთს გაუცვალეს. მასაც ანესთეზიოლოგთან ჰქონდა გასაუბრება. ანესთეზიოლოგმა განუმარტა, რომ ოპერაცია მიმდინარეობდა 13:00 საათიდან, ხოლო შოკური მდგომარეობა პაციენტს განუვითარდა ბოლო 1 საათი – საათ-ნახევრის შუალედში. სისხლის შედედებაზე ანალიზი ჩატარდა მათი მისვლიდან დაახლოებით 30 წუთში. კერძოდ, ტამპონების ამოღებისას შეამჩნიეს, რომ სისხლის კოლტები არ იყო, ამასთან, ვინაიდან წინასწარ ჰქონდა ნაღებული „ადე ეფ“-ი, რაც სწორედ სისხლის შესადეებლად გამოიყენება, დაიწყეს „ადე ეფ“-ის გადასხმა და სხვა შესაბამისი მანიპულაციები. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სისხლი არ დედებოდა. არც ქირურგიული ჩარევის შემდეგ შედეგებულა სისხლი, რადგან მუშაობის პროცესში იღებდა დიდი რაოდენობით სისხლს. მათი ოპერაციაში ჩართვის შემდეგ სისხლდენამ მოიმატა იმის ხარჯზე, რომ გაზარდეს პაციენტის არტერიული წნევა. რაც უფრო მაღალია წნევა, დანაკარგი მეტია. მათი მუშაობის პერიოდში, 21:15 საათიდან 01:10 საათამდე, დაიკარგა დაახლოებით 7 ლიტრი სისხლი და ბიოლოგიური სითხე. ოპერაციის დროს ვენების ვარიკოზზე იყო საუბარი; უშუ-

აღოდ ოპერაციის მიმდინარეობისას აღნიშნულის თაობაზე საუბრობდა ვ. ა., მაგრამ თუ რატომ არ დაფიქსირდა ეს ავადმყოფობის ისტორიაში, არ შეუძლია თქმა, ვინაიდან ავადმყოფობის ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს ავსებენ ის პირები, რომლებმაც შესაბამისი მანიპულაციები განახორციელეს და აქვთ შესაბამისი კომპეტენცია. ვერ იხსენებს ოპერაციის დროს ან პ. ჟ-ს ან ვ. ა-ს ეთქვათ, რომ მათ აღმოაჩინეს დაზიანებული, გადაჭრილი თეძოს ვენა. მათი ოპერაციაში ჩართვის შემდეგ კატასტროფის ბრიგადის ექიმებს დახმარებას უწევდნენ ნ. ლ., გ. ნ. და მედდა – მ. ჯ.. ოპერაციის დასრულებისა და სამშობიაროში განვითარებული ინციდენტის გამო, პოლიციის კორდონის მეშვეობით დატოვეს სამშობიარო და გაემართნენ თბილისში, სადაც შედგა ავადმყოფობის ისტორია. ამ დროს კატასტროფის ბრიგადის წევრებმა ერთად აღიდგინეს განვითარებული მოვლენები, თუ რა მანიპულაცია როდის და რის შემდეგ განხორციელდა და ასეთი ფორმატით შედგა ავადმყოფობის ისტორია. ამ დროს, როგორც ახსოვს, გ. მ. დაუკავშირდა პ. ჟ-ს, რა დროსაც საუბარი გაიმართა სამედიცინო ისტორიის შევსებაზე. რაც შეეხება ანესთეზიის აპარატის ფუნქციონირებას, მონმის ჩვენებით დგინდება, რომ მათი მისვლისას მუშაობდა „ნაროკომ პ“-ს ტიპი აპარატი, ხოლო საოპერაციო ბლოკში ასევე იყო მეორე – „სიმენსის“ ფირმის აპარატი. აპარატის ფუნქციონირებისას რაიმე პრობლემა არ წარმოშობილა.

16. მონმე პ. ჟ-ის ჩვენებით დგინდება, რომ არის მეან-გინეკოლოგი, მუშაობს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე არის საქართველოს სამეანო-გინეკოლოგიური საბჭოს წევრი და ხელშეკრულების საფუძველზე – შპს „...“ კონსულტანტი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2013 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 17:15 საათზე, იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც მობილური ტელეფონის მეშვეობით მას დაუკავშირდა შპს „...“ სამშობიარო სახლის ნეონატოლოგი და განუმარტა, რომ ნ-ში იყო „რაღაც“ შემთხვევა და გ. მ-ს სურდა მასთან საუბარი. ამის შემდეგ აღნიშნულმა პირმა ტელეფონი გადასცა გ. მ-ს, რომელმაც უთხრა, რომ ჩაატარა საკეისრო კვეთა, იყო სისხლის დენა, რის გამოც განახორციელა ექსტრიპაცია და ფიქრობს, რომ პაციენტს დაზიანებული აქვს თეძოს ვენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან აუხსნა, რომ ვინაიდან ექსტრიპაცია მას უკვე გაკეთებული ჰქონდა, გინეკოლოგი აღარ ესაჭიროებოდა და მას სჭირდებოდა ანგიოქირურგი, რაზედაც გ. მ-მა უპასუხა: „გთხოვთ, მომიძებნოთ ანგიოქირურგი და თქვენც წამობრძანდით“. მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებო-



და შვებულებაში და არანაირი ვალდებულება არ ეკისრებოდა, ექიმის განსაცდელში დატოვება არ შეეძლო და გადაწყვიტა წასულიყო. ამავდროულად აუხსნა, რომ მისი ჩასვლა ამ ფორმით განხორციელებული გამოძახებით იყო შეუძლებელი და განუმარტა, რომ მათ შეტყობინება უნდა დაეფიქსირებინათ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე. ამ საუბრის შემდეგ იგი დაუკავშირდა ანგიოქირურგ დ. ბ-ეს და სთხოვა წაყოლა, მაგრამ იმის გამო, რომ იყო დაკავებული, მისცა ვ. ა-ის ტელეფონის ნომერი და იგი დაუხასიათა კარგ სპეციალისტად. ამის შემდეგ დაუკავშირდა ვ. ა-ს და სთხოვა ერთად წასულიყვნენ შესაბამისი გამოძახების შემდეგ. ამ საუბრიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მას უკვე დაუკავშირდნენ კატასტროფის ცენტრიდან და უთხრეს, მართლაც იცოდა თუ არა, რომ უნდა წასულიყო გამოძახებაზე ქ. ნ-ში და აცხადებდა თუ არა თანხმობას, რაზედაც მან დადებითი პასუხი გასცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაახლოებით 18:00 საათის შემდეგ მასთან მივიდა კატასტროფის ბრიგადა, დაგვიანების მიზეზი, სავარაუდოდ, იყო ის, რომ ბრიგადას უნდა აეყვანა რეანიმატოლოგი და ექიმი. ამის შემდეგ მათ თ-ში, გ-ის რაიონში, გაუარეს ანგიოქირურგ ვ. ა-ს. ამასობაში ტელეფონის საშუალებით გ. მ-ს აძლევდა მითითებას, რომ სასწრაფოდ მოეხდინათ მუცლის აორტის კომპრესია და იმ ადგილის ტამპონადა, საიდანაც იყო სისხლდენა, რათა სისხლის დანაკარგი მინიმუმამდე შემცირებულიყო. თბილისიდან დაახლოებით 18:10 საათიდან 18:15 საათამდე დროის პერიოდში გავიდნენ. მგზავრობის პერიოდში ასევე მყარდებოდა სატელეფონო კომუნიკაცია გ. მ-თან. ძირითადად, საუბარი მიმდინარეობდა ვ. ა-სა და გ. მ-ს შორის. გ. მ. აწვდიდა მათ ინფორმაციას პაციენტის მდგომარეობის შესახებ, სთხოვდა სასწრაფოდ ჩასვლას, რადგან პაციენტის მდგომარეობა იყო კრიტიკული და სისხლდენა გრძელდებოდა. ვ. ა. უთითებდა, რომ მაქსიმალურად განეხორციელებინათ კომპრესია სისხლმდენ უზანზე დოლბანდების გამოყენებით. ადგილზე ჩასვლის შემდეგ პირდაპირ შევიდნენ საოპერაციოში, ვ. ა-მა გზაშივე გამოიცვალა ფორმა. საოპერაციოში ყოფნისას გ. მ. უხსნიდა პაციენტის კრიტიკულ მდგომარეობას. როგორც ახსოვს, გ-მ აუხსნა მათ, რომ დაიწყო საკეისრო კვეთის ოპერაცია, პაციენტს დაწყო სისხლდენა, რის გამოც ჩაატარა საშვილოსნოს ექსტრიპაცია, რის შემდეგაც სისხლდენა გაგრძელდა, თუმცა არ ახსოვს, რომ ეხსენებინა თედოს ვენა, ამბობდა, რომ მდგომარეობა იყო კრიტიკული, რაც ისედაც ნათელი იყო, რადგან, მონიტორზე ასახული მონაცემების მიხედვით, პაციენტს წნევა ჰქონდა 70-30-ზე.

თუმცა, დეტალებზე არ უსაუბრიათ. ოპერაციის სანყის ეტაპზე მან განახორციელა მუცლის ღრუს რევიზია, ნანახი იქნა, რომ დატამპონებული იყო მარცხენა თედოს მიდამო, თუმცა, მუცლის ღრუში იყო თავისუფალი სისხლი, რომელიც არ დედებოდა, კოლტი მუცლის ღრუში არ იყო. სწორედ ამის გამო გახდა საჭირო მუცლის რევიზია, რაც მან განახორციელა და რასაც დიდი დრო არ დასჭირვებია. სისხლდენა შესაძლოა ყოფილიყო საშოს ტაკვიდან, რის გამოც დათვალა იერდა საშოს ტაკვები, დანამატები და იოგები მარჯვენა მხარეს. აქ არ იყო სისხლმდენი უბანი. ტაკვიდან მცირედი ჟონვა იყო, რაც საგანგაშო არ იყო და შენიშნა, რომ მედდაბრისებრი იოგიდან, რომლის დაბოლოება იყო დანამატი, აღინიშნებოდა სისხლდენა, რის გამოც მოხდა მისი ამოკვეთა და შემდეგ – ლიგირება, რასაც დაახლოებით 10 წუთი დასჭირდა. ამის შემდეგ ოპერაციაში ჩაერთო ვ. ა. ვ. ა-ის მუშაობის პროცესში აღმოჩნდა საკმაოდ სისხლმდენი უბანი და ასეთი მასიური სისხლდენის დროს საკმაოდ რთულია სისხლდენის უბნის მოძებნა, დაზიანებული იყო საშუალო და მსხვილი სახის სისხლძარღვები, ეს იყო ვენური სისხლდენა და არა – არტერიული. დაიწყო სისხლძარღვების გამოყოფა, რაც რთული იყო, შემდეგ – ლიგირება. ამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დაზიანებული იყო თედოს ვენა 3-5 მილიმეტრზე, რაც ვ. ა-მა გადაკვანდა. აქტიური სისხლდენის შეჩერების შემდეგ ვ-მა დაიწყო სხვა – საშუალო და მცირე ზომის სისხლძარღვებიდან სისხლდენის შეჩერება. ოპერაციის მიმდინარეობისას პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა სისხლდენის შეჩერება, მაგრამ, ვინაიდან გამონადენი სისხლის რაოდენობა იყო ბევრი, იკვეთებოდა თრომბოპემორაგიული სინდრომისათვის, ანუ „დე ვე ეს“ სინდრომის დამახასიათებელი სისხლის შეუდედებლობა, რაც ართულებდა ოპერაციას. მთელი ოპერაციის დრო ვ. ა-მა მოანდომა ამ სისხლდენის შეჩერებას, მაგრამ, ვინაიდან მისი შეჩერება შეუდედებლობის გამო ვერ მოხერხდებოდა, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, განხორციელებულიყო ტამპონადა და დაეხურათ მუცლის ღრუ. მოწმის განმარტებით, მარცხენა თედოს ვენის დაზიანება საკეისრო კვეთის დროს მოხდა, თუ საშვილოსნოს ექსტრიპაციისას, ამის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. მოწმის ჩვენებით ასევე დგინდება, რომ ვ. ა-ს ჰქონდა რამდენიმე საოპერაციო იარაღი, რომლებიც ფაქტობრივად არ გამოუყენებია და სარგებლობდა საოპერაციო ბლოკში არსებული ხელსაწყოებით. სპეციფიკური იარაღების გამოყენება არ დასჭირვებია, რადგან მას არ ჩაუტარებია სისხლძარღვის აღდგენის მანიპულაცია. მისივე განმარტებით, ვ. ა-მა მის თვალწინ

დათვალეირა ვენა და ამ დროს იქნა აღმოჩენილი დაზიანება. შესაბამისად, უშუალოდ მათ თედოს ვენა არ დაუზიანებიათ და თუ ასეთი რამ მოხდებოდა, ამას იტყოდნენ. მისივე განმარტებით, არც ოპერაციის დროს და არც მანამდე, მათ ამოჭრილი საშვილოსნო არ მოუთხოვიათ. სამედიცინო ისტორია მათ ადგილზე ვერ შეავსეს წარმოშობილი კონფლიქტური ვითარების გამო. თუმცა, თ-ში ჩასვლისთანავე დაიწყეს ისტორიის წერა. სწორედ ამ დროს მას დაუკავშირდა გ. მ. და ჰკითხა, თუ რა მოხდა, რაზედაც მან უპასუხა – „განა თქვენ არ იცით, ბატონო გ., რა მოხდაო“, რადგან ჯერ კიდევ საოპერაციო ბლოკიდან გამოსვლისას უთხრა „ძალიან მოინდომეთ ბატონო გ., რატომ ჩახვედით იქით“. მისივე განმარტებით, კატასტროფის ბრიგადა ოპერაციას აკეთებდა დაახლოებით 3 საათისა და 30 წუთის განმავლობაში. ხოლო, რაც შეეხება „დე ვე ეს“ სინდრომს, ანუ სისხლის შეუდგედებლობას, იგი შეიძლება განვითარდეს, როგორც 1 საათში, ისე – 3 საათში.

17. ვ. ა-ის ჩვენებით დგინდება, რომ არის სისხლძარღვთა ქირურგი, მუშაობს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. 2013 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 17:30 საათზე, მას ტელეფონით დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ იყო გარკვეული პრობლემა წ-ის სამშობიარო სახლში და საჭირო იყო ანგიოქირურგის დახმარება. იგი სახლიდან გავიდა დაახლოებით 18:00 საათზე; დაახლოებით 5-10 წუთის შემდეგ მას მიაკითხა კატასტროფის ბრიგადის ავტომობილმა, რომელშიც ისხდნენ გინეკოლოგი – პ. ჟ., ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი – მ. კ. და მისი დამხმარე უმცროსი ექიმი, სახელად ლ.. მგზავრობისას განხორციელდა რამდენიმე ზარი, ესაუბრებოდნენ როგორც მ. კ-ს, ისე მასაც. საუბრისას გაირკვა, რომ პაციენტის მდგომარეობა იყო მძიმე, ჰქონდა ვენური სისხლდენა და, სავარაუდოდ, დაზიანებული იყო თედოს ვენა – მაგისტრალური სისხლძარღვი. სახეზე იყო საკმაოდ გამოხატული სისხლდენა, რომლის შეჩერებაც ვერ ხერხდებოდა და საუბარი იყო იმაზეც, თუ რა მეთოდებით შეეძლოთ დროებით შეეჩერებინათ სისხლდენა, რა დროსაც უშუალოდ მან გაუწია კონსულტაცია, განეხორციელებინათ აორტის კომპრესია და სისხლმდენი უბნის დატამპონება. მისვლისთანავე, მომენტალურად ჩაეზნენ ოპერაციაში, ჩაატარეს რევიზია, მოხდა დათვალეირება, პარალელურად, ადგილზე მყოფი ექიმებისგან იღებდნენ ინფორმაციას. ადგილზე მყოფმა ექიმებმა განუცხადეს, რომ იყო ძლიერი ვენური სისხლდენა, ხოლო არტერიული წნევის ნიშნები იყო სასიცოცხლო მაჩვენებლებზე დაბალი. ის და პ. ჟ. ოპერაციაში ჩაერთვნენ ერთდროულად, თუმ-

ცა, სანყის ეტაპზე უშუალოდ პ. ჟ-მა ამოკვეთა დანამატი, რაც იმ მომენტში ჩაითვალა საჭიროდ, გაგრძელდა ოპერაცია და ნახეს სისხლდენის წყარო – თედოს ვენა, რაც წარმოადგენს მაგისტრალურ, მსხვილკალიბრიან ვენას. მათი მისვლის მომენტისათვის მუცლის ღრუ გახსნილი იყო, სისხლი იყო 500 მლ-ზე მეტი, ასევე ტამპონები გაჟღენთილი იყო სისხლით და მიუხედავად დატამპონებისა, გრძელდებოდა სისხლდენა. სატელეფონო საუბრისას ითქვა, რომ, სავარაუდოდ, შეიძლება ყოფილიყო თედოს ვენა. ანალოგიური საუბარი იყო საოპერაციო ბლოკში, თუმცა, „მეტი კონკრეტისა არ მომხდარა“. უშუალოდ მან ჩაატარა დაზიანებული ვენის ლიგირება. აღნიშნულ ვენაზე მის მისვლამდე სისხლდენის შეჩერების მიზნით არ ყოფილა ჩატარებული ლიგირება, ეს მანიპულაცია უშუალოდ მან განახორციელა. ასევე, გამოყოფილი არ ყოფილა აღნიშნული ვენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მისი ლიგირება. შესაბამისად, მისი მისვლის მომენტისათვის სისხლდენის წყარო არ იყო ნანახი. უშუალოდ იგი ოპერაციას აკეთებდა დაახლოებით 3,5 საათი. რადგან დაზიანებული იყო მაგისტრალური სისხლძარღვი, მოხდა მისი ლიგირება, რათა შეჩერებულიყო მასიური სისხლდენა. ასევე, უშუალოდ ოპერაციული ჩარევის გამო, იყო წვრილი და საშუალო კალიბრის სისხლძარღვებიდან სისხლდენა, რომელსაც აგრეთვე სჭირდება ლიგირება. რადგან ასეთი სისხლდენი წყაროები იყო საკმაოდ მრავლად, საჭირო გახდა სხვა – წვრილი და საშუალო კალიბრის სისხლძარღვების ლიგირებაც. თუმცა, მიუხედავად ამისა, სისხლდენა არ შეჩერდა, რადგან სისხლი არ დედებოდა. მათი ჩასვლის მომენტისათვის სისხლის შეუდედებლობა დაფიქსირდა ანესთეზიოლოგის მიერაც. ამავე მომენტისათვის სისხლი შეინიშნებოდა როგორც მუცლის ღრუში, ასევე იყო ქსოვილოვანი გამონადენიც, რაც დამახასიათებელია ეგრეთ წოდებული თრომბოპემორაგიული სინდრომისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ სხეულში სისხლის შედედება არ ხდება. აღნიშნული დაზიანების მის მიერ მიყენებას გამორიცხავს. სხვა მაგისტრალური სისხლძარღვის დაზიანება არ აღმოჩენილა. პაციენტს ვარიკოზი არ აღენიშნებოდა, სახეზე იყო გაძლიერებული ვენური ქსელი, რაც გამოწვეული იყო სისხლძარღვების ლიგირებით. ანუ, როდესაც ხდება მაგისტრალური სისხლძარღვის გადაკვანძვა, იქ სისხლის დინება ნელდება და ხდება სხვა წვრილი ვენებისა და კაპილარების გადატვირთვა. თუმცა, როგორც ასეთი – ვარიკოზი არ არსებობდა, რაც გულისხმობს ვენების დაგრძელებას, კლაკნილობას და კედლების გათხელებას. ამდენად, მის მიერ ჩატარებული ლი-

გირების შემდეგ სხვა ვენები და წვრილი კაპილარები გადაიტვირთა. ოპერაციის მსვლელობისას იყენებდა საოპერაციო ბლოკში არსებულ ინსტრუმენტებს. კონკრეტულად, რა დროს დაზიანდა ვენა, ვერ იტყვის, თუმცა საკეისრო კვეთის ჩატარებისას შესაძლებელია ვენის დაზიანება და ამაში რაიმე განსაკუთრებული არ არის. მათი მისვლის შემდეგ სისხლის დანაკარგმა შეადგინა 3 – 3,5 ლიტრი. ეს არ იყო მხოლოდ სისხლის დანაკარგი, რადგან თრომბოპემორაგიული სინდრომის დროს უფრო დიდი რაოდენობით იკარგება ქსოვილური გამონადენი. რაც შეეხება თრომბოპემორაგიულ სინდრომს, აღნიშნული დადასტურდა ანესთეზიოლოგის მიერ ჩატარებული კვლევით. ზუსტად არ ახსოვს, მაგრამ მან ოპერაციის მიმდინარეობისას ან უშუალოდ წასვლამდე თქვა, რომ დაზიანებული იყო თედოს გარეთა ვენა; ყველა საჭირო ინსტრუმენტი და მათ შორის ძაფები, იყო ადგილზე, საოპერაციო ბლოკში. კატასტროფის ბრიგადის ექიმებს არ მოუთხოვიათ, შემოეტანათ ამოკვეთილი და გადაგებული საშვილოსნო.

18. მონმე ნ. კ-მ აჩვენა, რომ არის გინეკოლოგი, მინიჭებული აქვს სრული პროფესორის სტატუსი და გააჩნია 36-წლიანი მუშაობის სტაჟი. მანვე დაადასტურა, რომ, როგორც ექსპერტი, მონაწილეობდა სსიპ „...“ მიერ 2014 წლის 27 იანვარს გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის მომზადებაში, რა დროსაც მან დაადგინა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის ჩანაწერებით, საკეისრო კვეთა ჩატარდა ჩვენების მიხედვით და ტექნიკურად – სწორად; საშვილოსნოს ამოკვეთა იყო მართებული, ვინაიდან ოპერაციის დროს განვითარდა საშვილოსნოს ჰიპოტონია (საშვილოსნოს კუნთის მოდუნება) და სისხლდენა ვერ შეჩერდა. იმის გამო, რომ საშვილოსნოს ექსტრიპაციის ოპერაცია ოქმში დაწვრილებით არ არის ასახული, შეუძლებელია დადგინდეს, ოპერაციის ზუსტად რა ეტაპზე დაზიანდა მარცხენა თედოს გარეთა ვენა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უშუალოდ საკეისრო კვეთის დროს ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ თედოს გარეთა ვენა დაზიანდეს, ვინაიდან იგი ტოპოგრაფიულად სულ სხვაგან მდებარეობს, ხოლო საკეისრო კვეთის დროს განაკვეთი კეთდება საშვილოსნოს წინა კედელზე. ოქმის მიხედვით დასტურდება, რომ საკეისრო კვეთის შემდეგ საშვილოსნო ამოკვეთეს. ამდენად, თედოს გარეთა ვენა, სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს დაზიანდებოდა. საშვილოსნოს ამოღება მასშტაბურად საკმაოდ დიდი ოპერაციაა. ჩვეულებრივ პირობებში – არაორსულ ქალზე, გეგმიური ექსტრიპაციისთვის მაქსიმუმ 2 საათია საჭირო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ

იმ გარემოებას, რომ ექსტრიპაცია განხორციელდა ორსულ პაციენტზე, ამ სახის მანიპულაციას დასჭირდებოდა 2 საათზე მეტი, დაახლოებით – 3 საათი. ზუსტად განსაზღვრა იმისა, თუ თითოეული მანიპულაციის ჩატარებას რა დრო სჭირდება, ძნელია, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით დგინდება, აღნიშნული მანიპულაციები უნდა დაწყებულიყო 13:40 წუთზე, ვინაიდან ანესთეზიოლოგის ჩანაწერების მიხედვით დასტურდება, რომ ამ დროს დამთავრდა საკეისრო კვეთა და სრულდებოდა საშვილოსნოს შრეების გაკერვა, რა დროსაც დაიწყო სისხლდენა საშვილოსნოდან და გადაწყდა მისი ექსტრიპაცია, ხოლო კატასტროფის ბრიგადა გამოძახებულ იქნა 18:00 საათზე, მიაჩნია, რომ კატასტროფის ბრიგადის გამოძახება დაგვიანდა 1 საათითა და 30 წუთით. ვინაიდან მსხვილ სისხლძარღვზე მუშაობის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულიყო საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ, რადგან, როგორც სამედიცინო ისტორიაშია ნათქვამი, საშვილოსნოს ექსტრიპაციის დამთავრების პერიოდში დაიწყო სისხლდენა მარცხენა ფართო იოგის სივრციდან. ლიგირების მიზნით გაიხსნა პარამეტრიუმის სივრცე, სისხლძარღვთა ლიგირება გაძნელდა. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი, დასკვნაში დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება, რომ მეან-გინეკოლოგი ვალდებული იყო, დროულად ამოეცნო დაზიანებული სისხლძარღვი და დროულად მოეხდინა სისხლძარღვის კომპრესია, ტამპონადა და შემდგომ დაუყოვნებლივ გამოეძახა სისხლძარღვთა ქირურგი. ამასთან, რაიმე სახის დირექტივა, პროტოკოლი, რეკომენდაცია ან მითითება, თუ როდის და რომელ საათზე უნდა გამოიძახო დამხმარე, არ არსებობს. ექიმი თვითონ წყვეტს, როდის ვეღარ ართმევს თავს ქირურგიულ შემთხვევას და როდის უნდა დაუძახოს დამხმარეს. ამაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ შედეგის მიხედვით. რაც შეეხება იმ გარემოებას, შესაძლებელი იყო თუ არა კატასტროფის ბრიგადის მეან-გინეკოლოგს დაეზიანებინა თეძოს გარეთა ვენა, ამ საკითხზეც ვერ იმსჯელებს ჩანაწერთა სიმნიშვნის გამო. როგორც ჩანაწერიდან ჩანს, კატასტროფის ბრიგადის მეან-გინეკოლოგმა ჩაატარა მუცლის ღრუს რევიზია და ამოიღო მარცხენა დანამატი. ამ დროს თეძოს გარეთა ვენის დაზიანება ფაქტობრივად გამორიცხულია. სისხლძარღვი შეიძლება დაზიანდეს, თუ ქირურგი ცდილობს, განახორციელოს მსხვილი არტერიის ლიგირება. გინეკოლოგიურ შემთხვევებში ეს არის თეძოს შიდა არტერია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამედიცინო ისტორიაში არ წერია, რომ ოპერაციის მწარმოებელ ექიმებს (ი. დ-სა და გ. მ-

ს) ჰქონდათ მცდელობა, გადაეკვანდათ თქმის შიდა არტერია. სამედიცინო ისტორიაში აღნიშნულია, რომ „ადგილი ჰქონდა მარცხენა განიერი იოგის ფურცლების გათიშვასა და შეეცადნენ სისხლძარღვის ლიგირებას“. კონკრეტულად, რომელ სისხლძარღვზეა საუბარი, არ წერია. მითითებულია, რომ სისხლდენა იყო მენჯის ღრუდან უფრო მარცხენა მხრიდან, დუნე, მაგრამ – ჭარბი. თუმცა, საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ყველაფერი კეთდებოდა სისხლდენის შესაჩერებლად: ჩატარდა საშვილოსნოს ექსტრიპაცია ანუ ამოკვეთა, პარალელურად, მიმდინარეობდა სისხლისა და სისხლის შემცვლელების გადასხმა, მაგრამ, როდესაც ვერ მოხერხდა სისხლდენის შეჩერება, ქირურგმა გადაწყვიტა იმ ადგილის დატამპონება, ანუ სტერალური დოლბანდით კომპრესია, საიდანაც სისხლი მოდიოდა და ამავდროულად, ახდენდნენ მუცლის აორტის კომპრესიას, რათა შეეჩერებინათ სისხლის დანაკარგი. თუმცა, დატამპონებამ რომ სისხლდენის ბოლომდე შეჩერება ვერ შეძლო, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ მუცლის ღრუში 500 მმ სისხლი მაინც იყო ჩაღვრილი. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ როდესაც არის მაღალი რისკის ორსული, სასურველია, იგი გადაიგზავნოს „მაღალი დონის“ კლინიკაში, მაგრამ ისეთი დირექტივა, რომ წინასწარ იქნეს მოწვეული ქირურგი ან ანგიოქირურგი, არ არსებობს. ამასთან, ნ. კ-ამ განმარტა, რომ ბრალდებულების განმარტების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გავის ვენური წნულებიდან მოჟონავდა სისხლი, ედებოდა მომჭერები, კეთდებოდა ნაკერები, მაგრამ ისევ მოდიოდა სისხლი და შესაძლოა, სწორედ ეს მოქმედებები უსწრებდა წინ საშვილოსნოს მოღუნებას. ამასთან, მისი განმარტებით, ბადექონის მოშორების დროს შეიძლება, დაზიანებულიყო გავის ვენის გარეთა წნული.

19. მოწმე კ. ა-ის ჩვენებით დგინდება, რომ არის სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევათა სამმართველოს უფროსი. მანვე დაადასტურა, რომ როგორც ექსპერტი, მონაწილეობდა სსიპ „...“ მიერ 2014 წლის 27 იანვარს გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის მომზადებაში, რა დროსაც მან დაადგინა, რომ ოპერაციის მწარმოებელი ვალდებული იყო, დროულად ამოეცნო დაზიანებული უბანი და დროულად მოეხდინა მისი ტამპონირება, კომპრესირება ან დამჭერით შეკავება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებდა მის აღდგენას, გამოეძახა შესაბამისი პროფილის ქირურგი, კონკრეტულ შემთხვევაში – სისხლძარღვთა ქირურგი. სამედიცინო ისტორიაში არ არის მითითებული, რომ აღ-

მოაჩინეს დაზიანებული უბანი. ამდენად, დასტურდება, რომ არ ჩატარებულა შესაბამისი ტამპონირება და სხვა მანიპულაციები. იქიდან გამომდინარე, რომ შპს „...“ სამშობიარო სახლის ექიმების შედგენილ სამედიცინო ისტორიაში არ არის მითითებული, რომ დაზიანებული იყო მარცხენა თეძოს გარეთა ვენა, დასტურდება, რომ მათ ნახეს სისხლდენის კერა. თუმცა, სისხლდენის ფაქტი ცხადყოფს, რომ ვენა იყო დაზიანებული. ამდენად, დროულად რომ აღმოეჩინათ დაზიანებული კერა და შეეჩერებინათ სისხლდენა, პაციენტის გადარჩენის შანსი გაიზრდებოდა. მისივე განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნაში მის მიერ გამოყენებული ტერმინი „დროულად“ მოიაზრებს არა დამხმარე ბრიგადის გამოძახებას, არამედ გულისხმობს იმას, რომ დროულად უნდა ენახათ სისხლდენი უბანი და შეეჩერებინათ იგი შესაძლებლობის ფარგლებში. აღნიშნული ვალდებულება გააჩნდათ ოპერაციის მწარმოებელ ექიმებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ვალდებულებას კონკრეტულად რაიმე დოკუმენტი არ აწესებს. მისი შეფასებით, კატასტროფის ბრიგადა იმიტომ გამოიძახეს საშვილოსნოს ექსტრიპაციის შემდეგ, რომ ექიმებმა ვერ აღმოაჩინეს დაზიანებული ვენა, რის გამოც იგი გამორიცხავს ვენის დაზიანებას კატასტროფის ბრიგადის ექიმების მიერ. გარდა ამისა, ვინაიდან სამედიცინო ისტორიის მიხედვით ირკვევა, რომ მუცლის ღრუ იყო დატამპონებული და შიგ ჩადვრილი იყო სისხლი, მიაჩნია, რომ სწორედ ოპერაციის ჩამტარებელმა პირებმა დააზიანეს ვენა. მართალია, მას გადაჭრით არ შეუძლია თქვას, თუ ვინ დააზიანა ვენა, მაგრამ მისთვის ძნელად წარმოსადგენია, რომ ვენა კატასტროფის ბრიგადის ექიმებს დაეზიანებინათ.

20. ანალოგიური სახის ჩვენება მისცა ექსპერტმა კ. ც-მა, რომელმაც დაადასტურა, რომ კ. ა-თან ერთად მონაწილეობდა სსიპ „...“ მიერ 2014 წლის 27 იანვარს გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის მომზადებაში, რა დროსაც მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაზიანებული სისხლძარღვის დროულად კომპრესიისა და ტამპონადის შემთხვევაში ც. თ-ის გადარჩენის შანსი გაიზრდებოდა. ამასთან, განმარტა, რომ არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, თუ როდის დაზიანდა თეძოს ვენა, მაგრამ ვინაიდან კატასტროფის ბრიგადა გამოიძახეს და სწორედ კატასტროფის ბრიგადის ჩანაწერებში არის პირველად დაფიქსირებული ვენის დაზიანების ფაქტი, მისი ვარაუდით, მანამდე – ანუ კატასტროფის ბრიგადის გამოძახებამდე – მოხდა ვენის დაზიანება.

21. მოწმის სახით დაკითხულ ლ. ა-ის ჩვენებით დგინდება,



რომ როგორც ექსპერტი, მონაწილეობდა სსიპ „...“ მიერ 2014 წლის 27 იანვარს გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის მომზადებაში, რა დროსაც მან დაადგინა, რომ პაციენტს სისხლი გადაუსხეს დროულად და სწორად, იმ პირობით, რომ დანამდვილებით გადასხმულია იდენტური (თანამოსახელე) ჯგუფისა და რეზუსის სისხლი და სისხლის კომპონენტები. წარმოდგენილ მასალებში არ არის კომპონენტების ტრანსფუზიის ოქმები, არის მხოლოდ ჩანაწერები ოპერაციის ოქმში, რომლის მიხედვითაც, 13:40 საათიდან მიმდინარეობდა სისხლისა და სისხლის შემცვლელების მასიური გადასხმა და ანესთეზიოლოგის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სასიცოცხლო ჩვენებით გადასხმულია თანამოსახელე ჯგუფისა და რეზუსის სისხლი. მან დასკვნა გამოიტანა აღნიშნულ ჩანაწერებზე დაყრდნობით. ტრანსფუზიოლოგის მიერ კომპონენტების ნაცვლად მთლიანი სისხლის გადასხმა მართებულია იმ შემთხვევაში, თუ კლინიკას კომპონენტების მარაგი არ აქვს. მასიური მწვავე სისხლდენისას არ არის კომპონენტების დამზადების დრო და სასიცოცხლო ჩვენებისას დასაშვებია მთლიანი სისხლის გადასხმა. ასეთ დროს აუცილებელი პირობაა იდენტური (თანამოსახელე) სისხლის გადასხმა. მთლიანი სისხლი უზრუნველყოფს უანგბადის მინოდებას და სისხლის მოცულობის გაზრდას. მისივე ჩვენებით დგინდება, რომ სამედიცინო ისტორიის მიხედვით, სისხლის გადასხმა ტრანსფუზიოლოგმა დაიწყო სისხლდენის დაწყებისთანავე. სისხლი რომ არ გადაესხათ, აუცილებლად დადგებოდა ფატალური შედეგი, ვინაიდან სისხლის დაკარგვა 600 მლ-ზე მეტი მოცულობით, წარმოადგენს კრიტიკულ მაჩვენებელს და უნდა გაკეთდეს ტრანსფუზია. სისხლდენის მიზეზის განსაზღვრა არ წარმოადგენს მის კომპეტენციას. ერთადერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო შპს „...“ სამშობიარო კლინიკის სამედიცინო ისტორიის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სისხლის დანაკარგმა შეადგინა 3500-დან 4000 მლ-მდე, რაც შეიძლება ჩაითვალოს მასიურ სისხლდენად, რა დროსაც საჭიროა სისხლის ან სისხლის შემცვლელი ხსნარების გადასხმა. ამის პარალელურად, საჭიროა სისხლდენის მიზეზის აღმოფხვრა, რადგან თუ სისხლდენა გრძელდება, მხოლოდ გადასხმა შედეგს ვერ გამოიღებს. რაც შეეხება თრომბოპემორაგიულ სინდრომს, იგი შეიძლება განვითარდეს მასიური სისხლდენისა და სისხლისა და სისხლის შემცველი ხსნარების მასიური გადასხმის დროს, იმის გამო, რომ ხდება შედეგებისა და ჰემოსტატიური ფაქტორების მქონე სისხლის კარგვა და მისი ჩანაცვლება ასეთი ფაქტორების არმქონე სისხლით. თრომბოპემორაგიული სინდრომი შეიძლება ასევე გან-

ვითარდეს იმ შემთხვევაში, თუ ხდება მხოლოდ სისხლის შემცვლელი ხსნარების გადასხმა. სამედიცინო ისტორია არ იყო სრულყოფილი, მან ვერ ნახა ვერც ერთი ოქმი სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმის შესახებ, მაშინ, როცა სავალდებულოა, თითოეული გადასხმისას შეივსოს შესაბამისი ოქმი. იმ გათვლით, რომ კატასტროფის ბრიგადის მოსვლამდე დაკარგული იყო 4 ლიტრი სისხლი, ამ ოდენობის სისხლი შეიძლება დაიკარგოს ატონიური სისხლდენისას. ამ დროს სისხლდენა ყველა სისხლძარღვიდან მიდის. მწვავე სისხლნაკლებობა შესაძლებელია, განვითარდეს როგორც წვრილ სისხლძარღვთა მრავლობითი დაზიანებით, ასევე – მსხვილი კალიბრის სისხლძარღვის დაზიანების შედეგად.

22. მოწმის სახით დაკითხულმა ა. კ-მა თავისი ჩვენებით დადასტურა სსიპ „...“ 2013 წლის 26 სექტემბრის №... დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი: ც. თ-ის სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული საკეისრო კვეთის შემდგომ ატონიური სისხლდენისა და მარცხენა თედოს გარეთა ვენის დაზიანების გამო. თედოს გარეთა მარცხენა ვენა დაზიანებულია რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედების შედეგად, მიეკუთვნება დაზიანებათა ძირითად ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიფათოს და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში აღნიშნულ თარიღს. მისივე განმარტებით, საშვილოსნოს ექსტრიპაცია – ამოკვეთა ჩატარდა მას შემდეგ, რაც განვითარდა ატონიური სისხლდენა და ვერ მოხერხდა მისი კონსერვატორულად ანუ მედიკამენტებით შეჩერება. ამის გათვალისწინებით, საშვილოსნოს ამპუტაცია ამ შემთხვევაში არის პირდაპირი ჩვენება. მასალების შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ სისხლდენის შეჩერება ვერ მოხერხდა, ამის გამო განხორციელდა მისი დატამპონება, ხდებოდა კომპრესია და სისხლძარღვის მიჭყლეტა ხერხემლის სვეტზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვერ ხერხდებოდა სისხლდენის სრული შეჩერება, რის გამოც ლოგიკური იყო ანგიოლოგების გამოძახება. ამდენად, თითოეული ქმედება განხორციელდა სწორად და თანმიმდევრულად. ნებისმიერი სისხლდენის შეჩერების მიზნით, ვენური თუ კაპილარული სისხლდენის დროს, გამოიყენება ანალოგიური მეოთხედი: მიჭყლეტა, დატამპონება, გადაკვანძვა. სამედიცინო დოკუმენტებში მითითებული ფაქტის მიხედვით, სისხლდენა ამ მიდამოდან დაიწყო ექსტრიპაციის დროს, ანუ მეორე ოპერაციის დასრულებისას. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამ პერიოდში უნდა დაზიანებულიყო თედოს გარეთა ვენა და ამის გამო გამო-

იძახეს ანგიოქირურგები. მისივე განმარტებით, ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია არის ქირურგიული აგრესია და ლოგიკურია, რომ საკეისრო კვეთისას იქნებოდა გარკვეული რაოდენობის სისხლის დანაკარგი. სისხლის დანაკარგი იქნებოდა ექსტრიპაციის დროსაც, უფრო მეტი – ატონიური სისხლდენის გამო და სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიუთითა, რომ სიკვდილის მიზეზი არის მწვავე სისხლნაკლებობა, რაც განვითარდა ატონიური სისხლდენისა და თეძოს გარეთა ვენის დაზიანების გამო. რომელმა უფრო დიდი როლი ითამაშა – ატონიურმა სისხლდენამ, თუ მარცხენა თეძოს გარეთა ვენის დაზიანებით გამოწვეულმა სისხლდენამ, ამ საკითხის გადაწყვეტა სცდება ექსპერტიზის შესაძლებლობის ფარგლებს. მართალია, ატონიური სისხლდენა საშვილოსნოს ამოკვეთით აღმოიფხვრა, მაგრამ ორგანიზმს უკვე დააკლდა გარკვეული რაოდენობის სისხლი. ამის შემდეგ, სხვა სახის სისხლდენა რომ არ განვითარებულიყო და სისხლის გადასხმის შედეგად დაკარგული სისხლი შევსებულიყო, ფატალური შედეგი – პაციენტის გარდაცვალების სახით – დადგებოდა თუ არა, ამ საკითხის განსაზღვრა რეანიმატოლოგის კომპეტენციას მიეკუთვნება. კატეგორიული მტკიცება, თუ როდის და ვინ დააზიანა თეძოს გარეთა ვენა, მას არ შეუძლია. თუმცა, საგულისხმოა, რომ დენა აღნიშნული მიდამოდან დაიწყო ექსტრიპაციის დასრულებისას. გვამის დათვალიერებისას რომ ყოფილიყო ვენის ხილული პათოლოგია, ამას აუცილებლად აღწერდა, ეჭვის შემთხვევაშიც კი სპეციალური კვლევა ტარდება. თუმცა, ვენის ვარიკოზული დაავადების აღმოჩენა შეიძლება ცოცხალი ადამიანის გამოკვლევისას, გვამის შემთხვევაში შეუძლებელია ამის მტკიცება. დაზიანებული ვენის ირგვლივ რაიმე სხვა მსხვილი კალიბრის ვენის დაზიანება მას არ უნახავს, იყო მცირე კალიბრის ვენების დაზიანება.

23. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კ-ის სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ის რაიონული სამმართველოს ქ. წ-ის პოლიციის თანაშემწე-გამომძიებელ გ. ჯ-ის ჩვენებით დგინდება, რომ შეტყობინების საფუძველზე გავიდა შემთხვევის ადგილზე და დათვალიერა იგი. შენობაში თითქმის ყველაფერი დანგრეული და დაზიანებული იყო, ყველა ოთახი იყო დარბეული. საოპერაციო ოთახში ესენა მდებრობითი სქესის გვამი, რომელიც ექსპერტმა დაათვალიერა. იმავე ღამეს გადაიგზავნა მიმართვა სამედიცინო ისტორიის გამოთხოვის მიზნით, რადგან გვამზე საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება, ხოლო ამისათვის ექსპერტი ითხოვდა ავადმყოფობის ისტორიას. ამდენად, ავადმყოფობის ისტორია გვამის გადასვენებამდე იქნა წარ-

მოდგენილი.

24. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კ-ის სამხარეო მთავარი სამმართველოს ს-ის რაიონული სამმართველოს ქ. წ-ის პოლიციის თანაშემწე-გამომძიებელ ე. ბ-ის ჩვენებით დგინდება, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინების საფუძველზე იმყოფებოდა შემთხვევის ადგილას, მთლიანად ესწრებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესს, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღია. უბრალოდ, იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, ვინაიდან დაძაბული სიტუაცია იყო. შენობა არის ორსართულიანი, მისი მინები იყო დაშლად. საოპერაციო ოთახში ესვენა ც. თ-ის გვამი. ოთახში იყო სისხლისმაგვარი ლაქებით დაღაქული ზეწრები, სამუშაო იარაღები. ოთახს ფანჯარა ჰქონდა ეზოს მხარეს, ფანჯარა იყო დახურული.

25. მონმე გ. ხ-ის ჩვენებით დგინდება, რომ გამოძახების შემდეგ შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად გამომძიებელთან ერთად შევიდა შენობაში, რომელიც იყო დარბეული, შუშები – ჩამსხვრეული; საოპერაციოში ესვენა ქალის გვამი. როგორც ახსოვს, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, მართალია, მუშები არ უნახავს, მაგრამ სამშენებლო იარაღები ნახა.

26. ბრალდებულმა ი. დ-მა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და აჩვენა, რომ 2013 წლის 4 სექტემბერს სამშობიარო სახლში მომხდარი ინციდენტისა და დარბევის შედეგად პაციენტი ც. თ-ის სამედიცინო ისტორიისა და დოკუმენტაციის ნაწილი დაიკარგა, რადგან აღნიშნული დოკუმენტაცია ინახებოდა წინასაოპერაციო დარბაზში. ამასთან, დაადასტურა ის ფაქტი, რომ ც. თ. ორსულობის მე-20 კვირიდან იყო მისი პაციენტი. მისივე განმარტებით, სწორედ ოპერაციის დაწყებამდე შეივსო წინასაოპერაციო ანამნეზი და, ამავდროულად, უშუალოდ პაციენტისგან წერილობითი ფორმით მიიღეს თანხმობა საკეისრო კვეთის ჩატარების თაობაზე. ოპერაციის დაწყებამდე გაკეთდა სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, ჩატარდა გამოკვლევა პროთრომბინზე, რა დროსაც არანაირი უკუჩვენება არ დაფიქსირებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წლის 4 სექტემბერს, 13:00 საათზე, დაიწყო საკეისრო კვეთის ოპერაცია. ოპერაცია თავად დაიწყო; მასთან ერთად ოპერაციაში მონაწილეობდნენ – გ. მ., პედიატრი თ. ბ., მედდები – მ. ჯ. და მ. ჯ., ანესთეზიოლოგი ნ. გ. და სანიტარი მ. ბ.. უშუალოდ მის მოვალეობაში შედიოდა საკეისრო კვეთის ჩატარება, ნაყოფის ამოყვანა, საშვილოსნოს მთლიანობის აღდგენა, ხოლო გ. მ-ს ჰქონდა დამხმარის ფუნქცია. საკეისრო კვეთა და-

ინყო უშუალოდ მან და გაკვეთა მუცლის ღრუ, სამედიცინო ინსტრუმენტებს აწვდიდა საოპერაციო მედდა, ხოლო გ. მ. ეხმარებოდა შესაბამისი მანიპულაციების განხორციელებაში, რათა უფრო სწრაფად ამოეყვანათ ნაყოფი. მუცლის ღრუს გახსნისას ინახა ბადექონი, რომელიც, ზოგადად მოძრავია, მაგრამ ამ შემთხვევაში აღინიშნებოდა მიხორცება. ახალშობილის ამოყვანის მიზნით, გადაიჭრა ბადექონი, რომელიც უშუალოდ ვინ გადაჭრა, ზუსტად არ ახსოვს. რადგან ასისტენტი – გ. მ. ეხმარებოდა, ერთ-ერთი მათგანი ადებდა მომჭერს, ხოლო მეორე – კვეთდა. საშვილოსნო მდებარეობს არა მენჯის ღრუში, არამედ – მუცლის ღრუში, მუცლის ზედაპირზე, კანიდან 1,5 სმ-ის მოშორებით. შემდეგ მან გაკვეთა საშვილოსნოს წინა კედელი და ამოიყვანა ნაყოფი. ამის შემდეგ ასისტენტმა ჭიპლარზე დაადო 2 მომჭერი და გადაიკვეთა. ნაყოფის ამოყვანის შემდეგ ხელით მოაშორა მომყოლი, გამოასუფთავა საშვილოსნო და დაიწყო საშვილოსნოს გაკერვა სამ შრედ. პირველი შრე უშუალოდ მან გაკერა, მაგრამ ოპერაციის დაწყებიდან დაახლოებით 25 წუთის შემდეგ, ვინაიდან პრობლემა შეიქმნა ანესთეზიის აპარატზე, იგი იძულებული გახდა, ოპერატორის ფუნქცია გადაეხარებინა არანაკლები გამოცდილებისა და პრაქტიკის მქონე გ. მ-თვის, ხოლო თვითონ საოპერაციო ბლოკში მდგარი მეორე ანესთეზიის აპარატზე გადართო პაციენტი. უშუალოდ ანესთეზიოლოგი ამ მანიპულაციას ვერ განახორციელებდა, რადგან ამ დროს პაციენტი გადაყვანილი იყო ხელით მართვად მექანიკურ სუნთქვაზე. ამავდროულად, როგორც მცირე საშტატო განაკვეთის კლინიკას, მას შიდა ბრძანებით ჰქონდა დავალებული ანესთეზიის აპარატურაზე მეთვალყურეობა და ყველაზე კარგად იგი ერკვეოდა ამ საკითხში. აპარატის გადართვას დასჭირდა დაახლოებით 3-5 წუთი, ხოლო ხელების სტერილიზაციას – 8-10 წუთი, რის შემდეგაც იგი დაბრუნდა საოპერაციო მაგიდასთან, რა დროსაც ოპერაციას უკვე წარმართავდა გ. მ., ხოლო ასისტენტობას უწევდა მ. ჯ.. მან უკვე მ. ჯ. ჩაანაცვლა და გახდა ასისტენტი. ოპერაციის საბოლოო დამთავრებისათვის საჭირო იყო დაახლოებით 30-40 წუთი. საშვილოსნოს გაკერვის დასრულებას დასჭირდებოდა დაახლოებით 20-25 წუთი. მისი შემოსვლის მომენტისათვის უკვე მესამე შრის აღდგენას ახორციელებდა გ. მ., სწორედ ამაში მიეხმარა იგი. მესამე შრე გაიკერა, დათვალიერდა, სისხლდენა არ შეინიშნებოდა. შემდეგ გაასუფთავეს საშვილოსნო და დაიწყო მუცლის ღრუს დახურვა. მუცლის ღრუს დახურვამდე, რადგან ბადექონი მომჭერებს შორის იყო გადაკვეთილი, საჭირო გახდა მისი მთლიანობის აღდგენა, ვინა-

იდან იყო შეხორცება და არსებობდა შესაძლებლობა, ამას გამოეწვია გაუვალობა. ბადექონი ნაწილობრივ ამოიკვეთა. აღნიშნული მანიპულაცია მუცლის ზემოთ ჩაატარა გ. მ-მა მისი დახმარებით, რასაც დაახლოებით 10-15 წუთი დასჭირდა. მუცლის ღრუს დახურვა დამთავრებული არ იყო, როცა შეამჩნიეს მენჯის ღრუს მარცხენა, უკანა გვერდითა კედელთან, ზედა მხარეს, ბადექონის აშრეების ადგილზე, მცირე სისხლიანი გამოწინადენი. ამიტომ აღარ დახურეს მუცლის ღრუ, რადგან, მართალია, იყო მცირე სისხლიანი გამოწინადენი, მაგრამ საჭიროდ ჩათვალეს მისი შეჩერება. ამის გამო, გ. მ-მა დაადო მომჭერი, ხოლო ძავით – კვანძი, ანუ შეასრულა ლიგირება. მაგრამ მას შემდეგ, რაც მომჭერი მოიხსნა, სისხლდენამ გადაინაცვლა ლიგირებული მონაკვეთის ქვევით, ისევე განხორციელდა ლიგირება, მაგრამ სისხლდენა ქვედა მხარეს მიდიოდა. 2 თუ 3 ცდის შემდეგ ჩათვალეს, რომ იყო არაორდინალური შემთხვევა და გ-მამ მოითხოვა ქირურგის – ნ. ლ-ის დახმარება – კონსულტაცია. ეს მოხდა დაახლოებით 14:00 საათზე. გამოიძახეს ნ. ლ., რომელიც დაახლოებით 25-30 წუთის შემდეგ მოვიდა. ამ დროის განმავლობაში დადებული იყო მომჭერები და სისხლდენაც შეჩერებული იყო. სისხლდენა, მისი აზრით, გავის ვენური წნულიდან მომდინარეობდა და სწორედ ამის გამო მოიწვიეს ქირურგი. ნ. ლ-ის მოსვლის შემდეგ მან ასისტენტის ფუნქცია დაუთმო მას, ხოლო თავად ჩამოშორდა ოპერაციას. ოპერაციაში ნ. ლ-ის ჩართვის შემდეგ, დაახლოებით 15:00 – დან 15:30 საათამდე დროის შუალედში, ჩაატარეს საშვილოსნოს ამპუტაცია. თუ რატომ მიიღეს ამ სახის გადაწყვეტილება გ. მ-მა და ნ. ლ-მა, ზუსტად არ იცის. ოპერაციის მსვლელობისას მან მხოლოდ მოისმინა, რომ საშვილოსნო მოდუნდა და ამის გამო მიიღეს ამ სახის გადაწყვეტილება. ანგიოქირურგის გამოძახება სწორედ ამის შემდეგ გახდა საჭირო, რადგან თავდაპირველად სისხლდენა იყო მცირე მასშტაბის. დაახლოებით 17:00 საათზე ოპერატორმა – გ. მ-მა გამოიძახა კატასტროფის ბრიგადა, უფრო სწორედ, გ. მ-მა მოითხოვა მათი გამოძახება, ხოლო მან ტექნიკური მხარე უზრუნველყო. ოპერატორი სტერილურ გარემოში ვერ განახორციელებდა სატელეფონო კომუნიკაციას. კატასტროფის ბრიგადა შედგებოდა ვ. ა-ის, პ. ჟ-ის, მ. კ-სა და დამხმარე ექიმ-თანაშემწისაგან. კატასტროფის ბრიგადის მოსვლის შემდეგ, მათი მოთხოვნით, დააყენეს სისხლის ამქაჩი. იგი ვ. ა-ს ეხმარებოდა – აწვდიდა სამედიცინო ინსტრუმენტებს. ის და გ. მ. ფაქტობრივად ჩამოცილებულნი იყვნენ ოპერაციის მიმდინარეობას. კატასტროფის ბრიგადის ასისტენტის ფუნქციას ასრულებდა ნ.

ლ., ხოლო დაახლოებით 1 საათში მოითხოვეს კიდევ ერთი ასისტენტი, რის გამოც ოპერაციაში ჩაერთო გ. ნ.. რაც შეეხება სისხლის დანაკარგს, უშუალოდ საკეისრო კვეთისას დაიკარგებოდა დაახლოებით 400-500 მმ სისხლი, ზუსტი მოცულობა არ იცის, თუმცა, კატასტროფის ბრიგადის მოსვლის შემდეგ, ვინაიდან სისხლის შეგროვება ამქაჩის მეშვეობით ხორციელდებოდა რეზერვუარში, მისი ოდენობის განსაზღვრა იყო შესაძლებელი და შეადგინა 7 ლიტრი. რაც შეეხება ვარიკოზულ ვენებს, ვარიკოზული ვენები მას არ უნახავს, მაგრამ აღნიშნულზე საუბრობდა ანგიოქირურგი. გამომძიებელმა იგი გაიყვანა შემთხვევის ადგილზე დარბევის ფაქტთან დაკავშირებით, რის გამოც სამედიცინო ისტორიის ის ნაწილი, რომელიც მას უნდა დაენერა, დაწერა გ. მ-მა პოლიციის შენობაში. ისტორიის პირველ ნაწილს, რომელიც უშუალოდ მას ეხება და დაწერილია გ. მ-ის მიერ, იგი ეთანხმება, მაგრამ რაც შეეხება ისტორიის მეორე ნაწილს, არ ეთანხმება, ვინაიდან დაიწერა პოლიციის განყოფილებაში კატასტროფის ბრიგადის წევრების კარნახით.

27. ... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ც. თ-ის სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული საკეისრო კვეთის შემდგომი ატონიური სისხლდენისა და მარცხენა თეძოს გარეთა ვენის დაზიანებათა გამო. სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, სიკვდილი დადგა 05.09.2013 წლის 01:10 საათზე, რაც არ ეწინააღმდეგება გვამის გამოკვლევისას ნანახ გვამურ მოვლენებს. თეძოს მარცხენა გარეთა ვენის დაზიანება მიყენებულია რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედების შედეგად, მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში აღნიშნულ თარიღს – 05.09.2014 წელს.

28. ... ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, სამედიცინო დოკუმენტაციების ჩანაწერებით ოპერაცია – საკეისრო კვეთა ჩატარდა ჩვენების მიხედვით და ნაწარმოებია სწორად. საშვილოსნოს ამოკვეთა იყო მართებული, ვინაიდან ოპერაციის დროს განვითარდა საშვილოსნოს ჰიპოტონია და სისხლდენის შეჩერება არ არის მითითებული. რაც შეეხება საშვილოსნოს ექსტრინპაციას, ეს ოპერაცია ოპერაციის ოქმში დაწვრილებით არ არის აღწერილი. ამავე ოქმის მიხედვით შეუძლებელია დადგინდეს, ოპერაციის ზუსტად რა ეტაპზე დაზიანდა მარცხენა თეძოს გარეთა ვენა, ვინაიდან ც. თ-ეს ორჯერ გადატანილი ჰქონდა საკეისრო კვეთა, ოპერაციის წარმოება ტექნიკურად დაკავშირებული იყო დიდ სირთულეებთან და ასეთ შემთხვევაში მსხვილი

სისხლძარღვის დაზიანება მოსალოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, მეან-გინეკოლოგი ვალდებული იყო, დროულად ამოეცნო დაზიანებული სისხლძარღვი და დროულად მოეხდინა დაზიანებული სისხლძარღვის კომპრესია, ტამპონადა და შემდგომ დაუყოვნებლივ გამოეძახა სისხლძარღვთა ქირურგი. დროულად რომ მომხდარიყო დაზიანებული სისხლძარღვის კომპრესია და ტამპონადა, გაიზრდებოდა ც. თ-ს გადარჩენის შანსი.

29. შპს „...“ 2013 წლის 4 სექტემბრის რეგისტრაციის №... ბართით, რაზეც წინასასამართლო სხდომის ეტაპზე ბრალდებისა და დაცვის მხარე შეთანხმდნენ როგორც უდავო სახის მტკიცებულებაზე, დასტურდება, რომ შპს „...“ სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის – ი. დ-ის მიერ 18:00 საათზე დაფიქსირებული შეტყობინების საფუძველზე ექიმი მ. კ., ექთან – ლ. ლ., მეან-გინეკოლოგი – პ. ჟ. და ანგიოქირურგი – ვ. ა. გამოძახების ადგილზე გავიდნენ 18:05 საათზე.

30. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად სამშობიაროში სათანადო პირობების, ოპერაციისათვის საჭირო სათანადო იარაღებისა და პაციენტისთვის აუცილებელი შესაბამისი კვლევების ჩატარებლობის ფაქტი ვერ დადგინდა, ვინაიდან აღნიშნული გარემოებები არ დაუდასტურებია სამედიცინო პერსონალის არც ერთ წევრს, პირიქით, მონმე მ. ჯ-მა აჩვენა, რომ კატასტროფის ბრიგადის წევრებს არანაირი ხელსაწყოები არ ჩამოუტანიათ. მონმე ნ. გ-მა აჩვენა, რომ სამშობიაროს ის ნაწილი, სადაც მიმდინარეობდა ოპერაცია, მზად იყო პაციენტის მისაღებად, ასევე, არ შეუმჩნევია, რომ მათ გამოეყენებინოთ განსხვავებული სამედიცინო იარაღები. მონმე თ. ბ-მა მიუთითა, რომ სამშობიარო მომზადებული იყო პაციენტის მისაღებად. მონმე ფ. ა-მა განმარტა, რომ სისხლს სამშობიარო სახლის პირველ სართულზე მდებარე ლაბორატორიაში იღებდა. ლაბორატორიის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, აღჭურვილი ყველა შესაბამისი აპარატურითა და ინვენტარით. გარდაცვლილის მეუღლემ, მონმე ბ. თ-ემ აჩვენა, რომ ოპერაციის წინ მის მეუღლეს აუღეს ანალიზები და უთხრეს, რომ ყველაფერი რიგზე იყო. გარდაცვლილის დის, ც. ბ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ ორსულობის პერიოდში პაციენტს ყველა პროცედურა ჰქონდა ჩატარებული, ხოლო ანალიზები – აღებული. მონმე ე. კ-მა განმარტა, რომ საოპერაციო ბლოკში მათი მისვლისას მუშაობდა „ნაროკო პ-ს“ ტიპის აპარატი და მისი ფუნქციონირებისას რაიმე პრობლემა არ წარმოშობილა. მონმე პ. ჟ-მა აჩვენა, რომ ვ. ა-ს ჰქონდა რამდენიმე საოპერაციო იარაღი, რომლებიც



ფაქტობრივად არ გამოუყენებია და სარგებლობდა საოპერაციო ბლოკში არსებული ხელსაწყოებით. მონმე ვ. ა-აც მიუთითა, რომ ყველა საჭირო ინსტრუმენტი და მათ შორის – ძაფები იყო ადგილზე, საოპერაციო ბლოკში.

31. საკასაციო პალატა აღნიშნავს: მხოლოდ ის ფაქტი (რაც ბრალდებულებიც არ უარყოფენ), რომ სამშობიარო სახლის გარკვეულ მონაკვეთში მიმდინარეოდა სარემონტო სამუშაოები, არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ სამშობიაროში არ იყო ოპერაციის ჩასატარებლად აუცილებელი პირობები. ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ (მაგალითად, ექსპერტის დასკვნა, რევიზიის აქტი, საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვ.), რომ რემონტის მიმდინარეობა აფერხებდა ოპერაციის პროცესს. მეტიც, ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით პალატას უტყუარად დადგენილად მიაჩნია, რომ სამშობიარო მზად იყო ოპერაციის ჩასატარებლად და პაციენტიც მომზადებული იყო საკეისრო კვეთისთვის.

32. ბრალდების იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომ გ. მ-მა და ი. დ-მა საკეისრო კვეთის დროს პაციენტს დაუზიანეს თეძოს მარცხენა ვენა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მონმეების – ნ. კ-ას, მ. ჯ-ის, ნ. გ-სა და ფ. ა-ის ჩვენებებზე, კერძოდ: ექსპერტმა ნ. კ-ამ განმარტა, რომ უშუალოდ საკეისრო კვეთის დროს ძალიან ძნელი წარმოადგენია, რომ თეძოს გარეთა ვენა დაზიანდეს, ვინაიდან იგი ტოპოგრაფიულად სულ სხვაგან მდებარეობს, ხოლო საკეისრო კვეთის დროს განაკვეთი კეთდება საშვილოსნოს წინა კედელზე. მონმე მ. ჯ-სა და ნ. გ-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ სისხლდენა (უშუალოდ საკეისრო კვეთის დამთავრების შემდეგ) არ იყო ძლიერი და ატარებდა ზედაპირულ ხასიათს. მონმე ფ. ა-ს ჩვენებით ირკვევა, რომ სამშობიაროში მივიდა დახლოებით 16 საათის შემდეგ, სისხლის მიწოდება კი დაახლოებით 17 საათიდან დაიწყო. აღნიშნული ჩვენებების შეფასების საფუძველზე საკასაციო პალატა გამორიცხავს ბრალდების მხარის ვერსიას თეძოს მარცხენა ვენის საკეისრო კვეთის დროს დაზიანებისა და ინტენსიური სისხლდენის დაახლოებით 13:30 საათიდან დაწყების შესახებ.

33. რაც შეეხება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ პაციენტის თეძოს ვენა ი. დ-ს დაუზიანდა საშვილოსნოს ექსტრიპაციისას, ამასთან დაკავშირებით, პალატა აღნიშნავს, რომ მონმე მ. ჯ-ის ჩვენებით დადასტურებულია, რომ ნ. ლ-ის მისვლის შემდეგ ი. დ. გამოეთიშა ოპერაციას. თავად ი. დ-ც მიუთითებს, რომ ლ-ის მისვლის შემდეგ იგი გამოეთიშა ოპერაციას და საშვილოსნოს ამპუტაცია გ. მ-მა და ნ. ლ-მა გააკეთეს, რასაც ადას-

ტურებს გამართლებული გ. მ-ც. შესაბამისად, საკასაციო პალატისთვის გაუგებარია, თუ რატომ შეერაცხა ბრალად საშვილოსნოს ექსტრიპაციისას თეძოს ვენის შესაძლო დაზინება ი. დ-ს, რომელიც არ მონაწილეობდა აღნიშნულ მანიპულაციაში, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატა იმავე განაჩენში მიუთითებს გ. მ-ის ბრალეულობის დაუდასტურებლობაზე იმ მოტივით, რომ ვერ დადგინდა, ვინ დააზიანა თეძოს ვენა – გ. მო-მა თუ ნ. ლ-მა.

34. სააპელაციო პალატის მიერ მოშველიებულ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც: „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, გადააბაროს პროფესიული საქმიანობისას შესასრულებელი ამოცანა სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ან სასწავლო მიზნით ექიმის ფუნქციის შემსრულებელს, რომელსაც არ გააჩნია საამისოდ აუცილებელი ოფიციალური დოკუმენტი, თუ ის დარწმუნებულია, რომ სამედიცინო პერსონალს, რომელსაც დაავალა სამუშაოს შესრულება, აქვს სათანადო ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები. ასეთ შემთხვევებში სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებელია გადამბარებელი“, – პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული კანონის მოთხოვნა ვერ გახდება ი. დ-ის პასუხისმგებლობის საფუძველი, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონიფიცირებულია და ქმედება პირს შეერაცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ხელყო კანონით დაცული სიკეთე. სააპელაციო პალატის ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში გამოდის, ი. დ-ს რომ არ დაეგვიანებინა (სააპელაციო პალატის შეფასებით) კატასტროფის ბრიგადის გამოძახება და პაციენტის გადარჩენა მაინც ვერ მოხერხებულიყო კატასტროფის ბრიგადის არაკომპეტენტურობის ან შეცდომის გამო, პაციენტის სიცოცხლის მოსპობისთვის პასუხს მაინც ი. დ. აგებდა, რაც უსაფუძვლოა და არ შეესაბამება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსსა და მიზნებს.

35. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ექიმები – ი. დ. და გ. მ. მიიჩნევენ, რომ პაციენტის თეძოს ვენა დააზიანეს კატასტროფის ბრიგადის წარმომადგენლებმა, კერძოდ ვ. ა-მა, თუმცა კატასტროფის ბრიგადის წევრებს მიაჩნიათ, რომ ვენა დააზიანეს „...“ სამშობიაროს ექიმებმა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ აქვს ეჭვის შეტანის საფუძველი არც ერთი მათგანის ჩვენებაში, ხოლო რაიმე სხვა მტკიცებულება, თუ კონკრეტულად, ვინ

და როდის დაუზიანა პაციენტს ვენა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია. კერძოდ: ექსპერტმა კ. ა-ა განმარტა, რომ მას გადაჭრით არ შეუძლია განაცხადოს, თუ ვინ დააზიანა ვენა, მაგრამ მისთვის ძნელად წარმოსადგენია, რომ ვენა დაეზიანებინათ კატასტროფის ბრიგადის ექიმებს. ექსპერტმა ნ. კ-ამ მიუთითა, რომ თედოს გარეთა ვენა, სავარაუდოდ, საშვილოსნოს ამოკვეთისას დაზიანდებოდა. ექსპერტმა კ. ც-მა აღნიშნა, რომ ზუსტად არ შეუძლია განსაზღვროს, თუ როდის დაზიანდა ვენა, მაგრამ ვინაიდან გამოიძახეს კატასტროფის ბრიგადა და სწორედ მათ ჩანაწერებში დაფიქსირდა პირველად დაზიანებული ვენა, ვარაუდობს, რომ იგი კატასტროფის ბრიგადის გამოძახებამდე დაზიანდა. ექსპერტმა ა. კ-აც დაადასტურა, რომ კატეგორიულად არ შეუძლია თქვას, თუ ვინ და როდის დააზიანა ვენა, თუმცა საგულისხმოა, რომ სისხლდენა ამ მიდამოდან დაიწყო ექსტრიპაციის დასრულებისას. ამდენად, წარმოდგენილი ექსპერტები მხოლოდ ვარაუდობენ, თუ როდის დაზიანდა თედოს ვენა და მით უმეტეს, ვარაუდის დონეზეც არ იციან, ვინ დააზიანა იგი, რის გამოც საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, დადგენილად მიიჩნიოს მისი დაზიანება ი. დ-სა და გ. მ-ის მიერ საშვილოსნოს ექსტრიპაციის ჩატარებისას, ვინაიდან ეს მტკიცება არ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მაღალ სამართლებრივ სტანდარტს და წარმოდგენს მხოლოდ ვარაუდს, რის გამოც, საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი.

36. რაც შეეხება დაზარალებულის ნათესავების – მეუღლისა და დის მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომ თითქოსდა მათ მოისმინეს უშუალოდ კატასტროფის ბრიგადის ექიმებისგან ოპერაციის მიმდინარეობისას ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა – „აქ რა გინდოდათ, რატომ გადაჭერთო“, პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მოწმე მ. კ-მა აჩვენა, რომ ვერ იხსენებს ოპერაციის დროს ან პ. ჟ-ს ან ვ. ა-ს ეთქვათ, რომ მათ აღმოაჩინეს დაზიანებული გადაჭრილი თედოს ვენა. მ. ჯ-მა განაცხადა, რომ ოპერაციის დროს კატასტროფის ბრიგადის ექიმებს თედოს გარეთა ვენა არ უხსენებიათ. ასეთი რამ რომ, ეთქვათ აუცილებლად გაიგებდა. ნ. გ-მა აჩვენა, რომ საოპერაციო მაგიდასთან ახლოს იდგა და ექიმების საუბარი ესმოდა. არ მოუსმენია კატასტროფის ექიმებს ეთქვათ, რატომ გადაჭერთ ვენაო. თ. ბ-მა აღნიშნა, რომ არ მოუსმენია ექიმებს ეთქვათ, რომ თედოს გარეთა ვენა იყო დაზიანებული. მოწმე გ. ნ-მა განმარტა, რომ ოპერაციის დროს

საუბარი არ ყოფილა მარცხენა თედოს ვენის დაზიანებაზე. ამასთანავე, პალატა მიუთითებს იმაზეც, რომ მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ საოპერაციოს ფანჯარა იყო დახურული და, შესაბამისად, პაციენტის ნათესავები ვერ მოისმენდნენ ოთახში მიმდინარე საუბარს.

37. ვ. ა-ის ჩვენების იმ ნაწილთან მიმართებით, რომ თითქოს ჯერ კიდევ სატელეფონო საუბრისას გაირკვა, რომ, სავარაუდოდ, დაზიანებული იყო თედოს ვენა, პალატა მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში პალატისთვის გაუგებარი ხდება, სისხლდენის წყაროზე ინფორმირებულობის პირობებში, რატომ ჩაერთო ოპერაციაში ჯერ პ. ჟ., რომელმაც დანამატები ამოკვეთა, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო ოპერაციაში ვ. ა., რომელმაც დაიწყო სისხლდენის წყაროს ძებნა.

38. პალატა ყურადღებას ამახვილებს წარდგენილ ბრალდებაზე იმ კონტექსტშიც, რომ დადგენილება პირის ბრალდების შესახებ ი. დ-სა და გ. მ-ს ერთმნიშვნელოვნად ედავება იმას, რომ „ისინი ვალდებულნი იყვნენ, დროულად ამოეცნოთ დაზიანებული სისხლძარღვი და დროულად მოეხდინათ მისი კომპრესია“. ბრალდების შესახებ დადგენილებაში გამოყენებული სიტყვა „ვალდებულება“ იმ კონტექსტში, რომ ბრალდებულებს უნდა შეესრულებინათ ინტელექტუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე ქმედება (დაზიანებული სისხლძარღვის დროული აღმოჩენა), არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არც თვითიმედოვნებად და არც დაუდევრობად. სამედიცინო მანიპულაციებისას ისეთი ქმედების დროულად ვერ შესრულება, როგორც არის დაზიანებული სისხლძარღვის აღმოჩენა, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც არაშესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ ისეთი ქმედების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღება, რომლის განსახორციელებლად მას შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია არ გააჩნია და, შესაბამისად, მისი მხრიდან წარმოადგენს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას, რაც გამოიხატება თვითიმედოვნებაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდება ამ მიმართებით არც გ. მ-სა და არც ი. დ-ს არ აქვთ წარდგენილი, ხოლო, თავის მხრივ, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს ბრალდების ფარგლებს, პალატა ამ მიმართულებით არ მსჯელობს.

39. რაც შეეხება დამხმარე ბრიგადის გამოძახების დაგვიანების ფაქტს, საკასაციო პალატა, მართალია, არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ პაციენტის თედოს ვენა დააზიანეს „...“ ექიმებმა, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტენსიური სისხლდენის დანყების შემდეგ, იმ ვი-

თარებაში, როდესაც თვითონ ვერ გაუმკლავდნენ შექმნილ რთულ მდგომარეობას, პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით მათ ნამდვილად წარმოეშვათ ვალდებულება, გამოეძახათ დამხმარე ბრიგადა. თუმცა, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტი ინტენსიური სისხლდენის 13:40 საათიდან დანყების შესახებ, არ დადასტურდა გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: ი. დ-ის, მ. ჯ-ის, ნ. გ-სა და თ. ბ-ის ჩვენებებით ირკვევა, რომ საკეისრო კვეთის დამთავრების შემდეგ შეინიშნებოდა მცირე სისხლიანი გამონადენი, რაც ექსპერტ ნ. კ-სა და ბრალდებულ ი. დ-ის ჩვენებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სავარაუდოდ, მოჟონავდა გავის ვენური ნნულებიდან, რომელიც შესაძლოა ბადექონის მოშორების დროს დაზიანდა. ანესთეზიოლოგ ნ. გ-ის ჩვენებით ასევე ირკვევა, რომ შემდეგ სისხლდენამ მოიმატა და გახდა ინტენსიური საშვილოსნოს ამპუტაციის შემდეგ. აღნიშნული ჩვენებებისა და ტრანსფუზიოლოგ ფ. ა-ის ჩვენების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, სისხლის გადასხმის საჭიროება დადგა 16:00 საათის შემდეგ, პალატას მიაჩნია, რომ ინტენსიური სისხლდენა დაიწყო სწორედ მეორე ოპერაციის – საშვილოსნოს ექსტრიპაციის დამთავრების შემდეგ (რამაც სააპელაციო პალატას მისცა საფუძველი დასკვნისთვის, რომ პაციენტის ვენა სწორედ ამ დროს დაზიანდა). შესაბამისად, კატასტროფის ბრიგადის გამოძახების ვალდებულება, პალატის მოსაზრებით, სწორედ საშვილოსნოს ექსტრიპაციის დასრულების შემდეგ წარმოიშვა. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დროს დაიწყო საშვილოსნოს კვეთა (ექსტრიპაცია), იძლევიან მონმის სახით დაკითხული პირები: მ. ჯ., ნ. გ., თ. ბ. და ი. დ.. აღნიშნულ მონმეთა ჩვენებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერებით დასტურდება, რომ დაახლოებით 14:30 – დან 14:45 საათამდე დროის შუალედში, მცირე სისხლდენის შეჩერების მიზნით, დასახმარებლად მიიწვიეს ქირურგი ნ. ლ., რომელიც გ. მ-თან ერთად ჩაერთო ოპერაციაში და მხოლოდ ამ მომენტის შემდეგ, სავარაუდოდ, 30 წუთიდან 1 საათის ინტერვალში, ვინაიდან არ შეიკუმშა საშვილოსნო და განვითარდა ატონიური სისხლდენა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საშვილოსნოს ექსტრიპაციის შესახებ.

40. აღნიშნულთან მიმართებით სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უშუალოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარემ გამოსაკვლევ მტკიცებულებათა ნუსხიდან მოხსნა მონმე ნ. ლ-ის ჩვენების გამოკვლევის საკითხი, რომლის დაკითხვის შემთხვევაშიც შესაძლებელი

იქნებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემო-  
ებების დადგენა: მისი ოპერაციაში ჩართვის რეალური მიზეზის  
დადგენა, საშვილოსნოს ექსტრიპაციის დაწყებისა და დამთავ-  
რების ზუსტი დროის განსაზღვრა და ასევე, შესაძლებელი იქ-  
ნებოდა კატასტროფის ცენტრის თანამშრომელთა მიერ ჩატა-  
რებული ოპერაციის დროს გამოვლენილ ფაქტებსა და გარემო-  
ებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება. ამასთან, ის გა-  
რემოება, რომ საშვილოსნოს ექსტრიპაცია განხორციელდა და-  
ახლოებით 15:00 საათის შემდეგ, ასევე დასტურდება ბ. თ-ის  
ჩვენებითაც, როდესაც იგი უთითებს, რომ დაახლოებით 2-3 სა-  
ათის შემდეგ გამოვიდა ი. დ. და უთხრა, რომ იყო სერიოზული  
პრობლემა და საშვილოსნო უნდა ამოეჭრათ. ზემოაღნიშნული-  
დან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც, თუ გავითვალისწინებთ,  
რომ კატასტროფის სამედიცინო ცენტრში ოფიციალური გამო-  
ძახება დაფიქსირდა 17:51 საათზე, აღნიშნული დრო, ექსპერტ  
ნ. კ-ას მიერ საშვილოსნოს კვეთისთვის განსაზღვრული დროის  
– 3 საათის გათვალისწინებით, არ არის დაგვიანებული. მაგრამ,  
მიუხედავად ამისა, სასამართლო ობიექტური შეფასების გარე-  
შე ვერ დატოვებს იმ გარემოებას, რომ როგორც მოწმეთა ჩვენ-  
ებებით, ისე საქმეში წარმოდგენილი შპს „...“ ამოღებული შე-  
მაჯალი და გამავალი ზარების ამსახველი ნუსხით დასტურდე-  
ბა, რომ დამხმარე ჯგუფის მობილიზება შპს „...“ სამშობიარო  
სახლის ექიმებმა დაიწყეს დაახლოებით 17:00 საათზე. კერძოდ,  
პირველი სატელეფონო კონტაქტი მ. კ-თან შედგა 17:02 საათ-  
ზე. დაახლოებით ამავე პერიოდში განხორციელდა პირველი  
კონტაქტი პ. უ-თან, კერძოდ, როგორც მისი ჩვენებით დასტურ-  
დება, 2013 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 17:15 საათზე,  
იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც მობილური ტელეფონის მეშ-  
ვეობით მას დაუკავშირდა შპს „...“ სამშობიარო სახლის ნეონა-  
ტოლოგი და განუმარტა, რომ ნნორში იყო „რალაც“ შემთხვევა  
და გ. მ-ს სურდა მასთან საუბარი. ის გარემოება, რომ გ. მ. და ი.  
დ. 17:51 საათამდე აქტიურად ეძებდნენ დამხმარე სპეციალის-  
ტებს, დასტურდება ვ. ა-ის ჩვენებითაც, რომლის თანახმადაც,  
2013 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 17:30 საათზე, მას ტე-  
ლეფონით დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ იყო გარკვეული  
პრობლემა ნ-ის სამშობიარო სახლში და საჭირო იყო ანგიოქი-  
რურგის დახმარება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შპს  
„...“ თანამშრომელ მ. კ-ის ჩვენებაც, რომლითაც დგინდება, რომ  
კატასტროფის მედიცინის ცენტრში მუდმივად არ მორიგეობენ  
კონსულტანტები (ანუ ვინრო სპეციალობის ექიმები, მათ შო-  
რის – ანგიოქირურგიც). საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება მა-

თი მოძიება და გამოძახების ადგილზე გაყვანა. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურდა პ. ჟ-სა და ვ. ა-ის ჩვენებებითაც. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პ. ჟ., რომელიც იმ დროს იმყოფებოდა შვებულეებაში და ვ. ა., რომელიც იმ დღეს ისვენებდა, კატასტროფის მედიცინის ცენტრის სარეგისტრაციო ბარათის მიხედვით, 18:00 საათზე შესული შეტყობინების საფუძველზე, 18:05 საათის მდგომარეობით, უკვე ირიცხებოდნენ კატასტროფის ბრიგადის შემადგენლობაში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ რეალურად დამხმარე ჯგუფი შპს „...“ სამშობიარო სახლის ექიმებმა საკუთარი ძალეობით მოიძიეს და ამის შემდეგ გამოძახების ფორმალური მხარეც დააფიქსირეს.

41. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს რა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რაც ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადანყვივით ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ<sup>3</sup>, ასევე – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს, რომ მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთკავშირში მყოფი დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას<sup>4</sup>, მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა ი. დ-სა და გ. მ-ის მიერ ც. თ-თვის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტი, რის გამოც მსჯავრდებული ი. დ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ

<sup>3</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>4</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე Labita v. Italy №26772/95, 2000 წლის 1 მარტი და Fyodorov and Fyodorova v. Ukraine №39229/03, 2011 წლის 7 ივლისი.

ბრალდებაში, ხოლო გამართლებულ გ. მ-ის მიმართ სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. პროკურორ ი. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებულ ი. დ-ის ადვოკატის – დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
4. მსჯავრდებული ი. დ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.
5. ი. დ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
6. გამართლებულ ი. დ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის  
ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა**

**განაჩენი**

№462აპ-16

10 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ გ. ჩ-ას ინტერესების დამცველი ად-  
ვოკატების – ნ. კ-ის, თ. მ-სა და დ. მ-ის საკასაციო საჩივარი  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 თე-  
ბერვლის განაჩენით გ. ჩ., – ნასამართლობის არმქონე, – ცნო-  
ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3  
ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფ-  
რთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო  
საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე  
დაზიანება და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 12 აპრილს, დაახლოებით 12:15 საათზე, ხ-ში,  
დ-ის ქუჩაზე, ს.-ზ-ის მიმართულებით, „საგზაო მოძრაობის შე-  
სახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნათა დარ-  
ღვევით, დაშვებულზე გადაჭარბებული სიჩქარით ავტომანქა-  
ნა „მერსედესით“ მოძრაობდა გ. ჩ.. დ-ის №-ში მდებარე საც-  
ხოვრებელ სახლთან, გვერდულზე გაჩერებული იყო მიკროავ-  
ტობუსი. ამავე დროს დ-ის ქ. №-ში მდებარე საცხოვრებელი სახ-  
ლიდან გამოვიდა და ს.-ზ-ის მიმართულებით გზის მარჯვენა  
მხრიდან მარჯვნიდან მარცხნივ ნელი სირბილით გზის გადაკ-  
ვეთა დაიწყო არასრულწლოვანმა – 11 წლის ა. ჯ-ამ, რომელსაც  
ავტომანქანის წინა, მარჯვენა ფრთის შუა ნაწილით შეეჯახა გ.  
ჩ.. ა. ჯ-ამ შეჯახების შედეგად მიიღო სიცოცხლისათვის სახი-  
ფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები. შემთხვევის შემდეგ ა. ჯ.  
გ. ჩ-ამ გადაიყვანა საავადმყოფოში, სადაც ის გარდაიცვალა.

3. აღნიშნული ქმედებისათვის გ. ჩ-ას საქართველოს სსკ-ის  
276-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავი-

სუფლები ადკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2016 წლის 26 თებერვლიდან; მასვე 3 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება. გაუქმდა გ. ჩ-ას მიმართ ადკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო და გირაოს უზრუნველსაყოფად თ. ს-ის უძრავ ქონებაზე (მდებარე ს-ში, ი. ქ-ის ქ. №-ში (ყოფილი ...), საკადასტრო კოდი - ...) დადებული ყადაღა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში მოიხსნა. გ. ჩ-ას დაუბრუნდა პასპორტი, პირადობის ელექტრონული მონმოზა და მართვის მონმოზა.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ნ. კ-ემ, თ. მ-ემ და დ. მ-მა. მათ ითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განაჩენის გაუქმება და გ. ჩ-ას გამართლება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის ადვოკატების სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორები - მსჯავრდებულ გ. ჩ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატები - ნ. კ., თ. მ. და დ. მ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რის გამოც უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღების დროს არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

8. განაჩენი უნდა ემყარებოდეს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მხოლოდ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებებს, ხოლო მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ნებისმიერი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

9. კასატორთა აზრით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადგენილია მხოლოდ ის, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს ხ-ში, ც. დ-ის ქუჩაზე გამავალ თ.-ს.-ლ-ის საავტომობილო გზის ...-ე კილომეტრზე და წარმოადგენს ორმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილ საავტომობილო გზას. ამ ოქმში არ არის აღნიშნული ქვეითის მიერ გზის გადაკვეთის ადგილი, ასევე - შეჯახების, ავტომანქანის გაჩერების, ქვეითის დავარ-

დნის ადგილები და სხვა, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აუცილებელია დასახლებული ოქმის საფუძველზე სრულყოფილი ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისა და დასკვნის გაცემისათვის. მიუხედავად ამ დაუდგენელი გარემოებებისა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით მიჩნეულია, რომ ქვეითის გამოჩენის დროს მძღოლის მხედველობის არეში ავტომობილი შეჯახების ადგილიდან დაცილებული იქნებოდა 44,6 მეტრით და იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი იმოდრავებდა დასაშვები – 60 კმ/სთ სიჩქარით, ქვეითს ვერ შეეჯახებოდა.

10. ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა რომ სრულად არ ასახავს მომხდარი შემთხვევის განვითარების მექანიზმს და არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც საფუძველად დაედება გამამტყუნებელ განაჩენს, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა სასამართლო სხდომაზე ექსპერტ ზ. გ-ის დაკითხვით. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარდგენილ, ლ. სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას, რომლის უტყუარობა და დამაჯერებლობა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა დ. გ-მა, იგი პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოტანილი განაჩენით უარყო, თუმცა განაჩენში გამოიყენა დაცვის მხარის მიერ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტში მითითებული მანძილები, თვითონ დაიანგარიშა, ჩაატარა გარკვეული გამოთვლები და მიუთითა, რომ: „გ. ჩ-ამ არამკვეთრი დამუხრუჭებით გაიარა ზემოთ მითითებული 38,4 მეტრი მანძილი, რის შემდეგაც შეეჯახა ა. ჯ-ას, რომელიც გადავარდა 10 მეტრში“. მოსამართლის ამგვარი ქმედების ახსნა სააპელაციო სასამართლოს არც უცდია.

11. საჩივრის ავტორთა აზრით, თუ გავიზიარებთ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს, გამოდის, რომ: ა) გ. ჩ-ას შეუსრულებია ის პირობა, რაც მასზე იყო დამოკიდებული და რაც ბრალის დადგენილებასა და ბრალდების მხარის ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული, თუმცა შეჯახება მაინც ვერ აიცვალა; ბ) გ. ჩ-ას შესრულებული აქვს ბრალდების მხარის ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული მეორე ალტერნატიული პირობაც (სიჩქარის შენელება), რასაც გვიდასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლო.

12. აღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა, თუ რომელი ექსპერტიზის დასკვნა დაუდო საფუძველად სასამართლომ გ. ჩ-ას დამნაშავედ ცნობას. იმისათვის, რათა როგორმე დაედგინა გამამტყუნებელი განაჩენი, პირველი ინსტანციის მოსამართლემ შეითავსა ექსპერტის ფუნქცია, თავისი გამოთვლებითა

და დადგენილი გარემოებებით ფაქტობრივად გამოორიცხა გ. ჩ-ას მიერ მოვალეობათა დარღვევის ის ფაქტები, რომლებსაც მას ბრალდების მხარე ედავებოდა და დაადგინა ახალი გარემოებები, რაზეც ბრალდების ექსპერტიზის დასკვნაში საერთოდ არ არის მსჯელობა. სააპელაციო სასამართლოს არც ამ საკითხზე უმსჯელია.

13. დადგენილია, რომ დაჯახების შემდეგ ბავშვი დავარდა ნინ და მარჯვნივ, დაახლოებით 10 მეტრზე დაჯახების ადგილიდან; ისიც უდავოდაა დადგენილი, რომ შეჯახების შემდეგ გ. ჩ-ას ავტომანქანა გაჩერდა ბავშვის დავარდნის ადგილის პარალელურად. არც ერთი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებში არ არის ახსნილი ის გარემოება, თუ რომელი უტყუარი მტკიცებულების საფუძველზე მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ გ. ჩ. შემთხვევისას მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით. შესაბამისად, მთელი ეს გამოთვლები, დაანგარიშებები, ახალი გარემოებების დადგენა და ბრალდების ფორმულირების შეცვლა მხოლოდ იმიტომ დასჭირდა მოსამართლეს, რომ ბავშვის დავარდნისა და მანქანის გაჩერების ადგილები დაემთხვია ერთმანეთისათვის, გაეზარდა გასაჩერებელი მანძილი და როგორმე დაესაბუთებინა გამამტყუნებელი განაჩენი.

14. კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია სასჯელის ნაწილშიც. სასამართლომ მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენა მაქსიმუმთან მიახლოებული სასჯელი, რაც ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს; არ გაითვალისწინა გ. ჩ-ას ქცევა ქმედების შემდეგ – მან და მისმა მეუღლემ დაშავებული ბავშვი საკუთარი ავტომანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში და ცდილობდნენ მის გადარჩენას.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენის გაუქმებას და გ. ჩ-ას გამართლებას.

16. საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა – დ. მ-მა და ნ. კ-ემ მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება, ხოლო პროკურორმა ლ. ბ-ამ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ ქ. ხ-ში, დ-ის ქუჩაზე გამავალ თ.-ს.-ლ-ის საავტომობილო გზის ...-ე კილომეტრზე, გზის სავალ ნაწილზე, ასფალტის საფარზე, შეინიშნება მონითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები, რომლებიც გრძელდება გზის მეორე ზოლის მიმართულებით, სწორხაზოვნად კვეთს საპირისპირო მოძრაობის ზოლს, სადაც თბილისიდან ზუგდიდის მიმართულებით სამოძრაო ზოლის მარჯვენა, უკიდურეს ნაწილში, ასფალტისსაფარიან გვერდულსა და მოხრეშილი გვერდულის ნაწილზე შეინიშნება მცირე ზომის, მონითალო ფერის სისხლისმაგვარი სითხის გუბე.

3. მოწმე დ. კ-ის ჩვენებით, იგი ჯ. ძ-სთან ერთად ესწრებოდა გამოძიებულ გ. ს-ას მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას. სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს იყო სისხლის გუბე, კვალი მიდიოდა პერპენდიკულარულად და ჩერდებოდა გზის სავალ ნაწილზე. მას ახსოვს, რომ სისხლის კვალი სხვაგან არ ყოფილა.

4. 2015 წლის 12 აპრილის ავტომობილის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომობილს დაზიანებული აქვს წინა, მარჯვენა ფრთა, მარჯვენა წინა და უკანა კარები, ასევე – მარჯვენა გვერდითა ხედვის სარკის მინა და პლასტმასის დეტალები, დაზარულია წინა საქარე მინა მარჯვენა ნაწილში. 2015 წლის 15 აპრილის ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული დაზიანებები თავისი ფორმით, წარმოქმნის მექანიზმითა და განვითარების ხასიათით დამახასიათებელია მათი რაიმე რბილი საფარის მქონე სხეულთან შეჯახება-ურთიერთმოქმედებისათვის, როგორც შესაძლებელია იყოს ადამიანის სხეულიც.

5. მოწმე ლ. ს-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 12 აპრილს იგი მამიდაშვილთან ერთად იჯდა თავისი ძმის – გ. ს-ას მიკროავტობუსში, რომელიც მან გააჩერა გზის სავალი ნაწილის გვერდულზე და გადავიდა მალაზიაში სიგარეტის საყიდლად. ამ დროს დაინახა გ. ჯ-ას სახლის ჭიშკრიდან ხტუნვა-ხტუნვით გამოსული ა. ჯ.. შეჯახების მომენტი არ დაუნახავს, რადგან თავის მამიდაშვილს ესაუბრებოდა, დაინახა ჰაერში ავარდნილი ბავშვი, რომელიც გზის სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს დავარდა.

6. მოწმე ე. ჯ-ას ჩვენებით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ გ. ჩ-ას ავტომანქანა გაჩერებული იყო გზაზე, თავისი სავალი ნაწილიდან მოპირდაპირე ზოლში; ასევე დაინახა, რომ მძღოლმა დაშავებული ბავშვი აიყვანა გზის მარჯვენა მხრიდან, დაანვინა თავისი მანქანის უკანა სავარძელზე და დაიყვანა ზუგ-

დიდის მიმართულებით (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი).

7. მოწმე ლ. ს-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 12 აპრილს თვითონ, მისი მეუღლე და შვილი მიდიოდნენ ს-დან ზ-ის მიმართულებით, რა დროსაც ხ-ის გასასვლელთან მათი მანქანა შეეჯახა ბავშვს. შეჯახებამდე 1-2 წუთით ადრე მას მობილურ ტელეფონზე დედამ დაურეკა. დარეკვამდე მან სპიდომეტრს დახედა და ნახა, რომ მათი მანქანა დაახლოებით 50 მილი/სთ სიჩქარით მოძრაობდა, შემდეგ აღარ მიუქცევია ყურადღება, შეამცირა თუ გაზარდა მისმა მეუღლემ სიჩქარე. დაჯახების მომენტში მათი მანქანა რა სიჩქარით მოძრაობდა, ვერ განსაზღვრავს, რადგან საუბრობდა ტელეფონით. ბავშვი რომ დაინახა, ფაქტობრივად, იმწუთასვე მოხდა შეჯახება. იცის, რომ მეუღლემ საჭე აიღო მარცხნივ, შეჯახების მომენტში მანქანის წინა, მარცხენა მხარე გადასული იყო საპირისპირო სამოძრაო ზოლში. შეჯახების შემდეგ მანქანა მთლიანად გაჩერებული იყო საპირისპირო ზოლის შუაში. ბავშვის დავარდნის ადგილი და მათი მანქანის უკანა მხარე თითქმის ერთმანეთის გასწვრივ, პარალელურად იყო. ბავშვი გადარბოდა მარჯვნიდან მარცხნივ, სწორხაზოვნად.

8. მოწმე გ. რ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 12 აპრილს ის, მისი მეუღლე და შვილი მიდიოდნენ ს-დან ზ-ის მიმართულებით. სანამ მიკროავტობუსს დაინახავდა, მოძრაობდა დაახლოებით 50 მილი/სთ სიჩქარით. მას შემდეგ, რაც გვერდულზე გაჩერებული მიკროავტობუსი დაინახა, აიღო ფეხი სიჩქარის პედლიდან და გადაინია მარცხნივ, ღერძულა ხაზისაკენ. მიკროავტობუსთან დაახლოებით 3-4 მეტრში იყო, როდესაც შენიშნა, რომ ბავშვი ნელი სირბილით გამოსცდა გვერდულ ხაზს და შემოვიდა მის სამოძრაო ზოლში. მან საჭე მიმართა მარცხნივ და დაიწყო დამუხრუჭება. შეჯახება მოხდა მისი ავტომანქანის წინა, მარჯვენა ფრთის დაბოლოებით და უკანა ჩასახედი სარკით. შეჯახებისას ბავშვი იყო მარჯვენა მხარეს, მის სამოძრაო ზოლში, ხოლო ავტომანქანის წინა, მარცხენა მხარე გადასული იყო საპირისპირო მოძრაობის ზოლში. შეჯახების შემდეგ გ. რ. მთლიანად გადავიდა საპირისპირო ზოლში, გააჩერა მანქანა, გადავიდა და წავიდა ბავშვისაკენ, რომელიც იმყოფებოდა მანქანის უკანა კარის გასწვრივ, მარჯვენა სამოძრაო ზოლში. საჭის გადანევა მარცხნივ და ინსტინქტურად დამუხრუჭება, ფაქტობრივად, ერთდროულად მოხდა. შეჯახების მომენტში სიჩქარე დაახლოებით იყო 35 მილი/სთ-ში. მან შეჯახების შემდეგ ბავშვის ვარდნის ადგილი მიუთითა ზუსტად და არა – სავარაუდოდ.

9. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთა-

ვარი სამმართველოს ი-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №... დასკვნის თანახმად, „გამოძიებით დადგენილ ვითარებაში მძლოლ გ. ჩ-ას, ტექნიკური თვალსაზრისით, შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება“. დასკვნას ხელს აწერს მთავარი ექსპერტი ზ. გ..

10. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ექსპერტი ზ. გ., რომელმაც განაცხადა, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს მისთვის არ იყო ცნობილი ავტომანქანის დგომის/გაჩერების ადგილი, ადგილი, სადაც ქვეითი გადარბოდა და ადგილი, სადაც აღმოჩნდა მისი სხეული შეჯახების შედეგად. გამოძიებით დადგენილი იყო, რომ შეჯახება მოხდა საპირისპირო მოძრაობის ზოლის შუა ნაწილში. იმ შემთხვევაში, როცა დაჯახება ხდება მანქანის წინა, მარჯვენა, გვერდითი ნაწილით, სხეული გადაადგილდება წინ და მარჯვნივ. გამოძიებით აგრეთვე დადგენილი იყო, რომ მძლოლი მოძრაობდა 80კმ/სთ სიჩქარით. 80კმ/სთ სიჩქარით (50 მილი/საათში) მოძრაობა ავტომობილმა სამუხრუჭე კვალი უნდა დატოვოს დაახლოებით 32-35 მეტრზე. გამოძიებლის დადგენილებაში აღწერილ ვითარებაში მოცემული ავტოსაგზაო შემთხვევა შეიძლება განვითარებულიყო იმ ნახაზისა და საქმის მასალების მიხედვით, რაც ექსპერტს ჰქონდა. დაცვის მხარის შეკითხვაზე ექსპერტმა ზ. გ-მა განაცხადა: „ზუსტი მონაცემები რომ მქონოდა – სად გაჩერდა მანქანა, დახრის კუთხე, როგორი იყო ქვეითის განლაგება დაცემის შემდეგ, შეიძლება, მიმელო ჩემი დასკვნის საპირისპირო დასკვნა და მეთქვა, რომ მძლოლს არ შეეძლო ამ შემთხვევის თავიდან აცილება, მაგრამ მონაცემები რომ არ მქონდა, ეს არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ დასკვნა არ დამეწერა. მე ჩავატარე მარტივი პროპორცია... ქვეითის ვარდნის ადგილი თუ ვიცით, ჩვენი პროგრამის მეშვეობით ვადგენთ, სად მოხდა შეჯახება“.

11. დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 3 აგვისტოს №... დასკვნის თანახმად, „მოცემულ კონკრეტულ პირობებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმი, ტექნიკური თვალსაზრისით, არ შეიძლება განვითარებულიყო იმ პირობებში, როგორც ეს გამოძიებას აქვს მიჩნეული. მოცემულ საგზაო პირობებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმი, ტექნიკური თვალსაზრისით, უნდა განვითარებულიყო ისე, როგორც ეს შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მძლოლის გამოკითხვის ოქმსა და სა-

გამოძიებო ექსპერიმენტშია ასახული. მოცემულ კონკრეტულ პირობებში, ავტომობილ „მერსედეს-ბენცის“ მძღოლი გ. ჩ., ტექნიკური თვალსაზრისით, მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებლყოფა არ აღინიშნება“. დასკვნას ხელს აწერს ექსპერტი დ. გ., რომელმაც სასამართლო სხდომაზე დაკითხვის დროს დაადასტურა მის მიერ შედგენილი დასკვნის სისწორე და დამატებით განაცხადა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისას განიხილა გამოძიების მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულება: მონშეების, მათ შორის – გ. ჩ-ას ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ექსპერიმენტის ოქმი, ავტომობილზე არსებული დაზიანებები და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ჩ-ას ჩვენება მთლიანად შეესაბამება ავტოსაგზაო შემთხვევის განვითარების მექანიზმს და იგი მოცემულ კონკრეტულ პირობებში სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა.

12. მონშე დ. გ-ის ჩვენებით ასევე დადგენილია, რომ, როგორც წესი, ქვეითზე ავტომობილის დაჯახების დროს ქვეითის სხეულის განთავსების ადგილი დაჯახების შემდეგ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – საავტომობილო გზის მარჯვენა კიდე – არასოდეს წარმოადგენს დაჯახების ადგილს, ვინაიდან დაჯახების შემდეგ, დაჯახების ძალების გავლენით ქვეითის სხეული ყოველთვის გადაადგილდება და უფრო ხშირად ხდება მისი გასროლა წინ და ნაწილობრივ – მარჯვნივ. მოცემულ პირობებში, როცა ქვეითის დაჯახება ხდება ავტომობილის გვერდით ნაწილთან, წარმოიქმნება წყვილი ძალა, რომელიც მის სხეულს ანიჭებს ბრუნვით მოძრაობას, ამავდროულად, გასროლა მოხდება წინ და ნაწილობრივ – მარჯვნივ. სხეულის ვარდნის აღნიშნული მექანიზმი მიუთითებს, რომ მოცემულ პირობებში ავტომობილის კონტაქტი მომხდარია გზის შუა ნაწილში, გზის მარჯვენა კიდიდან დაახლოებით 2.7 მეტრის დაშორებით, რის შემდეგაც ა. ჯ. დაჯახების ადგილიდან გადავარდა გზის გრძივი ღერძის პარალელური ხაზიდან მარჯვნივ.

13. ექსპერტ დ. გ-ის ჩვენებით, ავტომობილისა და ქვეითის დაჯახების ადგილად გამოძიებას მიღებული აქვს საპირისპირო მოძრაობის ზოლის შუა ნაწილი, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ: დაჯახების ადგილად მიჩნეული კოორდინატი, ფაქტობრივად, მდებარეობს იმ ადგილას, სადაც საბოლოოდ გაჩერდა ავტომობილის მარჯვენა გვერდითი ნაწილი, რაც მთლიანად გამორიცხავს მოცემულ



მიდამოში დაჯახების შესაძლებლობას, ხოლო, ამასთან, თუ დაჯახება მოხდებოდა მოცემულ კოორდინატებში, ა. ჯ. ვერანაირად ვერ აღმოჩნდებოდა საავტომობილო გზის მარჯვენა კიდედან. ასეთ პირობებში იგი დაეცემოდა საავტომობილო გზის ცენტრში. თუ შეჯახება მოხდებოდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში, როგორც ეს გამოდიებას აქვს მიჩნეული, მაშინ გამოდის, რომ დაჯახებაც და ავტომანქანის გაჩერებაც ერთ ნერტიში მოხდა, რაც გამორიცხულია, რადგან დაჯახების შემდეგ ავტომანქანა მაშინვე ვერ გაჩერდებოდა, იგი უნდა გადაადგილებულიყო. ყველა შემთხვევაში დაჯახების ადგილი უნდა იყოს ის კოორდინატი, რომელსაც მძღოლი მიუთითებს – თავისი საშუალო ზოლი, გზის კიდიდან დაახლოებით 2.7 მეტრი მანძილი. იმ შემთხვევაში, თუ დაჯახება მოხდებოდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში, ავტომობილი გადალახავდა საავტომობილო გზის მარცხენა გვერდულს და საბოლოოდ, აღმოჩნდებოდა გზის მიღმა, რაც არ მომხდარა.

14. ექსპერტების – ზ. გ-სა და დ. გ-ის ჩვენებებით, 1970 წელს შემუშავებული სპეციალური ცხრილების მიხედვით, არსებობს ქვეითად მოსიარულეთა ხუთი ტემპი, ესენია: ნელი ნაბიჯი, საშუალო ნაბიჯი, სწრაფი ნაბიჯი, ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი. მოწმების – გ. რ-ას, ლ. ს-ის, ლ. ს-ას ჩვენებებით დადგენილია, რომ ა. ჯ. მოძრაობდა ნელი სირბილით ანუ, მეთოდურად მიღებული ცხრილის მიხედვით, მისი სიჩქარე უნდა ყოფილიყო დაახლოებით 9.5 კმ/სთ. მოწმე დ. გ-ის ჩვენებით, ნელი სირბილი წარმოადგენს მაღალ ტემპს. მოძრაობის აღნიშნული ტემპი, ტექნიკური თვალსაზრისით, შეესაბამება შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის დაზიანების ხარისხს; ტექნიკური გაანგარიშებით, საფრთხის შექმნის მომენტში ავტომობილი, რომელსაც გ. რ. მართავდა, დაჯახების ადგილიდან დაშორებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით 16 მეტრით. მოცემულ პირობებში ავტომობილის სრული გაჩერებისათვის საჭიროა 35 მეტრი, რაც, ფაქტობრივად, ორჯერ და მეტჯერ აღემატება გ. რ-ას განკარგულებაში არსებულ მანძილს.

15. მოწმის სახით დაკითხული ექსპერტ დ. გ-ის ჩვენებით, მძღოლის მიერ ბავშვის დანახვის მანძილი და საფრთხის შექმნის მომენტი სხვადასხვაა. საფრთხე შეიქმნა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ქვეითმა ა. ჯ-ამ დაიწყო საავტომობილო გზის გადაკვეთა. მიკროავტობუსის საავტომობილო გზის გვერდულზე დგომა-არდგომა ავტოსაგზაო შემთხვევასა და ავტოტექნიკური ექსპერტიზის შედეგზე არანაირ გავლენას არ მოახდენდა. საქმეში არსებული მასალებიდან, მათ შორის – გამოძიების

მიერ შედგენილი სქემიდან – გამომდინარე, სისხლის გუბე, სა-  
დაც ა. ჯ-ას ვარდნის ადგილია, და ავტომობილის გაჩერების ად-  
გილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ავტომობილი უშუალოდ საგ-  
ზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს არ მოძრაობდა დიდი  
სიჩქარით. რაც უფრო დიდია ავტომანქანის სიჩქარე, მით უფ-  
რო შორს ხდება ქვეითის ვარდნა. გ. ჩ-ას 80 კმ/სთ სიჩქარით  
რომ ემოძრავა, დარტყმის შედეგად ბავშვს უფრო შორს გადა-  
აგებდა და მანქანაც სხვა ადგილას გაჩერდებოდა. მოცემულ  
შემთხვევაში, ავტომობილი გადაადგილდებოდა 50-60 კმ/სთ-  
ით და ამ სიჩქარით მოძრავი ვერც ერთი ავტომანქანა შეჯახე-  
ბას ვერავითარ შემთხვევაში თავიდან ვერ აიცილებდა.

16. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მიერ  
გამამტყუნებელი განაჩენისათვის საკმარის მტკიცებულებათა  
ერთობლიობას თავისი არსით არ გააჩნია ერთმანეთთან შეთან-  
ხმებული, აშკარა და დამაჯერებელი ხასიათი, კერძოდ: სააპე-  
ლაციო პალატამ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუ-  
დო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მის საფუძველ-  
ზე ჩატარებული საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალის-  
ტიკური მთავარი სამმართველოს იმერეთის საექსპერტო-კრი-  
მინალისტიკური სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №... დასკვნა  
და არათავითხილველ მონმეთა ჩვენებები.

17. ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
276-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირებისათვის აუცი-  
ლებელია კუმულაციურად შემდეგი წინაპირობების თანაარსე-  
ბობა: ავტომობილის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის  
დარღვევა, მოცემული დარღვევის იმ პირის მიერ ჩადენა, რო-  
მელიც მართავს ავტომობილს და ჯანმრთელობის მიძიმედ და-  
ზიანების ფაქტის დადასტურება.

18. პირველ კომპონენტთან მიმართებით გასათვალისწინე-  
ბელია, რომ ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კო-  
დექსის 276-ე მუხლს გააჩნია ბლანკეტური ხასიათი, ამდენად,  
უსაფრთხოების წესის დარღვევის დადგენის სახელმძღვანე-  
ლო ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საგ-  
ზაო მოძრაობის შესახებ“ (კერძოდ, განსახილველ შემთხვევა-  
ში 33.1, 33.2, 33.6 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნე-  
ბი). აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების წესის დარღვევის და-  
მადასტურებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა  
ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან იმის დასადგენად, რომ წინ-  
დახედულობის ნორმის დარღვევამ გამოიწვია თუ არა სისხლის-  
სამართლებრივად დასჯადი შედეგი, მოითხოვს სპეციალურ  
ცოდნას. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ წინდახედულო-

ბის ნორმის როგორც დაცვის, ისე მისი უზღუდბელყოფის დროს ერთი და იგივე შედეგი დადგეს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვეითის მიერ თვითსაფრთხის შექმნით რისკის ამაღლების შეფასება. ამიტომ სატრანსპორტო დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ექსპერტიზის დასკვნასა და მის უტყუარ/კატეგორიულ ხასიათს ენიჭება.

19. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღების დროს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, იხელმძღვანელა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, რომელიც არ შეიცავს ისეთ მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტობრივ გარემოებებს, როგორებიცაა: ქვეითის (ა. ჯ-ას) მიერ საავტომობილო გზის გადაკვეთის, შეჯახების, დავარდნისა და ავტომობილის გაჩერების ადგილები.

20. გასათვალისწინებელია, რომ ხარვეზი, რომელიც ზემოდასახელებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის არასრულფასოვნებამ გამოიწვია, არ არის შევსებული ბრალდების მხარის სხვა სახის მტკიცებულებით. შესაბამისად, 2015 წლის 8 ივნისის №... ექსპერტიზის დასკვნის ავტორმა ზ. გ-მა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე არც უარყო ის, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროს მან არ იცოდა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები (ავტომანქანის დგომის ადგილი, ადგილი, სადაც ქვეითი გადარბოდა და ადგილი, სადაც აღმოჩნდა მისი სხეული შეჯახების შედეგად). მისი განმარტებით, ზუსტი მონაცემების ფლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო საპირისპირო დასკვნის მიღება.

21. პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოთ დასახელებულ ექსპერტიზის დასკვნას ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 3 აგვისტოს №... დასკვნა, რომლის თანახმად, „გ. ჩ., ტექნიკური თვალსაზრისით, მომდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უზღუდბელყოფა არ აღინიშნება“.

22. სააპელაციო პალატამ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა არ მიიღო მხედველობაში იმ მოტივით, რომ იგი გ. ჩ-ას გამოკითხვის ოქმში აღწერილ გარემოებებს და ამავე გამოკითხვის ოქმის საფუძველზე შედგენილ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს ეყრდნობოდა. პალატა ვერ დაეთანხმება დასახელებულ მოტივაციას შემდეგ გარემოებათა გამო: ექსპერტმა დ. გ-მა სასამარ-

თლო სხდომაზე არაერთხელ განმარტა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისას იხელმძღვანელა გამოძიების მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულებით, მათ შორის – შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ექსპერიმენტის ოქმით, ავტომობილზე არსებული დაზიანებებით, მონმეთა ჩვენებებითა და მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა კონკრეტულ დასკვნამდე; ამასთან, პალატა განმარტავს, რომ გ. ჩ., ისევე როგორც მისი მეუღლე, წარმოადგენდნენ თვითმხილველ მონმეებს, რომელთა მიერ სასამართლო სხდომაზე გაცხადებული ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება დასახელებულ დასკვნას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სხვა, პირდაპირი სახის მტკიცებულება, თვითმხილველი მონმის სახით, რომელიც დაადასტურებდა საპირისპიროს, სისხლის სამართლის მასალებში არ მოიპოვება. ამდენად, საკასაციო პალატას დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნია.

23. რაც შეეხება გ. ჩ-ას მიერ სიჩქარის გადაჭარბებას, აღსანიშნავია, რომ ექსპერტ დ. გ-ის ჩვენების თანახმად, გ. ჩ-ას 80 კმ/სთ სიჩქარით რომ ემოდრავა, დარტყმის შედეგად ბავშვს უფრო შორს გადაადგებდა და მანქანაც სხვა ადგილას გაჩერდებოდა. ექსპერტის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ავტომობილი გადაადგილდებოდა 50-60 კმ/სთ სიჩქარით, რის გამოც ამ სიჩქარით მოძრავი ვერც ერთი ავტომანქანა შეჯახებას ვერავითარ შემთხვევაში თავიდან ვერ აიცილებდა. სხვა პირდაპირი სახის მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა გ. ჩ-ს მიერ გადაჭარბებული – 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობას, საქმის მასალებში არ მოიპოვება. მართალია, მონმე ლ. ს-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ავტომობილი მოძრაობდა დაახლოებით 50 მილი/სთ სიჩქარით (რაც ექსპერტ ზ. გ-ის ჩვენების თანახმად, შეესაბამება 80 კმ-ს საათში), მაგრამ აღნიშნულ სიჩქარეზე მონმემ შეჯახებამდე 1-2 წუთით ადრე მიუთითა, ე.ი. იმ დრომდე, სანამ მას მობილურ ტელეფონზე დედა დაურეკავდა. აღნიშნულის შემდეგ მას სიჩქარისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ამდენად, უშუალოდ შეჯახების მომენტში ლ. ს-თვის ცნობილი არ იყო სიჩქარის შესახებ. დადგენილია, რომ დაჯახების შემდეგ ქვეითი ა. ჯ. გადავარდა წინ და მარჯვნივ, დაახლოებით 10 მეტრში. ასევე უდავოა დადგენილი, რომ დაჯახების შემდეგ გ. ჩ-ს ავტომანქანა გაჩერდა ბავშვის დავარდნის პარალელურად, საპირისპირო სამოძრაო ზოლში. გ. ჩ-ას ავტომანქანა 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, დაუმუხრუჭებლად რომ დასჯახებოდა ა. ჯ-ას, უნდა გაჩერებულიყო დაახლო-

ებით 10 მეტრში, რაც სასამართლო სხდომაზე დაკითხული ორივე მხარის ექსპერტების ჩვენებების თანახმად, შეუძლებელია. ექსპერტმა დ. გ-მა აგრეთვე აღნიშნა, რომ რაც უფრო დიდია ავტომობილის სიჩქარე, მით უფრო შორს ვარდება ქვეითი, შესაბამისად, დასკვნა, რომ გ. ჩ-ამ დასაშვებზე გადაჭარბებული სიჩქარით დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, უსაფუძვლოა.

24. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადანაცდეს. მოცემული საკანონმდებლო დანაწესის მიზანს ფაქტობრივი გარემოებების მტკიცებულებებით გაუმყარებლობის შემთხვევაში პირის მსჯავრდების გამორიცხვა წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია თავად ბრალმდებელს. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სახელმძღვანელო მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს პირის ბრალეულობას; ხოლო ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი განაჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაბუთებულად, როდესაც იგი სასამართლოს განხილვის დროს გამოკვლელულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას ემყარება. ამავდროულად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყოველი დასკვნა თუ გადანაცვტილება სათანადო დასაბუთებას მოითხოვს.

25. ამდენად, ზემოაღნიშნულ ნორმათა მოთხოვნების შესაბამისად, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალები არ ემყარება უტყუარ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც, თავის მხრივ, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით დაადასტურებდა

გ. ჩ-ას მიერ დანაშაულის ჩადენას, ვინაიდან:

- შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი არ ასახავს ა. ჯ-ს მიერ საავტომობილო გზის გადაკვეთის, შეჯახების, დავარდნისა და ავტომობილის გაჩერების ადგილებს;

- საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის №... დასკვნასა და ექსპერტ ზ. გ-ის ჩვენებას არ გააჩნია უტყუარობის მაღალი ხასიათი;

- საქმეში არ არსებობს სხვა, ისეთი პირდაპირი სახის მტკიცებულება, რომელიც ზემოთ დასახელებულ – 2015 წლის 8 ივნისის №... დასკვნას გაამყარებდა;

- დაცვის მხარის მიერ ჩატარებული, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 3 აგვისტოს №... დასკვნა როგორც თავისი შინაარსით, ისე ექსპერტ დ. გ-ის ჩვენებით დასაბუთებულად გამორიცხავს გ. ჩ-ას მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას;

26. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გ. ჩ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. ჩ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატების – ნ. კ-ის, თ. მ-სა და დ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენი გაუქმდეს;

3. გ. ჩ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

4. გ. ჩ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან.

5. გ. ჩ-ას განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგე-

ნილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. პასპორტი, პირადობის ელექტრონული მოწმობა და მართვის მოწმობა დაუბრუნდეს გ. ჩ-ას.

7. განაჩენი ნივთმტკიცებებისა და ყადაღის მოხსნის ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა**

### **განაჩენი**

№480აპ-16

25 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ პ. ხ-ს ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 დეკემბრის განაჩენით პ. ხ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე ბოლო განაჩენით დადგენილმა სასჯელმა შთანთქა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით, 7 თვითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, პ. ხ-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო ბოლო განაჩენის მიღების დღიდან – 2015 წლის 17 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 4 ივლისიდან იმავე წლის 29 ივლისის ჩათ-

ვლით და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 ივლისის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოხდილი ნაწილი – 2015 წლის 29 ივლისიდან იმავე წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.

2. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა პ. ხ-მ ჩაიდინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 4 ივლისს პ. ხ-მ გადაწყვიტა, უკანონოდ გადაეკვეთა ..... რაიონში არსებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს (წითელი ხიდი) ... სასაზღვრო სექტორის (...) დასაცავ მონაკვეთზე გამავალი საქართველო – სომხეთის სახელმწიფო საზღვარი და გადასულიყო სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რა დროსაც დააკავეს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ პ. ხ-ს ადვოკატმა ი. ი-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ პ. ხ-ს გამართლება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ პ. ხ-ს ადვოკატის – ი. ი-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მსჯავრდებული პ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე ბოლო განაჩენით დადგენილმა სასჯელმა შთანთქა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, პ. ხ-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2015 წლის 4 ივლისიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ პ. ხ-ს ადვოკატმა ი. ი-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ პ. ხ-ს გამართლება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის



თლის საქმეთა პალატის 2017 წლის 20 იანვრის განჩინებით აღნიშნული საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და დაინიშნა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ პ. ხ-ს ადვოკატმა ი. ი-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

8. მსჯავრდებულმა პ. ხ-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და განმარტა, რომ იგი არის უდანაშაულო, რადგან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის განზრახვა არ ჰქონია.

9. პროკურორი გ. ხაჩიძე არ დაეთანხმა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ განაჩენი არის დასაბუთებული და კანონიერი, ხოლო დანიშნული სასჯელი – სამართლიანი. ამასთან, აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია პ. ხ-ს მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის განზრახვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და პ. ხ-ე გამართლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა პ. ხ-მ ჩაიდინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 4 ივლისს პ. ხ-მ გადაწყვიტა, უკანონოდ გადაეკვეთა ..... რაიონში არსებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს (წითელი ხიდი) ... სასაზღვრო სექტორის (...) დასაცავ მონაკვეთზე გამავალი საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარი და გადასულიყო სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რა დროსაც დააკავეს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებებით – მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა შემდეგი:

• მონმეების – სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებით დადგინდა, რომ 2015 წლის 4 ივლისს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს (წითელი ხიდი)...სასაზღვრო სექტორზე პატრულირებისას, სასაზღვრო სექტორის მარჯვენა ფლანგზე შეამჩნიეს პირი, რომელიც საქართველოდან სომხეთის მიმართულებით მოძრაობდა. მათი დანახვისას მან ნაბიჯს აუჩქარა და სომხეთის ტერიტორიაზე გადასვლას შეეცადა. ამის მიუხედავად, მათ მოახერხეს მოქალაქის შეჩერება, რომელმაც მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინა პ. ხ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა და მართვის მონმობა, რის შემდეგაც გადაიყვანეს სასაზღვრო სექტორის ადმინისტრაციულ შენობაში. მონმეთა განმარტებით, მათ პ. ხ-ე შეაჩერეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან დაახლოებით 70-100 მეტრის მოშორებით, 500 – მეტრიან სასაზღვრო ზოლში, სადაც სპეციალური ნებართვის გარეშე მოქალაქის გადაადგილება აკრძალულია.

• მონმე რ. ნ-ს ჩვენებებით ირკვევა, რომ 2015 წლის 4 ივლისს იმყოფებოდა ... რაიონში, სოფლის განაპირას მდებარე საძოვარზე და მწყემსავდა საქონელს. ამ დროს მასთან მივიდა უცნობი პირი და ჰკითხა, შეიძლება თუ არა მდინარეში შესვლა. მან განუმარტა, რომ არ შეიძლება, რადგან იქ ვადიოდა საქართველო – სომხეთის საზღვარი, რომელსაც ქართველი მესაზღვრეები აკონტროლებდნენ. ასევე, ჰკითხა, შეეძლო თუ არა რაიმე სამსახურის შოვნა სოფელში, კერძოდ, შეშის დაჩეხვა, რაზედაც მწყემსმა უპასუხა, რომ სოფელში სამსახურს ვერ იშოვიდა, რადგან შეშის დაჩეხვის სეზონი იწყებოდა შემოდგომით. საუბრის დროს მათთან მივიდნენ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც უცნობს მოსთხოვეს პირადობის მონმობა. უცნობმა მიაწოდა მათ მონმობა, რის შემდეგაც ჩასვეს მანქანაში და წავიდნენ. მონმის განმარტებით, ამ დროს მდინარიდან (საზღვრიდან) 100-150 მეტრით იყვნენ დაშორებული. მონმემ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან საზღვრისპირა სოფელში ცხოვრობს, მისთვის კარგადაა ცნობილი, თუ სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზი და როგორ უნდა გადაადგილდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამასთან, მონმე რ. ნ-მ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ პ. ხ-ს არ უკითხავს მისთვის თუ, სად ვადიოდა სახელმწიფო საზღვარი, ასევე მესაზღვრეთა გადაადგილების მარშრუტისა და გრაფიკის შესახებ.

• მიჯავრდებულ პ. ხ-ს ჩვენების მიხედვით, მას საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა არ უცდია და ხსენებულ ტერიტორიაზე

ექებდა სამსახურს. ამასთან, მისთვის არც ის იყო ცნობილი, რომ იმყოფებოდა აკრძალულ 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამასთან, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით. ამავე კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის.

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მსგავსი დათქმა ამავე კოდექსის 82-ე მუხლშიც – მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რე-ლევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამასთან, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამასთან, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

7. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე.

8. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც

ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადამწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.).

9. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოწმეების – სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები საპირისპიროა თავად პ. ხ-სა და მოწმე რ. ნ-ს (...) ჩვენებებისა, კერძოდ, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები უთითებდნენ, რომ 2015 წლის 4 ივლისს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს (წითელი ხიდი) ... სასაზღვრო სექტორზე პატრულირებისას, სასაზღვრო სექტორის მარჯვენა ფლანგზე შეამჩნიეს ორი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი (პ. ხ-ე) მოძრაობდა საქართველოდან სომხეთის მიმართულებით. მათი დანახვისას მან ნაბიჯს აუჩქარა და სომხეთის ტერიტორიაზე გადასვლას შეეცადა. პ. ხ-სა და მოწმე რ. ნ-ს ჩვენებებით კი ირკვევა, რომ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები მათთან მივიდნენ საუბრის დროს.

10. საკასაციო პალატის აზრით, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოწმე რ. ნ-მ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ პ. ხ-ს საუბრის დროს მისთვის არ უკითხავს, თუ სად გადიოდა სახელმწიფო საზღვარი, ასევე მესაზღვრეთა გადაადგილების მარშრუტისა და გრაფიკის შესახებ.

11. რაც შეეხება საქმეში არსებულ კიდევ ერთ მტკიცებულებას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენ-

ტრის მიერ გაცემულ ცნობას, რომლის თანახმად, პ. ხ-ს 2015 წლის 17 მაისსა და იმავე წლის 26 და 27 ივნისს ს.ს.კ.გ „სარფზე“, „სადახლოსა“ და „ნ.წმინდაზე“ უარი ეთქვა საქართველოდან გასვლაზე, – საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ეს ფაქტები არ შეიძლება გახდეს პ. ხ-ს ბრალეულობის დამტკიცებისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, მით უმეტეს, იმავე ცნობით ირკვევა, რომ პ. ხ-ს მიერ 2013 – 2015 წლებში დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კანონიერად კვეთის ფაქტები საკონტროლო – გამტარი პუნქტების ს.ს.კ.გ „სარფის“, ს.ს.კ.გ „სადახლოს“, ს.ს.კ.გ „ნ.წმინდის“, ს.ს.კ.გ „ცოდნისა“ და ს.ს.კ.გ „წითელი ხიდის“ გავლით.

12. საქმეში არსებული დანარჩენი მტკიცებულებებით ირკვევა მხოლოდ ის, რომ პ. ხ-ე დაკავებისას იმყოფებოდა ... რაიონის სოფელ სადახლოს ტერიტორიაზე, მდინარე ... სიახლოვეს, საქართველო – სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრიდან დაახლოებით 55 მეტრის დაშორებით – 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში, რაც, საკასაციო პალატის აზრით, არ წარმოადგენს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის განზრახვის დამადასტურებელ მტკიცებულებას, მით უმეტეს, რომ საქმის მასალებით (მათ შორის – დაკავებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით) არ დასტურდება, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო რაიმე მინიშნება სასაზღვრო ზოლის შესახებ. შესაბამისად, პ. ხ-თვის შეუძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, დასაშვები იყო თუ არა იმ ადგილზე ყოფნა და დიდი ალბათობით მან მწყემს რ. ნ-სა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან საუბრისას გაიგო, რომ იმყოფებოდა აკრძალულ 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში, რასაც ადასტურებს თავისივე ჩვენებაში და საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში. ამასვე ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მონმე – სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი დ. დ-ი, რომელმაც განმარტა, რომ იმ ადგილის მიმდებარედ, სადაც დააკავეს პ. ხ-ე, არანაირი მინიშნება არ არის განთავსებული 500-მეტრიანი სასაზღვრო ზოლის შესახებ, ხოლო იქ, სადაც მინიშნება არის განთავსებული, პ. ხ-ს, სავარაუდოდ, უნდა გაეგო და ენახა აღნიშნული. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში გადაადგილებით პ. ხ-ს არ ჩაუდენია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობა.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მი-

ინწევს, რომ საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა. ამასთან, საქმეში არ არის ისეთი სახის პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ პ. ხ-ს ნამდვილად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის განზრახვა ჰქონდა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ წარდგენილი ბრალდების ნაწილში არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები, კერძოდ – მონმეთა ჩვენებები, ჩნდება ეჭვი, რომ პ. ხ-ს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რაც საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გადაწყდეს მსაჯავრებულის სასარგებლოდ.

14. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და პ. ხ-ე გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრებულ პ. ხ-ს ადვოკატის – ი. ი-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენი გაუქმდეს, პ. ხ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში;

3. გამართლებულ პ. ხ-ს განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ პ. ხ-ე სასჯელს იხდის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენის შესაბამისად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

## განაჩენი

№560აპ.-16

17 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ა-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ის, მსჯავრდებულ ო. ც-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-სა და მსჯავრდებულ ო. ჭ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით ო. ც., – დაბადებული ...-ს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი), მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის (2 ეპიზოდი), ასევე – ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის.

2. ამავე განაჩენით ა. ა., – დაბადებული ...-ს, ნასამართლობის არმქონე, და ო. ჭ., – დაბადებული – ...-ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი), მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და

მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (2 ეპიზოდი), ასევე – ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

3. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წლის 10 მარტს, ლამის საათებში, თ-ში, რ-ის ...-ის №...-ში მდებარე შპს „...“ ტერიტორიიდან ა. ა., ო. ჭ. და ო. ც., იმავე შპს-ს დარაჯ შ. ე-თან წინასწარი შეთანხმებით, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლნენ 3774 ლარად ღირებულ ე.წ. „არმატურას“, 2015 წლის 13 მარტს, ლამის საათებში – 4040 ლარად ღირებულ ე.წ. „არმატურას“, ხოლო 2015 წლის 21 მარტს შეეცადნენ 400 ლარის ღირებულების ე.წ. „არმატურის“ დაუფლებას.

4. აღნიშნული ქმედებისათვის ა. ა-სა და ო. ჭ-ას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი), მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მიესაჯათ 4-4 წლით, ხოლო ო. ც-ეს – სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი), მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქა დანარჩენი სასჯელები და ა. ა-სა და ო. ჭ-ას განესაზღვრათ 4-4 წლით, ხოლო ო. ც-ეს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ო. ც-თვის დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი პირობითი მსჯავრი და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რომლის მოხდა დაენყო 2015 წლის 30 მარტიდან. მსჯავრდებულ ა. ა-ს სასჯელის ვადის ათვლა დაენყო 2015 წლის 22 აპრილიდან, ხოლო მსჯავრდებულ ო. ჭ-ას – იმავე წლის 30 მარტიდან.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ა-მა, მსჯავრდებულ ო. ჭ-ს ადვოკატმა გ. ჩ-მა, მსჯავრდებულმა ო. ც-ემ და მისმა ადვოკატმა მ. ხ-ემ. მსჯავრდებულმა ა. ა-მა და მსჯავრდებულ ო. ჭ-ას ადვოკატმა გ. ჩ-მა ითხოვეს მსჯავრდებულებისათვის – ა. ა-სა და ო. ჭ-თვის სასჯელის გან-



საზღვრა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, ხოლო მსჯავრდებულმა ო. ც-ემ და ადვოკატმა მ. ხ-ემ – ო. ც-ის გამართლება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. კასატორები – მსჯავრდებული ა. ა. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. გ., ასევე – მსჯავრდებულ ო. ჭ-ას ადვოკატი გ. ჩ. ითხოვენ განაჩენში ცვლილებების შეტანას, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ა. ა-სა და ო. ჭ-თვის დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის პირობით მსჯავრად ჩათვლას.

8. მსჯავრდებულ ო. ც-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ხ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ო. ც-ის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი), მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებში იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული დანაშაულები არ ჩაუდენია და საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებული, ამკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ო. ც-ის ბრალეულობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები მსჯავრდებულების – ო. ც-ის, ა. ა-სა და ო. ჭ-ას მიმართ, შეამოწმა მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ხ-ის, გ. გ-სა და გ. ჩ-ის საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ ო. ც-ის დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ადვოკატების – გ. გ-სა და გ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამამტყუნებელ განაჩენში გაკეთებულ დასკვნებს მსჯავრდებულ ო. ც-ის ბრალეულობის თაობაზე, რადგან აღნიშნული დასკვნები არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრინციპული მნიშვნელობის მქონე ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს პირის მი-

მართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას და მისი დამნაშავედ ცნობისას.

3. ო. ც-ის მსჯავრდების ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი ძირითადად ემყარება ბრალდების მოწმეების – შ. ე-სა და ვ. მ-ის ჩვენებებს, რომლებშიც მითითებულია მსჯავრდებულების – ო. ჭ-სა და ა. ა-ის მიერ ჩადენილ ქურდობაში ო. ც-ის შესაძლო მონაწილეობაზე. რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ საქმეზე წარმოდგენილ და სასამართლოში განხილულ ყველა სხვა მტკიცებულებას, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს განაჩენში გამოყენებულია ო. ც-ის ბრალის დასადასტურებლად, ისინი, თუნდაც არაპირდაპირ, არ მიუთითებენ იმაზე, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა ო. ც-იც.

4. მოწმე შ. ე. თავის ჩვენებაში უშუალოდ ო. ც-ის შესახებ აღნიშნავს: როდესაც მან შპს „...“ კუთვნილ, თ-ის გარეუბანში, ფ-ში მდებარე „არმატურის“ ბაზაზე („მ-ი“), დაასრულა თავისი ცვლა, სადაც ის დარაჯად მუშაობს, შინ წასასვლელად გამოვიდა რ-ის -ზე, ავტობუსის გაჩერებაზე. იქ იდგა წითელი, „ფოლკსვაგენ გოლფის“ მარკის ავტომანქანა. ავტომანქანაში იჯდა ორი პირი, რომლებმაც მას სახელით დაუძახეს და სთხოვეს, ავტომანქანაში ჩამჯდარიყო. საჭესთან მჯდომმა უთხრა, რომ იყო ო. ც., ხოლო მის გვერდით მჯდომი გაეცნო, როგორც ო. ჭ., რომლებსაც მანამდე არ იცნობდა. ო. ც-ემ უთხრა, რომ ისინი აპირებდნენ შპს „...“ კუთვნილი „არმატურის“ მოპარვას იმ დროს, როდესაც ის, ე.ი. შ. ე., იქნებოდა დარაჯი. მას ევალუბოდა მხოლოდ ერთი რამ: როდესაც ისინი „...“ ტერიტორიაზე მივიდოდნენ „არმატურის“ მოსაპარად, მას პოლიციისათვის ეს არ უნდა შეეტყობინებინა, ხოლო თუ ამას არ გააკეთებდა, მისი საქმე ცუდად იქნებოდა. 2015 წლის 9 მარტს ის იმყოფებოდა შპს „...“ ტერიტორიაზე დარაჯად. ღამის საათებში გაიგონა ძაღლის ყეფა, რა დროსაც საყარაულო ჯიხურში იმყოფებოდა, მაგრამ გარეთ შიშით ვერ გამოვიდა, თუმცა მიხვდა, რომ „არმატურის“ მოსაპარად იყვნენ მისულები. ჯიხურიდან კარგად ჩანდა „არმატურის“ შეკვრები. მან აღნაგობით იცნო ო. ც. და ო. ჭ., რომლებსაც ნიღბები ეკეთათ და „არმატურა“ გაჰქონდათ ტერიტორიიდან. დარწმუნებით შეუძლია თქვას, რომ სწორედ ისინი იყვნენ. მან შიშის გამო არავის არ შეატყობინა ამ ქურდობის შესახებ. იგივე განმეორდა 2015 წლის 12 მარტს, ღამით, როდესაც ის კვლავ ყარაულობდა შპს „...“ ტერიტორიას. მან ამჯერადაც ო. ც. და ო. ჭ. დაინახა. 2015 წლის 15 მარტს, როდესაც ის სამსახურში მიდიოდა, ობიექტთან ახლოს დახვდა ო. ც., რომელმაც 100 ლარი აჩუქა, ვინაიდან პოლიციას არ აცნობა მომხდარის შე-

სახე. 2015 წლის 21 მარტს, როდესაც ის დარაჯობდა შპს „...“ ტერიტორიას, კვლავ განმეორდა ყველაფერი ის, რაც მანამდე 9–10 მარტისა და 12 მარტის ღამეს მოხდა. მან ამჯერადაც საყარაულო ჯიხურიდან ო. ც. და ო. ჭ-ა დაინახა საქურდლოდ მოსულნი. მონმე შ. ე. თავის ჩვენებაში იმასაც აღნიშნავს, რომ ტერიტორიაზე, სადაც ქურდობა ხდებოდა, დაახლოებით ყოველ ხუთ მეტრში დგას ღამის განათების ბოძები, რის გამოც ყველაფერს კარგად ხედავდა.

5. მონმე ვ. მ. თავის ჩვენებაში აღნიშნავს: ო. ჭ. და ა. ა. მან გაიცნო მომხდარ შემთხვევამდე ერთი წლის ან წელიწად-ნახევრის წინ, ხოლო ო. ც. კი – 2015 წლის 10 მარტს, როდესაც სამივენი მასთან მივიდნენ და დაიქირავეს მისი ავტომანქანა „არმატურის“ თბილისში, ე.წ. ე-ას ბაზრობაზე გადასატანად. ის მიიყვანეს სადღაც საამქროსთან, სადაც ენყო „არმატურა“, რომელიც მათ დატვირთეს მის კუთვნილ, „გაზელის“ მარკის ავტომანქანაზე და წაიღეს ე-ას ბაზრობაზე. ა. ა. მას გაჰყვა, ხოლო ო. ც. და ო. ჭ. წამოვიდნენ „ფოლკსვაგენ გოლფის“ მარკის, წითელი ავტომანქანით. ადგილზე მისვლისას ო. ც. ავტომანქანაში დარჩა, ხოლო ო. ჭ. და ა. ა. შევიდნენ ბაზრობაზე. მათ მოძებნეს კლიენტი და მისი ავტომანქანიდან გადმოტვირთეს „არმატურა“. ზუსტად იგივე განმეორდა 2015 წლის 13 მარტს.

6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად ედება გამამტყუნებელ განაჩენსა და პირის დამნაშავედ ცნობას, უნდა შეფასდეს ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ, მათი უტყუარობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, ხოლო შემდეგ – მათი საკმარისობის თვალსაზრისით, თუკი ისინი უტყუარად იქნება მიჩნეული, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ამავე დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ უფრო აზუსტებს აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებას კონკრეტულად მტკიცებულებებთან მიმართებით, რომლის მიხედვით, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. გარდა ამისა, იმავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ

შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. თუ რას გულისხმობს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, ამას განმარტავს საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტი, რომელიც უთითებს ისეთი მტკიცებულებების ერთობლიობაზე, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს აგრეთვე საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომლის მიხედვით, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

7. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უნდა შემოწმდეს, რამდენად არის დაცული სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ო. ც-ის მსჯავრდებისას ყველა ზემოხსენებული, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პრინციპებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ზემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. დავიწყეთ ბრალდების მონმე შ. ე-ის ჩვენებით. ამ ჩვენებასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: 1. აღნიშნული მონმე მომხდარ ქურდობამდე საერთოდ არ იცნობდა ო. ც-ეს და ის არც დანაშაულის შემდეგ უნახავს საქმის სასამართლოში განხილვამდე. ამასთან, მას არ ჰქონია იმის შესაძლებლობა, რომ რაიმე ოფიციალური დოკუმენტის მეშვეობით დაედგინა იმ პირის ნამდვილი ვინაობა, რომელიც მას ო. ც-ედ გაეცნო, რაც არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მას სრულიად სხვა პირი წარდგენოდა აღნიშნული გვარ-სახელით; 2. ვიდუოკამერის ჩანაწერზე, რომელზეც აღბეჭდილია შპს „...“ ტერიტორიაზე ლამით მომხდარი ქურდობის შემთხვევები, ვერ ხერხდება ქურდების ამოცნობა, რადგან მათ ნიღბები აქვთ აფარებული; 3. მართალია, მონმე შ. ე. ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ლამით, შპს „...“ ტერიტორიაზე ყოფნისას, ო. ც. იცნო აღნაგობით, მაგრამ ეს არის მხოლოდ მიმსგავსება. ამასთან, სავსებით შესაძლებელია ორი სხვადასხვა პირი ერთმანეთს ჰგავდეს აღნაგობით; 4. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩვენების მიხედვით, მონმე შ. ე-მა დღის სინათლეზე, პირად შეხვედრაზე ორჯერ ნახა ის პირი, რომელიც მას ო. ც-ედ გაეცნო, მაინც უნდა ჩატარებულიყო ამ პირის ვიზუალური ამოცნობა მონმე შ. ე-ის მიერ, რათა უტყუარად დადგენილიყო, რომ ეს პირი ნამდვილად ო. ც. და არა – ვინმე სხვა; 5) გონივრულ ეჭვს იწვევს მონმე შ. ე-ის ჩვენება იმ მხრივაც, რომ მან ლამით შპს „...“ ტერიტორიაზე შეძლო ო. ც-ის ცნობა, თუნდაც მისი აღნაგობით, მაშინ, როდესაც არ არის დადგენილი საყარაულო ფიზიკური, რომელშიც იმყოფებოდა მონმე, საიდანაც ის გარეთ არ გასულა, რა მანძილით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც „არმატურები“

ენყო და სადაც ქურდობა ხდებოდა. ასევე დაუდგენელია, როგორი განათება იყო ღამით აღნიშნულ ტერიტორიაზე. მართალია, მონმე აღნიშნავს, რომ ეს ტერიტორია კარგად არის ღამით განათებული, რადგან თითქმის ყოველ ხუთ მეტრში დგას ღამის განათების ბოძებიო, მაგრამ შემთხვევის ადგილის დავალიერების ოქმში ამის თაობაზე არაფერია მითითებული; ამასთან, არც შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ფოტოსურათებზე ჩანს ღამის განათების ბოძები; 6) არ არის ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტი იმის დასადგენად, რომ მარტში, გვიან ღამით, ღამის განათების პირობებში (ასეთის რეალურად არსებობის შემთხვევაში), შეძლებდა თუ არა მონმე შ. ე. საყარაულო ჯიხურიდან დანაშაულის ჩადენის ადგილამდე არსებულ მანძილზე, ნიღაბფარებული ისეთი პირის ცნობას, რომელიც მანამდე მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი; 7) შ. ე. საქმის სასამართლოში განხილვისას და მონმედ დაკითხვისას მიუთითა სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ო. ც-ზე, მაგრამ, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ასეთი ამოცნობა მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტს სააპელაციო სასამართლო იშველიებს თავისი განაჩენის დასაბუთებისას.

8. აღნიშნული გარემოებების გამო საკასაციო პალატას მიაჩნია: არ არსებობს კანონიერი საფუძველი საიმისოდ, რომ ბრალდების მონმე შ. ე-ის მიერ სასამართლოში მსჯავრდებულ ო. ც-ის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად, იმ პირობებში, როდესაც სხვა მსჯავრდებულები – ო. ჭ. და ა. ა., რომლებიც აღიარებენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, კატეგორიულად უარყოფენ ამ დანაშაულში ო. ც-ის მონაწილეობას.

9. ფაქტობრივად იგივე მდგომარეობაა ბრალდების მეორე მონმის, ვ. მ-ის მიერ სასამართლოში ო. ც-ის დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ჩვენების მიმართაც. ვ. მ-მა, ჩვენების მიხედვით, ო. ც. მხოლოდ დანაშაულის ჩადენიდან საკმაოდ დროის გასვლის შემდეგ ნახა, რომელსაც მანამდე არ იცნობდა. არც ამ შემთხვევაში ჩატარებულა კანონით დადგენილი წესით ო. ც-ის ამოცნობა აღნიშნული მონმის მონაწილეობით, ამიტომ კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ მისი ჩვენება ჩაითვალოს ო. ც-ის ბრალეულობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად.

10. რაც შეეხება საქმეში არსებულ ყველა სხვა მტკიცებულებას, რომლებზეც სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა გამამტყუნებელ განაჩენში უთითებს ო.

ც-ის ბრალეულობის დასასაბუთებლად, ისინი საერთოდ არაფერ ხელჩასაჭიდს არ იძლევიან ზემოაღნიშნულ დანაშაულში უშუალოდ ო. ც-ის მონაწილეობის დადასტურებისათვის. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ განხილულ გარემოებათა შედეგად, ო. ც-ის ბრალეულობა მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდის დონეზე რჩება და არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც აუცილებელია პირის დამნაშავედ ცნობისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით, რის გამოც დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ ო. ც-ის უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების თაობაზე არის საფუძვლიანი და ის უნდა დაკმაყოფილდეს.

11. ამასთან ერთად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ო. ჭ-სა და ა. ა-ის ბრალეულობა, რომელთა აღიარებითი ჩვენებები მათი ბრალის ნაწილში სრულად არის თანხვედნილი როგორც ბრალდების მონმეთა პირდაპირ ჩვენებებთან, ასევე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, საფუძვლიანად არის დასაბუთებული გასაჩივრებულ განაჩენში და დანაშაულში მათი მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს. მათი დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრებში წარმოდგენილი მოთხოვნა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ერთი მესამედის პირობით ჩათვლის თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სასამართლომ გაითვალისწინა მათი აღიარებითი ჩვენებები და ისე განუსაზღვრა მათ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომა. ამავე დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მათ სხვადასხვა დროს სამჯერ ჩაიდინეს ერთი და იგივე დანაშაული ერთსა და იმავე ობიექტზე, რის შედეგადაც სახეზეა საკმაოდ მოკლე დროის განმავლობაში ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, რაც მიუთითებს მათ მტკიცე დანაშაულებრივ ნებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება აშკარად ითხოვს მათზე დაკისრებული სასჯელის რეალურად მოხდას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ იქნება მიღწეული სასჯელის მიზანი, ერთი მხრივ, მათი გამოსწორებისა და რესოციალიზაციის, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ო.

ც-ის მიმართ, კერძოდ: იგი უნდა გამართლდეს და ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ მისთვის შერაცხულ ქმედებებში, ხოლო განაჩენი ო. ჭ-სა და ა. ა-ის მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ო. ც-ეს განსაზღვრული აქვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წლის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი – ჩათვლილი აქვს პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. ა-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ო. ჭ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. მსჯავრდებულ ო. ც-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

5. ო. ც. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 10 მარტისა და 2015 წლის 13 მარტის ეპიზოდები), ასევე – სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 21 მარტის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში.

6. ო. ც. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან.

7. ო. ც-ეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

8. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

## განაჩენი

№570აპ.-16

20 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ტ. პ-ის ინტერესების დამცველის,  
ადვოკატ შ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის  
28 ივლისის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 ივლისის განაჩენით ტ. პ., –  
დაბადებული ...-ს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ  
საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 179-ე  
მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული და-  
ნაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 იანვრის განაჩენით ტ. პ. ცნო-  
ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათ-  
ვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს  
სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობით სას-  
ჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვე-  
თა 6 თვის ვადით.

- ტ. პ-ს 2014 წლის 7 ნოემბერს, თბილისში, ნარკოლოგიური  
შემონმების დროს, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება –  
„ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 თებერვლის განაჩენით ტ. პ.  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის  
მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის  
„ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-  
ვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლე-



ბის აღკვეთა 4 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ტ. პ-ის მიმართ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 9 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული პირობითი მსჯავრი, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოსახდელი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 იანვრის განჩინებით ტ. პ-ს გაუნახვევრდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 9 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი, ხოლო 1/4-ით შეუმცირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

- 2014 წლის 6 ნოემბერს, სალამოს საათებში, ქ. თ-ში, ..., მე-... მ/რაიონის №... კორპუსის პირველ სართულზე არსებულ აფეთიქ „მ-ში“ ტ. პ. თავს დაესხა ამავე აფთიაქის ფარმაცევტ ნ. მ-ს, რომელსაც დანის გამოყენების მიუქართი გასტაცა თანხა 200 ლარის ოდენობით და ფსიქოტროპული მედიკამენტები.

2. ტ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ტ. პ-ს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ბ-ემ. მან ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 ივლისის განაჩენის გაუქმება და ტ. პ-ის გამართლება. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა სოსო სალთხუციშვილმა შესაგებლით განაჩენის უცვლელად დატოვება ითხოვა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა ადვოკატ ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი და გა-

საჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებულ ტ. პ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. ხ., საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელია და არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სასამართლომ უგულვებელყო დაცვის მხარის მიერ მისთვის წარდგენილი ისეთი სახის მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავდნენ ტ. პ-ის მიერ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას, კერძოდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული გენეტიკური და კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნები, დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები და მხედველობაში მიიღო დაზარალებულის ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ჩვენება და პოლიციელთა – ვ. გ-სა და დ. ს-ის არასარწმუნო და საქმის მასალებთან შეუსაბამო ჩვენებები; დაზარალებულის განმარტებით, მას არ შეუძლია ამოიცნოს, თუ ვინ იყო თავდამსხმელი, მაგრამ ამავე დროს აღწერს მის გარეგნობას. გასათვალისწინებელია, რომ აღწერილი გარეგნული ნიშნები ტ. პ-ს არ შეესაბამება. ნ. მ-ის განცხადებით, იგი ყაჩაღობის შემდეგ გამოჰყვა თავდამსხმელს და დაინახა, რომ აფთიაქის წინ მხოლოდ უცხო ბიჭი და გოგო იყვნენ. პოლიციელთა ჩვენების თანახმად კი ისინი აფთიაქთან იმყოფებოდნენ, როდესაც ტ. პ. დაინახეს და აედევნენ. ამასთან, პოლიციის მუშაკთა კატეგორიული მტკიცებით, ბრალდებულმა ვ. გ. და დ. ს., მათი ძლიერი ფიზიკური აღნაგობისა და სამსახურებრივი „შკოდით“ მოძრაობის მიუხედავად, ვერ შეამჩნია. დაცვის მხარემ სთხოვა ბრალდების მხარეს, დ. ს-სა და ვ. გ-ის სატელეფონო ნომრების მიხედვით ანძების გადამოწმება (მათი შემთხვევის ადგილზე ნამდვილად ყოფნის დადგენის მიზნით), თუმცა უარი მიიღო. ამასთანავე, დ. ს-მა და ვ. გ-მა სასამართლო სხდომაზე განაცხადეს, რომ ყაჩაღობის ფაქტის შესახებ მათ 20:00 საათზე შეიტყვეს და მიუთითეს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი იყო ტ. პ.. მიუხედავად აღნიშნულისა, 20:55 საათზე კრიმინალური პოლიციისათვის საპატრულო პოლიციის ოცმეთაურის მიერ გადაცემულ შეტყობინებაში მიეთითა, რომ თავდამსხმელი იყო 25 წლის დაუდგენელი პირი.

8. კასატორი აღნიშნავს, რომ შემთხვევის დღეს ტ. პ-ის დაკავება ან/და მისი პირადი, თუ საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა არ განხორციელებულა, ხოლო შემთხვევიდან მეორე დღეს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა კანონის აშკარა, უხეში დარღვევით

ჩატარდა, კერძოდ, საქმის მასალებში არ არის მოთავსებული ჩხრეკის ჩატარების თაობაზე გამომძიებლის დადგენილება. ამდენად, პირს, ვისთანაც ჩხრეკა ჩატარდა, დადგენილება არ წარდგენია. აქედან გამომდინარე, დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები და ამავე კოდექსის 111-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული მოთხოვნები. ამასთანავე, დასაბუთებული არ არის ჩხრეკის ჩატარებისათვის გადაუდებელი აუცილებლობა, ვინაიდან, ტ. პ-ზე ეჭვი ჯერ კიდევ 2014 წლის 6 ნოემბერს იქნა მიტანილი, მაგრამ შესაბამისმა პირებმა ბინა შემთხვევიდან მეორე დღეს გაჩხრიკეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებულ კაშნეზე, რომელიც, თვითმხილველ მონშეთა განცხადებით, მსჯავრდებულს ყაჩაღობის დროს ეკეთა, მდედრობითი სქესის დნმ იქნა აღმოჩენილი.

10. კასატორთა პოზიციით, ვინაიდან ტ. პ-ი დასახელებული აფთიაქის ხშირი მომხმარებელია და იქ უამრავჯერ არის ნამყოფი, ამდენად, დაქტილოსკოპიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, შემთხვევის ადგილას მისი თითის ანაბეჭდებისა და სუნის აღმოჩენა გასაკვირი არ არის. ყაჩაღობამდე ტ. პ-ის აფთიაქში ყოფნას ადასტურებს მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფსიქოტროპული მედიკამენტი ვალიუმიც. ამასთან, ფაქტი, რომ დასახელებული მედიკამენტი ვალიუმიც ყაჩაღობის შედეგად დაუფლებული ვალიუმიცა, არ ადასტურებს საქმეში მოთავსებული არც ერთი მტკიცებულება.

11. დაცვის მხარის მტკიცებულებათა თანახმად, კერძოდ, ნ. თ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შემთხვევის დღეს იგი 19:00 საათიდან – 21:00 საათამდე დროის პერიოდში ტ. პ-თან სტუმრად იმყოფებოდა. მონშე დ. ფ-ემ აგრეთვე დაადასტურა 19:00 საათზე მსჯავრდებულის სახლში ყოფნის ფაქტი. ტ. პ-ის მეუღლის – თ. ჩ-ის ჩვენებით კი მსჯავრდებულის სახლიდან 18:00 საათისთვის მხოლოდ ორი ნუთით გავიდა, რის შემდეგაც დაბრუნდა და მათ სტუმრები სახლიდან 21:00 საათზე გაცილეს. ანალოგიურად, სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა ტ. პ-მა დაადასტურა შემომითითებული დროის პერიოდში სახლში სტუმრების ყოფნის ფაქტი და განმარტა, რომ მათი გაცილების შემდეგ მან ფსიქოტროპულ აფთიაქთან შენიშნა საპატრულო პოლიციის მანქანები. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დაცვის მონშეები დაინტერესებულ, ხოლო ბრალდების მხარის მონშეები კი ნეიტრალურ პირებად მიიჩნია.

12. ამდენად, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერ-

თობლიობა არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოთხოვნებს, ვინაიდან სახეზე არ არის ერთმანეთთან შეთანხმებულ, ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, დარღვეულია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გა-რანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება და უგუ-ლებელყოფილია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგე-ნილი სტანდარტები.

13. საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა მხარი და-უჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფი-ლება, ხოლო პროკურორმა ამირან ხუციშვილმა მოითხოვა გა-საჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა სა-კასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა სა-ჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ტ. პ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ – შ. ხ-ის საკასაციო სა-ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნ-და შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებულმა ტ. პ-მა ჩაიდინა საქართვე-ლოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალის-წინებული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ. ამ-დენად, საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებუ-ლი, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს ტ. პ-ის მიერ ნარ-კოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებას, ჩადენილს ასე-თი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

3. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის ჩადენი-სათვის განსაზღვრულ სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას 6 თვის ვადით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ტ. პ-ს სასჯე-ლის სახედ მის ნაცვლად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3 000 ლარის ოდენობით, ვინაიდან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბერს მიღებული გადაწყვე-ტილების თანახმად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სა-ქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებე-

ბის, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.

4. საკასაციო პალატა იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტებს მსჯავრდებულ ტ. პ-ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდება ტ. პ-ის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი.

5. გასაჩივრებული განაჩენი ბრალდების დასახელებულ ნაწილში ძირითადად ეფუძნება დაზარალებულ ნ. მ-სა და პოლიციის მუშაკების – ვ. გ-სა და დ. ს-ის ჩვენებებს, რომლებიც უტყუარად ვერ ადასტურებენ ტ. პ-ის ბრალეულობას, კერძოდ:

6. დაზარალებულ ნ. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არ იცნობს ტ. პ-ს და პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ვერ მიუთითა ბრალდებულზე, როგორც დანაშაულის დროს, საღამოს, დაახლოებით 19:30 – 19:35 საათზე, აფთიაქში მას მოულოდნელად თავს დაესხა პირი, რომელმაც პირზე ხელის აწერებითა და დანით ყელის გამოჭრის მუქარით თანხა მოსთხოვა. დაზარალებულმა თავდამსხმელს მიუთითა უჯრაზე, სადაც თანხას ინახავდა, თუმცა თანხის სიმცირის გამო, ამ უკანასკნელმა ნ. მ-ს სეიფის ადგილის მითითება მოსთხოვა. მოწმემ მას უპასუხა, რომ აფთიაქს სეიფი არ ჰქონდა. აღნიშნულის შემდეგ თავდამსხმელმა ნ. მ-ს გასალებით აფთიაქის კარის დაკეტვა მოსთხოვა და ვინაიდან მიიღო უარი, დაზარალებული კართან დააჩოქა და კვლავ ყელის გამოჭრით დაემუქრა. თავდამსხმელი კარს თავად ეჯავჯვურებოდა, ფეხიც მიარტყა, მაგრამ ვერ დაკეტა. დარტყმის დროს იგი კარის ჩარჩოს აწეებოდა. სალაროდან მან მთლიანი თანხა აიღო, დაზარალებული ზურგით შეაბრუნა, ოთახში არსებულ მუყაოს ყუთში ჩაყარა სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული წამლები (მათ შორის – ვალიუმ-ი, მაგიტუსი, დიაზეპექსი) და აფთიაქიდან გავიდა. ნ. მ-ის განმარტებით, თავდამსხმელი, ერთი შეხედვით, იყო სუსტი, გამხდარი, საშუალოზე მაღალი, ხორბლისფერი კანის ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის მხოლოდ შუბლის ნაწილს და სწორ ცხვირს ხედავდა, ვინაიდან თავზე ეფარა „კეპი,“ ხოლო სახეზე აფარებული ჰქონდა ქარხნული წესით დამზადებული თეთრი ფერის

კაშნე. მას ტანთ ღია ფერის ნაჭრის ქურთუკი ეცვა. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ადვოკატის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ღია თაფლისფერი თვალები (ვინაიდან გამოძიების ეტაპზე ნ. მ-ის განცხადებით, თავდამსხმელს სწორედ დასახელებული ფერის თვალები ჰქონდა), დაზარალებულმა განმარტა: „ღია თაფლისფერი თვალები როგორია...“, განმეორებით შეკითხვაზე კი განაცხადა: „უფრო, არა“. დაზარალებული გამოძიების სტადიაზე ზემომითითებული კაშნეს ამოცნობაში მონაწილეობდა, მაგრამ მან სასამართლო სხდომაზე ამოცნობის ოქმის უტყუარობა კატეგორიულად ვერ დაადასტურა.

7. დაზარალებული თავდამსხმელის წასვლის შემდეგ კიბეზე ჩავიდა და დაინახა, რომ ეს უკანასკნელი აფთიაქთან ახლოს არსებულ პირველ სადარბაზოში შევიდა. გარეთ სხვა პირის დაინახვის ფაქტი ზუსტად არ ახსოვს. აფთიაქში დაბრუნებულმა მომხდარის თაობაზე მენეჯერს შეატყობინა. დროის ამ პერიოდში რაიმე დაძახების ხმა არ გაუგია. დაზარალებულმა იფიქრა, რომ შეიძლება თავდამსხმელი უკან დაბრუნებულიყო და ამიტომ დაახლოებით 2-3 წუთში კვლავ გარეთ გავიდა, სადაც მან მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭი და გოგო დაინახა, რომელთაც აფთიაქში მისი ახლობლების მოსვლამდე შეყვალა სთხოვა. დაახლოებით 20:00 საათის შემდეგ შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია მივიდა. ნ. მ-ის განმარტებით, აფთიაქს ორი ვიდეოკამერა ჰქონდა, რომლიდანაც ერთ-ერთის დაზიანების ფაქტი დაზარალებულმა ყაჩაღობამდე რამდენიმე დღით ადრე შეიტყო. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული კამერა აფთიაქის შესასვლელს აფიქსირებდა და ამდენად, მას თავდამსხმელის აღბეჭდვა შეეძლო.

8. ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის – განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის – ვ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 6 ნოემბერს თ-ში, – 3, მე-... მ/რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. ს-თან ერთად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაახლოებით 19:30 საათზე, მათ 10-15 მეტრიდან დაინახეს თეთრ „კეპსა“ და კაშნეში, ასევე ღია ფერის ქურთუკში ტ. პ. (იცნობდა, რადგან პოლიციის განყოფილებაში ხშირად მიუყვანიათ), კერძოდ, იგი აფთიაქის კიბეზე ჩამორბოდა და ხელში ყუთი ეჭირა. პოლიციელებმა აგრეთვე დაინახეს, რომ აფთიაქიდან გამოვიდა ქალბატონი და ისევე უკან შებრუნდა. ვინაიდან არსებული გარემოება მათ მიიჩნიეს საეჭვოდ, სცადეს ტ. პ-ის შეჩერება, კერძოდ, ვ. გ. ტ. პ-ს უკან გაჰყვა, თუმცა არ დაუძახა და მას შემდეგ, რაც იგი მარ-

ცხენა მხარეს (ორმხრივი გასასვლელის მქონე) სადარბაზოში შევიდა, ვერ დაინახა, თუ საით წავიდა. ისინი დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ეძებდნენ ტ. პ.-ს, მაგრამ მასთან სახლში არ მისულან. დაახლოებით 20:00 საათის შემდეგ შემთხვევის ადგილზე დაბრუნდნენ, სადაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დახვდათ და მათგან აფთიაქის დაყარალების ფაქტი შეიტყვეს. მონემ მის ხელთ არსებული ინფორმაციის თაობაზე შეადგინა პატაკი და აცნობა ხელმძღვანელობას.

9. ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე... განყოფილების უფროსის მოადგილემ – დ. ს-მა ვ. გ-ის მიერ განმარტებული ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა და განაცხადა, რომ როდესაც ტ. პ. მიიჩნის საეჭვოდ, გადაწყვიტეს მისი შეჩერება, კერძოდ, ვ. გ. მანქანიდან გადავიდა და სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა მას (როგორც ახსოვს, სირბილით არ გაჰყოლია). მონემ დაინახა, როგორ შევიდა ტ. პ. სადარბაზოში, რის გამოც სადარბაზოს მეორე გასასვლელთან დახვედრა სცადა, თუმცა როდესაც სადარბაზოს შემოუარა, ბრალდებული ადგილზე არ დახვდა. მიმდებარე ტერიტორიაზე ტ. პ. მათ ვერ ნახეს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი ავტომანქანით ეძებდნენ ბრალდებულს, თუმცა მასთან სახლში არ მისულან, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მათ მისვლას შეიტყობდა, ნივთმტკიცებებს გაანადგურებდა. დაახლოებით 20:00 საათისათვის ისინი აფთიაქთან დაბრუნდნენ, სადაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დახვდათ და რაციის მეშვეობით შეიტყვეს აფთიაქის დაყარალების თაობაზე. მონმის განმარტებით, მან ხელმძღვანელს აცნობა, რომ დაინახა, თუ როგორ ჩამორბოდა ტ. პ. აფთიაქის კიბეზე და განუმარტა, რომ დამნაშავე ის იქნებოდა.

10. წარმოდგენილ მტკიცებულებათა ანალიზის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უტყუარად ვერ დასტურდება ტ. პ.-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა შემდეგ გარემოებათა გამო:

11. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, დანაშაულის თვითმხილველს წარმოადგენს მხოლოდ ნ. მ.. დაზარალებულმა, მართალია, აღწერა თავდასხმის ფაქტი, მაგრამ თავდამსხმელის მიერ სახის გარკვეულ ნაწილთა კაშნეთი და ქუდიით დაფარვის გამო, ვერ დაადასტურა დანაშაულის უშუალოდ ტ. პ.-ის მიერ ჩადენა. სააპელაციო პალატა დაეყრდნო დაზარალებულის მიერ თავდამსხმელის (ნ. მ-ის განმარტებით, ერთი შეხედვით), სახის ზოგადი ნიშნებით აღწერას, რომელთა მონაცე-

მეზის საფუძველზე დაზარალებულმა ვერ მიიღო ამოცნობაში მონაწილეობა და ამასთან, სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ტ. პ. მას ნანახი არ ჰყავს. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სასამართლო სხდომაზე ნ. მ-მა ადვოკატის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ღია თაფლისფერი თვალები, განმარტა: „ღია თაფლისფერი თვალები როგორია...“ განმეორებით შეკითხვაზე კი განაცხადა: „უფრო, არა“. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მსგავსი მოცემულობით არსებული დანაშაულის ჩამდენი პირის ზოგადი აღწერილობა, სხვა კონკრეტული მტკიცებულების გარეშე, უტყუარად ვერ ადასტურებს დანაშაულის ტ. პ-ის მიერ ჩადენას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კაშნე, რომელიც დაზარალებულის განმარტებით, თავდამსხმელს სახეზე ჰქონდა აფარებული, მართლია, ამოცნობის ოქმის თანახმად, იყო კაშნე, რომელიც თავდამსხმელს ეკეთა, მაგრამ, ნ. მ-მა სასამართლო სხდომაზე დასახელებული ამოცნობის ოქმის უტყუარობა კატეგორიულად ვერ დაადასტურა. ამასთან, ბიოლოგიური (გენეტიკური) №... ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტების – თ. გ-სა და ი. ე-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ გენეტიკური ექსპერტიზის შედეგად ტ. პ-ის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებულ კაშნეზე აღმოჩნდა მდებრობითი სქესის პირის ბიოლოგიური მასალა. ამდენად, აღნიშნული კაშნე, ისევე როგორც თავდამსხმელის გარკვეულწილად დაფარული სახის ზოგადი აღწერილობა, არ წარმოადგენს ტ. პ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის უტყუარ მტკიცებულებას.

12. რაც შეეხება პოლიციელთა ჩვენებებს, ისინი, მართალია, უშუალოდ ყალაჩოვის თვითმხილველნი არ გამხდარან, თუმცა მათი განმარტებით, შემთხვევის ადგილთან სწორედ იმ დროს იმყოფებოდნენ, როდესაც ტ. პ. აფთიაქის კიბიდან სირბილით, ყუთით ხელში ჩამორბოდა. საკასაციო პალატას პოლიციელთა ჩვენებებში აღწერილი გარემოებები არ მიაჩნია სარწმუნოდ, კერძოდ, ვ. გ-სა და ს-ის ჩვენებებით დადგინდა, რომ ტ. პ. მათ მიიჩნიეს საეჭვო პირად და გადაწყვიტეს შეჩერება. შეჩერების მიზნით, ტ. პ-ის სირბილის მიუხედავად, დ. ს. მას სწრაფი ნაბიჯებით აედევნა, ამასთანავე, მათ არ დაუძახეს ბრალდებულს მაშინაც კი, როდესაც შეამჩნიეს, რომ ტ. პ. ორმხრივი გასასვლელის მქონე სადარბაზოში შედიოდა (საიდანაც კვალის დაკარგვის ალბათობა იზრდებოდა). კვალის დაკარგვის შემდეგ ვ. გ-მა და დ. ს-მა არ უხმეს დამხმარე ძალას, არც რაციის საშუალებით გადასცეს ინფორმაცია საეჭვო პირის კვალის დაკარგვის თაობაზე. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუკი პოლიციელებს ტ. პ-ის დანახვის შემდეგ ნამდვილად გაუჩნდათ მისი შეჩერების გან-



ზრახვა (აღნიშნული სასამართლო სხდომაზე მათ დაადასტურეს), მიღებული ზომები ერთმნიშვნელოვნად არ არის პროპორციული დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის მიმართ განსახორციელებელ მოქმედებებთან მიმართებით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ვ. გ-ს და დ. ს-ს, ნ. მ-თვის არ უკითხავთ ტ. პ-ის კიბიდან ჩამორბენის შემდეგ მისი აფთიაქში ყოფნის მიზეზების შესახებ.

13. გასათვალისწინებელია, რომ დ. ს-სა და ვ. გ-ის განცხადებით, როდესაც ტ. პ. კიბეზე ჩამორბოდა, ორივე მათგანმა იცნო იგი, თუმცა, ბრალდებული იმ მოტივით არ გადაამონმეს მის საცხოვრებელ სახლში, რომ თუ იგი მათ მისვლას შეიტყობდა ნივთმტკიცებების განადგურებას შეეცდებოდა. ტ. პ-ის ჩვენების თანახმად კი, როგორც შემთხვევის დღეს, ისე შემთხვევიდან მეორე დღეს, მისი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე იგი თავისუფლად გადაადგილდებოდა. ამდენად, დ. ს-ის და ვ. გ-ის მიერ ნივთმტკიცებების დაცვის მოტივით ტ. პ-ის ბინაში გადამონმებისგან თავის არიდება საფუძვლიანი იყო იმ დრომდე, სანამ ბრალდებული საცხოვრებელ სახლში დაბრუნდებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, საქმის მასალებით არ დგინდება დანაშაულის ჩადენის დღეს პოლიციის მუშაკთა მიერ ტ. პ-ის სახლში მისვლის გადამონმების და აღნიშნულის შემდეგ შესაბამისი რეაგირების არსებობის ფაქტი.

14. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთები ვერ ადასტურებენ ტ. პ-ის მიერ დანაშაულის ჩადენას, კერძოდ, 2014 წლის 7 ნოემბრის ბინის ჩხრეკის ოქმის თანახმად, ამოღებულ იქნა: ერთი ნახევრად ცარიელი წამლის ფირფიტა უკან წარწერით „კეტამო“ – 4 აბი, 2 აბი წარწერით „MUGGIT“ (ფირფიტის მონაჭერში), ერთი აბი წარწერით „Valium“ (ფირფიტის მონაჭერში), ერთი პაკეტი მედიკამენტი „რეგიდრონი“, მედიკამენტი ბოთლით „KETOSPRAY“, ერთი პაკეტი წარწერით „MYMNE“, ერთი ვერცხლისფერი, შავტარიანი, გასაშლელი დანა და ერთი ღია ფერის შარფი. დასახელებული მედიკამენტებიდან ქიმიური ექსპერტიზის №2251/სქ-1880/ქრ დასკვნისა და ექსპერტების – თ. ო-სა და მ. დ-ას ჩვენებათა თანახმად, ფსიქოტროპულ ნივთიერებას მიეკუთვნება მხოლოდ ვალიუმი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალათა და ბრალდების მხარის მიერ საკასაციო პალატის სხდომაზე გაკეთებული განმარტების თანახმად, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ტ. პ-ის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ვალიუმისა და აფთი-

აქ „მ-ას“ დაყაჩაღების შედეგად მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ვალიუმის იდენტიურობას. გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად არ ამოღებულა მუყაოს ყუთი, რომელშიც დაზარალებულის განმარტებით, თავდამსხმელმა ჩაყარა სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული ნამლები. რაც შეეხება ღია ფერის კაშნეს და მის კავშირს ჩადენილ დანაშაულთან, აღნიშნულზე საკასაციო პალატამ ზევით უკვე იმსჯელა.

15. ბრალდების მხარის სხვა მონმეთა, კერძოდ, აფთიაქ „მ-ას“ მენეჯერ ნ. გ-ის, გამომძიებლების – დ. ო-ის, ი. გ-ის, გ. ქ-ის, ლ. კ-ის, მ. ი-ის, გ. ფ-ის, გ. გ-ას ჩვენებებთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ ისინი ვერ აღიქმება ფაქტის დამადასტურებელ დამატებით მტკიცებულებად. ანალოგიურად, პირდაპირი სახის მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე ექსპერტების – ლ. კ-ის, ჯ. მ-ის, ბ. ბ-სა და ვ. ვ-ის ჩვენებათა შინაარსი და ექსპერტ თ. რ-ის ჩვენება, რომლის თანახმად, მან ტ. პ-ს 2015 წლის 14 იანვარს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში ორივე ხელიდან თითის ანაბეჭდები აუღო.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის დებულება, საყოველთაოდ აღიარებული „in dubio pro reo“ პრინციპის გამოყენებით, საექტო ხასიათის მტკიცებულებათა საფუძველზე პირის მსჯავრდების შესაძლებლობას გამორიცხავს.

17. ბრალდების მხარის მტკიცებულებებს აგრეთვე წარმოადგენს – 2014 წლის 8 ნოემბრის №–/დ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვალი №1 იდენტიურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვაზე მყოფი ნ. მ-ის მარჯვენა ხელის უსახელო თითის ანაბეჭდისა; კვალი №2 იდენტიურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვაზე მყოფი ნ. მ-ის მარჯვენა ხელის შუა თითის ანაბეჭდისა; კვალი

№3 იდენტურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვაზე მყოფი ნ. მ-ის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ანაბეჭდისა; კვალი №4 იდენტურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვაზე მყოფი დ. ო-ის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ანაბეჭდისა; კვალი №5 იდენტურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვაზე მყოფი ტ. პ-ის მარჯვენა ხელის უსახელო თითის ანაბეჭდისა; კვალი №6 იდენტურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვაზე მყოფი ტ. პ-ის მარჯვენა ხელის შუა თითის ანაბეჭდისა; ხოლო კვალი №7-ის და №8-ის იდენტური ხელის ანაბეჭდები და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელის კვლევი მონაცემთა ბაზაში არ მოიპოვება. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა რ. კ-მა დაადასტურა მის მიერ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და დამატებით განმარტა, რომ ხელის ანაბეჭდი ობიექტზე შესაძლოა, 10 წელზე მეტი ვადით დარჩეს.

18. 2015 წლის 16 იანვრის №-/დ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილის დათვლიერებისას ამოღებული პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისი (ექსპერტიზის დასკვნა №-/დ 08.11.2014, მთავარი ექსპერტი რ. კ.) №5 კვალი იდენტურია ტ. პ-ის მარჯვენა ხელის არათითის ანაბეჭდისა; №6 კვალი იდენტურია ტ. პ-ის მარჯვენა ხელის შუა თითის ანაბეჭდისა. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა შ. კ-ემ დაადასტურა მის მიერ შედგენილი დასკვნის სისწორე.

19. ამის პარალელურად, დაცვის მხარემ თავისი პოზიციის დასადასტურებლად სასამართლოში წარადგინა სასამართლო ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ გ. დ-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლითაც დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილზე არსებულ შუშის კარზე მიყრდნობით ან ხელის მიდებით მასზე შესაძლებელია დარჩეს კვლევისათვის ვარგისი ხელის კვალი. ამასთან, შემთხვევის ადგილზე გადაღებულ კარის მინაზე ვიზუალურად, თვალნათლივ ჩანს თითის ანაბეჭდები. ხელის კვალი შეიძლება დარჩეს ნებისმიერი დროის მანძილზე, სანამ არ მოხდება მისი განმეხდა ან სანამ არ განიცდის თერმულ ზემოქმედებას. გ. დ-მა მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურა.

20. 2014 წლის 14 ნოემბრის №... ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2014 წლის 6 ნოემბერს, შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, თ-ში ... 3, მე-2 მ/რ კორპუსი ...-ის ბინა

№...-ში მდებარე აფთიაქ „მ-ას“ საცავში, სეიფის წინ, მეტლახის იატაკის ზედაპირიდან და სალაროს წინ, მეტლახის იატაკის ზედაპირიდან ამოღებული ორი სუნის კვალის ნიმუში ვარგისია პიროვნების იდენტიფიკაციისათვის და იგი იდენტიფიცირდა ბრალდებულ ტ. პ.-საგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა.

21. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა გ. ტ-ემ დაადასტურა მის მიერ შედგენილი დასკვნის სისწორე და დამატებით განმარტა, რომ ექსპერტიზა ჩატარდა სამჯერ და მასში მონაწილე ყველა ძალზე დაადასტურა კვლევის ნიმუშთა იდენტიფიკაცია. საოფლე ჯირკვლებიდან გამოყოფილი მოლეკულა გადაადგილდება ჰაერში და თუ არ არსებობს ხელშემშლელი ფაქტორები (მაგ., განიავება, სისველე და ა.შ.), რამდენიმე დღის მანძილზე ერთ ადგილას რჩება. ამდენად, ექსპერტმა არ გამოორიცხა სუნის კვალის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელების შესაძლებლობა.

22. საკასაციო პალატა ზემომითითებულ დაქტილოსკოპიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ დაცვის მხარეს არც უარუყვია ტ. პ.-ის დასახელებულ აფთიაქში მისვლის ფაქტი, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ მსჯავრდებული შემთხვევის ადგილთან ახლოს ცხოვრობს და, შესაბამისად, ამ აფთიაქით სარგებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულის მიერ როგორც აფთიაქის შესასვლელ კარზე ხელის კვალის, ისე აფთიაქში სუნის დატოვება წარმოადგენს მხოლოდ იმის დამადასტურებელ გარემოებას, რომ ტ. პ. ნამდვილად იმყოფებოდა დასახელებულ ადგილზე შემთხვევის დღეს ან უფრო ადრე. ექსპერტებმა – რ. კ-მა და გ. დ-მა განმარტეს, რომ ხელის ანაბეჭდი ობიექტზე დიდი ხნის განმავლობაში რჩება. ამასთანავე, კვალი შეიძლება დარჩეს ხელის მიდებთაც. მოცემულ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ექსპერტიზის დასკვნით, ტ. პ.-ის გარდა, ხელის კვლები ეკუთვნით ნ. მ-ს, დ. ო-ს და სხვა პირებს, რომელთა ხელის კვლები მონაცემთა ბაზაში არ მოიპოვება. რაც შეეხება ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ექსპერტმა გ. ტ-ემ განმარტა, რომ სუნი შესაძლოა, კონკრეტულ ადგილას რამდენიმე დღე დარჩეს. მან აგრეთვე არ გამოორიცხა სუნის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელების შესაძლებლობა. ამდენად, მართალია, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ტ. პ.-ის სუნის კვალი აფთიაქის საცავში, სეიფის წინ, მეტლახის იატაკიდან და სალაროს წინ, მეტლახის იატაკის ზედაპირიდან ამოვიდა, სადაც, როგორც წესი, მყიდველი არ უნდა მდგარიყო, მაგრამ ექსპერტ გ.

ტ-ის ჩვენების თანახმად, საოფლე ჯირკვლებიდან გამოყოფილი მოლეკულა გადაადგილდება ჰაერში, რის გამოც კონკრეტულ ადგილას არსებული სუნის კვალი პირის ზუსტად იმავე ადგილას დგომას/ყოფნას უტყუარად შესაძლოა, არ ადასტურებდეს.

23. ამდენად, ზემომითითებული ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ბრალდების მხარის მტკიცებულებებს წარმოადგენს, დაცვის მხარის პოზიციას არ ეწინააღმდეგება. სხვა მტკიცებულება, რომელიც პირდაპირი სახით დაადასტურებდა 2014 წლის 6 ნოემბერს, მოწმეთა ჩვენებებით მითითებული დროის პერიოდში, ტ. პ-ის აფთიაქში ყოფნის ფაქტს, არ არსებობს. მართალია, შემთხვევის ადგილზე განთავსებული იყო ორი ვიდეოკამერა, მაგრამ როგორც დაზარალებულის ჩვენებით დადგინდა, ვიდეოკამერა, რომელსაც შეეძლო თავდამსხმელის აღბეჭდვა, დაზიანებული იყო, კერძოდ, კომპიუტერული ექსპერტიზის 2015 წლის 3 თებერვლის №... დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი კომპიუტერული სისტემური ბლოკის ტექნიკური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გარდა მისი პროცესორის გამაგრებულისა, იგი ტექნიკურად გამართულია. კომპიუტერის ბლოკი, გაუმართაობის მიუხედავად, ირთვება და ფუნქციონირებს ჩვეულ რეჟიმში. კომპიუტერის სისტემურ ბლოკზე შესაბამისი მონყობილობის მიერთებით ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შესაძლებელია ვიდეოსათვალთვალ კამერების ჩანაწერების განხორციელება და შენახვა. სისტემური ბლოკის დედაფაზაზე მიერთებული მონყობილობებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვიდეოსათვალთვალ კამერების ჩანაწერების განხორციელება და შენახვა. კომპიუტერული ბლოკის კვების წყაროში შეერთების, ჩართვის და მისი მეხსიერების დათვლიერების შედეგად დადგინდა, რომ ოპერაციულ სისტემაში დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შესაძლებელია ვიდეოსათვალთვალ კამერების მონიტორინგი, ჩანერა და ა.შ.. კომპიუტერული სისტემური ბლოკის მყარი დისკების მეხსიერებაში ფიქსირდება ერთზე მეტი ვიდეოსათვალთვალ კამერების ჩანაწერი, რომელთა შორისაც არ აღმოჩნდა 2014 წლის 6 ნოემბრის 19:00 საათიდან – 20:00 საათამდე პერიოდით დათარიღებული ვიდეოსათვალთვალ კამერ(ებ)ის ჩანაწერები; კომპიუტერული სისტემური ბლოკის მყარი დისკების მეხსიერებიდან აღწარმოებადი და არააღწარმოებადი სახით აღდგენილ იქნა ვიდეოსათვალთვალ კამერების ჩანაწერები; აღწარმოებად ფაილებს შორის არ აღმოჩნდა 2014 წლის 6 ნოემბრის 19:00 საათიდან – 20:00 საათამდე პერიოდით

დათარიღებული ვიდეოსათვალთვალ კამერ(ებ)ის ჩანაწერები; არააღწარმოებადი აღდგენილი ფაილები, რომელთა გახსნაც შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით ვერ მოხერხდა, განპირობებულია მყარ დისკზე ნაშლილი ფაილების ადგილზე სხვა ფაილ(ებ)ის ჩანერით, რამაც გამოიწვია ნაშლილი ფაილების დაზიანება.

24. აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. შ-მ და დამატებით განმარტა, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი პროცესორი ტექნიკურად გამართული იყო. ექსპერტიზის ჩატარებისას მან აღადგინა გარკვეული ფაილები, რომელთაგანაც ზოგიერთი, აღდგენის მიუხედავად, არ გაიხსნა. დასახელებულ ფაილებში არ აღმოჩნდა 2014 წლის 6 ნოემბრის 19:00 – 21:00 საათამდე პერიოდით დათარიღებული ვიდეოსათვალთვალ კამერების ჩანაწერები.

25. რაც შეეხება დაცვის მხარის მოწმეებს – ნ. თ-ეს, დ. ფ-სა და თ. ჩ-ს, მათ შემთხვევის დღეს, ბრალდების მიერ მითითებულ დროს, ტ. პ-ის სახლში ყოფნა დაადასტურეს, კერძოდ, მათი ჩვენებებიდან გამომდინარე, ტ. პ-მა 2014 წლის 6 ნოემბერს, 19:15 საათიდან – 21:00 საათამდე დროის შუალედში, სტუმრებს უმასპინძლა, რის გამოც მეგობარ ი. ვ-ს შეთავაზებაზე – ერთად დაეღობათ ლუდი, უარი განუცხადა. ი. ვ-მა სასამართლო სხდომაზე აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა. გასათვალისწინებელია, რომ დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებში ეჭვის შეტანის რაიმე სახის საფუძველი არ არსებობს.

26. სასამართლო სხდომაზე დაიკითხა თავად ბრალდებული ტ. პ., რომლის ჩვენებით დგინდება, რომ დასახელებულ საქმეში მისი ბრალდებულად ყოფნა პოლიციის თანამშრომლებთან არსებული არაერთგზის დაპირისპირების შედეგია. შემთხვევის დღეს მან სტუმრებს, კერძოდ, ნ. თ-სა და დ. ფ-ეს უმასპინძლა, რის გამოც მეგობარ ი. ვ-ს უარი განუცხადა ლუდის ერთად დალევის შეთავაზებაზე. სტუმრების გაცილების შემდეგ იგი ბავშვებთან ერთად სალუჭი რეზინის საყიდლად კორპუსის უკან გავიდა, სადაც მან პოლიციის თანამშრომლებს გვერდზე ჩაუარა. მეორე დღეს, დილით, აფთიაქში მისულს კარი დაკეტილი დახვდა და ტაქსის მძღოლებისგან შეიტყო აფთიაქის დაყაჩაღების ფაქტი. მსჯავრდებულის განმარტებით, იგი მედიკამენტ „ვალიუმის“ მომხმარებელი იყო, მაგრამ ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ვალიუმი სად შეიძინა, ზუსტად არ ახსოვს. აფთიაქ „მ-ას“ იგი ხშირად (მათ შორის შემთხვევამდე 2-3 დღით ადრე) სტუმრობდა. ამდენად, ტ. პ. აფთიაქის კარსა და სხვა ნაწილებ-

ში მისი ანაბეჭდების არსებობის ფაქტს ლოგიკურად მიიჩნევს.

27. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება მხოლოდ ბრალმდებელს. მოცემულ პრინციპს განამტკიცებს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის თანახმად, უდანაშაულობის პრეზუმფცია საქმის სამართლიანად განხილვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს<sup>1</sup> და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის პროცედურული გარანტიის ჭრილში დასახელებული პრინციპი მოთხოვნებს აწესებს მტკიცების ტვირთთან მიმართებით<sup>2</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. შესაბამისად, დასახელებულ შემთხვევაში ბრალდების მხარემ კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით ვერ გადალახა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წარმოდგენილი პირდაპირი სახის მტკიცებულებები უტყუარად ვერ ადასტურებს ტ. პ-ის მიერ დანაშაულის ჩადენას. დაუშვებელია, მოწმეთა ჩვენებები ტოვებდეს კითხვებს და ბადებდეს ეჭვს ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს პირის ბრალეულობაზე. საქმეში განთავსებული სხვა სახის ირიბი მტკიცებულებები კი, მათი სიმრავლის მიუხედავად (პირდაპირი მტკიცებულებების გარეშე), ვერ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტის მოთხოვნებს.

28. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს: ტ. პ. ცნობილ უნდა

---

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Kornilov v. Russia*, N50624/09, 22/11/2016, §28

<sup>2</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Allen v. The United Kingdom*, N25424/09, 12/07/2013, §93

იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ტ. პ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული ტ. პ. ცნობილ იქნას უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

4. მსჯავრდებულ ტ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 3000 ლარი, რაც პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით ჩათვალოს მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. ტ. პ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი უფლებების ჩამორთმევისა და ნივთმტკიცებების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება  
და არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის  
ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის  
მოთხოვნის უფლების განმარტება**

**განაჩენი**

№444აპ-16

9 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ შ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მარტის განაჩენით შ. მ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2381-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. შ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 4 სექტემბრიდან.

2. საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებები: გ. პ-ს სისხლის ნიმუში, შ. მ-თან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად ამოღებული დანა და ბალახის ნიმუში მონითალო ლაქებით, ჯ. ს-ს ბინიდან ამოღებული ლეიბის ნაჭრის ფრაგმენტი მონითალო ლაქებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული ბალახი მონითალო ლაქებით უნდა განადგურდეს; ჯ. ს-ს ბინიდან ამოღებული რუხი მაისური მონითალო ლაქებით, თეთრი მაისური მონითალო ლაქებით, ჭრელი მოკლესახელოებიანი პერანგი მონითალო ლაქებით უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს; შ. მ-ს მიერ წარმოდგენილი ჯინსის

მოკლე შარვალი უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

3. განაჩენით შ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ჯან-მრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ; ცივი იარაღის ტარება განზრახი მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

4. განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი შ. მ-ი ატარებდა ცივი იარაღს – დანას. 2015 წლის 2 სექტემბერს, სალამოს საათებში, ქ. თბილისში, ... დასახლებაში მდებარე №... სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ. მ-მ არასრულწლოვან გ. პ-ს დანის გამოყენებით განზრახ მიაყენა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები გულ-მკერდის, წელის, ქვედა კიდურებისა და თავის არეში; ასევე შემავალი ჭრილობა გულმკერდის არეში, რაც მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს და სახიფათოა სიცოცხლისთვის.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

6. მსჯავრდებულ შ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულ შ. მ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და დაენიშნოს სამართლიანი სასჯელი.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ შ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რასაც მხარი დაუჭირა მსჯავრდებულმა შ. მ-მ.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა – ა. მ-მ და მ. გ-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და იშუამდგომლეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულ გ. პ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის

15 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმნენ დაზარალებული გ. პ-ი და მისი კანონიერი წარმომადგენელი ი. გ-ე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ შ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მსჯავრდებულ შ. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე და ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულ შ. მ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირებისა და ამ კვალიფიკაციით მისთვის სასჯელის დანიშვნის შესახებ.

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ შ. მ-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებებში მისი ბრალეულობის თაობაზე სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ: მოწმეების – ნ. გ-ს, გ. რ-ს, გ. კ-ს, რ. დ-ს, გ. ჩ-ს, ი. პ-ს, ჯ. ს-ს ჩვენებები, საცხოვრებელი ბინის დათვალიერების ოქმი, ტრასოლოგიური, კრიმინალისტიკური, სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, სისხლის ნიმუშის ალების ოქმი, მობილური ტელეფონის დათვალიერების ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, გ. პ-ს მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, სასამართლო-სამედიცინო დოკუმენტაცია, შ. მ-ს მიმართ მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის და 2013 წლის 13 მარტის განაჩენები და ნივთიერი მტკიცებულებები.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ შ. მ-ს განმარტებას იმის შესახებ, რომ მან არ იცოდა დაზარალებულ გ. პ-ს ასაკი და მიაჩნია, რომ საქმეში მოიპოვება სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა დასკვნისათვის, რომ შ. მ-თვის ცნობილი იყო გ. პ-ს ასაკი. საქმის მასალების თანახმად, შ. მ-ს სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ

წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რის გამოც მათ მიენიჭათ პრეზიდენციული ძალა. საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმის სახით დაკითხვისას შ. მ-მ უარყო, რომ მისთვის ცნობილი იყო დაზარალებულის ასაკი, მაგრამ საქმეში არსებულ მონმეთა ჩვენებებით (ნ. გ-ს, ჯ. ს-ს და თავად დაზარალებულ გ. პ-ს ჩვენებები) უდავოდ დასტურდება ის გარემოება, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფ პირთათვის, მათ შორის შ. მ-თვის, ცნობილი იყო დაზარალებულ გ. პ-ს ასაკი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინასასამართლო სხდომის დროს, როდესაც შ. მ-ს დეტალურად განემარტა წარდგენილი ბრალდების არსი, მას ის ფაქტი, რომ არ იცოდა დაზარალებულის ასაკი, სადავოდ არ გაუხდია და დაცვის მხარეს არ მოუთხოვია მტკიცებულებათა გამოკვლევა, ხოლო რაიმე ახალი მტკიცებულება, რაც დაცვის მხარის პოზიციას დაადასტურებდა, მათ სასამართლოში არ წარმოუდგენიათ.

5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

6. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ შ. მ-თვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სრულად გაითვალისწინა დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება და ისე განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

7. საკასაციო პალატა სისხლის სამართლის საქმეში სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მონაწილე არასრულწლოვან დაზარალებულ გ. პ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შ. მ-ს მსჯავრდებას, აცნობებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგებს და საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხ-

ლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ შ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განაჩენი შ. მ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.
3. დაზარალებულ გ. პ-ს განემარტოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესახებ.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება**

### **განაჩენი**

№455აპ-16

20 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის განაჩენით ვ. მ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა მთანთქა ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობ-

ლიობით მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ვ. მ-ს მიმართ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა ძირითადად სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ვ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

4. ნივთმტკიცებად ცნობილი – 9მმ კალიბრიანი „...“-ის ფირმის პისტოლეტი და მჭიდი უნდა გადაეცეს სახელმწიფოს საქმეზე საბოლოო გადანაცვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

5. მსჯავრდებულ ვ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ვ. მ-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და 2015 წლის 1 ნოემბერს ქალაქ ზუგდიდში, ... ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „...“ უკანა მიმდებარე ტერიტორიაზე, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა ქარხნული წესით დამზადებულ, 9მმ კალიბრიან „...“-ის ფირმის პისტოლეტს სამ საბრძოლო ვაზნასთან ერთად.

6. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებული ვ. მ-ა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და ვ. მ-ს გამართლებას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმე განიხილეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პოზი-

ციას იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულ ვ. მ-ს დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო საქმეში არ მოიპოვება კანონიერი, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა მისი ბრალეულობა განაჩენით მისთვის შერაცხულ ქმედებებში, რადგან ასეთი პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლითაც, თანახმად სააპელაციო სასამართლოს მართებული დასკვნისა, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ვ. მ-ს მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება, კერძოდ:

3. მოწმე, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის გ. ბ-ს ჩვენებითა და მის მიერ შედგენილი პატაკით დადგენილია, რომ 2015 წლის 1 ნოემბერს მის მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, 19.. წლის .. მარტს დაბადებული, ... რაიონის სოფელ ... რეგისტრირებული და, ფაქტობრივად, ქალაქ ზუგდიდში, ... №...-ში მცხოვრები ვ. ბ-ს ძე მ-ა (პ/ნ...) მოძრაობდა ქალაქ ზუგდიდში, ..., ყოფილი სასტუმრო „...“ უკანა ტერიტორიაზე და თან გააჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შესახებაც პატაკით მოახსენა ხელმძღვანელობას. შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვ. მ-ა დააკავეს და ინფორმაცია დადასტურდა.

4. მოწმე, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ა. კ-ს ჩვენების თანახმად, 2015 წლის 1 ნოემბერს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამომძიებელ ვ. შ-სა და გ. შ-თან ერთად გავიდა ... ქუჩაზე, სასტუმრო „...“ უკანა მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ნახეს ვ. მ-ა, რომელსაც განემარტა თავისი უფლებები. ვ. მ-მ პირადი ჩხრეკის ჩატარებასა და ნებაყოფლობით იარაღის წარდგენაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც შარვლის უკანა ნაწილიდან გამომძიებელმა ვ. შ-მ ამოიღო იარაღი. ვ. მ-მ ოქმზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. იგი დააკავეს და წარადგინეს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში. ვ. მ-ს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

5. ანალოგიური ჩვენება მისცეს მოწმეებმა – ზუგდიდის რაიონული სამმართველოს გამომძიებლებმა – ო. პ-მ, გ. შ-მ და ვ. შ-მ.

6. 2015 წლის 1 ნოემბრის პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ვ. მ-ს შარვლის უკანა ნაწილიდან ამოღებული იქნა შავი ფერის პისტოლეტი უცხოურ ენაზე შესრულებული წარწე-

რით „...“ და მჭიდრი სამი ვაზნით. აღნიშნული გარემოებები დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა მასში მონაწილე პირებმა – ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებმა – ა. კ-მ და გ. შ-მ, ასევე – დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელმა ვ. შ-მ. აღნიშნული ასევე დადასტურდა ნივთმტკიცებად წარმოდგენილი მითითებული იარაღით.

7. მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. შ-მ დაადასტურა მის მიერ 2015 წლის 2 ნოემბერს გაცემული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, წარდგენილი 9მმ კალიბრიანი „...“ ფირმის დაუდგენელი მოდელის უნომრო პისტოლეთი ქარხნული წესითაა დამზადებული, გასროლების წარმოებისათვის ვარგისია და მიეკუთვნება მოკლელულიან ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. 9მმ კალიბრიანი აირხმოვანი პისტოლეტის ფუჭი (ხმოვანი) გასროლის ვაზნიდან კუსტარულად დამზადებული 3 ვაზნა გასროლების წარმოებისათვის ვარგისია. მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. მათი გასროლა შესაძლებელია 9მმ კალიბრიანი აირხმოვანი იმ პისტოლეტებიდან, რომლებსაც ლულაში არ გააჩნიათ მრავლობითი ჭურვის გამყოფი ტიხარი და მათ შორის წარმოდგენილი 9მმ კალიბრიანი „...“ ფირმის დაუდგენელი მოდელის უნომრო პისტოლეთიდან. მანვე განმარტა, რომ კუსტარულად დამზადებული ვაზნები, ვინაიდან ექვემდებარება გასროლას, გასროლილი იქნა მითითებული იარაღიდან.

8. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ვ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 1000 ლარი.

9. საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენი შეამოწმა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ნაწილშიც, მისი სამართლიანობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ხასიათის, ხარისხისა და თვით ვ. მ-ს პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის ზომა არის ადეკვატური და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენი, რომლითაც ვ. მ-ს მსჯავრი დაედო საქართვე-



ლოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, არის კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად, როგორც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე განსაზღვრული სასჯელის ნაწილში.

11. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებას: საქმის მასალების მიხედვით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ვ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალია პირობით 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 1000 ლარი.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენით გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენი.

13. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული განაჩენით კანონიერია საბოლოოდ ვ. მ-თვის განაჩენითა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. მართალია, ვ. მ-ს წინა განაჩენით მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანის) მოხმარებისათვის და სასჯელად დაენიშნა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – 10 თვე, რაც დაემატა ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს, მაგრამ საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქმის წარმოების ამ ეტაპზე საკასაციო ინსტანცია მოკლებულია შესაძლებლობას, გადასინჯოს და იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით წინა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ვ. მ-თვის დანიშნულ სასჯელზე. აღნიშნული განაჩენის გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXVII თავით დადგენილი წესით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით,

მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ ვ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება (განსხვავებული აზრი)**

### **განაჩენი**

№482აპ-16

25 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა პროკურორ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მ. ფ-ეს, – დაბადებულს -ს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ბრალდების სამი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2007 წლის დეკემბერში მ. ფ-ემ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში, ზ-ის ს-თან მდებარე, კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, 366 080 ლარად ღირებული 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. დანაშაულის ჩადენაში მხილების თავიდან აცილების მიზნით, მან ჩანაფიქრი თავის მეგობ-

ბარს, სოფელ ზ. ჯ-ს მკვიდრს, ი. ყ-ს გაანდო და შესთავაზა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ) საფუძველზე ხ-ის მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიისათვის განცხადებით სწორედ ამ უკანასკნელს მიემართა. დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიების შემდეგ მ. ფ-ემ შეაგროვა კომისიაში წარსადგენი დოკუმენტები და ი. ყ-ს ხელი მოაწერინა 2007 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ, ყალბი შინაარსის შემცველ განცხადებაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ი. ყ-ს კანონის ძალაში შესვლამდე თვითნებურად ჰქონდა დაკავებული საკადასტრო აზომვით ნახაზზე დატანებული მიწის ნაკვეთი, რის საფუძველზეც ითხოვდა ამ ქონების საკუთრებად აღიარებას.

3. ხ-ის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებმა 2008 წლის 3 იანვრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ი. ყ-ის საკუთრებად აღიარების შესახებ და იმავე წლის 3 იანვარს მის სახელზე გაცა საკუთრების №... მოწმობა. 2008 წლის 3 იანვარს მ. ფ-ემ და ი. ყ-მა საკუთრების მოწმობა დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში, რის შემდეგაც ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი ი. ყ-ის საკუთრებად აღირიცხა, რითაც მათ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება. მ. ფ. არ გამორიცხავდა თავისი თაღლითური სქემის გამოაშკარავებას და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას, რის გამოც, მიწის ნაკვეთის შენარჩუნების მიზნით, განიზრახა ორგანიზება გაეკეთებინა ახალი დანაშაულისათვის, კერძოდ, ი. ყ-სა და მისი ნდობით აღჭურვილ სხვა პირს შორის ფიქტიური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისათვის. ამ გზით იგი მიწის ნაკვეთის მყიდველის, თითქოსდა როგორც კეთილსინდისიერი შემძენის, სახელზე დაარეგისტრირებდა მიწას, რითაც თავიდან აიცილებდა ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებას და იმავდროულად, მას ექნებოდა მისი განკარგვის

საშუალება.

4. ამ დანაშაულის ჩადენაზე მ. ფ-ემ და ი. ყ-მა დაიყოლიეს მ. ფ-ის მეზობელი გ. დ. და 2008 წლის 13 მაისს დაბა ხ-ში, ა-ის №...-ში მდებარე ნოტარიუს თ. ჩ-ს სანოტარო ბიუროში, ამ უკანასკნელსა და ი. ყ-ს შორის მ. ფ-ის ხელმძღვანელობით გაფორმდა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ფიქტიური ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გ. დ-ემ, თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, 733 824 (შვიდას ოცდაცამეტი ათას რვაას ოცდაოთხი) ლარად, რომელიც რეალურად არ გადაუხდია, ი. ყ-აგან შეიძინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. 2008 წლის 13 მაისს ყალბი შინაარსის შემცველი ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირებით ზემოთ აღნიშნული ქონება ფიქტიურ მესაკუთრეზე – გ. დ-ზე აღირიცხა.

5. 2008 წლის 23 ივნისს, იმავე მიზნითა და განზრახვით, მ. ფ-ემ კვლავ ორგანიზება გაუკეთა ანალოგიური დანაშაულის ჩადენას. მ. ფ-ემ მ. ფ-ეს გაანდო და შესთავაზა, რომ მას ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით თავის სახელზე გაეფორმებინა თაღლითური გზით დაუფლებული, სახელმწიფოს კუთვნილი, ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, რითაც თავიდან აიცილებდა ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებას და იმავდროულად, მას ექნებოდა მისი განკარგვის საშუალება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში ყაზახეთის მოქალაქე მ. ფ-სა და გ. დ-ეს შორის გაფორმდა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ფიქტიური ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ფ-ემ თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, 735 824 ლარად, რომელიც რეალურად არ გადაუხდია, გ. დ-გან შეიძინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. იმავე დღეს ყალბი შინაარსის შემცველი ფაქტიური ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირებით ზემოთ აღნიშნული ქონება ახალ ფიქტიურ მესაკუთრეზე – მ. ფ-ზე აღირიცხა.

6. 2007 წლის დეკემბერში მ. ფ-ემ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში, ზ-ს ს-სთან მდებარე, კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 242 900 ლარად ღირებული 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. დანაშაულის ჩადენაში მხი-

ლების თავიდან აცილების მიზნით, მან ჩანაფიქრი თავის ნათესავს, ქ. ბ-ის მკვიდრს, თ. კ-ს გაანდო და შესთავაზა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონმობის ფორმის დამტკიცების შესახებ) საფუძველზე ხ-ის მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიისათვის განცხადებით სწორედ ამ უკანასკნელს მიემართა. დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიების შემდეგ მ. ფ-ემ შეაგროვა კომისიაში წარსადგენი დოკუმენტები და თ. კ-ის სახელით ხელი მოაწერა 2007 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ, ყალბი შინაარსის შემცველ განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თითქოსდა თ. კ-ეს კანონის ძალაში შესვლამდე თვითნებურად ჰქონდა დაკავებული საკადასტრო აზომვით ნახაზზე დატანებული მიწის ნაკვეთი, რის საფუძველზეც ითხოვდა ამ ქონების მის საკუთრებად აღიარებას.

7. ხ-ის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებმა 2007 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის თ. კ-ის საკუთრებად აღიარების შესახებ და იმავე წლის 20 დეკემბერს მის სახელზე გაიცა საკუთრების №...- მონმობა. 2008 წლის 27 მარტს მ. ფ-ემ და თ. კ-ემ საკუთრების მონმობა დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში, რის შემდეგაც ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი თ. კ-ის საკუთრებად აღირიცხა, რითაც მათ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება. მ. ფ. არ გამოიციხავდა თავისი თაღლითური სქემის გამოაშკარავებას და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას, რის გამოც, მიწის ნაკვეთის შენარჩუნების მიზნით, განიზრახა ორგანიზება გაეკეთებინა ახალი დანაშაულისათვის, კერძოდ, თ. კ-სა და მისი ნდობით აღჭურვილ სხვა პირს შორის ფიქტიური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისათვის. ამ გზით იგი მიწის ნაკვეთს მყიდველის, თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერი შემძენის, სახელზე დაარეგისტრირებდა, რითაც თავიდან აიცილებდა ქონების კანონიერი მესაკუთრისათ-

ვის დაბრუნებას და იმავდროულად, ექნებოდა მისი განკარგვის საშუალება.

8. ამ დანაშაულის ჩადენის მიზნით, მ. ფ. ნაცნობს, ა. ა-ს დაუკავშირდა და 2008 წლის 4 აპრილს ამ უკანასკნელსა და ი. ყ-ს შორის მ. ფ-ის ხელმძღვანელობით გაფორმდა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ფიქტიური ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ა. ა-მა თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, 496 210 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორას ათი) ლარად, რაც რეალურად არ გადაუხდია, თ. კ-გან შეიძინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. 2008 წლის 4 აპრილს ყალბი შინაარსის შემცველი ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირებით ზემოთ აღნიშნული ქონება ფიქტიურ მესაკუთრეზე – ა. ა-ის სახელზე აღირიცხა.

9. 2008 წლის 23 ივნისს, იმავე მიზნითა და განზრახვით, მ. ფ-ემ კვლავ ორგანიზება გაუკეთა ანალოგიური დანაშაულის ჩადენას. მ. ფ-ემ მ. ფ-ეს გაანდო და შესთავაზა, რომ ამ უკანასკნელს ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით თავის სახელზე გაეფორმებინა თაღლითური გზით დაუფლებული, ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე, სახელმწიფოს კუთვნილი 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, რითაც თავიდან აიცილებდა ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებას და იმავდროულად, ექნებოდა მისი განკარგვის საშუალება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. ფ-ემ 2008 წლის 23 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში წარადგინა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დამზადებული, ყალბი ფიქტიური ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ფ-ემ თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, 600000 ლარად ა. ა-საგან შეიძინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. სინამდვილეში ა. ა. ამ დროისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა. იმავე დღეს ყალბი შინაარსის შემცველი ფიქტიური ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირებით“ ზემოთ აღნიშნული ქონება ახალ ფიქტიურ მესაკუთრეზე – მ. ფ-ზე აღირიცხა.

10. 2007 წლის დეკემბერში მ. ფ-ემ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე, კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 35 650 ლარად ღირებული

713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი. ამ მიზნით მან შეაგროვა კომისიაში წარსადგენი დოკუმენტები, შეადგინა ყალბი შინაარსის შემცველი განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას კანონის ძალაში შესვლამდე თვითნებურად ჰქონდა დაკავებული საკადასტრო აზომვით ნახაზზე დატანებული მიწის ნაკვეთი და 2007 წლის 21 დეკემბერს აღნიშნული განცხადებით მიმართა ხ-ის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა ამ ქონების მის საკუთრებად აღიარება. ხ-ის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებმა, ენდნენ რა წარდგენილ დოკუმენტაციას, 2007 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის მ. ფ-ეს საკუთრებად აღიარების შესახებ და იმავე წლის 21 დეკემბერს მის სახელზე გაცა საკუთრების №...- მოწმობა.

11. 2008 წლის 24 დეკემბერს მ. ფ-ემ საკუთრების მოწმობა დაარეგისტრირა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის საარეგისტრაციო სამსახურში, რის შემდეგაც ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი მის საკუთრებად აღირიცხა, რითაც მან მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება. მ. ფ. არ გამორიცხავდა თავისი თაღლითური სქემის გამოაშკარავებასა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას, რის გამოც, მიწის ნაკვეთის შენარჩუნების მიზნით, განიზრახა ახალი დანაშაულის ჩადენა, კერძოდ, გადაწყვიტა გაეფორმებინა ფიქტიური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ამ გზით მიწის ნაკვეთს მყიდველის, თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერი შემქმნის, სახელზე დაარეგისტრირებდა, რითაც თავიდან აიცილებდა ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებას და იმავდროულად, ექნებოდა მისი განკარგვის საშუალება. ამ დანაშაულის ჩადენაზე მ. ფ-ემ ისევ დაიყოლია ა. ა. და 2008 წლის 16 იანვარს დაბა ხ-ში, ა-ის ქ. №...-ში მდებარე ნოტარიუს თ. ჩ-ს სანოტარო ბიუროში, ამ უკანასკნელსა და მ. ფ-ეს შორის გაფორმდა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ფიქტიური ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ა. ა-მა თითქოსდა, როგორც კეთილსინდისიერმა შემქმნამა, 75 256 ლარად, რაც რეალურად არ გადაუხდია, მ. ფ-გან შეიძინა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი.

12. 2008 წლის 17 იანვარს ყალბი შინაარსის შემცველი ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის საარეგისტრაციო სამსახურში დაარეგისტრირებით ზემოთ აღნიშ-

ნული ქონება ფიქტიურ მესაკუთრეზე – ა. ა-ის სახელზე აღი-  
რიცხა. 2008 წლის 23 ივნისს, იმავე მიზნითა და განზრახვით, მ.  
ფ-ემ კვლავ ორგანიზება გაუკეთა ანალოგიური დანაშაულის ჩა-  
დენას. მ. ფ-ემ მ. ფ-ეს გაანდო და შესთავაზა, რომ მას ფიქტიუ-  
რი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით თავის სახელზე  
გაეფორმებინა თაღლითური გზით დაუფლებული, ხ-ის მუნი-  
ციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე, სახელმწიფოს კუთვნილი  
713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, რითაც თავიდან აიცილებდა ქონების კა-  
ნონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებას და იმავდროულად, ექ-  
ნებოდა მისი განკარგვის საშუალება. მ. ფ-ემ 2008 წლის 23 ივ-  
ნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეეს-  
ტრში წარადგინა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარე-  
ბაში დამზადებული, ყალბი ფიქტიური ყიდვა – გაყიდვის ხელ-  
შეკრულება, რომლის თანახმად, მ. ფ-ემ თითქოსდა, როგორც  
კეთილსინდისიერმა შემძენმა, 498 210 ლარად ა. ა-საგან შეიძი-  
ნა ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის  
ნაკვეთი. სინამდვილეში ა. ა. ამ დროისათვის საქართველოს ფარ-  
გლებს გარეთ იმყოფებოდა. იმავე დღეს ყალბი შინაარსის შემ-  
ცველი ფიქტიური ხელშეკრულება წარადგინა საჯარო რეეს-  
ტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურ-  
ში, მაგრამ, მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ზემოთ აღ-  
ნიშნული ქონება ფიქტიურ მესაკუთრეზე – მ. ფ-ზე ვერ აღი-  
რიცხა.

13. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 ნოემ-  
ბრის განაჩენით მ. ფ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამარ-  
თლდა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტით (ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე  
3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში. მ.  
ფ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს  
სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ხ-ის მუ-  
ნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის  
ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში. მ. ფ. ცნობილ იქნა უდანა-  
შაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის  
მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ხ-ის მუნიციპალიტეტის სო-  
ფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდი) წარდგე-  
ნილ ბრალდებაში.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნი-  
სის განაჩენით პროკურორ ირაკლი გაჩეჩილაძის სააპელაციო  
საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამარ-  
თლოს 2015 წლის 26 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

15. კასატორი – პროკურორი გიორგი გვარაკიძე საკასაციო



საჩივარში აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა მ. ფ-ის ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები; სასამართლოში არ გამოკვლეულა არც ერთი მტკიცებულება მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვისას ვინმეს მხრიდან რაიმე თანხის აღება-მიცემის თაობაზე და აღნიშნულზე მხოლოდ დაცვის მხარის დასკვნით სიტყვაშია საუბარი, რაც მტკიცებულებას არ წარმოადგენს და, შესაბამისად, საფუძვლად არ უნდა დასდებოდა განაჩენს; სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ მ. ფ. 2008 წლის 23 ივნისს ნამდვილად იმყოფებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში და ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი ქონებრივი უფლებამოსილების ყალბი შინაარსის შემცველი ფიქტიური ხელშეკრულების მეშვეობით თავის საკუთრებად აღრიცხა; 2008 წლის 23 ივნისს მ. ფ-ემ სოფელ ...-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ყალბი შინაარსის შემცველი ფიქტიური ხელშეკრულება წარადგინა იმავე სარეგისტრაციო სამსახურში, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია; რაც შეეხება მ. ფ-ის ხელწერილისათვის გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარებლობასა და დასკვნის სასამართლოში წარუდგენლობას, აღნიშნულის მიზეზი მის მიერ საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებისთვის თავის არიდებაა. თუმცა, ამის მიუხედავად, მ. ფ-ის ბრალეულობა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული წერილობითი და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, რის გამოც კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მ. ფ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

16. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა რამაზ შავაძემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

17. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ მ. ფ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-ემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, ყოველმხრივ და ობი-

ექტურად შეამონმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, მოუსმინა მხარეებს და დაასკვნა, რომ პროკურორ გიორგი გვარაკიძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მონმე გ. დ-ის მიერ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენების თანახმად, მ. ფ-ეს იგი მხოლოდ ერთხელ შეხვდა, მასთან სხვა არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. გ. დ-ეს არანაირი ინტერესი არ ჰქონია მოცემულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, მ. ფ-ის თხოვნით, ფიქტიურად იყო მასზე გაფორმებული და მ. ფ-ს თხოვნითვე გადაუფორმა მ. ფ-ეს. მას რაიმე სახის თანხა მ. ფ-გან არ აუღია, რადგან მიწის ნაკვეთი იყო მ. ფ-ის.

3. მონმე ა. ა-ის მიერ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებით, მ. ფ-ეს არ იცნობს და მას არასოდეს შეხვედრია. რაც შეეხება ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> და სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთებს, მ. ფ-ის თხოვნით, მასზე გაფორმებული იყო ფიქტიურად. მისთვის უცნობია, როგორ მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების სხვის სახელზე გადაფორმება, რადგან ხელშეკრულების დადების დღეს – 2008 წლის 23 ივნისს იმყოფებოდა ქ. ბაქოში და იმ დროის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა, რაც დასტურდება მისი პასპორტის მონაცემებით; არანაირ ხელშეკრულებაზე არ მოუწერია ხელი და ისიც კი არ იცის, აღნიშნული მიწის ნაკვეთი სად მდებარეობს.

4. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და მიაჩნია, რომ მოცემულ, კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევაში მ. ფ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდების ირგვლივ დამადასტურებელ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი, საქმეში არსებული მ. ფ-ის, ი. ყ-ის და გ. დ-ის მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენები, რომლებითაც დგინდება მხოლოდ მ. ფ-ის სახელზე ხსენებული მიწის ნაკვეთების აღრიცხვამდე არსებული ფაქტობრივი გარემოებები.

5. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მ. ფ-ის მიერ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება – ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ფიქტიური შინაარსის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გამოყენება.

6. პალატას მიაჩნია, რომ შინაარსობრივი სიყალბის დასადგენად რაიმე სახის მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია. თვით მ. ფ-ის ბრალდების დადგენილების თანახმად, ხსენებული მიწის ნაკვეთი მ. ფ-ის ჰქონდა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული და შემდგომში მას სხვადასხვა პირზე ფიქტიურად აფორმებდა თვით მ. ფ.. მონმე გ. დ-მაც დაადასტურა, რომ იგი მიწის ნაკვეთის ფიქტიური მფლობელი იყო და ის რეალურად ეკუთვნოდა მ. ფ-ს. საქმის მასალების თანახმად, ბრალდების მხარემ მოხსნა დასაკითხ პირთა სიიდან მონმე მ. ფ., ხოლო სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებიდან ერთადერთი, ვისაც შეეძლო მიეცა განმარტებები, დაედასტურებინა ან უარეყო – ნამდვილად მოხდა თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა მ. ფ-სა და მ. ფ-ის შორის, თუ ის ფიქტიური იყო, შეიძლება ყოფილიყო მ. ფ..

7. რაც შეეხება გამართლებულ მ. ფ-თვის წარდგენილ ბრალდებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურში ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთსა და ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთზე ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ყალბი ხელშეკრულების დამზადება-გამოყენების ნაწილში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც საქმეში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ: მონმეების – ა. ა-სა და თ. კ-ის ჩვენებები და სხვა წერილობითი მტკიცებულებები სასამართლოს არ აძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, თუნდაც გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნის სახით, რომელიც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა ხელშეკრულებასა და განაცხადებზე მ. ფ-ის ხელმოწერას და ამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში მის მიერ წარდგენას (გამოყენებას), კერძოდ:

8. მონმე ა. ა-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მის სახელზე გაფორმებული ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> და ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთები მ. ფ-ის თხოვნით მასზე გაფორმებული იყო ფიქტიურად. მისთვის უცნობია, როგორ მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების სხვის სახელზე გადაფორმება, რადგან ხელშეკრულების დადების დღეს იმყოფებოდა ბაქოში და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე მას არ მოუწერია ხელი; ხოლო მ. ფ-ეს არ იცნობს და არც არასოდეს შეხვედრია.

9. მონმე თ. კ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2008 წლის 4 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე არ-

სებულის ხელმონერა მას ეკუთვნის და იმ დღეს ხ-ის რეესტრში ამ ხელშეკრულებაზე მან და ა. ა-მა მოაწერეს ხელი მ. ფ-ის თხოვნით ისე, რომ არც წაუკითხავთ რა ეწერა დოკუმენტში. რეალურად მას არც მინა გაუყიდა, იმიტომ რომ არ ჰქონდა და არც ა. ა-ს მიუცია მისთვის ფული. თანხა მისთვის ამ მიწასთან დაკავშირებით არავის არ მიუცია; მისივე ჩვენებით, იგი მ. ფ-ეს არ იცნობს.

10. უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენი ემყარება გამართლებულ მ. ფ-ის ინტერესების დამცველის დასკვნით სიტყვას და არა – სასამართლოს მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რაც საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

11. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და მიაჩნია, რომ კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევაში დაცვის მხარემ მხოლოდ თავისი პოზიცია დააფიქსირა როგორც 1-ლი ინსტანციის სასამართლოში, ასევე საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს და აღნიშნა, რომ მ. ფ-ემ ნამდვილად შეიძინა მ. ფ-გან ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, რომელიც მ. ფ-ის განმარტებით, მას ვალების გამო გაფორმებული ჰქონდა სხვა პირზე. რაც შეეხება ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწისა და ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთებს, დაცვის მხარემ მიუთითა, რომ ამ მიწის ნაკვეთების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მ. ფ-ეს ხელი არ მოუწერია და მათთვის უცნობია, ვინ გააყალბა მ. ფ-ის ხელმონერები და ვინ გამოიყენა ისინი მ. ფ-ის სახელით. ამდენად, აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევად.

12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად: „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“.

13. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარეს არ მოუპოვებია უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა მ. ფ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა სახეზე არ არის. ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის გამამართლებელი განაჩენი მ. ფ-ის მიმართ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პროკურორ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის განსხვავებული აზრი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განაჩენზე გამართლებულ მ. ფ-ის მიმართ**

1. მ. ფ-ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სრულად არ ვეთანხმები ჩემი კოლეგა მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და თავს ვალდებულად მივიჩნევ,

დავრჩე განსხვავებულ აზრზე და წერილობით ჩამოვაცალიბო ჩემი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ:

0. 2. საკასაციო პალატის ჩემმა კოლეგა მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ მ. ფ. უდანაშაულოა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების სამივე ეპიზოდში.

3. კოლეგების პოზიციას ვიზიარებ ბრალდების ორ ეპიზოდთან დაკავშირებით და მიმაჩნია, რომ ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე 3470 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთისა და ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ მ-ში მდებარე 713 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდებზე ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მ. ფ-ის ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები.

4. რაც შეეხება ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდს, აღსანიშნავია შემდეგი:

5. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული. ასევე, სსსკ-ის 275-ე მუხლის თანახმად, გამამართლებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება.

6. მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდთან დაკავშირებით გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენი დაუსაბუთებელია. განაჩენში სათანადოდ არ არის ასახული და შეფასებული ის მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა საკმარისად მიმაჩნია მ. ფ-ის ბრალეულობის დასადასტურებლად, კერძოდ:

7. მონმე გ. დ-ემ სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ მ. ფ-ეს იგი მხოლოდ ერთხელ შეხვდა, მასთან სხვა არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი, მ. ფ-ის თხოვნით, მასზე ფიქტიურად იყო გაფორმებული და მ. ფ-ის თხოვნითვე გადაუფორმა მ. ფ-ეს. მონმემ დაადასტურა, რომ მან და მ. ფ-ემ საჯარო რეესტრის შენობაში მოაწერეს ხელი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, რის შემდეგაც მ. ფ-ემ უთხრა: „თავისუფალი ხარ, ანი მე მივხედავ ჩემს საქმეს“. მონმემ განმარტა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული გარემოება, თით-

ქოს მან მიიღო თანხა მიწის ნაკვეთის გასხვისების სანაცვლოდ, არ შეესაბამება სიმართლეს.

8. მხარეების მიერ უდავოდ მიჩნეული წერილობითი მტკიცებულებებით, კერძოდ: საჯარო რეესტრიდან ამოღებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ 2008 წლის 23 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხ-ის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით მიმართა დაინტერესებულმა პირმა – მ. ფემ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებას თანდართული ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი; ამავე ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველი – გ. დ-ემ მყიდველისგან – მ. ფ-გან მიიღო ქონების საფასური – 735 824 ლარი. ხელშეკრულებას ხელს აწერენ გამყიდველი გ. დ. და მყიდველი – მ. ფ..

9. მხარეთა მიერ ასევე უდავოდ მიჩნეული მტკიცებულების – ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განაჩენით დასტურდება, რომ გ. დ-ეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ 2008 წლის 23 ივნისს მან მ. ფ-ის მითითებით მ. ფ-თან გააფორმა ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ფიქტიური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

10. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გ. დ-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე მ. ფ-ის ხელმოწერის არსებობას და იმ ფაქტს, რომ მას დ-ისთვის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა არ გადაუხდია, არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულად მიმაჩნია, რომ მ. ფ-ემ ჯგუფურად დაამზადა და გამოიყენა ყალბი (ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებებიდან – მათ შორის კანონიერ ძალაში შესული განაჩენებიდან – გამომდინარე, ემსახურებოდა სახელმწიფოსგან თაღლითურად მიტაცებული მიწებისთვის კანონიერი სახის მიცემას) ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ნასყიდობის ხელშეკრულება), რაც საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

12. ამდენად, გაუგებარია, თუ რას ეფუძნება გასაჩივრებელი განაჩენისა და ჩემი კოლეგების პოზიცია მტკიცებულებათა არარსებობის შესახებ. შესაბამისად, ვერ დავეთანხმები მათ მოსაზრებას მ. ფ-ის უდანაშაულობის თაობაზე ხ-ის მუნიციპალი-

ტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდ-თან დაკავშირებით, ვინაიდან ბრალდების ამ ნაწილში წარმოდგენილია უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიუთითებს მ. ფ-ის ბრალეულობაზე. ამიტომ მიმაჩნია, რომ პროკურორ გიორგი გვარაკიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მ. ფ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ბ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ გ-ში მდებარე 3328 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ეპიზოდი) და სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 20 000 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.



### **3. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი**

#### **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად**

#### **განჩინება**

№222აგ-16

18 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**ბ. ალავიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განაჩენით დ. მ-ე, – დაბადებული 19.. წლის 2 სექტემბერს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 10 იანვრის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის 5 სექტემბრის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის 10 ოქტომბრის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 2 ნოემბრის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის დეკემბრის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3

ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის 7 თებერვლის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის 9 თებერვლის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის მარტის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის 18 აპრილის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის 5 აგვისტოს ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის 15 აგვისტოს ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2007 წლის 18 აგვისტოს ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 9 ოქტომბრის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 9 ოქტომბრის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა; 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; 379-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია). სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელები შეიკრიბა და ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დ. მ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 ოქტომბრიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2005 წლის 6 ნოემბრიდან იმავე წლის 9 ნოემბრის ჩათვლით.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: დ. მ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 9 ოქტომბრის – ბ. შ-ს ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა. განაჩენი დანარჩენ ნაწილში, მათ შორის საბოლოო სასჯელის განსაზღვრის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-

თლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივნისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ დ. მ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებზე.

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის განაჩენით დ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 28 წლით, 4 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დ. მ-ს განესაზღვრა 32 წლით, 10 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 19 მაისიდან.

5. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის განჩინებით დ. მ-ს 1/4-ით შეუმცირდა ამავე სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1/4-ით შეუმცირდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 28 წლით, 4 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 21 წლით, 3 თვითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ დ. მ-ს განესაზღვრა 24 წლით, 8 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 19 მაისიდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის პირველი ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ დ. მ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილების საფუძველზე მის მიმართ განაჩენების გადასინჯვის შესახებ დაკმაყოფილდა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის განაჩენი და ამავე სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის განჩინება შეიცვალა, კერძოდ: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩე-

ნით დ. მ-ს მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულ და ამნისტიის კანონის საფუძველზე შემცირებულ სასჯელს – 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა: ამავე განაჩენით სხვა დანაშაულებრივი ეპიზოდებისათვის (სულ 14 ეპიზოდი) დანიშნული და ამნისტიის კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელებიდან – 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული და ამნისტიის კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელიდან – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ დ. მ-ს განესაზღვრა 15 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 19 მაისიდან.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დ. მ-ს საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის პირველი ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ დ. მ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განაჩენის გადასინჯვის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ დ. მ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დ. მ-ს საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 აპრილის განჩინება მსჯავრდებულ დ. მ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩა უცვლელად.

11. 2016 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართეს მსჯავ-

რდებულმა დ. მ-მ და მისმა ადვოკატმა დ. ს-მ, რომლებმაც მოითხოვეს მსჯავრდებულ დ. მ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ადვოკატის – დ. ს-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის პირველი ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენი საკაცო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. მ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და შუამდგომლობის დაკმაყოფილება იმავე სამართლებრივი საფუძველით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები და დაასკვნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ არსე-

ბოხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

4. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ირიბი ჩვენებებთან დაკავშირებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) ზემოაღნიშნული ნორმები, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა სასამართლოს არ უცვნია არაკონსტიტუციურად და იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში მსჯავრდებულ დ. მ-ს მიმართ საქმე წარმართულია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, – საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება ამ საქმესთან მიმართებით არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს, მაგრამ, ვინაიდან დასაშვებობის ეტაპი უკვე გადალახულია, კერძოდ: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად ცნო შუამდგომლობა (რომლის გასაჩივრების პროცედურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს), 2016 წლის 11 ნოემბერს კი განიხილა და გამოიტანა განაჩენი, – საკასაციო

სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვალდებულია, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი განიხილოს დასაშვებობის შემოწმების გარეშე.

5. ამასთან, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ანალოგიური დათქმაა ძველ – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, კერძოდ: ამ კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ასევე, ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლის-სამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

6. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოქმედი – 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების მიხედვით, ხოლო დასაშვებობის ეტაპის გადალახვის შემთხვევაში საქმის განხილვა უნდა წარიმართოს იმ კოდექსით, რომლითაც კონკრეტული მსჯავრდებულის საქმეზე მიმდინარეობდა წარმოება და მიღებულ იქნა გასაჩივრებული განაჩენი.

7. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მსჯავრდებულ დ. მ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმართულია ძველი – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველი არ არსებობდა) საქმე უნდა განეხილა და განაჩენი გამოეტანა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენი გამოიტანა საქართველოს მოქმედი სის-

ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონის) მიხედვით, – საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ეს გარემოება, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველს.

8. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა იხელმძღვანელოს ძველი – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის 562-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 563-ე, 570-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ადვოკატის – დ. ს-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაუქმდეს და სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. ამასთან, სააპელაციო სასამართლოში საქმეზე არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა უნდა წარმართოს და სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

9. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, იგი არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და იმსჯელოს საკასაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 329-ე მუხლებით (ამჟამად მოქმედი რედაქცია), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის პირველი ნაწილით (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ადვოკატის – დ. ს-ს შუამ-



- დგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
2. მსჯავრდებულ დ. მ-ს სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის;
  3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად  
დატოვება**

**განაჩენი**

№199აგ-16

12 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ჭ-სა და მისი ადვოკატის – პ. დ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და დ. ჭ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. დ. ჭ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეეცვალა პირობითი მსჯავრით; მასვე ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელაღ-

სრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, შეეცვალა პირობითი მსჯავრით. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ჭ-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი – ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. დ. ჭ-ს სასჯელის ათვლა დაეწყო 2011 წლის 22 მაისიდან.

2. ამავე განაჩენით მსჯავრდებულები არიან: ვ. ს-ე, ხ. გ-ე, ა. ს-ე და გ. მ-ა.

3. 2016 წლის 18 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა დ. ჭ-მ და მისმა ადვოკატმა პ. დ-მ, რომლებმაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვეს მსჯავრდებულ დ. ჭ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა და გამართლება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-ლს დადგენილების საფუძველზე.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ დ. ჭ-სა და მისი ადვოკატის – პ. დ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა დ. ჭ-მ და მისმა ადვოკატმა პ. დ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენის გადასინჯვა მსჯავრდებულ დ. ჭ-ს მიმართ და მისი გამართლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-

თლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი

და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332<sup>1</sup>-ე მუხლში მითითებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძვლები, კერძოდ, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება:

- იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილი იწვევს იმ მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომელსაც დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელი დაენიშნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ამ მუხლში საქართველოს 2013 წლის 17 აპრილის კანონით განხორციელებული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად;

- „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-ს დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს 2017 წლის პირველ ივლისამდე წარედგინება.

4. საკასაციო პალატა, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის (რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს) მე-5 მუხლზე, რომლითაც, ასამბლეა მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, გადააფასონ ყველა სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის საქმე რეზოლუციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით და გაათავისუფლონ ისინი ან ხელახლა განიხილონ მათი საქმეები.

5. საქართველოს პარლამენტმა, – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის პირველი ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №...) შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე წარდგენილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიების შესაბამისად, – იხელმძღვანელა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის ა, ც, დ და ე ქვეპუნქტებით და 2012 წლის 5 დეკემბერს მიიღო „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ №76-ის დადგენილება, რომლის პირველი მუხლის თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად მიჩნეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №...) დამტკიცებულ, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა დანართი №... სიაში დასახელებული მსჯავრდებულები, მათ შორის სიის ...-ე ნომერი – დ. ჭ-ი, ხოლო ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს დაევალა ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების უმოკლეს ვადაში შექმნა, რაც განხორციელდა კიდევ, კერძოდ:

• „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდა პირი, რომელსაც აღნიშნული დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილის სტატუსი;

- ხოლო სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმი გაიწერა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლში, რომლის თანახმად, ყველა პირს, რომელზეც გავრცელდება ამ კანონის მოქმედება, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით.

6. ამასთან, აღნიშნულ პირთა დარღვეული უფლების აღსადგენად ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის საფუძვლების გაფართოებისა და ამ გზით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა სამართლებრივი რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით („საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი), საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332<sup>1</sup>-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომელმაც გაითვალისწინა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი, დამატებითი საფუძველი, კერძოდ – „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-ლს დადგენილებით განსაზღვრულ პირებს მიეცათ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის (საქმის ხელახლა განხილვის) შესაძლებლობა.

7. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა მსჯავრდებულმა დ. ჭ-მ და მისმა ადვოკატმა პ. დ-მ სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად (განაჩენი მსჯავრდებულ დ. ჭ-ს მიმართ გამოტანილია 2011 წლის 9 დეკემბერს ე.ი. აღნიშნული დადგენილების მიღებამდე, ხოლო შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 18 ივლისს – აღნიშნულ დადგენილებაში მითითებულ ვადაში – 2017 წლის პირველ ივლისამდე), რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო წარდგენილი შუამდგომლობა და განიხილა კიდევ, მაგრამ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული აქტები არ წარმოადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და მსჯავრდე-

ბულის უპირობოდ გამართლების საფუძველს.

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ დ. ჭ-ს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. განაჩენის მიხედვით, დ. ჭ-მ და მისმა თანმხლებმა პირებმა ჯგუფურად ჩაიდინეს ტელემაუნეებლობის დაწესებულების ბლოკირება და ხელში ჩაგდების მცდელობა, რამაც შეაფერხა ამ დაწესებულების ნორმალური მუშაობა; მათვე ჩაიდინეს პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: 2011 წლის 21 მაისს ქ. ...., ... მოედანზე, გაიმართა საპროტესტო აქცია. მოგვიანებით, აქციის ხელმძღვანელთა (მათ შორის – დ. ჭ-ს) მითითებით, აქციის სამასამდე მონაწილემ გადაინაცვლა მ. ა-ს ქუჩაზე მდებარე ... ტელევიზიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შედეგადაც გადაიკეტა საავტომობილო და საფეხმავლო გზის სავალი ნაწილი. დაახლოებით 18:30 საათზე აქციის მონაწილეებს გამოეყო რამდენიმე აქტივისტი, მათ შორის – დ. ჭ-ი, რომლებმაც მოახდინეს ტელევიზიის ბლოკირება და ფიზიკური ძალადობით შეეცადნენ, გაერღვიათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მობილიზებული პოლიციელთა რიგები. პოლიციელთა მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენ არაერთი მონოდების მიუხედავად, დ. ჭ-ი და მისი თანმხლები პირები ძალადობის გამოყენებით შეეცადნენ დაწესებულებაში შეჭრას, რა დროსაც მათ სამართალდამცავებს არაერთგზის მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რამაც ამ უკანასკნელთა ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. ასევე, სხვადასხვა საგნის გამოყენებით მათ ჩაამსხვრიეს ტელევიზიის ფასადის მინები და შეაფერხეს მისი ნორმალური მუშაობა. მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები აღიკვეთა პოლიციის დამატებითი ქვედანაყოფების შემთხვევის ადგილზე მობილიზების შემდეგ. აღნიშნულს ადასტურებს შემთხვევის ადგილის, ავტომანქანისა და ტანსაცმლის დათვალიერების ოქმები, ექსპერტიზის დასკვნები, მონმეთა

ჩვენებები და სხვა მტიციებულებები.

10. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის განაჩენით პროკურორსა და დ. ჭ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება ბრალზე დამტკიცდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ამასთან, მსჯავრდებულ დ. ჭ-სა და მის ადვოკატებს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი დამადასტურებელი მტიციებულებები სადავოდ არ გაუხდიათ.

11. რაც შეეხება მსჯავრდებულ დ. ჭ-ს ჩვენებას (მისივე 2016 წლის 11 ივლისის გამოკითხვის ოქმიდან), რომ თითქოს გამოძიების დროს, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, მასზე ახდენდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და თავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ აღიარებითი ჩვენების მიღებასა და თანამშრომლობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. ჭ-ს მოსაზრება არ დასტურდება არც საქმეში არსებული მასალებით და არც თავად მსჯავრდებულსა და მის ადვოკატს წარმოდგენილ აქტის დამადასტურებელი რაიმე ფაქტი ან მტიციებულება, ხოლო დ. ჭ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დასტურდება მოწმეთა, მათ შორის – პოლიციელთა, თავად აქციის მონაწილეთა და დ. ჭ-ს თანმხლებთა, ასევე, სხვა თვითმხილველთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტიციებულებებით.

12. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოთხოვნას მსჯავრდებულ დ. ჭ-ს უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი მტიციებულებები, რომლებითაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასტურდება მსჯავრდებულ დ. ჭ-ს მიმართ შერაცხული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

13. გარდა ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორების მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები წარმოადგენს შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს და იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულ დ. ჭ-სა და მისი ადვოკატის – ვ. დ-ს მიერ შუამდგომლობაში მითითებული შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია და სწორედ მათ საფუძველზე ცნო დასაშვებად და განიხილა წარდგენილი შუამდგომლობა, – გაუგებარია, რატომ უთითებენ კასატორები საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის გარემოებებს და ვინაიდან ამ ეტაპზე შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე დაშ-



ვებულისა და საქმეზე მიღებულია გადაწყვეტილება, არ არსებობს ამ საკითხებზე მეორედ მსჯელობის საფუძველი; ამასთან, აღნიშნული არგუმენტების გარდა, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული არანაირი გარემოება მსჯავრდებულ დ. ჭ-სა და მისი ადვოკატის მოთხოვნის დასაბუთებისათვის. უფრო მეტიც, საკასაციო საჩივარში მითითებულია საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის სხვადასხვა ნორმის მხოლოდ დისპოზიციებზე, რომელთა შინაარსი იძლევა იმის საფუძველს, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ან დევნილ პირთა საქმეები ხელახლა იქნეს განხილული და მათ ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს უფლებით (რაც დაკმაყოფილდა კიდევ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენით) და არანაირი მტკიცებულება ან მოტივირებული არგუმენტი არ არის მითითებული მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების, მსჯავრდებულ დ. ჭ-ს უდანაშაულოდ ცნობისა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარში სხვადასხვა ნორმის მხოლოდ დისპოზიციაზე მითითება არ წარმოადგენს საჩივრის მოთხოვნის დასაბუთებას და არ ქმნის მისი დაკმაყოფილების საფუძველს.

14. რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას, რომ, – თითქოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენში არ უმსჯელობია სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, რაც საფუძველად დაედო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2016 წლის 22 ივნისის განხორციელებულ ცვლილებას და რაც, მათივე განმარტებით, წარმოადგენს აღნიშნული განაჩენის გაუქმების „სრულ საფუძველს“, ასევე, თითქოს მსჯავრდებულის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რის დასადასტურებლადაც უთითებენ საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის ნორმებზე, – საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ დ. ჭ-ს მიმართ არ დარღვეულა სამართლიანი სასამართლოს უფლება, უფრო მეტიც, სწორედ მისი და მსგავსი ნიშნით დაპატიმრებულ ან დევნილ პირთა ინტერესების გათვალისწინებით მიიღო საქართველოს პარლამენტმა ზემოაღნიშნული აქტები, რომელთა საფუძველზეც გადასინჯა სააპელაციო სასამართლომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბერს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და მიიჩნია, რომ არ არსებობს მისი გაუქმებისა და მსჯავრდებულ დ. ჭ-ს

გამართლების საფუძველი, რასაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოც ეთანხმება, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ მსჯავრდებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას მათ მიმართ გამოტანილი შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში.

15. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირი, პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად, ვერ მიიჩნევა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, თუნდაც ასეთი ქმედება პოლიტიკური აქტივობის დროს იყოს ჩადენილი. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება და საქმის ხელახლა გადასინჯვა არ გულისხმობს მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ავტომატურ გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის მიღებას.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. ჭ-სა და მისი ადვოკატის – პ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
სასაქალაქო სასამართლოს განაჩენის უცვლელად  
დატოვება**

**განაჩენი**

№227აგ-16

7 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 იანვრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და მ. კ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. მ. კ-ა, – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 5 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 3 წელი – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მ. კ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 15 იანვრიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 23 ოქტომბრამდე. მ. კ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოეერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით –

საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა მ. კ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,456 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „პეროინს“, რაც ამოიღეს მისი პირადი ჩხრეკისას 2014 წლის 15 ოქტომბერს ... რაიონის სოფელ ... .

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 აგვისტოს განაჩენით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 იანვრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მსჯავრდებულ მ. კ-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია). დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს შუამდგომლობა მსჯავრდებულ მ. კ-ს მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 იანვრის განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს სააპელაციო საჩივარი და ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინება დარჩა უცვლელად.

7. 2016 წლის 7 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ მ.

კ-ს ადვოკატმა შ. დ-მ, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულ მ. კ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა და მისი სასჯელისგან გათავისუფლება როგორც ფსიქიკურად დაავადებულის, შეურაცხადის.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატმა შ. დ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ მ. კ-ს სასჯელისგან გათავისუფლება იმავე საფუძვლით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 2 და 7 ივნისის სასამართლო სხდომებზე მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატმა შ. დ-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, ხოლო პროკურორმა ალექსანდრე ძირკვაძემ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლებში მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს მიერ წარმოდგენილი მასალები, მათ შორის: შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის 2016 წლის 5 თებერვლის №...-ე დასკვნა; ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის 2015 წლის 19 მაი-

სის №... დასკვნა; შპს „... ბ. ნ-ს სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის №...-ე დასკვნა; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების 2015 წლის 6 მაისის სამედიცინო ცნობა – წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, რომელთა შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ მ. კ-ს მიმართ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის არსებითი განხილვით გადასინჯვისას საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

3. საკასაციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის 2016 წლის 5 თებერვლის №...-ე დასკვნა მ. კ-ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს მისი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასების ნაწილში არ არის სათანადოდ დასაბუთებული და საქმეში ამ ეტაპზე არსებულ სხვა მასალებთან ერთობლივად შეფასებისას არ ქმნის იმის რწმენას, რომ მ. კ-ა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. ამდენად, ამ მოცემულობით სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია იმის აღნიშვნა, რომ ინკრიმინირებული ქმედების ჩადენის დროს მ. კ-ა იყო შეურაცხადი.

4. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მსჯავრდებულ მ. კ-ს უფლებები, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაცულია და კანონით დადგენილი წესით უტარდება სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის ბრძანების საფუძველზე მსჯავრდებულის მ. კ-ა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოთავსებულია სტაციონარში – შპს „... ბ. ნ-ს სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (...) არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამონწურვამდე.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან შეც-

ვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. კ-ს ადვოკატ შ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად  
დატოვება**

**განაჩენი**

№8აგ-17

15 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ფ. გ-სა და მისი ადვოკატის – გ. ძ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ფ. გ-ს შორის დადებუ-

ლი საპროცესო შეთანხმება. ფ. გ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ექიმის დანიშნულების გარეშე „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისთვის) და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა წინა – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განაჩენით მისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ფ. გ-ს განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 6 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი – სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. ფ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 21 იანვრიდან. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ფ. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ფ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტიეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანის) უკანონო მოხმარებისთვის) და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ამავე კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 1000 ლარი. სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა წინა – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით მისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ფ. გ-ს განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე



მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე ამავე კოდექსის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 1000 ლარი. ფ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2015 წლის 11 იანვრიდან. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ფ. გ-ა გათავისუფლდა პატიმრობიდან 2015 წლის 27 აგვისტოს პირობით ვადამდე – 4 თვითა და 15 დღით ადრე.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 3 თებერვლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ ფ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

5. 2016 წლის 17 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ფ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ფ. გ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ფ. გ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის (ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაპიდროკანაბინოლის“ (მარნიხუანის) უკანონო მოხმარებისთვის) ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა წინა – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით მისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვე-

თა და საბოლოოდ ფ. გ-ს ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ჯარიმა – 1000 ლარი, პატიმრობაში ყოფნის (2015 წლის 11 იანვრიდან იმავე წლის 27 აგვისტოს ჩათვლით) ვადის გათვალისწინებით, ჩაეთვალა მოხდილად, ხოლო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2015 წლის 11 იანვრიდან. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ფ. გ-მ და მისმა ადვოკატმა გ. ძ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულ ფ. გ-ს გათავისუფლება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრისგან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განმმენსრიგებელი სხდომის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკუროსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკო-

ტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო მოხმარებისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

5. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენით ფ. გ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანის) უკანონო მოხმარებისთვის ძირითადი სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 14 დეკემბრის განაჩენით მას აღნიშნული სასჯელი მართებულად შეუცვალა სხვა, ალტერნატიული ძირითადი სასჯელით – ჯარიმით – 1000 ლარით, რაც თანხვედნილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებასთან, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით ფ. გ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით ძირითადი სასჯელის სახით 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრული ჰქონდა ექიმის დანიშნულების გარეშე „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისთვის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 14 დეკემბრის განაჩენით აღნიშნული სასჯელი მართებულად დატოვა უცვლელად, ვინაიდან „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკულ საშუალებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია და, შესაბამისად, არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.

6. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება ვერ გავრცელდება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ ფ. გ-ს მიმართ ექიმის დანიშნულების გარეშე „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ ძირითად სასჯელთან მიმართებით, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ეხება მხოლოდ ნარკოტიკული სა-

შუალეზა „მარხუანის“ უკანონო მოხმარებისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების დაუშვებლობას.

7. რაც შეეხება მსჯავრდებულ ფ. გ-სა და მისი ადვოკატის – გ. ძ-ს მოთხოვნას ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრისგან ფ. გ-ს გათავისუფლების შესახებ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული სასჯელი წარმოადგენს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განაჩენით მისთვის დადგენილი სასჯელის მოუხდელ ნაწილს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დაემატა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განაჩენით დადგენილ სასჯელს. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ ამ შინაარსის შუამდგომლობით მსჯავრდებულ ფ. გ-ს არ მიუმართავს განსჯადი – სააპელაციო სასამართლოსათვის და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ამ საკითხზე, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს ეს მოთხოვნა. ამდენად, არ არსებობს მსჯავრდებულ ფ. გ-სა და მისი ადვოკატის – გ. ძ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ფ. გ-სა და მისი ადვოკატის – გ. ძ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადანინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის**

**განჩინება**

№53აგ-16

6 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულ ბ. ა-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, ბ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2014 წლის 8 ოქტომბრიდან იმავე წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით და დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი. მსჯავრდებულ ბ. ა-ს 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები, ხოლო 5 წლით – „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი სხვა უფლებები.

2. 2016 წლის 1 თებერვალს მსჯავრდებულ ბ. ა-ის ადვოკატმა გ. ლ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე – ბ. ა-ის მიმართ

დადგენილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულის ადვოკატის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. მსჯავრდებულ ბ. ა-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ლ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ზემოხსენებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ზოგადად მსჯელობს ნარკოტიკულ საშუალება „მარიხუანაზე“ და ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ აკონკრეტებს მის სახეობას. გამომშრალი და ნედლი „მარიხუანა“ არ არის განსხვავებული ნივთიერებები, ეს ერთი და იგივე ნივთიერებაა სხვადასხვა მდგომარეობით; რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კონკრეტულად „გამომშრალი მარიხუანა“ მითითებული, ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სარჩელი შეტანილია „გამომშრალ მარიხუანაზე“.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის განჩინების გაუქმება, შუამდგომლობის განხილვა და ბ. ა-ის მიმართ დადგენილი განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ივლისის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ბ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 100 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმენისა და შენახვის გამო, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შე-

საძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისთვის.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 მარტის განჩინებით განხლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ბ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისთვის.

3. პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ ბ. ა-

ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და წარმოება უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ ბ. ა-ის მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადანინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის**

**განჩინება**

№25აგ-17

7 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ გ. პ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით თ. ბ-ა



ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. თ. ბ-ა დაუსწრებლად ცნობილ იქნა დანაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა უნდა დაეწყოს დაპატიმრების მომენტიდან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ბ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დადგენილი სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

3. 2017 წლის პირველ თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა გ. მიქავამ, რომელმაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა და საქმის არსებითად განხილვა შემდეგი მოტივით: საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის 2017 წლის 17 იანვრის დადგენილებით „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ გაირკვა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მსჯავრდებულ თ. ბ-ს პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება, კერძოდ: თ. ბ-ს განზრახ უკანონო დევნით არსებითად შეილახა მისი რეპუტაცია და მოხდა მისი დისკრედიტირება საზოგადოებაში, რამაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლების არსებითად დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული დადგინდა ახალი გამოძიე-

ბის პირობებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით, რომლებიც ამტკიცებს თ. ბ-ს უდანაშაულობას; ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 და მე-13 მუხლების შესაბამისად, არ დასტურდება თ. ბ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ გ. მიქავას შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

5. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა გელა პეტრიაშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა იმავე საფუძვლით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ისე, რომ არ ამოწმებს მის დასაშვებობას. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ძალაში დატოვოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ან გააუქმოს იგი და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ

სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

4. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის 2017 წლის 17 იანვრის დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მსჯავრდებულ თ. ბ-ს პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება, კერძოდ: თ. ბ-ს განზრახ უკანონო დევნით არსებითად შეილახა მისი რეპუტაცია და მოხდა მისი დისკრედიტირება საზოგადოებაში, რამაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლების არსებითად დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული დადგინდა ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით, რომლებიც ამტკიცებს თ. ბ-ს უდანაშაულობას; ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 და მე-13 მუხლების შესაბამისად, არ დასტურდება თ. ბ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტი.

5. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსგავს საქმეებზე, როდესაც ვლინდება მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, ბრალდების მხარე არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სრულყოფილად განახორციელოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, რისი წინა პირობაც არის წარდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა სასამართლოში.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორ გელა პეტრიაშვილის საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება პროკურორ გ. მიქავას შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ გელა პეტრიაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ გ. მიქავას შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის**

**განჩინება**

№212აგ-16

10 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. თ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება გორის რაიონული პროკურატურის პროკურორსა და ბრალდებულ ნ. თ-ს შორის. ნ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 8 თვით. სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ნ. თ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 1000 ლარი. ნ. თ-ს 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. 2016 წლის 13 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ ნ. თ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის განაჩენის გადასინჯვა და სასამართლობის მოხსნა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. კასატორი – მსჯავრდებული ნ. თ. ითხოვს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შექენისა და შენახვისთვის.

3. პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ ნ. თ.-სა და მისი ადვოკატის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და წარმოება უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპე-

ლაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ ნ. თ-ის მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ასლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადანიშვნის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის**

**განჩინება**

№211აგ-16

21 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შველიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ც-სა და ტ. მ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აგვისტოს განაჩენით კ. ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 4000 ლარი; სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის

„ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განჩინებით კ. ტ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელები გაუნახევრდა და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2005 წლის 29 ივნისიდან იმავე წლის 1 ივლისის ჩათვლით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აგვისტოს განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულ კ. ტ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – კ. ც-ემ და ტ. მ-მა, რომლებმაც ითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვა, კ. ტ-ის მიმართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლისა და სსკ-ის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულის ადვოკატების შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. მსჯავრდებულ კ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები – კ. ც. და ტ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განხილვას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსკ-ის 332<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძველებთან ერთად, ახლად გამოვლენილ



გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილით („საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილ ამ კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას აქვს უკუქაღალა იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელი დაენიშნა აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად) მსჯავრდებულის მდგომარეობა უმჯობესდება.

3. ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აგვისტოს განაჩენის თანახმად, კ. ტ. იყო ნასამართლობის არმქონე, მისი მდგომარეობა, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, გაუმჯობესდება, რაც საქართველოს სსკ-ის 332<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს.

4. საკასაციო პალატა მიუთითებს ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-100 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ამ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების) კოდექსის დებულებებს აქვს უკუქაღალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვანის მდგომარეობა.

5. იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აგვისტოს განაჩენით არასრულწლოვან კ. ტ-ის მიმართ არ არის გამოყენებული იმ დროს მოქმედი სსკ-ის 88-ე მუხლით დადგენილი შეღავათები, მოსალოდნელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უკუქაღალით გავრცელების საფუძველია.

6. სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ისარგებლოს განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებით, რა დროსაც მისთვის საბოლოო სასჯელი განისაზღვრება ახალი კანონის შესაბამისად, საკასაციო პალატა, მის წინაშე არსებული კონკრეტული მოცემულობის გათვალისწინებით, არ იზიარებს და განმარტავს: მოცემულ შემთხვევაში მხარე შუამდგომლობს განაჩენის გადასინჯვას მხოლოდ სასჯელის ნაწილში, რაც მსჯავრდებულის მიერ სამომავლოდ განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში არ იქნება შემაფერხებელი საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლო არ აფასებს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და საქ-

მეში არსებულ მტკიცებულებებს, არ მსჯელობს ქმედების კვალიფიკაციის სისწორესა და შეფარდებული სასჯელის სამართლიანობაზე; სასამართლომ უნდა შეასრულოს მხოლოდ კანონის იმპერატიული მოთხოვნა დანაშაულთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის შეფარდებისა და არასრულწლოვნისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრის შესახებ, რაც არ წარმოადგენს შეფასების საგანს (ვინაიდან კანონით ზუსტადაა განსაზღვრული აღნიშნული წესები) და, შესაბამისად, განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაშიც არც ერთ ასპექტში არ იქნება საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს შემბოჭავი.

7. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ კ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ც-სა და ტ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ უნდა გაუქმდეს, წარმოება დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და შუამდგომლობა დაშვებულ იქნეს განსახილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ კ. ტ-ის მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაკმაყოფილების ცნობის შესახებ  
ბანაჩენის უცვლელად დატოვება**

**ბანაჩენი**

№ 138აგ-16

27 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**გ. შავლიაშვილი,**

**პ. ქათამაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 აგვისტოს განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და თ. ც-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. თ. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩათვალა პირობით, ხოლო 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (11,21 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შეძენა, შენახვა) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩათვალა პირობით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით თ. ც-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი. თ. ც-ს ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. 2016 წლის 4 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა თ. ც-მ და მისმა ადვოკატმა კ. შ-მ, რომლებმაც მოითხოვეს მსჯავრდებულ თ. ც-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარისუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმნისა და შენახვის გამო.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ თ. ც-სა და მისი ადვოკატის – კ. შ-ს შუამდგომლობა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მსჯავრდებული თ. ც-ე გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ძირითადი სასჯელისგან, ხოლო მოსახდელად დარჩა ამავე განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილი აქვს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვ. ნ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ უნდა გაეგრძელებინა მსჯავრდებულ თ. ც-ს მიმართ, ვინაიდან ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 აგვისტოს განაჩენით თ. ც-ე მსჯავ-

რდებულა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – ნარკოტიკული საშუალება „ნედელი მარიხუანის“ უკანონო შექმნა, შენახვის გამო, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება ეხება ნარკოტიკულ საშუალება „გამომშრალ მარიხუანას“.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომლითაც, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ შექმნა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია იგივე ნორმატიული შინაარსი ნარკოტიკულ საშუალება „ნედელი მარიხუანასთან“ მიმართებით და 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 11,21 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „ნედელი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმნისა და შენახვის გამო, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. საკასაციო პალატამ ამავე განჩინებით შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განმნესრიგებელი სხდომის განჩინებით (ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ

გრაფაში განსაზღვრული (100 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შექცენისა და შენახვისათვის.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვახტანგ ნიქაბაძის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით შინაარსობრივად მოიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის საკონსტიტუციო წარდგინებაში დასმულ საკითხს, ამასთან, უზენაესი სასამართლოს წარდგინებაში მითითებული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ ოდენობაც (11,21 გრამი) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ოდენობის (100 გრამამდე) ფარგლებშია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განმმწესრიგებელი სხდომის განჩინებით (ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული (100 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისათვის.

4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენით თ. ც-ე გათავისუფლებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (11,21 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შეძენა, შენახვის გამო) თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელისაგან (4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით), რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განმმსწერიგებელი სხდომის განჩინებასთან (ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების შესახებ) თანხვედნილია, – აღარ არსებობს ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ნ-ს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

5. ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-40 მუხლით, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ თ. ც-ე მართებულად ცნო დამნაშავედ სასჯელის დაუნიშნავად სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, 11,21 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შეძენისა და შენახვისათვის, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მომხდარა მის მიერ ჩადენილი ქმედების დეკრიმინალიზაცია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს,

ხოლო გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულ თ. ც-სა და მისი ადვოკატის – კ. შ-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ თ. ც-სა და მისი ადვოკატის – კ. შ-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება**

№180აგ-16

13 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ა-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 აგვისტოს განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-



თლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით კ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „თ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ და შეკრების წესით მას დაენიშნა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად, ამ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ კ. ა-ს სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენიშნა 2003 წლის 5 სექტემბრიდან.

2. აღნიშნული განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 14 სექტემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

3. ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით კ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“, „თ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ კ. ა-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალია პატიმრობაში ყოფნის დრო – 2003 წლის 5 სექტემბრიდან 2007 წლის 12 აპრილამდე და სასჯელის ათვლა დაენიშნა 2007 წლის 12 აპრილიდან.

4. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ კ. ა-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

5. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ კ. ა-ს მიმართ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით დანიშნულ სასჯელს, რომელშიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, დაემატა წინა – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ მსჯავრდებულ კ. ა-ს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 4 თვითა და 23 დღით. მას სასჯელის მოხდა დაენიშნა ტყიბულის რაიონული სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღიდან – 2007 წლის 12 აპრილიდან.



ნახმად, მსჯავრდებულ კ. ა-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წილობრივი პროპორციის გათვალისწინებით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახვერდა, რამაც შეადგინა 2 წელი. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ კ. ა-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „თ“ ქვეპუნქტებით წილობრივი პროპორციის გათვალისწინებით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა ერთი მეოთხედით, რამაც შეადგინა 3 წელი. ამ განაჩენით მას შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

8. 2016 წლის 2 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა კ. ა-მ, რომელმაც საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 ივლისის განაჩენისა და ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენის გადასინჯვა.

9. შუამდგომლობის ავტორი ახლად გამოვლენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მის ბრალეულობასთან დაკავშირებით საქმეში არ არსებობს არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენით. აღნიშნულის საფუძველად მსჯავრდებულმა მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მისი შუამდგომლობა ასევე დასაშვებია საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძ-

ველზე, ვინაიდან საქმეზე „ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რადგანაც საქმის განხილვაში მონაწილე პირები – მსაჯულები არ წარმოადგენდნენ „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოს.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

11. კასატორები – კ. ა-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ჩ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 აგვისტოს განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას შუამდგომლობაში მითითებული მოტივებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

2. პალატა აღნიშნავს, რომ შუამდგომლობასა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველს, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში (სხვა საფუძველბთან ერთად) კასატორი ითხოვს განაჩენის გადასინჯვას საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) ქვეპუნქტის შესაბამისად, რის საფუძველდაც მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს: საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯვ განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ

კ. ა-ს მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად არ უდევს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

4. რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ სხვა გარემოებებს, კერძოდ – განაჩენის გადასინჯვას იმ მოტივით, რომ მისი საქმე განიხილა სასამართლოს არაუფლებამოსილმა შემადგენლობამ სახალხო მსაჯულების მონაწილეობით, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია – საკასაციო პალატა სრულად იზიარებს საპელაციო სასამართლოს არგუმენტებს აღნიშნულ საკითხებზე და მიუთითებს:

- ორი მსაჯულის მონაწილეობით სასამართლოს მიერ საქმის განხილვა გათვალისწინებული იყო „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით. მსაჯულები აირჩიეს 1991 წელს, ხოლო მათი უფლებამოსილების ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა, კერძოდ, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 12 ივნისის კანონის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ამდენად, საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

- საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შეაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი, უნდა არსებობდეს ამ კონკრეტულ საქმეზე. მოცემულ საქმეზე კი მსაჯულთა მონაწილეობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რაიმე სახის გადაწყვეტილება არ მიუღია.

5. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ კ. ა-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## დაადგინა:

1. მსჯავრდებულ კ. ა-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 აგვისტოს განჩინება მსჯავრდებულ კ. ა-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

#### განჩინება

№201აგ-16

29 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 აგვისტოს განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივლისის განაჩენით დაკმაყოფილდა ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ს-ს შუამდგომლობა და დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულ ა. ჯ-ის შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ა. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის სახედ

და ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე ა. ჯ-ეს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 25 000 ლარი.

2. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს 2012 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მსჯავრდებული ა. ჯ-ე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე – 1 წლითა და 9 დღით ადრე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 აპრილის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის განაჩენში და ა. ჯ-ე გათავისუფლდა აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელისაგან, პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადისაგან.

4. 2016 წლის 18 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ა. ჯ-ემ და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ: საჩივრის ავტორის განმარტებით, მას დანაშაული არ ჩაუდენია, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული იყო, ეღიარებინა დანაშაული და დასთანხმებოდა შემოთავაზებულ საპროცესო შეთანხმების პირობებს. იგი ასევე დაარწმუნეს, რომ უნდა ანაზღაურებულიყო სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი, რის გამოც დათანხმდა 25 000 ლარის გადახდას, თუმცა განაჩენში ჩაინერა, რომ მას დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 25 000 ლარი, რომელიც არ ჩაეთვალა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში. ქალაქ თბილისის მერიამ კი სარჩელით მიმართა სასამართლოს, რითაც მოითხოვა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დაუყადაღეს ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორი ითხოვს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივლისის განაჩენით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული ჯარიმა ჩაეთვალოს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში და მის ქონებას მოეხსნას ყადაღა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულ ა. ჯ-ის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. კასატორი – მსჯავრდებული ა. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ: განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმი-



ნაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინა-აღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ საფუძველს არ აკმაყოფილებს. პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

4. პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის განაჩენით სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, რაც დაიდო ბრალდებისა და დაცვის მხარეთა ნებაყოფლობითი შეთან-

ხმების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე ა. ჯ-ისა და სხვათა მიმართ, საქართველოს სსკ-ის 21-ე თავით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. რაიმე მტკიცებულება, რომ საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით ან მოტყუებით, კასატორს არ წარმოუდგენია, რის გამოც პალატა მოკლებულია შესაძლებლბას, გადასინჯოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

5. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ა. ჯ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 აგვისტოს განჩინება მსჯავრდებულ ა. ჯ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება**

№206აგ-16

5 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მაისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და დ. ხ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. დ. ხ-ე, – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი. დ. ხ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 8 აპრილიდან იმავე წლის 11 აპრილის ჩათვლით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 ივლისის განაჩენით დ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებისა და „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) მოხმარებისთვის) და განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მაისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი, 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მას განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი. დ. ხ-ს სასჯელის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსრულების მომენტიდან. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

3. 2016 წლის 4 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა დ. ხ-მ, რომელმაც მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ დ. ხ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

5. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ხ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა იმავე საფუძველით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯვა, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პარიგრაფულ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

4. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 ივლისის განაჩენით დ. ხ-ე მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ: ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებისა და „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) მოხმარების გამო, რისთვისაც ძირითადი სასჯელის სახით განსაზღვრული აქვს ჯარიმა – 2000 ლარი, ხოლო ამავე განაჩენში მითითებული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – არის მისთვის წინა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მაისის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან ის ნაწილი, რომელიც ამავე კოდექსის 67-ე და 59-ე მუხლების მე-5 ნაწილების საფუძველზე განაჩენთა ერთობლიობით დაემატა ბოლო განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს (ჯარიმას), რაც, ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ დ. ხ-ს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებისთვის.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება ვერ გავრცელდება მსჯავრდებულ დ. ხ-ს მიმართ, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ ნარკოტიკულ საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების დაუშვებლობას, ხოლო დ. ხ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის განესაზღვრა ჯარიმა და არა – თავისუფლების

აღკვეთა; ამასთან, ამავე მუხლით მას მსჯავრი დაედო როგორც „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“), ასევე ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო. ამდენად, არ არსებობს მსჯავრდებულ დ. ხ-ს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მისივე შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველი.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ დ. ხ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ დ. ხ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება**

№230აგ-16

22 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ე. ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ვ. ე. ო. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 9 თვით. მასვე სსკ-ის 41-ე–42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა – 10 000 ლარი. მსჯავრდებულ ვ. მ-ს სასჯელის მოხდის ათვლა უნდა დაეწყოს დაპატიმრების ან სათანადო ორგანოში გამოცხადების დღიდან. ამავვე განაჩენით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა: ვ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 649 724,8 ლარი, შესაბამის საურავთან ერთად და ჯარიმა – 335 866 ლარი.

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ვ. მ-ს გაუნახვერდა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით.

3. 2016 წლის 1 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ ვ. მ-ის ინტე-

რესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-მა და სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ხოლო ალტერნატივის სახით, იმ შემთხვევაში, თუ გამამართლებელი განაჩენი არ იქნება მიღებული, ითხოვა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა, კერძოდ: მსჯავრდებულის საპატიმრო და დამატებითი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება.

4. შუამდგომლობის ავტორი ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ვ. მ-ის მიმართ გავრცელდა ე.წ. „ფინანსური ამნისტია“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 252-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამონერას დაექვემდებარა 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი, ვინაიდან 2011 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისთვის (თანხის ჩამონერამდე) საგადასახადო ორგანოსთვის არ ჰქონია წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება. ამ ნორმის საფუძველზე ვ. მ-ს სრულად ჩამოენერა ზემოაღნიშნული თანხა, ამასთან, შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19 ივლისის №... შეტყობინებისა და შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის 2016 წლის 19 ივლისის №... ბრძანების საფუძველზე ქონებაზე გამოყენებული ყადაღა გაუქმდა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ვ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. კასატორი – მსჯავრდებულ ვ. მ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას მასში მითითებული მოტივებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოე-



ბათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა. კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში თელავის რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენი ვ. მ-ის მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომლის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებაც დღეის მდგომარეობითაც აქვს მსჯავრდებულს. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაუსრულებელი სამართალწარმოების საქმეზე განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შესაძლოა, გადასინჯოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მათ შორის – როდესაც ეს სამართლიანი სამართლოს უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, ან როდესაც საკითხი ეხება სასჯელის განსაზღვრას კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ შეიძლება შეფასების საგანი იყოს და განსხვავებულად გადაწყდეს საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში<sup>1</sup>.

4. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს შეფასების საგანს, რაც საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს და რაზეც სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს ვ. მ-ის მიერ თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში.

5. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ვ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილი და

---

<sup>1</sup> იხ. სუსგ საქმეზე №25აგ-17 და სუსგ საქმეზე №211აგ-16.

## დაადგინა:

1. მსჯავრდებულ ვ. ე. ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ ვ. ე. ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

#### განჩინება

№2აგ-17

2 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენით პ. ქ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პი-

რობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. 2016 წლის 6 დეკემბერს მსჯავრდებულ პ. ქ-ას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა მსჯავრდებულის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინების შესაბამისად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ პ. ქ-ას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენით განსაზღვრული სასჯელი მოხდელი აქვს, კერძოდ: მას გამოსაცდელი ვადა დაუსრულდა 2016 წლის 13 აგვისტოს.

4. კასატორი – მსჯავრდებულ პ. ქ-ას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ა-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ პ. ქ-ას გამოსაცდელი ვადის პერიოდში ედავებიან საქართველოს სსკ-ის 381-ე და 238<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას. ამდენად, პ. ქ-ას სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლება მნიშვნელოვანია მისი შემდგომი პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და

ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

3. საქმის მასალებით ირკვევა, რომ, მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენით პ. ქ-ას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო სასჯელის სახით განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩაეთვალა პირობით), მაგრამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინების გამოტანის მომენტისთვის მას აღნიშნული განაჩენით შეფარდებული სასჯელი უკვე მოხდელი ჰქონდა, რის გამოც სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა, რომ აღარ არსებობდა მისთვის განსაზღვრული სასჯელის შეცვლის საფუძველი.

4. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ პ. ქ-ას სასჯელისგან გათავისუფლება გავლენას მოახდენს მისი საქართველოს სსკ-ის 381-ე და 238<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის მსჯავრდების საკითხზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პ. ქ-ას თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელი შეეცვლება სხვა, არასაპატიმრო სასჯელით და, ამდენად, იგი სასჯელისგან გათავისუფლებულად (რასაც შესაძლოა, გავლენა ჰქონოდა მისი სსკ-ის 381-ე და 238<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის მსჯავრდების შემთხვევაში) მაინც არ ჩაითვლება. შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ სასჯელისგან გათავისუფლების მოტივით.

5. ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენით პ. ქ-ას მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – აღსრულების რისკი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინების (რომელიც სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იქნება მსჯავრდებულ პ. ქ-ას საქმის განმხილველი სასამართლოსთვის) შესაბამისად, არ არსებობს.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ პ. ქ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნ-

და დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ პ. ქ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ პ. ქ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება**

№21აგ-17

22 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. კ-ს ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 2 თებერვლის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 მარტის განაჩენით თ. კ-ი, –

დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით და დაუსწრებლად მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

2. 2017 წლის 23 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ თ. კ.-ს ადვოკატმა დ. ჯ.-მ, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულ თ. კ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 2 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ თ. კ.-ს ადვოკატ დ. ჯ.-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ ცნობილ იქნა დაუშვებლად.

4. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ.კ.-ს ადვოკატმა დ. ჯ.-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონაშობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩა-

დენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ამავე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით იხილავს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

4. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, ხოლო ამავე კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსის 168<sup>1</sup>-ე და 168<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული განრიდების გამოყენების შემთხვევებისა.

5. ამასთან, 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მოცემულ საქმეზე დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) 519-ე მუხლის შესაბამისად, თუ აპელანტის აზრით, რაიონული (სა-



ქალაქი) სასამართლოს განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი ან უკანონოა, მას შეუძლია, გაასაჩივროს სააპელაციო წესით, სააპელაციო საჩივარს კი – ამავე კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 და 521-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, სააპელაციო წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. ამავე კოდექსის 523-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანა შეუძლია განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში – დაპატიმრებიდან, ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

6. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ თ. კ.-ს ადვოკატ დ. ჯ.-ს მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 23 მარტის განაჩენი თ. კ.-ს მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომელიც სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

7. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა, ხოლო მსჯავრდებულ თ. კ.-ს ადვოკატ დ. ჯ.-ს მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებას, რაც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. კ.-ს ადვოკატ დ. ჯ.-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისივე შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ თ. კ-ს ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 2 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ თ. კ-ს ადვოკატ დ. ჯ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. ექსტრადიცია

### განჩინება

1-17

6 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. ქათამაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. პ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2016 წლის 19 ივლისს საქართველოს შსს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს საფრანგეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. მ-ი.

2. 2016 წლის 21 ივლისს მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ა. მ-ს შეეფარდა საქესტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

3. 2016 წლის 28 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ა. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის 2016 წლის 21 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე.

4. 2016 წლის 25 აგვისტოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო ა. მ-ის ექსტრადიციის შესახებ საფრანგეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობისა და საქესტრადიციო მასალების დედნები.

5. 2016 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების გარანტია ექსტრადიციის შემთხვევაში ა. მ-ის მიმართ საქმის ხელახალი განხილვის შესახებ.

6. 2016 წლის 18 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ა. მ-ის საქესტრადიციო პატიმრო-

ბის ვადა გაგრძელდა დამატებით 3 თვით – 2017 წლის 19 იანვრამდე.

7. ამჟამად ა. მ-ი მოთავსებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში.

8. 2013 წლის 22 იანვარს საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილით (განზრახვის გარეშე სიცოცხლის ხელყოფა), 223-ე მუხლის მე-6 ნაწილით (განსაცდელში მყოფი პირის დაუხმარებლობა) და 434-ე მუხლის მე-10 ნაწილით (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

9. 2013 წლის 22 იანვარს საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლომ გამოსცა ა. მ-ის დაპატიმრების ბრძანება, ხოლო 2014 წლის 18 თებერვალს ბრესტის რესპუბლიკურმა პროკურორმა გამოსცა მისი დაპატიმრების ევროპული ორდერი.

10. 2014 წლის 7 მარტს ა. მ-ის მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

11. 2016 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ და ითხოვა, სასამართლოს დასაშვებად ეცნო ა. მ-ის ექსტრადიცია საფრანგეთის რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილით (განზრახვის გარეშე სიცოცხლის ხელყოფა), 223-ე მუხლის მე-6 ნაწილით (განსაცდელში მყოფი პირის დაუხმარებლობა) და 434-ე მუხლის მე-10 ნაწილით (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება), რადგან ა. მ-ის მიმართ ექსტრადიციის განხორციელებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონმდებლობის თანახმად, დაცულია ყველა მოთხოვნა ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების, პირის იდენტიფიკაციის,

ორმაგი დანაშაულის პრინციპის, დანაშაულის ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის სტატუსის, non bis in idem, სამართალწარმოებისა და გარანტიების შესახებ.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ დემეტრე ჯინჯოლიას შუამდგომლობა: დასაშვებად იქნა ცნობილი ა. მ-ის საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილით (განზრახვის გარეშე სიცოცხლის ხელყოფა) და 223-ე მუხლის მე-6 ნაწილით (განსაცდელში მყოფი პირის დაუხმარებლობა); არ იქნა დასაშვებად ცნობილი ა. მ-ის ექსტრადიცია საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომელიც დასჯადია საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 434-ე მუხლის მე-10 ნაწილით (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება).

13. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. მ-ის ადვოკატი მ. პ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო:

14. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას ან ძირითად ინტერესებს. ა. მ-ი დაბადებულია და ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობდა საქართველოში, იყო საქართველოს მოქალაქე, მისი ახლობლები არიან საქართველოს მოქალაქეები, ცხოვრობენ და საქმიანობენ საქართველოში.

15. გარდა ამისა, ა. მ-ი იყო გემის კაპიტნის პირველი თანაშემწე და უწევდა ევროპისა და აფრიკის კონტინენტების ტერიტორიულ წყლებში ცურვა. 2007 წელს მომხდარი ფაქტი იყო უბედური შემთხვევა, რომლის დროსაც მას დახმარება არ შეეძლო, რადგან შეჯახების შემდეგ მისი გემი, რომელიც ძალიან იყო დაზიანებული, ძლიერმა დინებამ გაიტაცა. ამასთან, გემი დააკავა

სამხედრო ხომალდმა, გადაიყვანა სამხედრო ბაზის პორტში, სადაც ძლიერი მორალური და ფსიქოლოგიური ზეწოლით წარმოებული დაკითხვისას ა. მ-მა განაცხადა, რომ ის იმყოფებოდა სამართავ პულტთან, რაც რეალური არ იყო. მან რეალური განმარტება მისცა აზერბაიჯანელ სამართალდამცავებს, რომლებმაც უთხრეს, რომ მისი ეს ჩვენება გადაეგზავნებოდა საფრანგეთის შესაბამის ორგანოებს, რაც არ მომხდარა; შესაბამისად, ა. მ-ს არ მიეცა სასამართლოს წინაშე გამოსვლისა და თავის დაცვის შესაძლებლობა.

16. იმ დროს, როდესაც სასამართლომ შეტყობინება გააგზავნა, ა. მ-ი იმყოფებოდა ზღვაში და ფიზიკურად ვერ გამოცხადდებოდა სასამართლოში. ზღვაში მყოფი პირის ინფორმირება სასამართლო სხდომის შესახებ, როცა მას არა აქვს სხდომაში მონაწილეობის შესაძლებლობა, არ არის სათანადო ინფორმირება, ამიტომ დაცვის უფლების უზრუნველყოფაც ვერ განხორციელდა და სასამართლომ ა. მ-ის დაუსწრებლად გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

17. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად: „პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირება არ ხორციელდება, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში მის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და ამასთანავე, იგი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ ან დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილი არ იყო დაცვის მინიმალური უფლებები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. მ-ს არ დაურღვევია საქართველოს სსკ-ის 275-ე მუხლის მე-3 ნაწილი (წყლის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც სპეციალურად ევალება ამ წესის დაცვა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც ითვალისწინებს 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას).

18. რაც შეეხება განსაცდელში მყოფი პირის დაუხმარებლობას, იგი გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით, ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება და სსკ-ის 71-ე მუხლის მიხედვით, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 6 წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. აღნიშნული ქმედების ჩადენის თარიღად მითითებულია 2007 წლის 17 აგვისტო. ა. მ-ი მთელი ამ დროის განმავლობაში არ მიმალულა, საქმიანობდა და თავისუფლად გადაადგილდებოდა. გარდა ამი-

სა, ა. მ-ისათვის ბრალად შერაცხულ მუხლზე 2012 წლის 28 დეკემბერს გამოცემულია კანონი „ამნისტიის შესახებ“.

19. ამდენად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე და 25-ე მუხლების თანახმად, ა. მ-ის ექსტრადიცია არ უნდა განხორციელდეს.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. პ-ე ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინების გაუქმებას და ა. მ-ის საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საფრანგეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. მ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2016 წლის 19 ივლისს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საქსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (ნონ ბის ინ იდემ) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ა. მ-ის მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ა. მ-ს დანაშაული არ ჩაუდენია, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იხილავს ა. მ-ის ბრალეულობის საკითხს. ამ შემ-

თხვევაში სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმაზე, დასაშვებია თუ არა მისი ექსტრადიცია საფრანგეთის რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით.

5. პალატას მიაჩნია, რომ უსაფუძვლოა ადვოკატის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ა. მ-ის ექსტრადიცია ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას ან ძირითად ინტერესებს, ვინაიდან იგი დაბადებულია და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით დადასტურებულია, რომ ა. მ-ი არ არის საქართველოს მოქალაქე, არ ითვლება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად, ვინაიდან არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, არ აქვს საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და არ ჰყავს ოჯახი. იგი არ სარგებლობს ლტოლვილის სტატუსით და საქართველოში პოლიტიკური თავშესაფარი არ გააჩნია. შესაბამისად, არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

6. საფუძველსაა მოკლებული საკასაციო სამიჯრის მოსაზრება ა. მ-ისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ექსტრადიცია, თუ ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აშკარად დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება ან არსებობს ასეთი დარღვევის საფრთხე. სათანადო პირობებისა და შესაბამისი პროცესუალური გარანტიების არარსებობის შემთხვევაში პირის მიმართ საქმის დაუსწრებლად განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლების აშკარა დარღვევას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს აშკარად არ გამოუხატავს სასამართლოში განხილვისას გამოცხადებაზე უარი, მას უნდა მიეცეს ფაქტებისა და სამართლის საკითხებზე ხელახალი სასამართლო განხილვის შესაძლებლობა. საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განაჩენთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მიცემული გარანტიის შესაბამისად, საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ა. მ-ს მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლოს საქმის ხელახალი განხილვის უფლებით.

7. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს ექსტრადიციას დაქ-



ვემდებარებული პირის ადვოკატის პოზიციას ამნისტიასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, საქართველოს კანონმდებლობით ამნისტირებულია და საქართველოს აქვს იურისდიქცია ამ დანაშაულთან დაკავშირებით“. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს არა აქვს იურისდიქცია ა. მ-ის მიმართ, მსჯელობა ამნისტიის კანონის შესაძლო გამოყენების თაობაზე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

8. რაც შეეხება კასატორის მითითებას ა. მ-ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, პალატა აღნიშნავს, რომ შემთხვევა მოხდა 2007 წლის 16-17 აგვისტოს ღამეს; 2013 წლის 22 იანვარს საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საფრანგეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 223-ე მუხლის მე-6 ნაწილითა და 434-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე დღეს გამოიცა მისი დაპატიმრების ბრძანება, ხოლო 2014 წლის 18 თებერვალს ბრესტის რესპუბლიკურმა პროკურორმა გამოსცა ა. მ-ის დაპატიმრების ევროპული ორდერი, 2014 წლის 7 მარტს კი გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით. შესაბამისად, არ დარღვეულა საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ა. მ-ის საფრანგეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით საფრანგეთის რესპუბლიკის ბრესტის სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია ამავე სახელმწიფოს სისხლის სამართლის

კოდექსის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილითა და 223-ე მუხლის მე-6 ნაწილით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ექსტრადიციის**

### **განჩინება**

2'-17

31 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ნ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 იანვრის განჩინებაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ა. ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალე-

ბის თანახმად, 2008 წლის 19 თებერვალს თურქეთის რესპუბლიკის ადანის საქალაქო მე-6 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით ა. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის მე-2 ნაწილით (შეიარაღებული/ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვრა 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. 2014 წლის 22 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა 2008 წლის 19 თებერვლის განაჩენი ა. ნ-ს მიმართ.

2. თურქეთის რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების მიხედვით, ა. ნ-ს მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 8 სექტემბერს სტამბოლის საქალაქო პოლიციის დირექციასთან არსებული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს თურქეთის რესპუბლიკაში არალეგალურ, ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული .....-ს (.....) ცენტრალური კომიტეტის წევრები და ამავე ტერორისტული ორგანიზაციის სამხედრო დანაყოფის პასუხისმგებელი პირები. ამასთან, აღნიშნული ორგანიზაციის საიდუმლო საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს მითითებული ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებები, კომპიუტერები, მეხსიერების ბარათები და დოკუმენტაცია. შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაცია .....-ის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური სტრუქტურების გაუქმება შეიარაღებული ძალებისა და ძალადობის გამოყენების გზით. ამოღებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ .....-ის წესდების თანახმად, აღნიშნული ორგანიზაციისათვის კადრების მიღებისა და მომზადებისათვის თურქეთის რესპუბლიკაში დაარსდა ლეგალური ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან ზემოაღნიშნულ ტერორისტულ ორგანიზაციას და ეწევიან მის სასარგებლო პროპაგანდას. მითითებული ლეგალური, თუმცა .....-ს დაქვემდებარებული ორგანიზაციების სიაში აგრეთვე შედიან ..... (.....), ..... (.....) და ..... (.....). აღნიშნული ორგანიზაციები ეძებდნენ ახალგაზრდა, პოტენციურ წევრებს, რომლებიც ჯერ .....-ს და შემდეგ .....-ს წევრები ხდებოდნენ. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მითითებულ ორგანიზაციებში განწევრიანებული პირების არალეგალური ორგანიზაციების, მათ შორის .....-ს მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ მოქმედე-

ბებში მონაწილეობა. ა. ნ-ი სხვა პირებთან ერთად იყო .....-ისა და .....-ის წევრი და ვინაიდან აღნიშნული ორგანიზაციები წარმოდგენს .....-ის განშტოებებს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებს, ა. ნ-ი აგრეთვე მიჩნეულია .....-ის ტერორისტული ორგანიზაციის წევრად. თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მტკიცებით, ა. ნ-ს .....-ის წევრობა აგრეთვე მტკიცდება ამ ორგანიზაციას დაქვემდებარებული ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ცალკეულ ღონისძიებებში მონაწილეობით, მათ შორის – შეკრებებში, რომლებზეც სამართალდამცველებთან მეზობლ ტერორისტებს აცხადებდნენ გმირებად.

3. 2014 წლის 17 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის ადანის საქალაქო რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა ა. ნ-ს დაკავების ბრძანება.

4. 2015 წლის 14 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა ა. ნ-ს ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის შუამდგომლობა და შესაბამისი დანართი მასალები.

5. 2016 წლის 2 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. ნ-ი.

6. 2016 წლის 4 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ა. ნ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

7. 2016 წლის 20 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ა. ნ-სა და მისი ადვოკატის საჩივარი 2016 წლის 4 აპრილის განჩინებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. 2016 წლის 16 ივნისს ა. ნ-ს ჩაუტარდა გასაუბრება მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

9. 2016 წლის 22 ივნისს, 11 აგვისტოსა და 15 დეკემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისაგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ა. ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

10. 2016 წლის 1 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ა. ნ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით – 6 თვემდე, 2016 წლის 2 ოქტომბრამდე.

11. 2016 წლის 19 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს განჩინებით ა. ნ-სა და მისი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

12. 2016 წლის 28 ივლისს, 26 აგვისტოსა და 28 დეკემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია ა. ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტების დედანი მიღებულ იქნა 2016 წლის 3 აგვისტოსა და 7 სექტემბერს.

13. 2016 წლის 30 სექტემბერს ა. ნ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით – 9 თვემდე, 2017 წლის 2 იანვრამდე.

14. 2016 წლის 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ა. ნ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა შეიცვალა გირაოთი. ამავე განჩინებით ა. ნ-ს დაეკისრა სსსკ-ის 199-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები.

15. 2017 წლის 5 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და ითხოვა ა. ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა, მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ადანის მე-6 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის განაჩენის აღსრულების მიზნით.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 იანვრის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ადანის მე-6 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის განაჩენის აღსრულების მიზნით.

17. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ა. ნ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. ქ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 იანვრის განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. მათ მიერ საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ა. ნ-ს საქმის წარმოებისას უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები. ა. ნ-თვის შერაცხული ბრალდებიდან გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატა მისი დანაშაულებრივი ქმედება, არ დასტურდება მისი წევრობა ან რაიმე კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციასთან; იგი იდევნება რელიგიურ (არ არის მუსულმანი) და პოლიტიკურ ნიადაგზე, რის გამოც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება; მსგავსი ბრალდებით დაკავებული პირების ექსტრადიციანზე უარი განაცხადა შვეიცარიის კონფედერაციამ და გერმანიის რესპუბლიკის კარლსრუეს უზენაესმა სასამართლომ; მათ არგუმენტებს ამყარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილება და საქმე, გარემოებების სრულყოფილი შესწავლისა და ახალი აქტის გამოცემის მიზნით, დაუბრუნდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

19. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციათა დასკვნები თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ შეაჩერა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციისა და ხელშეკრულების მოქმედება, მართავს დისკუსიებს და სულ უფრო ხშირად უჭერს მხარს ადამიანთა სიკვდილით დასჯის აღდგენას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. ნ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2016 წლის 2 აპრილს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული

განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ა. ნ-ს მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. უსაფუძვლოა კასატორთა მითითება, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ა. ნ-ს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე მისი რელიგიური (არ არის მუსულმანი) აღმსარებლობის, გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა სასამართლოს ვერ წარუდგინეს რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც პალატას შესაძლებლობას მისცემდა, დაედგინა აღნიშნული გარემოებები.

5. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორთა მოსაზრებას, რომ თურქეთის რესპუბლიკამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო შეაჩერა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ხელშეკრულებების მოქმედება, რის გამოც არსებობს ა. ნ-ს უფლებების შელახვის საფრთხე და აღნიშნავს, რომ კასატორებს არც ამ შემთხვევაში წარმოუდგენიათ რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ა. ნ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ საერთაშორისო სამართლით დაცული ადამიანის უფლებების დარღვევის რეალურ საფრთხეს, მით უფრო, რომ საქმის მასალებში მოიპოვება თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ა. ნ-ი ისარგებლებს თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიცაა თურქეთის რესპუბლიკა. გარდა ამისა, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ა. ნ-ს მიმართ განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისაგან მიიღო გარანტია, რომ ა. ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში

ექსტრადიციის შემთხვევაში მას მიეცემა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა.

6. რაც შეეხება კასატორების განმარტებას, რომ ა. ნ-თვის წარდგენილი ბრალდებიდან გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატება მისი ქმედება და რომ უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება მისი ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი არ იხილავს ა. ნ-ს ბრალეულობის საკითხს და მსჯელობს მხოლოდ იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია თურქეთის რესპუბლიკაში, განაჩენის აღსრულების მიზნით.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 იანვრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ა.ნ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ადანის მე-6 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის განაჩენის აღსრულების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ნ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## ექსტრადიციის

### განჩინება

6/-17

22 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

განიხილა ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის – ბ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბ. მ-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, 2011 წლის 15 დეკემბერს ნიუ-იორკის შტატის ..... ოლქის ნაფიც მსაჯულთა დიდი შემადგენლობის (ჩრანდ ჟურყ) გადანყვეტილებით დამტკიცდა №..... საბრალდებო აქტი, რომლის თანახმად, ბ. მ-ს ბრალი დაედო ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში, კერძოდ: ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კანონის 130.75-1 (ბ) ქვეპუნქტით (ბავშვის მიმართ განხორციელებული პირველი ხარისხის სექსობრივი აქტი); მეორე – მეხუთე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე პუნქტების თანახმად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კანონის 130.45-1 ნაწილით (სისხლის სამართლის მეორე ხარისხის სექსობრივი აქტი); მეექვსე და მერვე პუნქტების თანახმად, ნიუ-იორკის სისხლის სამართლის კანონის 130.30-1 ნაწილით (მეორე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული); მეთერთმეტე პუნქტის თანახმად, ნიუ-იორკის სისხლის სამართლის 130.25–2 ნაწილით (მესამე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული); მეთორმეტე-მეთოთხმეტე პუნქტების თანახმად, ნიუ-იორკის სისხლის სამართლის კანონის 130.40-2 ნაწილით (სისხლის სამართლის მესამე ხარისხის სექსობრივი აქტი) და მეთხუთმეტე პუნქტის თანახმად, ნიუ-იორკის სისხლის სამართლის კანონის 260.10-1 ნაწილით (ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა) გათვალისწინებულ დანაშაულთა

ჩადენაში.

2. ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწოდებული მასალების მიხედვით, ბ. მ-ს მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

– საბრალდებო აქტის პირველი პუნქტის თანახმად, დაახლოებით 2006 წლის 1 ივნისიდან – 2006 წლის 26 ოქტომბრამდე დროის მონაკვეთში, ..... რაიონში, როდესაც დაზარალებული ბრალდებულ ბ. მ-ს ქალიშვილი, ბ. მ-ა, დაბადებული ..... 19.. წელს, 13 წლამდე ასაკის იყო, ბრალდებულმა ბ. მ-მ სულ მცირე სამი თვის განმავლობაში, ბ. მ-ს მიმართ განახორციელა ორი ან მეტი სქესობრივი აქტი, მათ შორის სულ მცირე ერთ შემთხვევაში სქესობრივი კავშირი დაამყარა გაუკულმართებული ფორმით ან დამამძიმებელ გარემოებებში.

– საბრალდებო აქტის მე-2-5, მე-7, მე-9-10 პუნქტების თანახმად, დაახლოებით 2006 წლის 27 ოქტომბერს, 2007 წლის 5 ივლისს, იმავე წლის 27 ოქტომბერს, 2008 წლის 27 იანვარს ბ. მ-მ იმავე დაზარალებულის მიმართ განახორციელა ორალური ხასიათის სქესობრივი ქმედებები, ხოლო 2007 წლის 13 აგვისტოსა და 2008 წლის 27 იანვარს დაზარალებულთან დაამყარა ანალური სქესობრივი კონტაქტი. ასევე დაახლოებით 2007 წლის 12 აგვისტოს ბ. მ-მ დაზარალებულთან დაამყარა ორალური სქესობრივი კავშირი ან ანალური სქესობრივი კონტაქტი. აღნიშნული ქმედებები განახორციელა ..... რაიონში, როდესაც დაზარალებული 15 წლამდე ასაკის იყო.

– საბრალდებო აქტის მე-6 და მე-8 პუნქტების თანახმად, დაახლოებით 2007 წლის 1 სექტემბრიდან – 2007 წლის 30 სექტემბრამდე დროის მონაკვეთში და 2008 წლის 27 იანვარს, ..... რაიონში, როდესაც ბ. მ-ა 15 წლამდე ასაკის იყო, ბრალდებულმა იგი გააუპატიურა და მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

– საბრალდებო აქტის მე-11 პუნქტის თანახმად, დაახლოებით 2009 წლის 4 აპრილს, ..... რაიონში, როდესაც ბ. მ-ა 17 წლამდე ასაკის იყო, ბრალდებულმა იგი გააუპატიურა და მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

– საბრალდებო აქტის მე-12-14 პუნქტების თანახმად, დაახლოებით 2009 წლის 1 სექტემბრიდან – 2009 წლის 30 სექტემბრამდე, 2009 წლის 27 ოქტომბერსა და 2010 წლის 6 ივლისს, ..... რაიონში, როდესაც ბ. მ-ა 17 წლამდე ასაკის იყო, ბრალდებულმა მის მიმართ ორალური ხასიათის სქესობრივი ქმედებები განახორციელა.

– საბრალდებო აქტის მე-15 პუნქტის თანახმად, 2006 წლის 1-ლი ივნისიდან 2010 წლის 6 ივლისამდე, ბრალდებული ბ. მ-ი

შეგნებულად ახორციელებდა ბ. მ-ს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური კეთილდღეობის საზიანო ქმედებებს.

აღნიშნული ქმედებების ჩადენისას ბ. მ-ი საკუთარ ქალიშვილზე განუწყვეტილად ძალადობდა და აიძულებდა მისი ნების საწინააღმდეგოდ, მასთან სქესობრივი კავშირი ან გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტი დაემყარებინა.

3. 2012 წლის 7 აგვისტოს ნიუ-იორკის ..... უმაღლესმა სასამართლომ გამოსცა ბ. მ-ს დაკავების ორდერი.

4. 2016 წლის 9 დეკემბერს ბ. მ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

5. 2016 წლის 12 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ბ. მ-ი.

6. 2016 წლის 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ბ. მ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა – 3 თვით.

7. 2017 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო ბ. მ-ს ექსტრადიციის თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და საექსტრადიციო მასალები, ხოლო 2017 წლის 18 იანვარს – მათი დედნები.

8. 2017 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ და ითხოვა ბ. მ-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა მის მიმართ 2011 წლის 15 დეკემბრის საბრალდებო აქტის 1-15 პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა (ბავშვის მიმართ განხორციელებული პირველი ხარისხის სქესობრივი აქტი; სისხლის სამართლის მეორე ხარისხის სქესობრივი აქტი; მეორე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული; მესამე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული; სისხლის სამართლის მესამე ხარისხის სქესობრივი აქტი და ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა) შესაძლო ჩადენისათვის, ვინაიდან ბ. მ-ს მიმართ ექსტრადიციის განხორციელებისათვის, როგორც საერთაშორისო, ისე სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონმდებლობის თანახმად, დაცულია: ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების, პირის იდენტიფიკაციის, ორმაგი დანაშაულის პრინციპის, და-

ნაშაულის ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის სტატუსის, non bis in idem და სამართალწარმოების, ასევე გარანტიების შესახებ ყველა მოთხოვნა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ დემეტრე ჯინჯოლიას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნობილი ბ. მ-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია 2011 წლის 15 დეკემბრის საბრალდებო აქტის 1-15 პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო (ბავშვის მიმართ განხორციელებული პირველი ხარისხის სექსობრივი აქტი; სისხლის სამართლის მეორე ხარისხის სექსობრივი აქტი; მეორე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული; მესამე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული; სისხლის სამართლის მესამე ხარისხის სექსობრივი აქტი და ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა) მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

10. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ბ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ნ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. ბ. მ-ს ქალიშვილმა – ბ. მ-მ აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების მიღების მიზნით, საკუთარ მამას ცილი დასწამა და დააბრალა აღნიშნული დანაშაულების ჩადენა. ბ. მ-ს საფრთხე ემუქრება იმ კრიმინალური დაჯგუფებისაგან, რომლის წევრიც არის ბ. მ-ა და რომელშიც იგი ეწევა უკანონო საქმიანობას. ცილისწამების რეალობას ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბ. მ-ს ოჯახის დანარჩენი წევრები (მეუღლე და 3 ქალიშვილი) გამოორიცხავენ მის მიერ აღნიშნული დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობას. მითითებული გარემოებები არ გამოიკვლიეს არც საქართველოს პროკურატურამ და არც სასამართლომ.

12. გარდა ამისა, ბ. მ-მ და მისმა ადვოკატმა განცხადებით მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და, მათი მოსაზრებით, აღნიშნული პროცედურების დასრულებამ-

დე დაუშვებელია ბ. მ-ს ექსტრადიცია.

**სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ბ.მ-ი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს 2016 წლის 12 დეკემბერს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საქსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (ნონ ბის ინ იდემ) და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ბ. მ-ს მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ბ. მ-ს არ ჩაუდენია დანაშაული და მისმა შვილმა ბ. მ-მ ცილი დასწამა, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი არ იხილავს ბ. მ-ს ბრალეულობის საკითხს და მსჯელობს მხოლოდ იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. ხოლო რაც შეეხება ბ. მ-ს განმარტებას, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება იმ კრიმინალური ორგანიზაციისაგან, რომლის წევრიც არის მისი ქალიშ-

ვილი, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ექსტრადიციის მასალებში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც პალატას შესაძლებლობას მისცემდა, დაედგინა ამ საფრთხის რეალობა და არც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირსა და მის ადვოკატს წარმოუდგენიათ.

5. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ ვინაიდან საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბ. მ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მისთვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მისი ექსტრადიციის საკითხი არ შეიძლება განხილული იყოს ხსენებული უწყების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასა და ბ. მ-ს ექსტრადიციის დამარკოლებელ გარემოებას, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოორიცხავს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ბ. მ-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია 2011 წლის 15 დეკემბრის საბრალდებო აქტის 1–15 პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო (ბავშვის მიმართ განხორციელებული პირველი ხარისხის სექსობრივი აქტი; სისხლის სამართლის მეორე ხარისხის სექსობრივი აქტი; მეორე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული; მესამე ხარისხის გაუპატიურების დანაშაული; სისხლის სამართლის მესამე ხარისხის სექსობრივი აქტი და ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა) მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ბ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ექსტრადიცია**

#### **განჩინება**

9-17

23 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 8 თებერვლის განჩინებაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, 2012 წლის 9 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით მ. ა-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქე-

თის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 35-ე მუხლის მეორე ნაწილით (ძარცვის მცდელობა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2. 2016 წლის 14 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნულმა განაჩენმა საბოლოო სახე მიიღო.

3. 2012 წლის 24 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მეორე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით მ. ა-უ ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილით (დაუდევრობით ადამიანის მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომა განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. 2014 წლის 5 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს მე-12 სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნულმა განაჩენმა საბოლოო სახე მიიღო.

5. 2013 წლის 18 ივნისს თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მიმე სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით მ. ა-უ ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (ძალის გამოყენების გზით ადამიანის თავისუფლების ხელყოფა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ჯგუფურად, არასრულწლოვნის წინააღმდეგ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავდროულად განაჩენით მ. ა-უ ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ძარცვა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. 2014 წლის 5 მარტს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს მე-6 სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნულმა განაჩენმა საბოლოო სახე მიიღო.

7. 2015 წლის 28 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის ჩო-



რუმის საქალაქო მესამე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენით მ. ა-უ ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №5237 კოდექსის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუქარა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (შეურაცხყოფის მიყენება) – ფულადი ჯარიმა – 2.240 ლირის ოდენობით; №... კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა, ეპიზოდით) – 2 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა (3-ჯერ), რაც ამავე კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეეცვალა 5 თვის (3-ჯერ) განმავლობაში სპირტიანი სასმლის დაღვევის აკრძალვით; №... კოდექსის 125-ე მუხლის მეორე ნაწილით (შეურაცხყოფის მიყენება, საინფორმაციო საშუალების გამოყენებით) ფულადი ჯარიმა – 740 ლირის ოდენობით (2-ჯერ).

8. 2016 წლის 3 მარტს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნულმა განაჩენმა საბოლოო სახე მიიღო.

9. თურქეთის რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების თანახმად, მ. ა-ს მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

– თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის განაჩენის თანახმად, 2005 წლის 21 მაისს მ. ა-მ და უ. თ-მ სათამაშო დარბაზში დაიბარეს ა. ქ-ა და ი. ე-ა და განუცხადეს, რომ თუ 2 დღის ვადაში 200 თურქულ ლირას არ მიუტანდნენ, ცოცხლები ვერ გავიდოდნენ დარბაზიდან. მოგვიანებით, 2005 წლის 24 მაისს, სკოლიდან გამოსულ აღნიშნულ დაზარალებულ პირებს მ. ა-უ დახვდა დანიტ და თანხის გადაცემა მოსთხოვა, რა დროსაც იგი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

– თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მეორე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განაჩენის მიხედვით, 2012 წლის 14 სექტემბერს მ. ა-უ „...“ საწოდებელი ნიშნის მქონე ავტომანქანით ნასვამი გადაადგილებოდა ჩორუმში, ... უბანში, ... სახელობის გამზირზე, რა დროსაც დაუდევრობით დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, დაზარალებულ შ. ქ-ს, რის შედეგადაც იგი, მიუხედავად სამედიცინო ჩარევისა, მაინც გარდაიცვალა.

– თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მდიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის განაჩენის მიხედვით, 2009 წელს ჩორუმში მ. ა-უ და ზ. ს-ი შეთანხმდნენ, რომ ქ. ს-თვის (დაბ.....19..), მისი ნების საწინააღმდეგოდ, ოქრო წაერთმიათ. ამ მიზნის განსახორციელებლად მ. ა-უ ავტომანქანით, ზ. ს-სა და ფ. ს-თან ერთად უკან გაჰყვა ქ. ს-ს ავტომანქანას. მისი შეჩერების შემდეგ ფ. ს-ი გადაჯდა ქ. ს-ს ავტომანქანაში და ცეცხლსასროლი იარაღის ზურგზე მიბჯენით მოსთხოვა, რომ უკან გაჰყოლოდა მის წინ მიმავალ მ. ა-ს ავტომანქანას. დაახლოებით 600-700 მეტრის გავლის შემდეგ ხსენებული პირები მივიდნენ ... სახელობის სასაფლაოზე, რის შემდეგაც მ. ა-მ და ზ. ს-მ გაჩხრიკეს ქ. ს-ს ავტომანქანა, ამოიღეს ოქრო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

– თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მესამე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის განაჩენის მიხედვით, 2011 წლის 29 მაისს ... მდებარე რესტორან „...“, წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო მ. ა-სა და მის თანმხლებ პირებს – მ. ქ-ს, ი. ო-ს, ბ. ო-სა და ამავე რესტორანში მყოფ თ. ა-ს, ჯ. ჩ-სა და ე. ა-ს შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება. რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ მ. ა-უ, მ. ქ-ა და ბ. ო-ი მივიდნენ ავტომანქანასთან, რომელშიც ისხდნენ ქ. ა-ა, ჯ. ჩ-ი და ე. ა-ი. მ. ა-მ ავტომანქანის ფანჯრიდან თ. ა-ს გადმოყვანა სცადა, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა ავტომანქანის მიმართულებით, თუმცა იარაღი გაიჭედა. საპასუხოდ ჯ. ჩ-მ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და გაისროლა მ. ა-ს მიმართულებით, მაგრამ ააცილა. ინციდენტის ამონაწერის შემდეგ, დაპირისპირება გაგრძელდა ე. შ-სა და მ. ქ-ს შორის, რის შემდეგაც მოდავე მხარეები დაშორდნენ ერთმანეთს. იმავე დღეს, მოგვიანებით, მ. ა-მ საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრიდან ცალ-ცალკე დაურეკა ჯ. ჩ-ს, ე. შ-ა და თ. ა-ს, სამივეს მოსთხოვა შეხვედრა და დაემუქრა ცეცხლსასროლი იარაღით ანგარიშსწორებით.

10. 2016 წლის 29 მარტს, იმავე წლის 9 ივნისს, 13 ივლისსა და 15 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის უმაღლესმა საჯარო პროკურატურამ გამოსცა მ. ა-ს დაკავების ბრძანებები.

11. 2015 წლის 24 ივლისსა და 2016 წლის 9 მაისს მ. ა-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის მეშვეობით.

12. 2016 წლის 5 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ა-უ.

13. 2016 წლის 7 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განჩინებით, მ. ა-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა – 3 თვით.

14. 2016 წლის 20 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2016 წლის 7 ივლისის განჩინების გაუქმების შესახებ.

15. 2016 წლის 9 აგვისტოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო მ. ა-ს ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის შუამდგომლობისა და შესაბამისი დანართი მასალის ასლები, ხოლო 2016 წლის 12 აგვისტოს – მათი დედნები.

16. 2016 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

17. 2016 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით მ. ა-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაუგრძელდა დამატებით 3 თვით, 6 თვემდე – 2017 წლის 5 იანვრამდე.

18. 2016 წლის 8 ნოემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

19. 2017 წლის 4 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით მ. ა-ს საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაუგრძელდა დამატებით 3 თვით, 9 თვემდე – 2017 წლის 5 აპრილამდე.

20. 2017 წლის 11 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2017 წლის 4 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

21. 2017 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა დემეტრე ჯინჯოლიამ და ითხოვა მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა, მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით:

ა) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში აღწერილი ქმედებისათვის, რომელიც დასჯა-დია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 35-ე მუხლის მეორე ნაწილით (ძარცვის მცდელობა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით).

ბ) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მეორე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განაჩენში აღწერილი ქმედებისათვის, რომელიც დასჯა-დია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილით (დაუდევრობით ადამიანის მკვლელობა).

გ) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯა-დია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ვ“ ქვეპუნქტებით (ძალის გამოყენების გზით ადამიანის თავისუფლების ხელყოფა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ჯგუფურად, არასრულწლოვნის წინააღმდეგ) და სისხლის სამართლის №... კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით).

არ იქნეს დასაშვებად ცნობილი მ. ა-ს ექსტრადიცია:

ა) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მესამე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯა-დია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუქარა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით); №... კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (შეურაცხყოფის მიყენება); №... კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა, 3 ეპიზოდი) და №... კოდექსის 125-ე მუხლის მეორე ნაწილით (შეურაცხყოფის მიყენება, საინფორმაციო საშუალების გამოყენებით, 2 ეპიზოდი).

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 8 თებერვლის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ დემეტრე ჯინჯოლიას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნო-

ბილი მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების მიზნით:

ა) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში აღწერილი ქმედებისათვის, რომელიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და 35-ე მუხლის მეორე ნაწილით (ძარცვის მცდელობა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით).

ბ) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მეორე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განაჩენში აღწერილი ქმედებისათვის, რომელიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილით (დაუდევრობით ადამიანის მკვლელობა).

გ) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ვ“ ქვეპუნქტებით (ძალის გამოყენების გზით ადამიანის თავისუფლების ხელყოფა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ჯგუფურად, არასრულწლოვნის წინააღმდეგ) და სისხლის სამართლის №... კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ერთზე მეტი პირის მონაწილეობით).

დასაშვებად არ იქნა ცნობილი მ. ა-ს ექსტრადიცია:

ა) თურქეთის რესპუბლიკის ჩორუმის საქალაქო მესამე ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის განაჩენში აღწერილი ქმედებებისათვის, რომლებიც დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №... კოდექსის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუქარა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით); №... კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუურაცხყოფის მიყენება); №... კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა, 3 ეპიზოდში) და №... კოდექსის 125-ე მუხლის მეორე ნაწილით (მუურაცხყოფის მიყენება, საინფორმაციო საშუალების გამოყენებით, 2 ეპიზოდში).

23. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განჩინების გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო: თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოში მ. ა-ს ექსტრადიციის საკითხის განხილვისას სასამართლომ მას არ განუმარტა მისი უფლება – მოვალეობები, არ გაარკვია, ხომ არ განხორციელებულა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობა ან წამება, არ განუმარტა მოსამართლეთა აცილების საფუძვლები; პროკურორმა მ. ა-ს ასევე არ განუმარტა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისა და თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უფლებები, რითაც როგორც სასამართლომ, ასევე პროკურატურამ დაარღვიეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო პროცედურები; მ. ა-ს მიმართ განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად და ამასთან, 2017 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით, თურქეთის კომპეტენტურ ორგანოებს საქმის ხელახალი განხილვის გარანტია არ წარმოუდგენიათ, რის გამოც თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა-ს ექსტრადიცია დაუშვებელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ თურქეთის რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ა-უ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს 2016 წლის 5 ივლისს. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, დაკავებისას და საქსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (ნონ ბის ინ იდემ) და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასა-

ლების მიხედვით, არ იკვეთება მ. ა-ს მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს არ გააცნეს მისი უფლება – მოვალეობანი და არ განუმარტეს უფლება – მის მიმართ წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის შემთხვევაში საჩივრის (სარჩელის) შეტანის შესახებ და მიუთითებს, რომ მ. ა-ს ჯერ კიდევ 2016 წლის 5 ივლისს, საქართველოში მისი დაკავების მომენტში, თარჯიმნის მონაწილეობით განემარტა ყველა ის უფლება-მოვალეობები, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით გააჩნია ბრალდებულს, ხოლო მოგვიანებით, 2016 წლის 29 სექტემბერს, პროკურორმა დამატებით, თარჯიმნის მონაწილეობით განუმარტა და გადასცა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მშობლიურ ენაზე თარგმნილი უფლება-მოვალეობების ნუსხა. მართალია, უშუალოდ ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე მოსამართლემ მ. ა-ს არ განუმარტა მისი უფლება-მოვალეობები, მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება პროცესუალურ დარღვევად, რადგან, როგორც აღინიშნა, მას უკვე არაერთხელ, ამომწურავად და მისთვის გასაგებ ენაზე განემარტა მისი უფლება-მოვალეობები. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მ. ა-ს რაიმე პრეტენზია, რომ მის მიმართ განხორციელდა წამება ან არაჰუმანური მოპყრობა, არ გამოუთქვამს.

5. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ პროკურორმა მ. ა-ს არ განუმარტა, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისა და თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უფლებები, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 1 დეკემბრის კანონით, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 თებერვლიდან, ცვლილება შევიდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლში, კერძოდ – მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: „საექსტრადიციო პროცედურების მწარმოებელი პროკურორი ვალდებულია ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებულ პირს წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო დაც-

ვის მოთხოვნის და თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უფლებები“. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, აღნიშნული ცვლილების ამოქმედების დროისათვის (2017 წლის 1 თებერვალი), მ. ა-ს უკვე მიმართული ჰქონდა (2016 წლის 15 ნოემბერს) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ამდენად, ხსენებული ცვლილების ძალაში შესვლის მომენტისათვის მ. ა-ს უფლება რეალიზებული იყო, რის გამოც მისი დამატებით განმარტების საჭიროება აღარ არსებობდა.

6. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა-ს მიმართ განაჩენები გამოტანილია მის დაუსწრებლად, ასევე თურქეთის მხარეს არ წარმოუდგენია მისი საქმეების ხელახალი განხილვის გარანტია და, ამასთანავე, მ. ა-ს სათანადოდ არ იყო ინფორმირებული თურქეთის რესპუბლიკაში წარმოებული სასამართლო სხდომების შესახებ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ როგორც საქმის მასალებით დასტურდება, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2016 წლის 3 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისგან გამოითხოვა და იმავე წლის 8 ნოემბერს მათგან მიიღო დამატებითი ინფორმაცია სწორედ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომლითაც ირკვევა, რომ მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის სრული დაცვით ეცნობა მიმდინარე სასამართლო სხდომების შესახებ და ამასთან, თურქეთის მხარემ წარმოადგინა გარანტია, რომ მ. ა-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში მიეცემა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა იმ განაჩენებთან მიმართებით, რომლებზეც გადაწყვეტილება გამოტანილია მის დაუსწრებლად.

7. გარდა ამისა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. მ-მ საკასაციო სხდომაზე აღნიშნა, რომ ვინაიდან მ. ა-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ, მისი ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხი არ უნდა იქნეს განხილული აღნიშნული სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. პალატა მიუთითებს, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასა და მ. ა-ს ექსტრადიციის დამაბრკო-



ლებელ გარემოებას, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 8 თებერვლის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 8 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ექსტრადიცია

## განჩინება

8/-17

24 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**ნ. ბაქაქური**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ა-სა და გ. გ-ს საკავშირეო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 თებერვლის განჩინებაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ნ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების მიხედვით, 2015 წლის 29 დეკემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება ა. ნ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით (თალღითობა, დიდი ოდენობით ზიანის მიყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით.

2. აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების მიხედვით, ა. ნ-ს მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ა. ნ-მ ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით, სხვისი ქონების დიდი ოდენობით დაუფლების მიზნით, ა. ა-ი დაარწმუნა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ჩამოიტანდა – 2.000.000 აშშ დოლარის ღირებულების – 40. 000 ტონა კლინკერს (სპეციალური ნედლეული, რომელიც გამოიყენება ცემენტის წარმოებაში) და ყოველთვიურად გადაუხდიდა – 180. 000 აშშ დოლარს. ა. ნ-მ დაარწმუნა ა. ა-ი, რომ იგი დასაქმებული იყო ამ სფეროში და ჩამოტანილ ნედლეულს გამოიყენებდნენ ცემენტის დასამზადებლად ქალაქ ბაქოს..... რაიონში მდებარე შპს „.....“ ცემენტის ქარხანაში, რომლის დირექტორია ა. გ-ი.

აღნიშნული ცრუ დაპირებებისა და ა. ა-ს ნდობის მოპოვების

შედეგად 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში ა. ნ-მ ა-ს წარმო-  
მადგენლის, გ. ი-გან ნაწილ-ნაწილ პირადად მიიღო – 2.000.000  
აშშ დოლარი, რაც იმ დროის კურსით შეადგენდა – 1.568.799, 95  
აზერბაიჯანულ მანათს (საქართველოს ეროვნული ბანკის მო-  
ნაცემების თანახმად, დროის მითითებულ პერიოდში არსებუ-  
ლი ოფიციალური გაცვლითი კურსის მაჩვენებლის შესაბამისად,  
ხსენებული თანხა შეადგენს დაახლოებით – 3.323.400 ლარის  
ეკვივალენტურ ოდენობას).

ა. ნ-მ მიღებული თანხა დახარჯა პირადი საჭიროებებისათ-  
ვის. მან ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით, და-  
ზარალებულის დიდი ოდენობით ქონების დაუფლებით ჩაიდინა  
თაღლითობა.

3. 2015 წლის 29 დეკემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სა-  
მართლდამცავმა ორგანოებმა გამოაცხადეს ა. ნ-ს ძებნა, ხო-  
ლო იმავე დღეს ქ. ბაქოს ბინაგადინის რაიონული სასამართლოს  
გადაწყვეტილებით ა. ნ-ს ალკვეთის ღონისძიების სახით შეე-  
ფარდა პატიმრობა.

4. 2016 წლის 18 თებერვლიდან ა. ნ-ი იძებნება ინტერპოლის  
ნითელი ცირკულარით.

5. 2016 წლის 10 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე  
დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორ-  
განოების მიერ ძებნილი ა. ნ-ი.

6. 2016 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის  
მოსამართლის განჩინებით ა. ნ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პა-  
ტიმრობა – 3 თვით.

7. 2016 წლის 24 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებით ა. ნ-ს ინტერესების  
დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს 2016 წლის 12 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე  
დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. 2016 წლის 2 დეკემბერს საქართველოს მთავარმა პროკუ-  
რატურამ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურა-  
ტურიდან მიიღო ა. ნ-ს ექსტრადიციის თაობაზე აზერბაიჯანის  
რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობისა  
და შესაბამისი საექსტრადიციო მასალების ასლები, ხოლო 2016  
წლის 6 დეკემბერს – მათი დედნები.

9. 2017 წლის 7 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის  
მოსამართლის განჩინებით ა. ნ-ს მიმართ გამოყენებული საქე-

სტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე.

10. 2017 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და ითხოვა ა. ნ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით (თაღლითობა, დიდი ოდენობით ზიანის მიყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ნ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომლისთვისაც მისი ესტრადიციაა მოთხოვნილი და დასჯადია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით (თაღლითობა, დიდი ოდენობით ზიანის მიყენებით).

12. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – კ. ა-ი და გ. გ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება უკანონო, დაუსაბუთებელი და მიკერძოებულია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: ა. ნ-ი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არის ოპოზიციური პარტიის აქტიური წევრი და დამფინანსებელი, რის გამოც ექსტრადიციის შემთხვევაში იგი გახდება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს მისი სიკვდილი; აზერბაიჯანის რესპუბლიკის ციხეებში უკიდურესად მძიმე ვითარებაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და არსებობს ციხეში მისი უფლებების შელახვის რისკი; აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ იდეგენებიან უფლებადამცველები, ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რასაც ადასტურებს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ან-

გარიშები; ა. ნ-ს მიმართ მის დაუსწრებლად გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, რითიც დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. ნ-ი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს 2016 წლის 10 ნოემბერს. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ა. ნ-ს მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იდევნება პოლიტიკური ნიშნით, ვინაიდან იგი არის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „...“ აქტიური წევრი და დამფინანსებელი. პალატა აღნიშნავს, რომ პროკურატურამ ვერ მოიძია, ხოლო ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ვერ წარმოადგინეს რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც პალატას შესაძლებლობას მისცემდა, და-

ედგინა მითითებული ფაქტის რეალობა, მით უფრო, რომ დაცვის მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო მტკიცებულებათა მოსაპოვებლად და წარმოსადგენად.

5. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე ამ მიზნით დაცვის მხარეს, მათივე სურვილით, კიდევ დამატებით განუსაზღვრა დრო და გადადო სასამართლო სხდომა, თუმცა მათ ვერც ამ დროის განმავლობაში შეძლეს ა. ნ-ს მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნის დამადასტურებელი რაიმე უტყუარი მტკიცებულების წარმოდგენა. კასატორების პოზიციას, რომ ა. ნ-ს მოცემული ნიშნით დევნის საფრთხე დასტურდება მითითებული ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის წერილით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ მისი შინაარსი ძალზე ზოგადია, კერძოდ: წერილის ავტორისათვის საერთოდ უცნობია ა. ნ-ს ბრალდების არსი და ზოგადად უთითებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკურად აქტიური პირები იდევნებიან ყალბი სისხლის სამართლის საქმეების მეშვეობით; უმეტეს შემთხვევაში სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები იქცევიან არა კანონის შესაბამისად, არამედ შერჩევით, რის გამოც ა. ნ-ს ექსტრადიცია შეიძლება აღმოჩნდეს მისი სიცოცხლისათვის საშიში. თუმცა, რაიმე კონკრეტული ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლება ახორციელებს ა. ნ-ს პოლიტიკური ნიშნით დევნას, წერილში მითითებული არ არის.

6. ასევე უსაფუძვლოა დაცვის მხარის მოსაზრება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი, მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი გახდება, რადგან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ხელისუფლების მხრიდან სისტემატურად იდევნებიან ჟურნალისტები, უფლებადამცველები და პოლიტიკოსები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია პირის ექსტრადიცია, თუ მიმღებ სახელმწიფოში არსებობს პირის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის განხორციელების რეალური საფრთხე<sup>1</sup>. საფრთხის არსებობა უნდა შეფასდეს იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო გადანყვეტილების მიმღები სახელ-

---

<sup>1</sup> სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Soering v. The United Kingdom*)

<sup>2</sup> მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*)

მნიფოსათვის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის <sup>2</sup>. იმისათვის, რათა ადამიანის უფლებათა სფეროში ქვეყანაში არსებული რთული მდგომარეობა ჩაითვალოს ექსტრადიციის უარის თქმის საფუძვლად, ზოგადი ინფორმაციის გარდა, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის რეალური საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები <sup>3</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული გარემოების დასადასტურებლად კასატორების მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია (მათ შორის – საკასაციო სხდომაზე წარმოდგენილი მასალები), რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან და რომლითაც არ დასტურდება, რომ ა. ნ-ი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაექვემდებარება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

7. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ა. ნ-ს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე არ არსებობს, საქართველოს პროკურატურამ ამ კუთხით დამატებით შეისწავლა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ზოგადი მდგომარეობაც, რის შედეგად დაასკვნა, რომ ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში კონვენციის მე-3 მუხლიდან შეუსაბამო დარღვევებს არა აქვს მასშტაბური ან სისტემური ხასიათი. ამასთან, არსებობს მყარი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარანტიები, რომ მსგავსი დარღვევების პრევენცია ან/და დასჯა მოხდეს. ამასთანავე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ წარმოადგინა გარანტიები, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში სრულად იქნება რეალიზებული ა. ნ-ს უფლებები და თავისუფლებები, ინტერ აღია, წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯისაგან დაცვის უფლება. ამასთან, არ არსებობს გარემოება, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების რეალიზებაში ეჭვის შეტანის საფუძველი გახდებოდა, რადგან იგი არ არის ცნობილი, როგორც აღ-

---

<sup>2</sup> ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vilvarajah and Others v. the United Kingdom)

მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ (Mamatkulov and Askarov v. Turkey)

<sup>3</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Allen v. The United Kingdom, N25424/09, 12/07/2013, §93

ნიშნული გარანტიების დამრღვევი.

8. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორების პოზიციას, რომ ა. ნ-ს ექსტრადიცია დაუშვებელია, ვინაიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად და მიუთითებს, რომ როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, ა. ნ-ს მიმართ გამოტანილი არ არის გამამტყუნებელი განაჩენი და მისი ექსტრადიცია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ხორციელდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების და არა – განაჩენის აღსრულების მიზნით.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ნ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომლისთვისაც მისი ექსტრადიციაა მოთხოვნილი და დასჯადია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით (თაღლითობა, დიდი ოდენობით ზიანის მიყენებით), კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ა-სა და გ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## საკიბაელო

### 1. საგამოძიებო მოქმედებები

სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების სამართლებრივი შედეგი .....	3
პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენების კანონიერების განხილვა პრეიუდიციის საფუძველზე .....	9
პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენების კანონიერების განხილვა პრეიუდიციის საფუძველზე .....	17

### 2. საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა .....	31; 73; 87; 95; 104
გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება და არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების განმარტება .....	121
გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვება .....	125
გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება (განსხვავებული აზრი) .....	130

### 3. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად .....	145
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება .....	153; 163; 167
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის .....	173; 176; 181; 183
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაკმაყოფილების ცნობის შესახებ განაჩენის უცვლელად დატოვება .....	187

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება ..... 192; 198; 203; 207; 210; 213

**4. ექსტრადიცია**

ექსტრადიცია ..... 226; 233; 239; 250